საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№06 (288)
18 - 24 თებერვალი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

17 კომუნი-კაციები, კალაშნიკოვი და ხიდაშელის დესანტი

## ირაკლი ალასანია სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ 4



„სულ ტყუილად ნერვიულობენ დასავლეთში და საქართველოში, ყველაფერი გადაწყვეტილი და ნათქვამია. საქართველო კი არ შევა ნატოში, ნატოს შტაბბინა შემოვა თბილისში! ლელა პირველ ხმას იტყვის, ალასანია — მეორეს და საქართველოც აშენდება!“

## ბიძინას რეიტინგისვარდნა, შენნაირების რეიტინგის აწევას არ ნიშნავს, ირაკლი ბატონო! 12

## აი თითი! აი სამი თითი! აი ევროპა!



რამდენიმე სხვა მცირე „სიკეთის“ დაპირებასთან ერთად, ყველაზე მსხვილი „ხბოს სატყუარა“ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება და მასზე „მომყოლი“ სხვადასხვა მომხიბლავი პერსპექტივაა 5

3 ხოჯალის ტრაგედიიდან 23 წლისთავზე აზერბაიჯანელი დეპუტატები აშშ-ის ორმაგი სტანდარტის პოლიტიკამ აღაშფოთა

რატომ მარცხდება უკრაინული 8 ჯარი?

## ზორო და პედერასტები

 9

## «ДА ТЫ ЧТО, СУКИН СЫН, САМОЗВАНЕЦ, КАЗЕННЫЕ ЗЕМЛИ РАЗБАЗАРИВАЕШЬ?!» 14



«რას სჩადი, ძაღლიშვილო, თვითმარქვიავ, სახელმწიფოს მიწებს ანიავებ?»

«სააკაშვილი ქვანიას მკვლელობას მარტო ვერ გადაწყვეტდა, მკვლელობა იმ ადამიანებმა დაგეგმეს, რომელთა 10 მონა-მორჩილიც სააკაშვილია»

## სოსო რობაქიძე: ლიდერებს, რომლებიც სააკაშვილის დაბრუნებას გადაწყვეტენ, რამდენიმეს მაინც, მე მოვკლავ იმიტომ, რომ სააკაშვილმა ქართველთა გენოციდი მოაწყო!



დამემუქრნენ, შენი შვილის საფლავზე დაგაკლავთო... 6

„საქართველო და მსოფლიო“, 2009 წ. 18-24 მარტი, მე-5 ნომერი

შვილის „საფლავზე დაკვლით“ ბუტა რობაქიძის მამას 2009 წლიდან ემუქრებოდნენ

## «ნაციონალური მოძრაობის» რამდენიმე ყოფილი და ამჟამინდელი მაღალჩინოსანი უახლოეს მომავალში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას აპირებს 7



სკოლებში სახიფათო საგნის სწავლება 11 იწყება!

13 რესპუბლიკელები ივანიშვილს განუდგნენ

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## აბაშიძე -კარასინის შეხვედრა თებერვლის ბოლოს გაიმართება



**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინსა და საქართველოს პრემიერის სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძეს შორის მორიგი შეხვედრა თებერვლის ბოლოს პრაღაში გაიმართება.** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ცნობით, კარასინსა და აბაშიძეს შორის სატელეფონო საუბრისას მხარეებმა მომდევნო შეხვედრის თარიღსა და რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობებზე გაამახვილეს ყურადღება. გრიგორი კარასინი და ზურაბ აბაშიძე ერთმანეთს პირველად 2012 წლის დეკემბერში ჟენევაში შეხვდნენ. 2013-2014 წლებში მხარეებმა პრაღაში შვიდი დისკუსია გამართეს. შეხვედრებისას, ძირითადად, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო, ეკონომიკური, ჰუმანიტარული და კულტურული საკითხები განიხილება. 2008 წლის შემდეგ მსგავსი დისკუსიები რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი დიალოგის ერთადერთი საშუალებაა.






## სკანდალი: უკრაინელებმა დონბასში რუსეთის ჯარების ყოფნის დასამტკიცებლად 2008 წელს სამაჩაბლოში გადაღებული ფოტოები წარადგინეს

**აშშ-ის სენატში უკრაინული მხარის მიერ მტკიცებულებად წარდგენილი ფოტოები, რომლებიც რუსეთის ჯარების დონბასში ყოფნას ასახავდა, ყალბი აღმოჩნდა.**

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ კადრები, რომლებშიც რუსული სამხედრო ტექნიკის გადაადგილებაა ასახული, 2008 წელს სამხრეთ ოსეთშია გადაღებული.

სწორედ ამ ყალბმა ფოტოებმა უბიძგა დემოკრატ სენატორებს, მხარი დაეჭირათ რესპუბლიკელების ინიციატივისთვის, უკრაინისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესახებ. „ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს სურათები ასახავდა უკრაინული მხარის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს. აღშფოთებული დავრჩი, როცა გავიგე, რომ ფოტოები ყალბი იყო და 2008 წელს იყო გადაღებული", — განაცხადა სამხედრო კომიტეტის წევრმა ჯეიმს ინჰოუფმა.



## უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატად ნინო გვენეტაძე დასახელდა

**საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ნინო გვენეტაძის კანდიდატურა წარადგინა. ნინო გვენეტაძე უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეა. მას, რამდენიმე მოსამართლესთან ერთად, „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდში უფლებამოსილება შეუწყვიტეს.**

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე სულ 36 პირი წარადგინეს, თუმცა მათგან რვამ თავისი კანდიდატურის განხილვაზე უარი განაცხადა. წარდგინებაზე უარი განაცხადეს: თინათინ ხიდაშელმა, დარეჯან გოგიბერიძემ, ნუნუ კვანტალიანმა, დავით მამისეიშვილმა, დავით სულაქველიძემ, იური ტაბუცაძემ, ნათია წკეპლაძემ და ლადო ჭანტურიამ.

28 პრეტენდენტს შორის კი იყვნენ: დავით ასათიანი, მამუკა ახვლედიანი, ირაკლი ბურდული, მერაბ გაბინაშვილი, გოჩა გოგიშვილი, ნინო გვენეტაძე, ევა გოცირიძე, ანა დოლიძე, ინგა თოდრია, ავთანდილ კახნიაშვილი, დავით კოღუაშვილი, ალექსი კობაიძე, კობა კობახიძე, თამარ ლალიაშვილი, გია მეფარიშვილი, როინ მიგრიაული, მამუკა მდინარაძე, ნოდარ მილაძე, ლევან მურუსიძე, მურმან ქამადაძე, ზაქარია ქუცნაშვილი, მადონა ღიბრაძე, შალვა შავგულიძე, მარიამ ცისკაძე, მარინე ჭყონია, რომული ჯაფარიძე, თეიმურაზ ჯორბენაძე და გიორგი ჯუღელი.

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს 10 წლის ვადით ირჩევენ. მის არჩევას კი, სულ მცირე, 76 დეპუტატის მხარდაჭერა სჭირდება. უზენაესი სასამართლოს მოქმედ თავმჯდომარეს, კონსტანტინე კუბლაშვილს, უფლებამოსლების ვადა 23 თებერვალს ეწურება.**



## ბიძინა ივანიშვილი: რესპუბლიკელები ვერ მალავენ და ალასანიას უჭერენ მხარს

**ყოფილმა პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გაზეთ „კვირის პალიტრისთვის" მიცემულ ინტერვიუში ბევრ სხვა საკითხთან ერთად ირაკლი ალასანიას გუნდის წევრებსა და რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებზეც ისაუბრა.**

„თუ საკითხი პირადულს ეხება, კი ბატონო, საერთო საქმეზე კი თვალს ვერ დავხუჭავ. რაც შეეხება ე.წ. კაბელების საქმეს, ალასანიამ და მისმა თანაგუნდელებმა ვერ აჩვენეს, რომ პროკურატურამ კანონი დაარღვია. მხოლოდ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ გუნდში. ისე უნდათ, მხარი დაუჭირონ ერთ პიროვნებას, რომ სახელმწიფო ავიწყდებათ. თვითონ რომ გაუჭირდებათ, მაშინ აღარ ვარგა პროკურატურა — ეს არის პოზიცია? კონკრეტულად აჩვენონ, სად ნახეს პროკურატურისგან კანონდარღვევა. ცდილობენ, პოლიტიკურად წაიყვანონ პროცესი. კეთილი ინებონ და პროკურატურას ხელი შეუწყონ. ისე, ალასანიას გუნდის წევრები ამ საკითხზე რატომ არ ითხოვენ პარლამენტში კომისიის შექმნას? მსგავსი განცხადებები მათგან არ მახსოვს, ჩაერთონ და ნახონ. იმავე რესპუბლიკელებმაც, რომლებიც ვერ მალავენ და ალასანიას მხარს უჭერენ, ხელოვნურად აგორებულ თემებზე კომისიას რომ ქმნიან, შეამოწმონ პროკურატურა ამ ნაწილშიც. ამის ნაცვლად, მხოლოდ ზოგად პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ და პროკურატურას პირდაპირ ემუქრებიან. იმას კი არ ამბობენ, დაკავებულები დამნაშავეები არიან თუ არა, მთავარ პროკურორს დავიჭერთო, ამბობენ!" — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.



## საპროტესტო აქციები ევროპაში. საბერძნეთი მხოლოდ დასაწყისია...

**ევროპაში საპროტესტო აქციები გრძელდება. სიროზისგან (მემარცხენე-რადიკალური პარტია საბერძნეთში, რომელმაც ახლახან საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა) წამოსული დაუმორჩილებლობის ვირუსი სწრაფად ვრცელდება და შიშს იწვევს ევროკავშირში.** ეკონომიკის ექსპერტთა აზრით,ბერძენი ხალხისადმი სოლიდარობის დემონსტრაციები, რომლებიც მკაცრი ეკონომიის წინააღმდეგ არის მიმართული და რომლებიც იმართება ესპანეთში, ბელგიასა და სხვა ქვეყნებში, ევროპას უახლოეს პერსპექტივაში ბევრ პრობლემას შეუქმნის.

## უკრაინამ სააკაშვილისა და ადეიშვილის ექსტრადიციაზე უარი განაცხადა



**საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის, ექსტრადირებაზე განცხადება გაავრცელა.**

„უკრაინასა და საქართველოს შორის ძებნილ პირთა ექსტრადიცია ხორციელდება „ექსტრადიციის შესახებ" 1957 წლის ევროპული კონვენციით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ" მინსკის 1993 წლის კონვენციითა და „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ" საქართველოსა და უკრაინას შორის 1995 წელს დადებული ორმხრივი ხელშეკრულებით. ხსენებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად განიხილონ და გადასცენ ერთმანეთს ძებნილი პირები. შესაბამისად, ვინაიდან მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს საქართველოში წაყენებული აქვთ ბრალდებები და მათ მიმართ გამოცხადებულია ძებნა, ამასთანავე, ადეიშვილი იძებნება წითელი ცირკულარით, და ასევე, ვინაიდან მოპოვებული ინფორმაციით ხსენებული პირები იმყოფებიან უკრაინაში, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უკრაინის გენერალურ პროკურატურას მიმართა ხსენებულ პირთა დადგენა-დაკავებისა და ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობებით. მიუხედავად ქვეყნებს შორის ექსტრადიციის სფეროში არსებული ზემოთ დასახელებული ვალდებულებებისა, უკრაინის მხარეს მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის საქართველოში ექსტრადიციის საკითხზე საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან არ უთანამშრომლია და უარს აცხადებს ძებნილი პირების ექსტრადირებაზე", — ნათქვამია განცხადებაში.



## კახა კალაძე: სააკაშვილი უკრაინას სასიკეთოს ვერაფერს მოუტანს

**ენერგეტიკის მინისტრი, ვიცეპრემიერი კახა კალაძე სააკაშვილის უკრაინის პრეზიდენტის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ სააკაშვილის დანიშვნას გამოეხმაურა.**

„ჩვენ ვიცით, რომ მიხეილ სააკაშვილი პირდაპირ არის დაკავშირებული იმ კრიმინალურ რეჟიმთან, იმ სისხლიან რეჟიმთან, რომელიც საქართველოში შეიქმნა. ის მისი მთავარი იდეოლოგი იყო, თავის მეგობრებთან ერთად. ეს საზოგადოებისთვის ცნობილია და არა მგონია, რომ მათ უკრაინას რაიმე სასიკეთო მოუტანონ", —განაცხადა კალაძემ.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბრიტანელი გენერალი: უკრაინისთვის უვარგისი ჯავშანმანქანების მიწოდება ამორალური საქციელია

**„ჯავშანმანქანა Saxon-ი, რომლებიც ბრიტანეთმა გადასცა უკრაინის ხელისუფლებას და რომლებსაც თვითონ, დიდი ხანია, აღარ იყენებს, სრულიად უსარგებლოა საბრძოლო მოქმედებებისთვის და საფრთხეს შეუქმნის სამხედროების სიცოცხლეს“,** — განაცხადა დიდი ბრიტანეთის სახმელეთო ჯარების ყოფილმა სარდალმა რიჩარდ დანატმა. „დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, უკრაინას მიაწოდოს ათეულობით უვარგისი ჯავშანმანქანა Saxon-ი, ამორალურის გარდა, სხვას ვერაფერს ვუწოდებ. ეს მანქანები ბრიტანეთის არმიის შეიარაღებიდან 2005-2006 წლებში გამოვიყვანე, როგორც უვარგისი საბრძოლო ოპერაციების ჩასატარებლად. დაუჯერებელია, რომ ახლა ეს მანქანები უკრაინას უნდა მიყიდონ ან უსასყიდლოდ გადასცენ. ეს არის ნაწილობრივ დაჯავშნილი მანქანები, რომელთა გაყვანა ფრონტის წინა ხაზზე არ შეიძლება“, — მოჰყავს ბრიტანელი გენერლის სიტყვები The Daily Telegraph-ს.

# ხოჯალის ტრაგედიიდან 23 წლისთავზე აზერბაიჯანელი დეპუტატები აშშ-ის ორმაგი სტანდარტის პოლიტიკამ აღაშფოთა

**რამდენიმე დღის წინათ აზერბაიჯანის მილი მეჯლისში (პარლამენტი) გაიმართა სხდომა თემაზე „ადამიანის უფლებები აშშ-ში. საგარეო პოლიტიკის პარადოქსები“. სიტყვით გამოსვლისას აზერბაიჯანელი დეპუტატები აღშფოთებას ვერ მალავდნენ აშშ-ის მიერ ორმაგი სტანდარტის გამოყენების გამო და ამ ქვეყნის ხელისუფლებას აშშ-სა და აზერბაიჯანს შორის გაფორმებული სტრატეგიული ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდებდნენ, — იუწყება აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო TREND-ი.**




„აშშ-ში არსებობს რასობრივი პრობლემა. ბარაკ ობამას კანის ფერმა, ფაქტობრივად, ვერ აღმოფხვრა რასობრივი დისკრიმინაცია ამერიკაში და ეს პრობლემა დღემდე არსებობს ქვეყანაში.

ამერიკას არავითარი საფუძველი არ აქვს გააკრიტიკოს აზერბაიჯანი ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ“, — განაცხადა დეპუტატმა **ზაჰიდ ორუჯმა.**

აზერბაიჯანის პრეზიდენტთან არსებული სტრატეგიული კვლევების ცენტრის დირექტორის **ფარხად მამედოვის** თქმით, დემოკრატიის მხარდამჭერი ფონდი (NED) 1983 წელს შეიქმნა აშშ-ის ე. წ. რბილი პოლიტიკის გასატარებლად მსოფლიოში. თუმცა **პოლიტიკას, რომელსაც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო 25 წლის წინათ საიდუმლოდ ატარებდა, ამჟამად დემოკრატიის მხარდამჭერი ფონდი ახორციელებს.**

„აშშ სამხედრო დახმარების გაწევის საბაბით 45 ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაერია. დევნილთა საკითხებში გაეროს კომისრის ანგარიშის მიხედვით, 10,5 მლნ დევნილიდან ნახევარი აშშ-ის ჩარევის შედეგად გაჩნდა. რაც მთავარია, **აშშ ორმაგ სტანდარტს იყენებს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ და ეხმარება სეპარატისტებს აზერბაიჯანული სახელმწიფოს წინააღმდეგ“,** — განაცხადა ფარხად მამედოვმა.

დეპუტატმა **მუსა გასიმლიმ** კი აღნიშნა, რომ ცივი ომის პერიოდში ბევრი ქვეყანა და ხალხი პატივს სცემდა აშშ-ს, სჯეროდა მისი და თვლიდა ავტორიტეტად, ახლა ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. მიზეზი კი აშშ-ის მიერ ორმაგი სტანდარტის გამოყენებაა, რაც ნათლად ჩანს აშშ-ის მოქმედებებში აზერბაიჯანის მიმართ, აგრეთვე, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საკითხში.

„ამერიკამ აკრძალა თავისი პროდუქციის გაყიდვა ყირიმში, მაგრამ ყარაბაღელ სეპარატისტებს ყოველწლიურად ეხმარება ფინანსურად. როგორ გავიგოთ ეს?

**ამერიკა აღიარებს ე. წ. სომხების გენოციდს, მაგრამ არ ცნობს გენოციდს ხოჯალიში. ოკუპირებულ ტერიტორიაზე სომხებს მძევლად აჰყავთ აზერბაიჯანელები, მაგრამ აშშ ამაზე არ რეაგირებს. სწორედ ეს არის ორმაგი სტანდარტი. ეს ორპირობაა. და, ვიდრე ამერიკა განაგრძობს ორმაგ თამაშს, მისი იმიჯი მსოფლიოს ხალხების თვალში სულ უფრ დაეცემა!“** — განაცხადა მუსა გასიმლიმ.

**რა ტრაგედია დატრიალდა ხოჯალიში 23 წლის წინათ, რის გამოც ასე აღშფოთებით ლაპარაკობენ აზერბაიჯანელი დეპუტატები?**

1992 წლის 25-26 თებერვლის ღამე აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიის შავი ფურცელია. იმ ღამით სომხურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა, ჯავშანტექნიკის გამოყენებით, რომლებიც სსრკ-ის პერიოდიდან ქალაქ ხანკენდში (სტეფანაკერტი) იყო დისლოცირებული, მიწასთან გაასწორეს მთიანი ყარაბაღის დასახლებული პუნქტი ხოჯალი. **ეთნიკური აზერბაიჯანელების წინააღმდეგ განხორციელებულ ხოცვა-ჟლეტას 613 ადამიანი შეეწირა, მათ შორის: 106 ქალი, 63 ბავშვი და 70 მოხუცი. ერთ ღამეში მთლიანად ამოწყდა 8 ოჯახი, 25 ბავშვი დაობლდა; დაიჭრა 487 ადამიანი, 1275 მშვიდობიანი მოსახლე ტყვედ აიყვანეს, 155-ის ბედი დღემდე უცნობია. განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს 56 ადამიანი, ცოცხლად დაწვეს 3 კაცი, გვამებს სკალპი ახადეს, ანაწევრებდნენ სხეულებს, კვეთდნენ თავებს, თხრიდნენ თვალებს, ფეხმძიმე ქალებს კი მუცელში შუბს უყრიდნენ.**

ეს იყო წინასწარ დაგეგმილი ქმედება, რომლის მიზანს წარმოადგენდა ეროვნული ნიშნით ადამიანების ჟლეტა.

**1993 წელს, აზერბაიჯანის ხელისუფლებაში ჰეიდარ ალიევის დაბრუნების შემდეგ, ტრაგედიას პირველად მიეცა პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება, 1994 წელს სწორედ მისი ინიციატივით გამოაცხადა აზერბაიჯანის პარლამენტმა 26 თებერვალი ხოჯალის გენოციდის დღედ.**

ამ საშინელ ტრაგედიას ყოველწლიურად ტკივილით აღნიშნავენ, როგორც აზერბაიჯანის მოქალაქეები, აგრეთვე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები აზერბაიჯანელები და მათი მეგობრები. მოიგონებენ და პატივს მიაგებენ ხოჯალის ტრაგედიის მსხვერპლთ, ტარდება მიტინგები და პიკეტები, ეწყობა იმდროინდელი მოვლენების ამსახველი ფილმების ჩვენება და ფოტოების გამოფენა. მსოფლიოს გავლენიან გაზეთებში იბეჭდება სტატიები, ტელევიზიებითა და რადიოთი გადასცემენ მასალებს ტრაგიკული მოვლენების შესახებ. ორგანიზაცია “საქართველოს ახალგაზრდა აზერბაიჯანელები” ატარებენ ღონისძიებების სერიას ქართველი საზოგადოების ინფორმირებისთვის იმ ეთნიკური წმენდების შესახებ, რომლებსაც ადგილი ქონდა ამიერკავკასიაში.

დღეს აზერბაიჯანის ხელისუფლება მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად ცდილობს, რომ მსოფლიოს საზოგადოებრიობამ სიმართლე შეიტყოს ხოჯალის ტრაგედიაზე და აღიაროს გენოციდად.

**«ამერიკა აღიარებს ე. წ. სომხების გენოციდს, მაგრამ არ ცნობს გენოციდს ხოჯალიში. ოკუპირებულ ტერიტორიაზე სომხებს მძევლად აჰყავთ აზერბაიჯანელები, მაგრამ აშშ ამაზე არ რეაგირებს. სწორედ ეს არის ორმაგი სტანდარტი. ეს ორპირობაა. და, ვიდრე ამერიკა განაგრძობს ორმაგ თამაშს, მისი იმიჯი მსოფლიოს ხალხების თვალში სულ უფრო დაეცემა»**




**ეთნიკური აზერბაიჯანელების წინააღმდეგ განხორციელებულ ხოცვა-ჟლეტას 613 ადამიანი შეეწირა, მათ შორის, 106 ქალი, 63 ბავშვი და 70 მოხუცი. ერთ ღამეში მთლიანად ამოწყდა 8 ოჯახი, 25 ბავშვი დაობლდა. დაიჭრა 487 ადამიანი, 1275 მშვიდობიანი მოსახლე ტყვედ აიყვანეს, 155-ის ბედი დღემდე უცნობია.**


der Freitag
Politik

Ausgaben Schlagzeilen Guardian Autoren Logbuch Stellenmarkt
STARTSEITE POLITIK WIRTSCHAFT KULTUR ALLTAG COMMUNITY

Die ehrenwerte Gesellschaft

System Das marode US/EU Imperium wird von Personal in den Abgrund gesteuert, welches unfähig bis kriminell ist ...

Ein Nutzerbeitrag von MopperKopp

Schrottanleihen, Schrottkredite, Schrottpersonal, das Imperium des Kapitalismus hat in allen Belangen abgewirtschaftet.

## Der Freitag: უკრაინა ნათელი მაგალითია იმისა, როგორ მიაქანებენ ქვეყანას უფსკრულში ხელისუფლებაში მოკალათებული თაღლითები

**„უკრაინაში ნათლად გამოიკვეთა აშშ-ისა და ევროკავშირის ძველი პრობლემა — ხელმძღვანელი კადრების დეფიციტი“**, — წერს გერმანული გამოცემა Der Freitag-ი.

„უკრაინა, რომელიც აშშ-ისა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტია, ნათლად წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომ კაპიტალისტური სამყარო უფსკრულში მიექანება“, — იუწყება გერმანული გამოცემა. სტატიის ავტორის აზრით, ამ ვითარებაში განსაკუთრებით მკვეთრად გამოიკვეთა კვალიფიციური კადრების დეფიციტი. და, როდესაც ასეთი კადრების ნაკლებობაა, სახელმწიფო ქონებას ხელში იგდებენ კრიმინალები.

„ავიღოთ თუნდაც პრეზიდენტი — ოლიგარქი **პოროშენკო,** რომელიც წარბშეუხრელად ბომბავს თავისი ქვეყნის მოსახლეობას და ამისათვის არმიასა და მაროდიორ ფაშისტებს იყენებს“, — წერს ავტორი, რომელსაც მხედველობიდან არ გამოჰპარვია, რომ პრემიერმინისტრი **არსენი იაცენიუკი, „მრავალი წელია, ვაშინგტონისთვის მუშაობს“**, არც **„კიევის მერობამდე ამაღლებული“ მოკრივე,** და არც „კიდევ ერთი დამნაშავე — საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც თავი თაღლითების ქვეყანას — აშშ-ს შეაფარა.** „სწორედ სააკაშვილმა უნდა გაუწიოს კოორდინაცია უკრაინაში იარაღის მიწოდებას, რაც კიდევ უფრო გაამწვავებს სამოქალაქო ომს და რუსეთთან ომის დაწყების წინაპირობა იქნება და ეს მხოლოდ რამდენიმეა საეჭვო ფიგურებიდან, რომლებიც კრიზისულ რაიონში მოქმედებენ. თუმცა „სამართლიანი მედია“ და პოლიტიკოსები მათთან ისე ურთიერთობენ, როგორც თანასწორთან“, — აღნიშნულია სტატიაში.

ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ ევროკავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ან ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს ხელმძღვანელი კადრები ცუდად მუშაობენ. „ევროკომისიის თავმჯდომარე **ჟან-კლოდ იუნკერის**, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ **კრისტინ ლაგარდის**, გერმანიის ფინანსთა მინისტრ **ვოლფგანგ შოიბლესა** და სხვების კარიერაში არის თაღლითობის, სახელმწიფო ქონების დატაცებისა და მექრთამეობის ეპიზოდები. ეს ადამიანები, ასე თუ ისე, დაკავშირებულნი არიან საფინანსო ინსტიტუტებთან, რომლებიც დანაშაულებრივი საქმიანობით მსოფლიოს უფსკრულისკენ მიაქანებენ“, — წერს Der Freitag-ი.



პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველო და მსოფლიო“: — არჩევნების წინ თქვენ ითვლებოდით პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატად, თუმცა არც პრეზიდენტობის კანდიდატად დაგასახელეს და ვიცეპრემიერის პოსტსაც ჩამოგაშორეს. კლანური დაპირისპირების მსხვერპლი ხართ თუ ვიცეპრემიერობა პრეზიდენტის კანდიდატობას ნიშნავდა თავისთავად?
ირაკლი ალასანია: — ზოგადად პოლიტიკას მე სულ ვადარებ ჯაზს, რომელიც მუდმივ იმპროვიზაციებს ითხოვს და ქართული პოლიტიკაც ძალიან მრავალფეროვანი და მოულოდნელობებით აღსავსეა.

2013 წელი

# ირაკლი ალასანია სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ

**თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია არ ტყუოდა, როდესაც ამას წინათ განაცხადა, რომ მინისტრობისას აყენებდა საკითხს „პრორუსული“ მედიისა და სხვა ორგანიზაციების „გაპრესვის“ შესახებ და მაშინაც კონტრდაზვერვის გამოყენებას ლამობდა: „ჩვენი მოწინააღმდეგეები შეეცდებიან, იმავე საზოგადოების შიგნით შექმნან ახალი განწყობები – კრიტიკული, სკეპტიკური ევროპული ინტეგრაციისკენ. საზოგადოებრივი განწყობის შექმნაზე გადავა აქცენტი ჩვენი მოწინააღმდეგეების მხრიდან. ამიტომაც, ძირითადად, ასეთ საფრთხეებს ვხედავ, კონტრდაზვერვით საფრთხეებს და, აქედან გამომდინარე, მთელი სახელმწიფო სტრუქტურები იქნება მობილიზებული, რომ არ დაუშვას არც ერთ შემთხვევაში ასეთი განწყობების კულტივაცია“.**

ირაკლი ალასანია არასოდეს შეუწუხებია იმას, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მაღალჩინოსნებმა 2012 წლის არჩევნების შემდეგ ასეულობით არასამთავრობო ორგანიზაცია და მედიაპორტალი შექმნეს, არც იმას, რომ „რუსთავი 2“ ძველებურად წამლავს საზოგადოებას. თუმცა ყველა ეს განცხადება ალასანიას სწორედ ამ ტელეკომპანიის ეთერში აქვს გაკეთებული, რომელიც შანსს არ უშვებს, სხვისი ხელითაც დაამციროს ხელისუფლება და ყოფილი პრემიერი ივანიშვილი. არ შეაწუხებს ეს ალასანიას, რადგან თავს „ნაციონალური მოძრაობის“ მტრად რომ არ მიიჩნევს, არაერთხელ განუცხადებია.

ბევრი ითმინა ბიძინა ივანიშვილმა, მაგრამ ბოლოს მაინც თქვა: **„სამწუხაროა, რომ ირაკლი ალასანია და მისი პარტია ნელ-ნელა არგუმენტებზე უარს ამბობენ და მათი გამონათქვამები „ნაციონალური მოძრაობის“ რიტორიკას ემსგავსება. პირადი პატიმრებიო, რომ ამბობენ, რა მქონდა ირაკლი ალასანიასთან პირადული? კონკურენტად რომ აღვიქვამდი, ამ განცხადებას მხოლოდ იუმორით თუ ვუპასუხებ — კონკურენტის იმდენად მეშინოდა, რომ თანამდებობა სწრაფად დავტოვე?! რამდენად საინტერესო იყო ეს პოსტი ჩემთვის და რამდენად ვეჭიდავებოდი პრემიერობას, ეს ჩემი ქმედებებით კარგად აიხსნება. თანაგუნდელებმა და მთავრობის წევრებმა კარგად იციან, ალასანიას რისთვის ვაკრიტიკებდი... წავიკითხე ირაკლი ალასანიას ორი ინტერვიუ, რომლებიც ბოკერიას განცხადებებისგან არაფრით განსხვავდებოდა. ისიც კი ვიფიქრე, ალასანიას სიტყვა ბოკერიამ ხომ არ დაუწერა-მეთქი“**....

არც ეგ გაგიკვირდეთ, ბატონო ბიძინა, — ირაკლი ალასანიას ახლო ურთიერთობები ყოფილ მმართველ გუნდთან იმთავითვე ცნობილი იყო. ასეთები სხვებიც გყავთ კოალიციაში, მაგრამ ახლა რაღა დროს ამაზე ლაპარაკია! გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ სხვა სიტუაციაში „კანონმორჩილი“ ალასანია ყველაზე მეტად სწორედ თქვენ გერჩით და გეპაექრებათ. აბა, ვნახოთ, როგორ ამართლებს იგი თავის დამარცხებას ზუგდიდის არჩევნებში (თბილისის მერის არჩევნებში რომ უგულავას მიულოცა გამარჯვება, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ):

**„პრაქტიკულად, ზუგდიდში ჩვენ მოვიგეთ არჩევნები, მაგრამ ჩვენ ვაშენებთ სამართლებრივ სახელმწიფოს და რა გადაწყვეტილებაც მიიღო საარჩევნო კომისიამ, ჩვენ, როგორც კანონმორჩილი მოქალაქეები, უნდა დავემორჩილოთ. რა თქმა უნდა, უსამართლობის განცდა გვაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ განცდას გადავაყოლოთ სახელმწიფო ინტერესები“.**

ახლა რაღამ დაავიწყა სახელმწიფო ინტერესები? ან იქნებ ივანიშვილი ცესკოზე დაბალი ღობე ჰგონია? არა, უბრალოდ, **მან ძალიან კარგად იცის, რომ მისი პროდასავლური და პრონატოური რიტორიკისა და ანტირუსული გამოხდომების წყალობით, რაც უნდა ჩაიდინოს, „იქიდან“ დაიცავენ. აკი, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა, ამერიკელმა კონგრესმენმა მაიკლ ტერნერმა ახლახან „ინტერპოლს“ მოუწოდა, არ დააკმაყოფილდეს საქართველოს პროკურატურის მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადებაზე:**

„ინტერპოლი, როგორც მსოფლიოს უდიდესი საპოლიციო ორგანიზაცია, ასრულებს მნიშვნელოვან როლს, რომ დაცულ იქნას კანონის უზენაესობა, სამართლიანი პროცესის შემადგენელი ფუნდამენტური უფლები და განმტკიცდეს მიუკერძოებელი მართლმსაჯულების სისტემა. „ინტერპოლის“ კონსტიტუციის მესამე მუხლი ეძღვნება სწორედ აღნიშნულ პრინციპებს და მკაცრად უკრძალავს თქვენს ორგანიზაციას, ჩაერთოს პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური და რასობრივი ხასიათის საქმეებში.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობაზე მედიაში გავრცელებული



ირაკლი ალასანია და ლელა კაკულია

**აი, ასე! სულ ტყუილად ნერვიულობენ დასავლეთში და საქართველოში, ყველაფერი გადაწყვეტილი და ნათქვამია. საქართველო კი არ შევა ნატოში, ნატოს შტაბბინა შემოვა თბილისში! ლელა პირველ ხმას იტყვის, ალასანია — მეორეს და საქართველოც აშენდება!**

ინფორმაციის მიხედვით, აგრეთვე, ეუთოს სასამართლო პროცესების მონიტორინგის 2014 წლის დეკემბრის ანგარიშის გათვალისწინებით, ვშიშობ, რომ მოთხოვნამ — ინტერპოლმა მიიღოს გარკვეული ზომები პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ, მართლმსაჯულების პრინციპების განმტკიცების ნაცვლად, შესაძლოა, გამოიწვიოს მათგან გადახვევა“, — წერს ტერნერი.

**ეს მერამდენედ გვიქნევენ თითს შეერთებული შტატებიდან და ნატოდან, რომ მათ „ძაღლისშვილებს“ არ შევეხოთ და ირაკლი ალასანიაც სწორედ იმას ცდილობს, რომ სააკაშვილზე უფრო მეტად გახდეს მათი „ძაღლიშვილი“, ამიტომაც ერჩის ასე „პრორუსულ“ ვექტორს. ვინ-ვინ და მან ხომ ძალიან კარგად იცის, რაც საქართველოში პროდასავლური „განწყობების კულტივაციაში“ აშშ-მა მილიონები ჩაყარა ბოლო ოცი წლის განმავლობაში, იმდენს რუსეთი კარგა ხანს ვერ დახარჯავს, სურვილიც რომ ჰქონდეს!**

სუკი რომ სუკი იყო, ისიც იდეურ თანამშრომლობაზე დებდა ფსონს და არა ფულით მოსყიდვაზე. ესეც ჩინებულად უნდა იცოდეს ირაკლი ალასანიამ, მაგრამ „იქ“ — დასავლეთში საამოდ ჩაესმით მისი ამგვარი რიტორიკა და ისიც გაკვალულ გზას დაადგა. ისე, ჩვენში დარჩეს და, **ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის მიმართვას რომ წაიკითხავ, უნდა გაგიკვირდეს ანტიდასავლური განწყობილებები? ან ერთი შემთხვევა თუ ყოფილა, რომ რუსეთს მოეთხოვოს ჩვენგან ვინმეს დაჭერა-გაშვება?**

ახლა იმაზე, როგორ გათავისუფლდნენ თავდაცვის სამინისტროდან „დასავლეთში განათლებული კადრები“ და როგორ უშვებს ახალი მინისტრი სამსახურიდან კადრებს „ახლობლებისა და ნაცნობობის გამო“.

მთავრობის ბოლო სხდომაზე საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პირველად გააკეთა კომენტარი ამ საკითხზე: **„თავდაცვის სამინისტროში წლების განმავლობაში დავით კეზერაშვილისა და ბაჩანა ახალაიას კადრების დაწინაურება ხდებოდა. სამწუხაროდ, კეზერაშვილის და ახალაიას გუნდის წევრები არათუ დააწინაურეს, არამედ უცხოეთში გააგზავნეს სასწავლებლად. ეს არის სირცხვილი“.**

თუმცა, როგორც ირკვევა, **ნაციონალების გარდა, ალასანიას არ დაუტოვებია არც ცოლის მეჯვარე, არც ბავშვობის მეგობრები და არც ნათელმირონები, თავდაცვის უწყებასა და მასთან ახლო მდგომ სტრუქტურებში რომ არ დაესაქმებინა. მათგან ზოგი ერეკლე კოდუას ყოფილი მოადგილე იყო, ზოგი — წინა ხელისუფლების დროს ბიზნესის დამტერორებელი, ზოგი მისი პარტიის აქტივისტი თუ ოფისმენეჯერი.**

სხვათა შორის, ჯერ კიდევ თავდაცვის მინისტრობისას იმჟამინდელმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა მას პირდაპირ მიუთითა ქართული ჯარის კვებაში საეჭვო სქემების არსებობის თაობაზე. დღეს ივანიშვილი იხსენებს: **„თანაგუნდელებმა და მთავრობის წევრებმა კარგად იციან, ალასანიას რისთვის ვაკრიტიკებდი. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზეც მკითხეს, ჯარში ჯარისკაცები სისტემატურად იწამლებიანო. მაშინ საჯაროდ დავპირდი, პროკურატურას დავავალებ გამოძიებას-მეთქი. ამის შემდეგ მთავრობის სხდომაზეც რამდენჯერმე ვთქვი და ალასანიას ისე მივანიშნე, რომ პროკურატურისგან არაფერი მომითხოვია. ისევ ალასანიას ვეუბნებოდი, როგორმე მოახერხე, შენ გყავს შენი ჯგუფი და, თუ ძმა ხარ, როგორც შეგიძლია, ვითარება იქნებ დაალაგო-მეთქი“.**

დალაგების ნაცვლად, ალასანიამ ისევ ისე განაგრძო. საინტერესოა, რომ **ალასანიას ბიძაშვილის, ნიკოლოზ ანდღულაძის, ძმაკაცი კოტე ყიფიანი დავით კეზერაშვილის გარემოცვის წევრი იყო, რომელიც 2013 წელს სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსად დანიშნა. იმავე ანდღულაძის ძმაკაცს, გიორგი როგავას, 2013 წელს კომპანია „ქართული კვების“ დირექტორის პოსტი ჩააბარა, ხოლო მოადგილედ ცოლის მეჯვარე დაუნიშნა — ეკა ხურციძე.**

ნიკოლოზ ანდღულაძის კიდევ ერთი ძმაკაცი **გიზო ღლონტი** თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა (ღლონტი ერთ-ერთია ე.წ. კაბელების საქმეზე დაკავებულთა შორის). ასევე ანდღულაძის თხოვნით, თავდაცვის სამინისტროს სატენდერო სამსახურებში და შესყიდვების დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობაზე დაინიშნენ ანდღულაძის მეგობრები, რომლებიც ხშირად ითვალისწინებდნენ მის თხოვნას და, პირდაპირი შესყიდვის წესით, კონკრეტულ ფირმებთან დებდნენ ხელშეკრულებებს. ქართულ მედიაში იწერებოდა, რომ კომპანია „ქართული კვების“ დირექტორი გიორგი როგავა პროდუქტების შესაძენად გამოცხადებულ ტენდერებში რეგულარულად ითვალისწინებდა ანდღულაძის ინტერესებს.

**ალასანიამ ბავშვობის ძმაკაცები — გიორგი არაბიძე და გიორგი ხომასურიძე 2013 წელს დანიშნა თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში სამმართველოს უფროსად და სამინისტროს მთავარ სპეციალისტად. პირადი დაცვის ყოფილი უფროსი კახაბერ ჩიხრაძე 2013 წელს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა. დაცვის ყოფილი წევრი, დიმიტრი კიკნაძე კი — თავდაცვის სამინისტროს სპეცრაზმის უფროსად.**

**სანდრო ქირია**, რომელიც ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის, ირაკლი ჩიქოვანის, ძმა გახლავთ და, უბრალოდ, დედის გვარზეა, 2014 წელს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსად დანიშნა. **თავდაცვის** ▶

რამდენიმე სხვა მცირე „სიკეთის“ დაპირებასთან ერთად, ყველაზე მსხვილი „ხბოს სატყუარა“ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება და მასზე „მომყოლი“ სხვადასხვა მომხიბლავი პერსპექტივაა, ხოლო მათ შორის ყველაზე მყვირალა — საქართველოს მოქალაქეთა უვიზო მიმოსვლა ევროპის ქვეყნებში!

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მინისტრად ირაკლი ალასანიას დანიშვნის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში თანამდებობაზე რჩებოდნენ გენერალური ინსპექციის სამმართველოს უფროსი ზაზა მჭედლიძე და დაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ლევან გაბუნია. ეს ორი პიროვნება ფიგურირებდა სერგო თეთრაძის საქმეში. ალასანია ცრუობდა, როცა ამბობდა, რომ სამინისტროში მისვლისთანავე თეთრაძის საქმეში მონაწილე ათი პირი სამსახურიდან გაათავისუფლა. თეთრაძის ოჯახი ალასანიასგან კატეგორიულად მოითხოვდა აღნიშნული პირების თანამდებობიდან გათავისუფლებას.**

2013 წლის ოქტომბრის ბოლოს თეთრაძის ოჯახისა და ადვოკატის კატეგორიული მოთხოვნით, ალასანიამ კადრების განკარგულებაში აიყვანა მჭედლიძე და გაბუნია, მაგრამ ცოტა ხანში მჭედლიძემ ისევ განაგრძო მუშაობა თავდაცვის სამინისტროში.

თუმცა ამ ყველაფერს რა მნიშვნელობა აქვს, როცა ნატოს ყველაზე თავგადაკლული მომხრე ხარ!

ირაკლი ალასანიას „ჯაზური იმპროვიზაციების“ აღწერას მთელი გაზეთი არ ეყოფა. სერიოზულობაზე პრეტენზიის მიუხედავად, მისი სიტყვები ისეთივე დამაჯერებელია, როგორც **ლელა კაკულიას** განცხადება: „ნუ გეშინიათ, საქართველო იბრუნებს აფხაზეთს, სამაჩაბლოს, საინგილოს. ურთულესი მდგომარეობიდან გამოვძვრებით. როცა ყველაფერი ირევა მსოფლიოში, საქართველო მაშინ მშვიდდება. რუსეთ-უკრაინის ომი 92 წელს მაქვს ნაწინასწარმეტყველები. ჩემი წიგნი ამით იწყება. რუსეთი ფაქტიურად დაშლილია, მას თავისი საზღვრები აქვს დასაცავი. ამერიკა არც ერთ შემთხვევაში არ დაუთმობს. ამერიკელი რესპუბლიკელები ეს არის ძალა, რომელსაც ვერაფერი ვერ შეარყევს და რუსეთს დაარტყამს აუცილებლად.

ნატოს ცენტრალური შტაბბინა იქნება საქართველოში, თბილისში. ამერიკა ყველაფერს აძლევს საქართველოს, იკეტება საზვრები, ვხედავ რაკეტებს“!

**აი, ასე! სულ ტყუილად ნერვიულობენ დასავლეთში და საქართველოში, ყველაფერი გადაწყვეტილი და ნათქვამია. საქართველო კი არ შევა ნატოში, ნატოს შტაბბინა შემოვა თბილისში! ლელა პირველ ხმას იტყვის, ალასანია — მეორეს და საქართველოც აშენდება!**

**ხუმრობა იქით იყოს და, ირაკლი ალასანიას ბოლოდროინდელი განცხადებები სულ უფრო ემსგავსება არშემდგარი დიქტატორის ან არშემდეგარი სააკაშვილის რიტორიკას. თუ ის არ იქნება პირველი პირი, სულაც წარღვნას წაუღია ეს ქვეყანა! ოღონდ ერთიცაა: ღალატის დიდოსტატ რესპუბლიკელებსაც არ უკადრებიათ ის, რასაც ალასანია კადრულობს – ბიძინა ივანიშვილის უთავმოყვარეობაზე ლაპარაკს ის უჯობს, საკუთარ ბიოგრაფიას გადახედოს და ის მაინც გაითვალისწინოს, სხვადასხვა დროს რა აქვს ნათქვამი და ნაკეთები...**

**თამარ დავითულიანი**

# აი თითი! აი სამი თითი! აი ევროპა!



**იყო დრო „მაპზე უკეთესი“ მოგვცეს და გვიხაროდა... ვისაც არ გვიხაროდა, „სამშობლოს მოღალატეები,“ „დაბოღმილები“ და ძალიან ცუდი ტიპები ვიყავით... როგორც იქნა, „მაპზე უკეთესის“ სინდრომი გადავლახეთ და დღეს საზოგადოების მხოლოდ ძალიან პატარა პროცენტს თუ სჯერა ამ სისულელისა. თუმცა, როგორც ჩანს, „მაპის“ თემის გაშარჟებას „ნაციონალური მოძრაობის“ კრახმაც შეუწყო ხელი, ვინაიდან მითი — „მაპზე უკეთესი“ სწორედ „ნაცებს“ მიეწერათ, საზოგადოებაც ერთგვარად ფეხის ხმას აჰყვა და ეს თემაც გაუაზრებლად აიგდეს მასხრად.**

ანუ ხალხი კი არ ჩაუფიქრდა, რატომ, რა მიზეზითა და არგუმენტით არის არასერიოზული და სასაცილო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს მიღების პერსპექტივა, არამედ, უბრალოდ, დასცინა მას, როგორც „ნაცებთან“ ასოცირებულ“ სხვა ნებისმიერ მოვლენასა თუ ფაქტს.

როგორც ჩანს, სწორედ ამის ბრალია, რომ იმავე საზოგადოებას, ახლა უკვე „ოცნების“ ხელში, „მაპზე უკეთესის“ მთელი წყება გაუჩნდა და ამ არანაკლებ სასაცილო „პერსპექტივებს“ მხოლოდ იმიტომ არ დაცინის, რომ ისინი „ნაცებთან“ არ არის ასოცირებული.

რა თქმა უნდა, **რამდენიმე სხვა მცირე „სიკეთის“ დაპირებასთან ერთად, ყველაზე მსხვილი „ხბოს სატყუარა“ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება და მასზე „მომყოლი“ სხვადასხვა მომხიბლავი პერსპექტივაა, ხოლო მათ შორის ყველაზე მყვირალა — საქართველოს მოქალაქეთა უვიზო მიმოსვლა ევროპის ქვეყნებში!**

მოგეხსენებათ, ამ „აღთქმულ ვიზას“, უფრო ზუსტად, უვიზობას, უკვე არაერთი წელია, ელიან საქართველოს მოქალაქეები და, შეიძლება ითქვას, ჩვენი მოსახლეობის 80 პროცენტი „სტარტზე“ დგას, რომ უვიზო მიმოსვლის გამოცხადებისთანავე გავეშებული ეკვეთოს „დასავლეთ საზღვარს“ და „ევროპულ სამოთხეში“ საშვილიშვილოდ განცხრომით იცხოვროს...

არა, ალბათ, გადავაჭარბე! ღმერთმა ნუ ქნას, ქართველთა 80 პროცენტი ისეთი გულუბრყვილო და სულელი იყოს, რომ ევროპა „სამოთხესთან“ ჰქონდეს გაიგივებული, მაგრამ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ეს წარმოდგენა ნამდვილად აქვს.

თუმცა ამ სტატიის მიზანი არ არის ევროპის „სამოთხეობის“ მტკიცება ან უარყოფა, მხოლოდ იმაზე მსურს ყურადღების გამახვილება, „მიღწევადია“ თუ არა ჩვენთვის ეს ყოველივე, თუნდაც ის „სამოთხეზე უკეთესი“ იყოს...

**ყველას გვახსოვს „ბასტი ბუბუს“ ცნობილი საბავშვო სიმღერა „თუ... თუ... თუ...“ აი, ზუსტად ამას მაგონებს საქართველოს სწრაფვა ევროპისკენ, უფრო ზუსტად კი — ევროკავშირის დამოკიდებულება საქართველოსადმი.**

კითხვაზე — გამოგვივა თუ არა ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობა და, შესაბამისად, უვიზოდ გადაადგილება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში? პასუხი დაახლოებით ასეთია: — **თუ წვალობს, თუ შრომობს, თუ ინდომებს ბავშვი(!) ყველაფერი გამოგვივა მაშინ!**

მთავარი კი ის არის, რომ **ეს ევროპული „თუ“-ები საქართველოს მიმართ არა და არ დაილია!**

***2004 წლიდან მოყოლებული გვესმის: „მომდევნო წლის ბოლოდან საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ გადაადგილდებიან შენგენის ქვეყნებში, თუ შევასრულებთ აღებულ ვალდებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ...“**

***„შარშან ეს არ მოხერხდა, მაგრამ წელს ან მომდევნო წლის დასაწყისიდან საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ გადაადგილდებიან შენგენის ქვეყნებში, თუ შევასრულებთ იმ ვალდებულებას, რომელიც...“**

***„გასულ წლებში, ჩვენ მიერ შესრულებული ვალდებულებების მიუხედავად, ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ამ წლის ბოლოდან უკვე საქართველოს მოქალქეეები უვიზოდ გადაადგილდებიან... თუ...“**

აღარ დაილია „შესასრულებელი ვალდებულებები“ მისი „თუ“-ებიანად!

**ირაკლი ალასანიას თავდაცვის მინისტრობაც კი ლამის „ევროპის წინაშე ნაკისრ ვალდებულებად“ დაგვიხატეს მაია ფანჯიკიძემ და ბუკა პეტრიაშვილმა!**

ბოლო „თუ“ — ეს იყო უკრაინული „მაიდნის“ შემდგომ საქართველოს მიერ „ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე“ სასწრაფოდ ხელმოწერა.

გახსოვთ, ალბათ, ფრაზები: **„თუ საქართველოს ხელისუფლება ნამდვილად განუხრელად ადგას ევროატლანტიკურ კურსს, მაშინ მათ უყოყმანოდ და დაჩქარებულად უნდა მოაწერონ ხელი ასოცირების ხელშეკრულებას!“**

**ყოყმანი კი არა, სულ „შალახოს“ ცეკვით მოვაწერეთ!**

მას შემდეგ ლამის ყოველდღე იმეორებდნენ ტელევიზიები: **„ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით, 2016 წლის დასაწყისიდან, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე შენგენის ქვეყნებში უვიზოდ გადაადგილდება“.**

იმეორებდნენ აგერ, გუშინწინდლამდე.

**გუშინწინ კი — „საქართველოსა და შენგენის ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის ამოქმედების საკითხი ეჭვქვეშ დგება!“ — ასე დასათაურდა ევროპელთა მორიგი „თუ“ საქართველოს მიმართ და ქართულმა მედიასაშუალებებმაც, რაც შეიძლებოდა, მოკრძალებულად აუწყეს მკითხველ-მაყურებელს ეს „ახალი ამბავი“.**

ბოლო ორი სიტყვა ბრჭყალებში იმიტომაც ჩავსვი, რომ ეს ჩემთვის და, ალბათ, არაერთი ჩემნაირისთვის სულაც არ ყოფილა ახალი ამბავი.

**ევროპას, ლამისაა, მეთხუთმეტე საუკუნის შემდეგ აღარ ელევა ეს „თუ“-ები და ჩვენი „ევროპაში ინტეგრირების“ წინაპირობად ხან კათოლიციზმის მიღებას გვთხოვს, ხან — ჩანგლით ხინკლის ჭამას და ხანაც კიდევ — გეი-აღლუმების მოწყობას...**

თურმე, ნუ იტყვით და, **ევროპის ეს ბოლო „თუ“-ც სწორედ ელ-გე-ბე-ტე თემას უკავშირდება. კერძოდ, შენგენის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ შესვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ (თუ-მეთქი!) დადასტურდება, რომ ჩვენს ქვეყანაში „ანტიდისკრიმინაციული კანონი“ განუხრელად სრულდება!**

აი, ამის ასე „განუხრელად“ დამტკიცება რამდენად შესაძლებელია, მართლაც, ვერაფერს გეტყვით!

მაგალითად, **გასულ კვირაში ნერვები აღარ ეყო ჩვენს სახელოვან მსახიობს — მიშა გომიაშვილს და „ფეისბუქ-გვერდზე“ ისეთი „სულის ამოძახილი“ მიუძღვნა ელ-გე-ბე-ტე თემს, რომ ორგანიზაცია „იდენტობის“ ხელმძღვანელმა ირაკლი ვაჭარაძემ იმწამს შეჰღაღადა ევროპის თეატრებს, — პროგრამა, რომელშიც ეს ჰომოფობი გომიაშვილი იქნება, საგასტროლოდ არ მიიღოთო!**

ვაჭარაძისნაირთა „ღალადი“ ნაკლებად მაინტერესებს, უბრალოდ, მინდა, გავიგო, **ხვალ მე რომ აღარ მეყოს ნერვები, ზეგ — ჩემს მეზობელ თამაზას, მასზეგ — გვერდითკორპუსელ უშანგას და, უბრალოდ, ჩვენი თვალსაზრისი გამოვხატოთ სადმე — ეს საქართველოს „ანტიდისკრიმინაციული კანონის ზედმიწევნით ვერშესრულებად“ ეთვლება თუ (თუ! თუ-მეთქი!) როგორაა საქმე?**

ან გინდაც, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხათრით, როგორღაც მოვკეტე მე და როგორღაც ჩემს მეზობლებსაც მოვაკეტინე და სხვის მეზობლებსაც...

**დავიჯერო, ევროპას ეს დააკმაყოფილებს და სხვა „თუ“-ს აღარ და ვეღარ გამონახავს?**

ის, რაც ზემოთაც აღვნიშნე, რომ 80 პროცენტი ქართველებისა ევროპაში შესავარდნად ემზადება (თუნდაც გადაჭარბება იყოს ეს და 40-ზე ჩამოვწიოთ), დავიჯერო, მხოლოდ ჩვენ ვიცით და ევროპამ არა?

**და როგორ გგონიათ, დიდი ხელგაშლით — „ებიჯო, გელოდებოდით, სად ხართ აქამდე“-თი ელოდებიან ისინი რამდენიმე ასეულ ათას (თუ მილიონს არა) დამშეულ ქართველს?**

არა! ევროპული „თუ... თუ... თუ...“ აუცილებლად გაგრძელდება...

და რადგან ასე ვფიქრობ, ბარემ იმასაც გავიხსენებ, რომ ამ სიმღერით სტუდია „ბასტი ბუბუ“ ბავშვებს ასო-ბგერა „თ“-ს ასწავლიდა და მისამღერში მომღერლები დიდი ყიჟინით გაიძახოდნენ: „აი თითი!“

**ჰოდა, ადრე იქნება თუ გვიან, ევროპასაც, ბოლო-ბოლო, მოუწევს ამ გაუთავებელი „თუ... თუ... თუ...“-ს დამთავრება და ჩვენთვის ერთი რომელიმე თითის ჩვენება!**

თითი კი სულ ხუთია და ამათგან სამი კონკრეტულ მოქმედებას გამოხატავს ჟესტების ენაზე:

**1. მაღლა აწეული ცერა თითი — ევროპა გვეუბნება კარგი ბიჭები ხართ, ყველა ვალდებულება შეგისრუბიათო;**

**2. გაშვერილი საჩვენებელი თითი — ეს მითითებაა და ევროპა გვეუბნება, — აგერ ჩვენი კარი და შემობრძანდითო;**

**3. აშვერილი შუა თითი — აი, ესა ხართ თქვენ! ვერაფერიც ვერ შეგისრულებიათ თქვე უნიათოებოო, — ამბობს ევროპა!**

**ან, იქნებ (რაც უფრო სავარაუდოა), სულაც სამივე ამ თითის კომბინაცია მივიღოთ?!**

**ბაკურ სვანიძე**

**«საქართველოსა და შენგენის ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის ამოქმედების საკითხი ეჭვქვეშ დგება!» — ასე დასათაურდა ევროპელთა მორიგი «თუ» საქართველოს მიმართ და ქართულმა მედიასაშუალებებმაც, რაც შეიძლებოდა, მოკრძალებულად აუწყეს მკითხველ-მაყურებელს ეს «ახალი ამბავი»**

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენგან გაქცეული დამნაშავეები, უფრო მეტიც, ძებნილები უკრაინაში საკმაოდ დიდ თანამდებობებზე ინიშნებიან. თუ ეს ჩვენი მთავრობის „დედლობა“ არ არის, ამიხსენით, აბა, რა არის? თუ უკრაინას მიშა ურჩევნია საქართველოს, მაშინ საქართველომ უკრაინიდან ელჩი გამოიწვიოს“.**

სოსო რობაქიძე:

# ლიდერებს, რომლებიც სააკაშვილის დაბრუნებას გადაწყვეტენ, რამდენიმეს მაინც, მე მოვკლავ იმიტომ, რომ სააკაშვილმა ქართველთა გენოციდი მოაწყო!

**„საქართველო და მსოფლიოს“ 2009 წლის 18-24 მარტის მე-5 ნომერში გამოვაქვეყნეთ 2004 წლის 23 ნოემბერს დიდუბის ეკლესიასთან მოკლული ბუტა რობაქიძის მამის — სოსო რობაქიძის ინტერვიუ, რომელშიც ამბობს: „დამემუქრნენ, შენი შვილის საფლავს დაგაკლავთო“... სოსო რობაქიძე არა, მაგრამ შვილის საფლავს 2006 წელს კორტების ტერიტორიაზე მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის მამა — იური ვაზაგაშვილი დააკლეს... სწორედ ამ ძველმა ამბავმა გვიბიძგა სოსო რობაქიძესთან შეხვედრისკენ, თორემ დამნაშავეების დასჯაზე ახალს რომ ვერაფერს გვეტყოდა შვილმკვდარი მამა, ზუსტად ვიცოდით.**


6 | ერთი ოჯახის ტრაგედია
18 - 24 მარტი, 2009 წელი. №5
www.geworld.net
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

სოსო რობაქიძე:

## დაიმახსოვრეთ, სააკაშვილის გარემოცვიდან ზოგს მტკვარში ნახავთ დამხრჩვალს, ზოგს კი კოჯრის და წყნეთის ტყეებში — მოკლულს...

ბოლო დღეებში საზოგადოების აღშფოთება სააკაშვილის

**სოსო რობაქიძემ «საქართველო და მსოფლიოსთან» ჯერ კიდევ 2009 წელს განაცხადა, რომ შვილის საფლავზე დაკვლით ემუქრებოდნენ**



**— ბოლო ერთი კვირა ძალიან ცხელი გამოდგა. დააპატიმრეს იური ვაზაგაშვილის მკვლელი და ნელ-ნელა სხვა გახმაურებული საქმეების გახსნაც დაიწყო. რა ვითარებაა თქვენი შვილის მკვლელობის საქმის გარშემო?**

— ბუტას საქმეზე სასამართლო პროცესი 9 მარტს არის დანიშნული. საქმე ორ ნაწილად არის გაყოფილი — პოლიციელებისა და მალალჩინოსნების. მალალჩინოსნები, რომლებიც საქმეში ფიგურირებენ, აქამდე არ დაუკითხავთ. როდესაც პოლიციელების საქმე მორჩება, დაიწყება მალალჩინოსნების დაკითხვა, მაგრამ იმედი არ მაქვს... ზურაბ და იური ვაზაგაშვილების საქმეზე 11 ადამიანი დააპატიმრეს, არადა, 64 კაცია დასაჭერი, ყველას არ დაიჭერენ. დღეს პროკურატურა ისევ სავსეა სოდ-ის მიერ ჩანერგილი ადამიანებით, რომლებიც ცდილობენ, ყოველდღიურად რაღაც არეულობა შემოიტანონ...

**ჩემი შვილი რომ მოკლეს, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი იყო, კაცი, რომელიც ვიცი, რომ დამნაშავეა, ჩემი შვილის მკვლელობაში მისი ხელიც ურევია, მაგრამ ხელისუფლებამ თვალსა და ხელს შუა „გამითეთრა“, დღეს ის ამაყად დადის, „გათეთრებულია“.** როდესაც სასამართლო ადამიანს გაამართლებს, მერე მისი საქმე დახურულია და განხილვას აღარ ექვემდებარება იქამდე, ვიდრე ახალ გარემოებებს არ მოიძიებ. ეს, რაც შეეხება ოქრუაშვილს. **საქმეში ფიგურირებს ზურაბ ადეიშვილიც, რომელიც გაიქცა, ასევე დამნაშავეა გიორგი ღვინიაშვილი, რომელიც პარლამენტში ზის და არვინ ფიქრობს, პასუხი მოსთხოვოს, არც ეხებიან. თუ ამ ხალხმა პასუხი არ აგო, ამას საქმის გამოძიება და სამართლიანობის აღდგენა ჰქვია?**

მე და გურამ გირგვლიანი მეგობრები ვართ, როდესაც ერთმანეთს ვხვდებით, სხვა სალაპარაკო არ გვაქვს. **სანდროს საქმეშიც ახალი არაფერია — თაკო სალაყაია (ვანო მერაბიშვილის ცოლი — ე.ნ.) გარეთ არის, გურამ დონაძე გარეთ არის, დათა ახალაია გაქცეულია, მერაბიშვილს კი ბრალი უფლებამოსილების გადამეტებაზე წაუყენეს. არადა, გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ პირდაპირ ჩაწერა, რომ მთავრობაა დამნაშავე. მთავრობას კი სანდრო გირგვლიანის მკვლელობის მომენტში სააკაშვილი და ის ადამიანები წარმოადგენდნენ, რომლებიც უკვე ჩამოვთვალე და არც ერთი პასუხისგებაში არ არის მიცემული. ასე სამართლიანობა არ აღდგება!**

**თუ კვლავ იზოგინებენ „სააკაშვილის სიკვდილის ბრიგადები“ და რეჟიმი არ გასამართლდება, სამართლიანობა აღდგენილი არასოდეს იქნება.** ის, რასაც სააკაშვილის მთავრობა აკეთებდა, სისტემური დანაშაულია, და ყველამ კარგად ვიცით, მსოფლიოში სისტემურ დანაშაულს რაც ჰქვია.

125 ბიჭია იმ პერიოდში ქუჩაში დახვრეტილი, ეს იყო „ნულოვანი ტოლერანტობის“ პრინციპით ჩადენილი დანაშაული, განკარგულება იყო ასეთი — „ხელი არ აგიკანკალდეთ!“. კბილებამდე შეიარაღებულ პოლიციელებს „მწვანე შუქი“ ჰქონდათ ანთებული. ციხეებიდან ათობით ადამიანია გამქრალი. სულ ვახსენებ დავით ცინდელიანს — მამას მოაშორეს შვილი, წაიყვანეს და ზღვაში გადააგდეს. მინდა, გაიხსენოთ ის პერიოდი, სააკაშვილმა რომ განაცხადა, რუსები სომხეთის საზღვრიდან მოდიან ჩვენთან საომრადო. სააკაშვილის ამ განცხადების შემდეგ ორი ასაკოვანი ადამიანი გულის შეტევით გარდაიცვალა — სახლში შვილიშვილები ჰყავდათ და სად გაეხიზნათ, არ იცოდნენ. ამის მიტევება არ შეიძლება!

**— ფიქრობთ, რომ ახალმა ხელისუფლებამ „ნაცებს“ ეს ყველაფერი აპატია?**

— ძალიან სუსტები აღმოჩნდნენ. **ჩვენგან გაქცეული დამნაშავეები, უფრო მეტიც, ძებნილები უკრაინაში საკმაოდ დიდ თანამდებობებზე ინიშნებიან. თუ ეს ჩვენი მთავრობის „დედლობა“ არ არის, ამიხსენით, აბა, რა არის? თუ უკრაინას მიშა ურჩევნია საქართველოს, მაშინ საქართველომ უკრაინიდან ელჩი გამოიწვიოს.** ორწელიწად-ნახევარია საქართველოს მთავრობამ ევროპას ვერ გააგებინა, ვინ არის სააკაშვილი; ვერ აუხსნეს, რომ ის პოლიტიკური დევნილი არ არის, მაგრამ, თუ აუხსნეს და ვერ გააგებინეს, აქ ჩამოსულებს ხალხი დაახვედრონ, ხალხის ხმა გააგონონ.

**„ოცნების“ მხარდამჭერი ვიყავი, მაგრამ ახლა გაოცებული ვარ, როდესაც ამბობენ, რევანში არ იქნებაო. მინდა, ვუთხრა მათ — რევანში იქნება, მაგრამ „ოცნების“ საწინააღმდეგოდ.**

„ნაცები“ ისე უნდა გასამართლდნენ, როგორც ფაშისტები, მათ კატეგორიულად უნდა აეკრძალოთ არჩევნებში მონაწილეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, **პარლამენტი უნდა დაიშალოს. ამით იმას კი არ დაადასტურებენ, რომ ვერაფერი გააკეთეს, პარლამენტის დაშლით ყველას უნდა დაანახვონ, რომ 53 დამნაშავის გვერდით ვერ დასხდებიან.**

**— ახალი ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობა თქვენი შვილების სახელების ხსენებით მოვიდნენ ხელისუფლებაში. სწორედ ამ გახმაურებულმა მკვლელობებმა გადაიყოლა „ნაციონალური მოძრაობა“. დღეს, როდესაც ხვდებით ხელისუფლების წარმომადგენლებს, თვალებში როგორ გიყურებენ? რას გეუბნებიან და როგორ ხსნიან იმას, რომ არაფერი გააკეთეს დამნაშავეების დასასჯელად?**

— გაგიკვირდებათ და, ვინც დღეს ხმალამოღებული იბრძვის, ეს არის თინა ხიდაშელი. ყველა სატელევიზიო გამოსვლაში ჩვენი შვილების საქმეებს ახსენებს, ხაზს ვუსვამ, ახსენებს. არ ვამბობ, რომ რამე კეთდება, მაგრამ ეს ადამიანი ახსენებს მაინც... არიან პოლიტიკოსები, რომლებიც სკამებზე დასხდნენ და ყველაფერი დაივიწყეს. თქვენ მართალი ხართ, რომ არა ჩვენი შვილების ამბები, მიშას სულ შეუქებდნენ გზების დაგებას, ფასადების შეღებვას, შადრევნების აშენებას და მეც არც ერთ პოლიტიკოსთან არ მექნებოდა უერთიერთობა, ახლა ჩემს მეგობრებად რომ მოიხსენიებენ, მაგრამ მკვლელობებმა ყველაფერი შეცვალა... **ჩვენი შვილების მკვლელობებმა სააკაშვილი ხერხემალში გადაამტვრია. ჩვენმა შვილებმა სააკაშვილის განადგურება საფლავიდან შეძლეს.**

ნაწყენი ვარ თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლებზე? დიახ, ნაწყენი ვარ, თანაც, ძალიან ბევრზე. ბევრი მათგანი ყურით გვყავს მითრეული და დასმული იქ, სადაც სხედან. **მოვა 2016 წლის არჩევნები და ისევ ხვეწნას დაგვიწყებენ, გვერდით დაგვიდექითო. სამი კაცი ჩემი ზურგით მყავს მითრეული და პარლამენტში დასმული, გვარებს ნუ დამასახელებინებთ. მთავარია, სპეკულანტობას თავი დაანებონ და საქმე გააკეთონ.**

**— ვიდრე თქვენთან მოვიდოდი, ძველ მასალებს გადავხედე. 2009 წელს „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში გითქვამთ ასეთი რამ: „დამემუქრნენ, შენი შვილის საფლავს დაგაკლავთო...“ თქვენ არა, მაგრამ იური ვაზაგაშვილი დააკლეს... ვინ გემუქრებოდათ იმხანად?**

— დიახ, მახსოვს ეგ განცხადება... მირეკავდნენ და მაგ სიტყვებს მეუბნებოდნენ. ნომერი დაფარული იყო. საბურთალოს პოლიციის თანამშრომლებს ყველაფერი მოვუყევი, მაგრამ ნომრის გამშიფრავი არავინ იყო — იმიზეზებდნენ, სასამართლოს ნებართვა არ გვაქვსო, ტექნიკა არ გვივარგაო... პოლიციას იმიტომ კი არ მივმართე, რომ რამის მეშინოდა, უბრალოდ, ვეუბნებოდი: ვიცი, თქვენი ნახელავია-მეთქი...

**„დაგაკლავთ შვილის საფლავზე!“ — ეს მუქარა მაინც შეასრულეს, ოღონდ არა ჩემ, არამედ იური ვაზაგაშვილის მიმართ.** საერთოდ, მათ ყველა მუქარა შეასრულეს: ირინა ენუქიძე აღარ არის, იური ვაზაგაშვილი აღარ არის, მე რა სასწაულმა გადამარჩინა, არ ვიცი. ერთხელ ქუჩაში „კასტეტებით“ სამმა ადამიანმა მცემა, მეორედ — აქვე, ჩემს სახლთან ახლოს, შემდეგ ზუგდიდში მცემეს სასტიკად, თვალი ამომიღეს, ნეკნები ჩამიმტვრიეს. მოკლედ, სიკვდილს ძლივს გადავურჩი...

**— თქვენ იმავე ინტერვიუში ამბობთ: „ნაციონალებს“ ზოგს**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა იციან, რომ დღეს ხელისუფლებაში დაბრუნების არანაირი პოლიტიკური შანსი არ აქვთ და ამიტომ ყველანაირ ავანტიურაზე არიან წამსვლელები. ღმერთმა დაიფაროს, ვახტანგ მაისაიას რამე დაემართოს, კიდევ ერთმა ადამიანმა, რომელსაც დღეს პოლიტიკასთან აქტიური კავშირი არ აქვს, იური ვაზაგაშვილის ბედი რომ გაიზიაროს, ამას არეულობები მოჰყვება ქვეყანაში.**

**მტკვარში დამხრჩვალს ნახავთ, ზოგს კოჯრის და წყნეთის ტყეებში მოკლულს“... კაცისთვის, თუ ის ბუნებით მკვლელი არ არის, ძნელია ასეთი რამის ჩადენა, მაგრამ რა არის შვილმკვდარი მამისთვის კულმინაციური წერტილი? მესმის, რომ დროს აჭიანურებენ, რაღაცის მოლოდინში ხართ, მაგრამ როდემდე?**

— ყველაფერს თავის დროს აქვს, რაღაცას ელოდები, მაგრამ რაც მეტად წელავენ დროს, მით უფრო ცუდად ვარ, შვილმკვდარი მამისთვის დრო მკურნალი ვერ იქნება. რაც შეეხება იმას, რომ მტკვარში ჩამხრჩვალს იპოვიან, ეს ასე იქნება, რადგან იმდენი ხალხი ჰყავთ გამწარებული „ნაციონალებს“, დანაშაულები არ შერჩებათ. ყველას ერთნაირი ნერვული სისტემა არ აქვს. **ჩემი შვილის მკვლელი სადმე რომ შემხვდეს, მოვკლავ და ციხეში წავალ.** არ მაქვს იმედი, რომ ხელისუფლება საკადრისად დასჯის სააკაშვილსა და მის პარტიას, მაგრამ მაქვს იმედი, რომ ხალხი დადგება იქ, სადაც უნდა იდგეს და **საკუთარ თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ სააკაშვილი საბრალდებო სკამზე აღმოჩნდება.** სააკაშვილი ციხეში დიდი ხნით უნდა ჩაჯდეს და ყველა ქართველმა უნდა იცოდეს, რა ჩაიდინა მან. თუ ასე არ მოხდება, სააკაშვილი ყოველთვის იქნება ამ ქვეყნის ამაოხრებელი.

ძალიან დავიღალე. აღარც კი მახსოვს, წვერი ბოლოს როდის გავიპარსე, შინიდან არ გავდივარ. იური რომ მოკლეს, იმ დღეებში საერთოდ არ მიძინია. ყველა გაზეთი, საინფორმაციო სააგენტო, ტელევიზია გიწვევს და თერთმეტი წლის განმავლობაში ერთსა და იმავეს გალაპარაკებენ. ეს საშინელებაა, თანაც ამ ხნის განმავლობაში იმის მესამედიც კი არ არის გაკეთებული, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა.

მკვდარი „ნაციონალური მოძრაობა“, საქართველოდან გაქცეული, შერცხვენილი სააკაშვილი და მისი დამქაშები ახალმა ხელისუფლებამ გააცოცხლა. რისთვის? უკან რომ მობრუნდნენ? ეს არ მოხდება! ლიდერებს, რომლებიც სააკაშვილის დაბრუნებას გადაწყვეტენ, რამდენიმეს მაინც, მე მოვკლავ იმიტომ, რომ სააკაშვილმა ქართველთა გენოციდი მოაწყო, გენოციდის მომწყობი უნდა დაისაჯოს!

რამდენიმე წუთის წინ მითხარით, თქვენი შვილის სისხლით მოვიდნენ ხელისუფლებაშიო... მართალი ხართ. **ნუთუ გული არ ერევათ, ახლა ბარამიძის გვერდით რომ სხედან? კისრებს რომ ველარ ერევიან და ველარაფერს ხედავენ? დარწმუნებული ვარ, ჩუმ-ჩუმად სადღაც ერთად ქეიფობენ კიდეც... ამ ადამიანებმა დაამტკიცეს, რომ უზნეოები, სიტყვის გამტეხები და არაკაცები არიან...**

კიდევ ერთხელ ვამბობ: 2016 წელი მალე მოვა, კიდევ როგორ შევლენ პარლამენტში და რას მოიმკიან, აგერ ვნახოთ... დამინახავენ და რა ქნან, არ იციან, მე მაგათი მოფერება არ მჭირდება, მე მხოლოდ ჩემი შვილის მკვლელების დასჯა მსურს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



## ჯეფრი სილვერმანი:

# ვიცი, რომ «ნაციონალური მოძრაობის» რამდენიმე ყოფილი და ამჟამინდელი მაღალჩინოსანი უახლოეს მომავალში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას აპირებს

**რამდენიმე ხნის წინათ არასამთავრობო ორგანიზაცია „საკუთრების უფლებადამცველთა გაერთიანების“ დამფუძნებელმა მამუკა ტუსკაძემ სატელეიზიო ეთერში სამხედრო ექსპერტის — ვახტანგ მაისაიას შესაძლო ლიკვიდაციის გეგმის შესახებ ისაუბრა. ამ საკითხზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ მამუკა ტუსკაძეს, ექსპერტ ვახტანგ მაისაიასა და ამერიკელ ჟურნალისტ ჯეფრი სილვერმანს დაუკავშირდა.**

**— ბატონო მამუკა, თქვენ „ობიექტივის“ სატელევიზიო ეთერში განაცხადეთ, რომ შესაძლოა, სამხედრო ექსპერტ ვახტანგ მაისაიას ლიკვიდაცია მოხდეს...**

— მე ვთქვი: „შესაძლოა, ლიკვიდაციაც კი მოხდეს“. მოგეხსენებათ, ვახტანგ მაისაია არის პოლიტპატიმარი, უკანონობისა და უსამართლობის მსხვერპლი. ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე იძიებდნენ მაისაიას საქმეს და უთხზავდნენ ზღაპრებს, დააწინაურეს. როდესაც ჩვენ პრესკონფერენცია ჩავატარეთ, ეს ადამიანები ჯერ ისევ მუშაობდნენ თანამდებობებზე, დღეს კი სასამართლოში დავობენ იმაზე, რომ მათ არავითარი როლი არ უთამაშიათ ვახტანგ მაისაიას საქმეში. ჩვენ და მაისაიაც მზად ვართ, სასამართლოში გაიმართოს დავა. **რაც შეეხება ჩემ მიერ გახმაურებულ ინფორმაციას, გვაცნობეს, რომ მაისაიას თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის ყოფილ მოადგილე ზუმბაძესთან დაძაბული პირადი ურთიერთობის გამო, ისარგებლებდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ დღესაც მოქმედი ზონდერბრიგადები, რომელთა ბევრი წევრიც ჩანერგილია სახელმწიფო სტრუქტურებში.** მათ ხომ ეს მეთოდი აპრობირებული აქვთ?! ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ **შეიძლებოდა, ერთ დღეს დახვედროდნენ ვახტანგ მაისაიას და ეცემათ, მეორე დღეს ისევ ეცემათ და არ არის გამორიცხული ლიკვიდაციაც კი.** თუმცა მას შემდეგ, რაც ზუმბაძემ მედიაში განაცხადა, რომ აპირებს, სასამართლო წესით გაასაჩივროს ეს ყველაფერი, ცივი წყალი გადაესხა „ნაციონალური მოძრაობის“ გეგმებს ვახტანგ მაისაიას მიმართ. თუმცა მაინც ვთვლი, რომ ვახტანგ მაისაიას მარტო გადაადგილება უსაფრთხო არ არის. მიმაჩნია, რომ პროკურატურამ მაისაია მოწმეთა დაცვის პროგრამაში უნდა ჩასვას.

**— პროკურატურა თუ გამოეხმაურა თქვენს განცხადებას?**

— ჩვენ შევიტანეთ ეს განცხადება პროკურატურაში, ალბათ, გარკვეული პროცედურებია საჭირო და მივიღებთ პასუხს.

**— ანუ ფიქრობთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს იღონებს თავისი ინტერესების დასაცავად?**

— რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა იციან, რომ დღეს ხელისუფლებაში დაბრუნების არანაირი პოლიტიკური შანსი არ აქვთ და ამიტომ ყველანაირ ავანტიურაზე არიან წამსვლელები. ღმერთმა დაიფაროს, ვახტანგ მაისაიას რამე დაემართოს, კიდევ ერთმა ადამიანმა, რომელსაც დღეს პოლიტიკასთან აქტიური კავშირი არ აქვს, იური ვაზაგაშვილის ბედი რომ გაიზიაროს, ამას არეულობები მოჰყვება ქვეყანაში.



## მამუკა ტუსკაძე:

# შეიძლებოდა, ერთ დღეს დახვედროდნენ ვახტანგ მაისაიას და ეცემათ, მეორე დღეს ისევ ეცემათ და არ არის გამორიცხული ლიკვიდაციაც კი!

**— ვინმე დაგმუქრებიათ ან თქვენ, ან ვახტანგ მაისაიას?**

— საქმეც ისაა, რომ მუქარა შემოთვალეს. კეთილისმსურველმა ადამიანებმა გვაცნობეს ამის თაობაზე, ამიტომ დავასწარით მოვლენებს და ვაცნობეთ საზოგადოებას.

**ვახტანგ მაისაია:**

— ჩემი წყაროებიდან მქონდა შეუმოწმებელი ინფორმაცია, მაგრამ ეს აღვიქვი, როგორც შავი იუმორი. თუ ჩემი ლიკვიდაცია იყო საჭირო, ამას ციხეშივე მოახერხებდნენ, თუმცა, იური ვაზაგაშვილის სადისტური მკვლელობის შემდეგ, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. არიან, მაგალითად, ადამიანები, რომლებსაც ხელს არ აძლევთ ჩემი საქმიდან გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნა. შეიძლება თუ არა ეს მომენტი ვალერი ზუმბაძეს დავუკავშიროთ, არ ვიცი. მაგრამ **ზუმბაძეს მე თავის განკარგულებაში ვყავდი და დაკითხვების პერიოდში ინტენსიურად ხდებოდა ჩემზე ზეწოლა.** სხვათა შორის, ციხეში იყო ჩემი ლიკვიდაცია დაგეგმილი და ამის შესახებ საუბრობდა ზაზა აზარიაშვილი. ფაქტები და მტკიცებულებებიც არსებობს, ამ ინფორმაციას ასევე ადასტურებენ გლდანის მერვე საპყრობილის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებიც.



## ვახტანგ მაისაია:

# იური ვაზაგაშვილის სადისტური მკვლელობის შემდეგ არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება!

**— რა საფრთხეს უქმნით „ნაციონალური მოძრაობას“?**

— არ ვიცი, ნამდვილად ვერ გეტყვით. თუ, უბრალოდ, რეზონანსულ საქმეზეა საუბარი მაშინ, ყველა კვალი ვალერი ზუმბაძისკენ წავიდოდა. მე არც ადრე შემშინებია და არც ახლა მეშინია. ყველაფერი ღმერთის ხელშია!

**ჯეფრი სილვერმანი:**

— დიდი ხანია, ვიცნობ მაისაიას. ჩვენ ერთად ვკითხულობდით ლექციებს შავი ზღვის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ — კავკასიის უნივერსიტეტში და დავმეგობრდით. ჩვენთვის საბედისწერო აღმოჩნდა 2003 წელი, როდესაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში. იმხანად საერთაშორისო კრიზისების ჯგუფში ვმუშაობდი — საქართველოში კრიმონოგენულ სიტუაციას ვიძიებდი, მათ შორის, აფხაზეთსა და სამაჩაბლოშიც და ქართულ ენაზე ინფორმაციის მოპოვებისას ვახტანგს დახმარება ვთხოვე. ვეჭვობ, გარკვეულწილად, ეს ჩემთან მეგობრობის გამოც ხდება.

უცხოური დაზვერვის წარმომადგენელმა, ნატოს წევრი ქვეყნიდან, რამდენიმე დღის წინათ ივარაუდა, რომ მე და ვახტანგ მაისაია გავქრებოდით. მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ჩვენ დარტყმის ქვეშ მყოფთა სიაში ვართ, სიაში იმ ადამიანებისა, რომლებიც უნდა მოეკლათ, რათა დაემხოთ ამჟამინდელი ხელისუფლება. ჩემმა საკონტაქტო პირმა მომწერა: „ვფიქრობ, ორივეს გესიამოვნებათ ცოტა დასვენება მთაში, მართალია, სხვადასხვა ადგილზე, მაგრამ მაინც“.

**— ელოდებოდით, რომ ბატონი მაისაია „ზედმეტი“ აღმოჩნდებოდა?**

— ერთადერთი, რამაც გამაოცა იყო ის, რა ძალიხმევა დაიხარჯა მისი დისკრედიტაციისთვის. მე ვნახე მაისაიას დოსიეს ნაწილი, როდესაც ზურაბ ჟვანიას საქმეზე პროკურატურაში ვიყავი დაბარებული. იქ ნათქვამი იყო, რომ მაისაიამ მიაწოდა ინფორმაცია ამერიკულ მხარეს (ნატოს, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს) და ჰქონდა ყალბი კორესპონდენცია, რომელშიც სლოვაკეთის დაზვერვა სთხოვს მას გარკვეული ინფორმაციის მიწოდებას. რამდენიმე დოკუმენტში **მოყვანილი იყო ზღაპრები, თითქოს საქართველოს სპეცსამსახურები და სხვადასხვა ისლამისტური დაჯგუფების წარმომადგენლები ინფორმაციას მაისაიასგან იღებდნენ.** ვიცი, რომ „ჭორების დაყრის“ სისტემა არის ძალიან ძლიერი და რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე ყოფილი და ამჟამინდელი მაღალჩინოსანი უახლოეს მომავალში გადატრიალების მოწყობას აპირებს. ამისთვის შეარჩევენ რამდენიმე მონაწილეს და, როგორც ჩემს წყაროს ჰგონია, ვახტანგ მაისაიას მოკლავენ. ამ წყაროს ვენდობი, რადგანაც ჩვენ ვთანამშრომლობდით და ერთად ვატარებდით გამოძიებას დასავლეთ საქართველოში პორტებზე, იარაღით ვაჭრობაზე, ადამიანების წამებასა და სხვა თემებზე. ჩვენი გამოძიება ახლოს მივიდა პასუხებთან.

# «უცხოური დაზვერვის წარმომადგენელმა, ნატოს წევრი ქვეყნიდან, ივარაუდა, რომ მე და ვახტანგ მაისაია გავქრებოდით»

ესაუბრა
**მაია ჩუბინიშვილი**

ომი და მშვიდობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიმდინარეობს სლავური გენოფონდის გენოციდი. ამას მოწმობს, თუნდაც, უკრაინული ჯარის დაკომპლექტების წესი – ხანში შესული ადამიანები, რომლებიც გაიწვიეს ნაციონალურ გვარდიაში, სასწავლო ცენტრებში რჩებიან, ახალგაზრდებს კი (18-დან 35 წლამდე) ფრონტზე გზავნიან.**

# რატომ მარცხდება უკრაინული ჯარი?

**2014 წლის ივლისში უკრაინის ხელისუფლებამ მობილიზაციის მესამე ტალღა გამოაცხადა. გაჩნდა ლოგიკური კითხვა — სად არის ახალწვეულთა წინა ორი ტალღა? სამწუხაროდ, უკრაინელი ჯარისკაცების დედები ამაოდ ელოდებიან სიმწრით გაზრდილ შვილებს. ისინი უკვე აღარ არიან... პოროშენკოს ხელისუფლება მოსახლეობას ომში მოკლულთა რაოდენობას უმალავს.**

არაოფიციალური ცნობების მიხედვით, უკრაინელმა ძალოვნებმა ე. წ. ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას თითქმის 20 ათასი ჯარისკაცი დაკარგეს მოკლულებად, დაჭრილებად და უგზო-უკვლოდ დაკარგულებად. ტყვედ ჩავარდნილი უკრაინელი სამხედროები ერთსა და იმავე სურათს გვიხატავენ: „მეთაურებს შევყავართ ბრძოლის ველზე, შემდგომ თავად მირბიან, ჩვენ კი ბედის ანაბარად გვტოვებენ“.

„ჩვენმა უფროსობამ არ იცის ვითარება და სასაკლაოზე მივყავართ, „საზარბაზნე ხორცად“ გვიყენებენ, — ამბობენ ტყვეები... რჩება შთაბეჭდილება, რომ უკრაინელ ჯარისკაცებს განზრახ აყენებენ ისეთ პოზიციებზე, რომლებსაც წარმატებით ბომბავს ნოვოროსიის სახალხო ლაშქრის არტილერია. რა არის ეს: სიბრიყვე თუ მიზანმიმართული მკვლელობა?

უკრაინული არმიის ხელმძღვანელობის სიბრიყვე ვითარების მხოლოდ ზედა ფენაა. ამ ხელმძღვანელებს ხომ ვიღაც ნიშნავდა მაღალ თანამდებობებზე, ვიღაც ხომ ამტკიცებდა მათ სტრატეგიას? ვიღაც ხომ არ სჯიდა მათ ადამიანებისა და ტექნიკის უზარმაზარი დანაკარგისთვის? მაშასადამე, ამ „ვიღაცის“ მიზანი სრულიად შეესაბამება სავალალო შედეგს. ამის გარდა, **მიმდინარეობს ომი მოსახლეობის გასანადგურებლად; არა მხოლოდ მათი მოსაპობისა, ვინც ხელში აიღო იარაღი თავდასხმის მოსაგერიებლად, არამედ ლუგანსკისა და დონეცკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების მოსახლეობისა. ამას ადასტურებს დონბასის ქალაქების საცხოვრებელი კვარტლების მიზანმიმართული დაბომბვები.**

ისევ ჩნდება კითხვა — ვის ინტერესებში შედის უკრაინელი სამხედროების ამგვარი ქმედებები? უდავოა, ტერორისტებს უნდა ეომო, მაგრამ რატომ ანადგურებ ინფრასტრუქტურას?! რა მიზეზი აქვს ამ უაზრო, თავისი ქაოსურობითა და სისასტიკით გამორჩეულ ძმათამკვლელ ომს? პოლიტოლოგები და სამხედრო ანალიტიკოსები ასახელებენ ამ დაპირისპირების რამდენიმე მიზეზს.

**პირველი მიზეზი** ზედაპირზეა. ეს არის რუსეთის საზღვართან არასტაბილური ზონის შექმნა; მისი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებისა და პოლიტიკური გავლენის შესუსტება. პრორუსული თვითგამოცხადებული რესპუბლიკების დამარცხების შემთხვევაში შესაძლებელია, რუსეთი მოექცეს აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ბაზების ალყაში. თავის მხრივ, ეკონომიკური თვალსაზრისით, **ევროპა არ არის დაინტერესებული, მის საზღვრებთან შეიქმნას არეულობის ზონები; ასევე, არ არის დაინტერესებული, გააფუჭოს ურთიერთობა ნავთობდონორთან — რუსეთთან, მაგრამ მსოფლიო ჰეგემონის — აშშ-ის დიქტატი აიძულებს, თავისივე ინტერესების საზიანოდ ჩაებას ანტირუსულ ფერხულში.**

ამასთან არის დაკავშირებული **მეორე მიზეზი** — რუსეთის ჩათრევა ღია ომში. ბოლო წლების განმავლობაში კრემლმა ვერ აამა ზოგიერთ ე.წ. მსოფლიოს დიდ „მოთამაშეს“; კერძოდ, რუსეთისა და ჩინეთის მონოლითურმა პოზიციამ აიძულა აშშ, გაეყვანა თავისი სამხედრო-საზღვაო ფლოტი სირიის ნაპირებიდან. რასაკვირველია, თავმოყვარეობის ასეთ შელახვას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა შურისძიება. ამიტომაც გაჩნდა იდეა, შეექმნათ პირობები იმისათვის, რომ რუსეთი ემხილათ სამხედრო დანაშაულში. მიაქციეთ ყურადღება, როგორი საინფორმაციო კამპანია მიმდინარეობს დასავლეთის ქვეყნებში რუსეთის პრეზიდენტის — ვლადიმერ პუტინის წინააღმდეგ. **ამერიკა ძალიან ცდილობს, დაანახვოს მსოფლიოს რუსეთი უკრაინის კონფლიქტის უშუალო მონაწილედ, ხოლო ძველი საბჭოთა იარაღით შეიარაღებულ ნახევარმილიონიან უკრაინულ არმიას უსახავს ამოცანას — „გმირულად დაიღუპოს“ პირველივე ბრძოლაში რუსეთის ფედერაციის ჯართან.**

**მესამე მიზეზი** წმინდა ეკონომიკურია. საქმე ის არის, რომ ზუსტად პოლტავის, ხარკოვის, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში განლაგებულია ფიქლური აირის მოპოვების ზონები (მარაგი — 2-4 ტრილიონი კუბ.მ). ამის გარდა, დონბასი მსოფლიოში ცნობილია, როგორც მადნეულის წყარო. აქაა: ქვის მარილი, კვარციტები, ქვიშაქვა, კირქვა და, რა თქმა უნდა, უმაღლესი ხარისხის ნახშირი, რომელზეც დღემდე მუშაობს მსოფლიოს მეტალურგია.

თუმცა **უკრაინას აფრთხილებდნენ, რომ მისი მრეწველობა ევროპას არ სჭირდება. ევროპას სჭირდება მხოლოდ იაფი მუშა ხელი, მხოლოდ მყიდველი, მხოლოდ ნედლეული.**




პროდასავლური ძალების ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, Shell-ის მსგავსმა ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა გადაწყვიტეს, რომ ამჟამად ყველა დაბრკოლება მათი მოქმედებისთვის მოხსნილია. თუმცა სწრაფად გაირკვა, რომ ამ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში ცხოვრობს სხვანაირი ხალხი, რომელსაც არ სურს, იყოს უკრაინის შემადგენლობაში და არ სურს, რომ მისი მიწა მოწამლონ ქიმიკატებით ვიღაც გაურკვეველი პირის ხეირის გამო. შესაძლოა, ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, გაენადგურებინათ არა მხოლოდ ნოვოროსიის ჯარი, არამედ მოცემული ტერიტორიის მოსახლეობაც. უნდა ვაღიარო, რომ ეს „ამოცანა“ წარმატებით სრულდება.

**მეოთხე მიზეზი** უკიდურესობამდე ცინიკურია და მარტივი —კიევის ხელისუფლებას აღარ სჭირდება რევოლუციონერები და, საერთოდ, ახალგაზრდა პასიონარიები. მათ თავიანთი საქმე გააკეთეს, ახლა კი სახიფათონი გახდნენ პოროშენკოს რეჟიმისთვის. ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, რაც გარდაუვალია, ახალგაზრდებს შეუძლიათ, კვლავ სცადონ ხელისუფლების დამხობა, ამიტომაც გზავნიან ომში. რაც უფრო მეტი ახალგაზრდა თავზეხელაღებული მამაკაცი დაიღუპება, განსაკუთრებით — ისინი, ვინც გამოცდილება მიიღეს „მაიდანზე“, მით უფრო მშვიდად იქნება ხელისუფლება. ამიტომაც უკრაინის ხელისუფლება აქტიურად ემზადება ხალხური მღელვარების ჩასახშობად და სისასტიკის დონე, რომელსაც პოროშენკო და მისი გუნდი გამოიჩენს ამ „ღონისძიების“ ჩატარებისას, აიძულებს „მაიდნელებს“, კეთილი სიტყვით მოიხსენიონ პრეზიდენტი იანუკოვიჩი და მისი „ბერკუტი“.

ამის გარდა, **ევროინტეგრატორების გეგმებშია უკრაინის გადაქცევა მესამეხარისხოვან აგრარულ ქვეყნად. ამიტომაც აღარ არის საჭირო იმდენი „მჭამელი“, რამდენიც ახლაა. „გაზის მილის“ მომსახურებისთვის არც ისე ბევრი ადამიანია საჭირო, დანარჩენი კი ბალასტია.**

სევდიანი სახალხო ხუმრობა: აშშ იომებს რუსეთის წინააღმდეგ უკანასკნელ უკრაინელამდე.

**მიმდინარეობს სლავური გენოფონდის გენოციდი. ამას მოწმობს, თუნდაც, უკრაინული ჯარის დაკომპლექტების წესი – ხანში შესული ადამიანები, რომლებიც გაიწვიეს ნაციონალურ გვარდიაში, სასწავლო ცენტრებში რჩებიან, ახალგაზრდებს კი (18-დან 35 წლამდე) ფრონტზე გზავნიან.**

**მეხუთე მიზეზს** უკვე შევყავართ აკრძალული ცოდნის სფეროში. პრესაში გაჩნდა ცნობები დაღუპული უკრაინელი ჯარისკაცების ორგანოების საზღვარგარეთ გასაყიდად გაგზავნაზე. ის, ვინც ფიქრობს, რომ ეს ერთეული შემთხვევა, ველურობის გამოვლინებაა ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში, ძალიან ცდება! მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, სადაც თავს იჩენს სამხედრო კონფლიქტი, მისი ზონიდან ელვისებურად იწყება ადამიანის ორგანოების მოწოდება. ეს კაციჭამიური ვაჭრობა შემოსავლიანობით „თვით“ ნარკობიზნესსაც აღემატება! არც ისე დიდი ხნის წინათ ევროკავშირის სპეციალურმა კომისიამ აღიარა ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის ფაქტები კოსოვოში სამხედრო კონფლიქტის მიმდინარეობისას, თუმცა დამატებით შენიშნა, რომ ორგანოების ამოღების მიზნით „დაკლულ იქნა“, სულ რაღაც, ათამდე ადამიანიო. მაგრამ ზრდასრულ ადამიანს არ სჭირდება იმის ახსნა, რომ, თუ ბიზნესმექანიზმი ამოქმედდა, საქმე უკვე არ მთავრდება ყიდვა-გაყიდვის „სულ რაღაც“ ათი ოქმით. ამიტომ სრულიად დასაშვებია, რომ მგზნებარე უკრაინელი რევოლუციონერების გულები მომავალში იფეთქებენ იმ ამერიკელი და ევროპელი ბანკირების მკერდში, რომლებმაც დააფინანსეს „მაიდანი“, ანუ ჩადეს ინვესტიცია ყველაზე მომგებიან საქმეში — ჯანმრთელობაში.

უკრაინაში მიმდინარე სამოქალაქო ომის **მეექვსე მიზეზი** ლოგიკისა და რაციონალური არგუმენტების მიღმაა, ისევე, როგორც სამხედრო შეტაკებები ამ ქვეყანაში. თვითონვე განსაჯეთ — ერთ-ერთი მხარე კარგავს მიუტევებლად უამრავ მეომარს, მაგრამ იმის მაგივრად, რომ შეცვალოს სტრატეგია და სამხედრო ხელმძღვანელობა, პირიქით — გზავნის და გზავნის სასაკლაოზე ახალწვეულებს. იგნორირებულია კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის ყველა მცდელობა. იმის ნაცვლად, რომ გაანადგურო მოწინააღმდეგის ჯარი, ცეცხლს უშენ საცხოვრებელ კვარტლებს; შეგედეგად, იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა — ხშირად პენსიონერები და მარტოხელა ქალები. **დღეს უკვე ბევრი ხვდება, რომ ამ ომის მიზანია არა გამარჯვება, არამედ რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი.** დავფიქრდეთ, რატომ? რუსი ხალხი, მიუხედავად მისი რელიგიური მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური შეხედულებისა, სამართლიანობის იდეის მატარებელია, იდეისა, რომელიც დედამიწის მოსახლეობას აძლევს სიმტკიცის გარანტიას დეგრადირების პროცესებისადმი; და ცხადია, იმ ძალისთვის, რომელიც ეომება რუსეთს, ყველაზე სასურველი შედეგია ის სასაკლაო, რომელშიც რუსი ხალხის ერთი ნაწილი სპობს მეორეს.

საბოლოო ჯამში, რომელი მხრიდანაც უნდა შეხედო კრიზისს უკრაინაში, მას მხოლოდ ერთი სახელწოდება აქვს — მსხვერპლშეწირვა. და ყველაზე დასანანია, რომ, უკვე მერამდენედ ისტორიაში, მსხვერპლშეწირვის რიტუალს თვითონ სლავური ფესვის ერები ატარებენ.

**გიორგი კორძაძე**

მსოფლიო

## მაკკეინი: უმალ ღორები დაიწყებენ ფრენას, ვიდრე მინსკის შეთანხმება შესრულდება

**ამერიკელი კონგრესმენები მინსკში დადებულ შეთანხმებებს სკეპტიკურად უყურებენ. სენატორმა მაკკეინმა შეთანხმებებს — შეუსრულებელი, ლინდსი გრემმა კი უკრაინის დაშლისკენ მიმართული უწოდა.**

„ჩემი აზრით, ამ შეთანხმებებს შესრულება არ უწერია. ჩემი პროგნოზით, ეს ისე არარეალურია, რომ შეთანხმება ერთ კვირაში დაირღვევა. უწინ ღორები დაიწყებენ ფრენას, ვიდრე მინსკის შეთანხმება შესრულდება,“ — განაცხადა მაკკეინმა მინსკში ხელმოწერილი დოკუმენტის კომენტირებისას, რომელიც ორივე მხარისგან მოითხოვს, კონფლიქტის ზონიდან გაიყვანონ მძიმე შეიარაღება. სენატორ ლინდსი გრემის აზრით კი, მინსკის შეთანხმების შედეგად, „უკრაინის ძალადობრივი დანაწევრება“ მოხდება. მისივე განცხადებით, მოლაპარაკებების პროცესში გერმანიისა და საფრანგეთის მონაწილეობა სხვა არაფერი იყო, თუ არა რუსეთთან ეკონომიკური კავშირების შენარჩუნების სურვილი.



ალენ დელონი მსოფლიოს ელ-გე-ბე-ტე თემის მოთხოვნით ჩამოაცილეს „მის საფრანგეთის" ჟიურის, რომელსაც მრავალი წელი უცვლელად თავმჯდომარეობდა. მას უკვე ემუქრებიან „საპატიო ლეგიონის" ორდენისა და „ცეზარის" პრემიის ჩამორთმევითაც...



ბაჩუკ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ზორო და პედერასტები*

პედერასტი — მამაკაცი, რომელიც პედერასტიას მისდევს.
პედერასტია (ბერძნ. სიტყვა) — ბიჭების სიყვარული — სქესობრივი გარყვნილება — სქესობრივი ურთიერთობა მამაკაცებს შორის; მამათმავლობა. (იხ. გვ. 376, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, განათლება, 1989)





**ვერ გეტყვით, სათავგადასავლო ლიტერატურის დიდოსტატი ალექსანდრე დიუმა ან თუნდაც ვიქტორ ჰიუგო თუ ისურვებდა ამ სახელწოდების სათავგადასავლო რომანის დაწერას, მაგრამ ის, რაც პოპულარული ფრანგი მსახიობის — ალენ დელონის — თბილისში ვიზიტისას მოხდა, ნამდვილად იმსახურებდა სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოების მიძღვნასაც და ჩემ მიერ შემოთავაზებულ სათაურსაც.**

სხვათა შორის, ეს სათაური ერთგვარი გამოწვევაა ჩემი მხრიდან არა მხოლოდ ე. წ. უფლებადამცველებისთვის (ეგენი „მოწვევის" გარეშეც ყველგან ეტენებიან კაი „ჩანგალისტებივით"), არამედ თვითონ რედაქციისთვის.

გაბედავს კი გაზეთი „საქართველო და მსოფლიო", ეს სათაური დატოვოს და არ შეცვალოს?

რა, თუკი ფრანგულ ბეჭდურ გამოცემას უფლება ჰქონდა, ჰომოსექსუალური აქტის გამომხატველ პორნოგრაფიულ პოზებში დაეხატა რელიგიური მამები, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია ასეთი პოზების მოყვარულ ადამიანებს ის დავუძახოთ, რაც სინამდვილეშია?

**ან იქნებ მხოლოდ სახვითი ხელოვნების ფორმით არის დასაშვები „განსხვავებული აზრის" გამოხატვა, სიტყვიერად კი — დაუშვებელი?**

არა მგონია, ეს სწორი და სამართლიანი იყოს!

ჰოდა, ამიტომაც, **ჩემი განსხვავებული აზრით, ის ადამიანები, რომლებმაც თბილისში ჩამოსული ალენ დელონი სხვადასხვა მედიასაშუალებაში გალანძღეს და სხვადასხვა შეურაცხმყოფელი ეპითეტებით შეამკეს, არიან პედერასტები!**

მაგალითად, ერთი ასეთი პედერასტი წერდა — „ბოლოს და ბოლოს ვინ მიგდია ალენ დელონი?"

პასუხი ასეთია — **ალენ დელონი არის ჩემი ბავშვობის ზორო!**

კი, ისიც ვიცი, რომ იგი გარკვეული ტიპის ქალებისთვის „სასურველი მამაკაცია", დარწმუნებული ვარ, მის პლაკატზე შეყვარებული გოგონების რიცხვი თბილისში და სრულიად საქართველოშიც არ იქნებოდა ცოტა, მაგრამ მე **ყველაზე მეტად ის მიტყდება** (ჰო, არც მწყინს, არც გული მწყდება და არაფერი. აი ასე, ბავშვურად — მიტყდება!), **რომ ეს პედერასტები ზოროს ეომებიან!**

**ჩემს ზოროს, რომლის მიბაძვითაც ჩემი თაობის ბიჭებმა ხეს ტოტი არ შეარჩინეს და რკინეულობის მაღაზიებს — მავთული, „შპაგა" რომ დაემზადებინათ და კედელზე ასო „ზეტის" მიხატვა „დაემულამებინათ".**

ზოროს ხათრით, ჩემი რამდენიმე ძმაკაცი „ბურევესტნიკის" („ქარიშხალას") სპორტულ კომპლექსშიც დადიოდა ფარიკაობაზე და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ (სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში) ნაკრებშიც მოხვდა!

სწორედაც! **ზორო აძლევდა ბავშვებს, ახალგაზრდებს სიკეთის, კარგი საქმის კეთების, ვაჟკაცობის, ჯანსაღი ცხოვრების მაგალითს და უღვიძებდა მათ ამ სურვილს.**

ჰოდა, **რას ერჩოდნენ ეს პედერასტები ზოროს?**

აი ამას:

**„ორმოცი წელიწადია, დე გოლისტი ვარ და ისიც ვიცი, რომ დროს ფეხი უნდა ავუწყო. თუმცა, იყო დე გოლისტი ოლანდის სამყაროში — ეს შეუძლებელია. ერთსქესიანთა ქორწინებას არ ვებრძვი, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ. მე მხოლოდ ერთსქესიანი წყვილების მიერ ბავშვის შვილად აყვანის წინააღმდეგი ვარ. ახლა ვიცი, მეტყვიან, ადაპტაცია გაკლია და ცხოვრებას ფეხს ვერ უწყობო. რა გაეწყობა, ცუდი ურთიერთობა მაქვს ჩვენს ეპოქასთან, რომელიც ყველაფერ არაბუნებრივს ცხოვრების ნორმად ამკვიდრებს. მექახონ ბებერი სულელი, მე მაინც ვიტყვი, რომ ჰომოსექსუალობა არ არის ნორმა! და, თუ ეს ნორმაა, მაშინ მე ასეთი ნორმა შოკში მაგდებს!"** — განაცხადა ალენ დელონმა ფრანგული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში.

> «ორმოცი წელიწადია, დე გოლისტი ვარ და ისიც ვიცი, რომ დროს ფეხი უნდა ავუწყო. თუმცა, იყო დე გოლისტი ოლანდის სამყაროში — ეს შეუძლებელია. ერთსქესიანთა ქორწინებას არ ვებრძვი, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ. მე მხოლოდ ერთსქესიანი წყვილების მიერ ბავშვის შვილად აყვანის წინააღმდეგი ვარ. ახლა ვიცი, მეტყვიან, ადაპტაცია გაკლია და ცხოვრებას ფეხს ვერ უწყობო. რა გაეწყობა, ცუდი ურთიერთობა მაქვს ჩვენს ეპოქასთან, რომელიც ყველაფერ არაბუნებრივს ცხოვრების ნორმად ამკვიდრებს. მექახონ ბებერი სულელი, მე მაინც ვიტყვი, რომ ჰომოსექსუალობა არ არის ნორმა! და თუ ეს ნორმაა, მაშინ მე ასეთი ნორმა შოკში მაგდებს!»

ეს ციტატა იმიტომ მომყავს და ამ ამბავსაც იმიტომ გიყვებით, რომ **ალენ დელონის ბევრმა ქართველმა თაყვანისმცემელმა არ იცის ამ პრობლემების შესახებ. სოციალურ ქსელებშიც ბევრი ქართველი ცდილობდა, გაერკვია, რამ გამოიწვია ზოგიერთი ჩვენებური მედიასაშუალების წარმომადგენელთა ასეთი უარგუმენტო და ყოვლად უაზრო გაღიზიანება მსოფლიოს კინემატოგრაფის ცოცხალი ლეგენდის მიმართ.**

არადა, სინამდვილეში, **ეს „ქართული გაღიზიანება" კი არა, საზოგადოდ, მსოფლიოს ელ-გე-ბე-ტე საზოგადოების მიერ აგორებული მიზანმიმართული კამპანიაა.**

**ზემოთ მოყვანილი გამონათქვამების გამო ალენ დელონი მსოფლიოს ელ-გე-ბე-ტე თემის მოთხოვნით ჩამოაცილეს „მის საფრანგეთის" ჟიურის, რომელსაც მრავალი წელი უცვლელად თავმჯდომარეობდა. მას უკვე ემუქრებიან „საპატიო ლეგიონის" ორდენისა და „ცეზარის" პრემიის ჩამორთმევითაც... აი, ამაშია საქმე და ამას აუწყვეს ფეხი ქართველმა პედერასტებმაც, თორემ ალენ დელონს არავისი დასაცინი რომ არაფერი სჭირს, თავისთავად ცხადია.**

საკითხავია მხოლოდ **„ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ" — ეს გამოთქმა უფრო დიდი შეურაცხყოფაა თუ სულიერი მამების წაკუზულ პოზებში ხატვა?**

**რა, თუკი იმავე ფრანგულ „შარლი ებდოს" თანამშრომლებს ჰქონდათ უფლება, „საკუთარი აზრი" გამოეხატათ, ალენ დელონს არ აქვს უფლება, თქვას, რომ პედერასტებს „ჯანდაბამდე გზა ჰქონიათო"?**

არა უშავს. ჩამოართვან ალენ დელონს „მის საფრანგეთის" ჟიურის თავმჯდომარეობაც და სხვა დანარჩენი სიგელ-ტიტულებიც!

ზუსტად ვიცი, რომ ჩემი თაობის ბიჭების თვალში მას ვერავინ ვერასოდეს ჩამოართმევს „ზოროს" ტიტულს!

ზოროს კი, მართლაც, სულ ფეხებზე ჰკიდია ყველა პრიზი და ტიტული. ის, პირველ რიგში, მამაკაცია და მერე — მსახიობი, ჟიურის თავმჯდომარე თუ კიდევ — რაც გნებავთ!

და ჩემი ბავშვობის ზორომ არ გამიმტყუნა იმედი. **ახლახან სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, სადაც ალენ დელონი, აბეზარი პედერასტებისგან თავგაბეზრებული, ერთ საყოველთაოდ ცნობილ ჟესტს აჩვენებს მათ თითით! ამით ყველაფერია ნათქვამი: მე ზორო ვიყავი, ზორო ვარ და ზოროდ დავრჩები, რაც უნდა თქვათ და დაწეროთ ჩემზე, არავითარ ბოდიშს და თავის დამცირებას ჩემგან არავინ ელოდოსო!**

და მე კვლავ **მომინდა ხის წვრილი, კარგად მოსაქნევი გრძელი ტოტის შერჩევა, მოჭრა, ზედ „კატანკის" მავთულის დახვევა და მერე ამ პედერასტების ტყავის შარვალში ამოკვართულ ტრაკებზე „შპაგის" ერთ მოქნევით ასო „ზეტის" გამოსახვა!**

ვისაც უნდა მიმართონ „პედერასტთუხუცესებმა" და მოსთხოვონ ჩემი უმუშევრად დატოვება, მაინც...

ჰო, მართლა, ეს უახლესი მეთოდი ნელ-ნელა იკიდებს ფეხს მსოფლიოში და უკვე, როგორც ჩანს, საქართველოშიც. **ცნობილი მომღერალი თამარ ივერი რომ ლამის უსამსახუროდ დატოვეს, ეგ ამბავი ყველამ იცით და აგერ, ახლახან, ანალოგიური რამ დაუპირეს ცნობილ მსახიობ მიშა გომიაშვილსაც.**

„მოვუწოდებთ მიშა გომიაშვილის ყველა დამსაქმებელს, მისი ჰომოფობიური გამონათქვამების გამო, სასწრაფოდ შეწყვიტოს მასთან საქმიანი ურთიერთობა," — ასეთი მიმართვა გამოაქვეყნა ქართველი პედერასტების გაერთიანებამ ამ დღეებში.

არ ვიცი, რა გამოხმაურება მოყვება ამას მსოფლიოს თეატრებში, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ჩემი ერთ-ერთი „დამსაქმებელი", ანუ გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" აუცილებლად მიიღებს ასეთივე მიმართვას...

საერთოდ, გამოაქვეყნებს თუ არა რედაქცია ამ პუბლიკაციას?

ალბათ, კი... ოღონდ თავის მეტ-ნაკლებად დაზღვევის მიზნით საკუთარ მინაწერს დაურთავს, სავარაუდოდ...

**საბოლოოდ კი, ვგრძნობ, ამ წერილმა ორი მთავარი მისია შეასრულა:**

**1. მკითხველი, რომელმაც სწორად გამიგო, გახალისდა, გაიღიმა, ბავშვობა გაიხსენა და კარგ განწყობაზე დადგა, რაც შესანიშნავი შედეგია!**

**2. პედერასტები გამწარდნენ, გაბრაზდნენ, მწყობრიდან გამოვიდნენ და გასკდნენ ერთ ადგილზე — კიდევ უკეთესი შედეგი!**

მე კი, მიუხედავად ვითომ სასაცილო და სახალისო ინფანტილური ტონისა, მართლა მიხარია, რომ ჩემი ბავშვობის ზორომ რეალურადაც გამიმართლა! ამიტომ, რა შედეგიც უნდა მოჰყვეს ამ კონკრეტულ სტატიას, მაინც უდიდესი ხალისითა და ბედნიერებით მოვუყვები ჩემს შვილებსაც და შვილიშვილებსაც აწ უკვე არა კინოში ნანახი, არამედ ნამდვილი ზოროს შესახებ, რომელსაც არაფრის ეშინოდა და „შპაგის" ერთი მოქნევით პედერასტებს ტყავის შარვლებში ამოკვართულ ტრაკებზე ასო „ზეტს" ახატავდა...

**ჩემი ბავშვობის ზორო არსებობს!**

**(მინაწერის გარეშე)**

> ზორო აძლევდა ბავშვებს, ახალგაზრდებს სიკეთის, კარგი საქმის კეთების, ვაჟკაცობის, ჯანსაღი ცხოვრების მაგალითს და უღვიძებდა მათ ამ სურვილს

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „რაც შეეხება ჟვანიას მკვლელობას... უკაცრავად, გარდაცვალებას“...

მიხეილ სააკაშვილის გამოსვლიდან 2005 წლის 4 თებერვალს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე („სამხრეთ კავკასია — XXI საუკუნის გამოწვევები“)



ელიზბარ ჯაველიძე:

# სააკაშვილი ჟვანიას მკვლელობას მარტო ვერ გადაწყვეტდა, მკვლელობა იმ ადამიანებმა დაგეგმეს, რომელთა მონა-მორჩილიც სააკაშვილია

**ახალი ხელისუფლება ღირსების საქმედ მიიჩნევს ზურაბ ჟვანიას დაღუპვის სრულყოფილად გამოძიებას, მაგრამ ორ წელიწადზე მეტია, ვერაფრით დაადგინეს, ყოფილი პრემიერი მოკლულია თუ უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. ახლახან კი საქართველოს გენერალური პროკურატურა ყოფილი პრემიერმინისტრის დაღუპვის ახალ გარემოებებზე ალაპარაკდა.**

ზურაბ ჟვანიას საქმეში გამოვლენილმა ახალმა გარემოებებმა სააკაშვილი და მისი გუნდი დააფრთხო, „ნაცები“ თავდაცვაზე გადავიდნენ და ისიც კი იკადრეს, რომ თანაგუნდელს, თანამოაზრესა და თანამებრძოლს ჰომოსექსუალიზმში დასდეს ბრალი. აქ უპრიანი იქნება, გავიხსენოთ, რას ამბობდა სააკაშვილი ზურაბ ჟვანიაზე მისი დაღუპვის შემდეგ: **„თანამედროვე ქართული სახელმწიფოს განვითარებაში ზურას წვლილი მართლაც ძალზე დიდია, მაგრამ მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ზურა ავითარებდა არა მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტებს, არამედ მთლიანად საზოგადოებას, მედიას, სამოქალაქო სექტორს. ბუნებრივია, გარდა იმ ტკივილისა, რომელიც ზურას ჩვენგან წასვლით არის გამოწვეული, მის მიმართ უდიდესი მადლიერების გრძნობით ვართ გამსჭვალული იმისთვის, რაც მან სამშობლოს გაუკეთა. მინდა, მადლობა ვუთხრა ზურას ოჯახსაც, რადგან თითოეული წევრი — ქალბატონი რემა, ნინო, გოგლაც იყვნენ ჩაბმული იმაში, რითაც ცხოვრობდა ზურა და რითაც ქმნიდა ახალ საქართველოს. მინდა, მადლობა მოგახსენოთ და გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება“.**

სააკაშვილის განცხადება მოგვიანებით ასეთი იყო: **„ყველამ ძალიან კარგად იცის, იქ რა მოხდა. ეს იყო უბედური შემთხვევა, კიდევ კარგი... კიდევ კარგი რა... ცუდი იყო, რაც მოხდა, მაგრამ არსებობს ფედერალური გამოძიების ბიუროს დეტალური დასკვნა, ოჯახი ამ დასკვნას იცნობს. ჩვენ ეს დასკვნა არ გამოვაქვეყნეთ გასაგები მიზეზების გამო, რადგან საქმე ეხება ადამიანის ბევრ ძაან ღრმა და ისეთ დეტალს და ნამდვილად ზურაბის სახელი ჩემთვის იყო წმიდათაწმიდა, თუ ვინმესთვის ეს არ არის ხელშეუხებელი, მათ შორის ვინმე ოჯახის წევრისთვის, მათ სინდისზე იყოს“.** ამ გამოსვლაში ნათლად ჩანს, როგორც დაიცავდნენ თავს „ნაცები“, თუ ძალიან გაუჭირდებოდათ და ოდესმე ეს საქმე გაიხსნებოდა.

მათ კი, ვინც ჯერ კიდევ მსჯელობს, მოკლულია თუ არა ყოფილი პრემიერი, შევახსენებთ კიდევ ერთ ფრაზას **მიხეილ სააკაშვილის** გამოსვლიდან, რომელიც 2005 წლის 4 თებერვალს საერთაშორისო კონფერენციაზე (სამხრეთ კავკასია — XXI საუკუნის გამოწვევები) წარმოთქვა (წამოსცდა): **„რაც შეეხება ჟვანიას მკვლელობას... უკაცრავად, გარდაცვალებას“...**

**„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა უხამს რეაქციაზე, რომელიც ზურაბ ჟვანიას დაღუპვის საქმეში პროკურატურის მიერ გამოვლენილმა ახალმა გარემოებებმა გამოიწვია, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე გვესაუბრება.**

**— ბატონო ელიზბარ, თქვენ ყოველთვის ამბობდით, რომ ყოფილი პრემიერის — ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმე გახსნილია, მაგრამ არ ასაჯაროებენ, რადგან ამერიკას ხელს არ აძლევს დამნაშავის ვინაობის გამჟღავნება. ახლა, როცა ძიება კულმინაციას მიუახლოვდა, „ნაცებმა“ კიდევ ერთხელ ჩამოიხსნეს ნიღაბი და საშინლად შეურაცხყვეს ყოფილი თანაგუნდელის სახელი.**

— იმ ადამიანების გამკვირვებია, რომლებსაც „ნაცების“ საქციელი აკვირვებს. **„ნაცები“, ადამიანები კი არა, ერთ ყალიბში ჩამოსხმული ეშმაკები არიან, დედის მუცლიდან შობილი არ არის არც ერთი. არც დედა უყვართ, არც — და, არც — მეგობარი, მათთვის წმინდა არაფერია.**

ადამიანს ცხოველისგან ზნეობა და მორალი განასხვავებს, „ნაცები“ კი ცხოველებისგან არ განსხვავდებიან. ისინი არ არიან შექმნილი სახედ და ხატად უფლისა... მათ აქვთ ცხოველური ინსტიქტები, რომლებსაც თავისუფლება დაარქვეს. მათ არ აქვთ არც ერთი ისეთი თვისება, რომლის გამოც ადამიანები უნდა ვუწოდოთ, ამიტომ მათგან არაფერი მიკვირს.

ამ ცხოველებზე, „ნაცები“ რომ ჰქვიათ, ლაპარაკიც არ ღირს, რადგან მათ ერთმანეთის ცოლებთან, ნათესავებთან, მეგობრებთან აქვთ ურთიერთობა, ეს მათი ცხოვრების წესია და ამის დამადასტურებელი კადრები არსებობს. ერთადერთი, რასაც არ თამაშობენ, სწორედ ეს არის, დანარჩენში ყველაფერში ყალბები არიან.

**«ამ ცხოველებზე, «ნაცები» რომ ჰქვიათ, ლაპარაკიც არ ღირს, რადგან მათ ერთმანეთის ცოლებთან, ნათესავებთან, მეგობრებთან აქვთ ურთიერთობა, ეს მათი ცხოვრების წესია და ამის დამადასტურებელი კადრები არსებობს»**

**— რატომ მოკლეს ჟვანია? თუ მას სქესობრივი გადახრა ჰქონდა, როგორც მისი თანაგუნდელი „ნაცები“ ამბობენ, ეს იქნებოდა მისი მკვლელობის მიზეზი? ჟვანიას სომხობასაც სწამებდნენ, მისი ბევრი გადაწყვეტილება კი პოლიტიკოსთა შორის უკმაყოფილებას იწვევდა...**

— არა, სომხობა და ქართველობა სააკაშვილს არ აინტერესებს, ის ყოველთვის ამბობდა, ეროვნებაზე მაღლა ვდაგავარო. ეროვნება ცხოველს არ აინტერესებს. მისთვის, სომეხი იქნება თუ ქართველი, მნიშვნელობა არ აქვს. ადამიანისთვის, რომელმაც არ იცის, საიდან მოდის და სად მიდის, ყველაფერი სულერთია. **ჟვანიას წარმოშობა და ორიენტაცია სააკაშვილისთვის არაფერს ნიშნავდა. თუ ჟვანია ე. წ. ელ-გე-ბე-ტე საზოგადოების წარმომადგენელი იყო, პირიქით — უნდა გახარებოდათ კიდეც.**

მთავარი კითხვაა: რატომ მოკლეს? საქმე ის არის, რომ **სააკაშვილი ჟვანიას მკვლელობას მარტო ვერ გადაწყვეტდა, მკვლელობა იმ ადამიანებმა დაგეგმეს, რომელთა მონა-მორჩილიც სააკაშვილია.** ჟვანიას მკვლელობა პოლიტიკური მოტივით მოხდა, სანდო წყაროდან ვიცი, რომ ედუარდ შევარდნაძეს უთქვამს, ზურა რუსეთის მომხრე იყოო. დააკვირდით, როგორც კი ჟვანიას მკვლელობის საქმეზე იწყება საუბარი, რა დღეში ვარდება ამერიკის ელჩი — ცხვირს იბზუებს და საქმეში ხარვეზებს ეძებს.

**— რა უფრო დიდი სირცხვილია — ის, რომ პრემიერს განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია აქვს, თუ ის, რომ პრემიერს კლავენ?**

— ის, რასაც მე პედერასტობას ვუწოდებ, ძალიან დიდი უზნეობაა, მაგრამ ამის გამო კაცის მოკვლა არ შეიძლება.

მას შემდეგ, რაც ჟვანიას მკვლელობის საქმეში ახალი გარემოებები გამოიკვეთა, ბევრმა ნაძირალამ სააკაშვილი გაამართლა და ამბობს, რამდენი ხანი ითმენდა და მალავდა იმას, რაც მოხდაო... სინამდვილეში ეს ასე არ არის. ჟვანია სააკაშვილისთვის საშიში იყო, ჭკვიანი გახლდათ და მოკლეს, თავიდან მოიშორეს. ხშირად ასე იშორებენ თავიდან ჭკვიან ადამიანებს.

მათ კი, ვისაც სააკაშვილი საიდუმლოს „შემნახავი“ ჰგონია, ვეტყვი, სააკაშვილს საერთოდ არ ანაღვლებს ადამიანების მორალური და ზნეობრივი სახე. სააკაშვილი იქით მიდის, საითაც ქარი დაუბერავს.

**სააკაშვილის უახლოესი გარემოცვიდან ვიცი, რომ მას ყველაზე მეტად ჟვანიას საქმის გახსნის ეშინია. მან იცის, რომ ამ ამბავს გადაჰყვება და, თუ ეს ხელისუფლება ამ საქმეს გაუხსნელს დატოვებს, უნდა ჩავთვალოთ, რომ მას ხელისუფლება ფორმალურად ჰქვია.**

მთავარია, ხელისუფლებამ პრინციპულობა გამოიჩინოს — არ შეეშინდეს ამერიკის მხრიდან შენიშვნების და ბოლომდე გაიტანოს ის საკითხები, რომლებზეც საუბარს იწყებს. ჩვენ, ხალხმაც, უნდა ვიაქტიუროთ, ხმა უნდა ავიმაღლოთ უმსგავსობის წინააღმდეგ, ისეთის, როგორიცაა „ნაცების“ ჯიბის ტელევიზიები თავისი შოუებით, არასამთავრობოები, რომლებიც ამერიკიდან ფინანსდებიან, ანუ უნდა გავილაშქროთ იმ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც სააკაშვილისგან გმირის გამოძერწვას ცდილობენ.

ყველა სიბინძურე, რომლებიც ხდებოდა და ხდება, ამერიკის ბრალია!

**«მთავარია, ხელისუფლებამ პრინციპულობა გამოიჩინოს — არ შეეშინდეს ამერიკის მხრიდან შენიშვნების და ბოლომდე გაიტანოს ის საკითხები, რომლებზეც საუბარს იწყებს. ჩვენ, ხალხმაც, უნდა ვიაქტიუროთ, ხმა უნდა ავიმაღლოთ უმსგავსობის წინააღმდეგ, ისეთის, როგორიცაა «ნაცების» ჯიბის ტელევიზიები თავისი შოუებით, არასამთავრობოები, რომლებიც ამერიკიდან ფინანსდებიან, ანუ უნდა გავილაშქროთ იმ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც სააკაშვილისგან გმირის გამოძერწვას ცდილობენ. ყველა სიბინძურე, რომლებიც ხდებოდა და ხდება, ამერიკის ბრალია!»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## რუსეთის უნივერსიტეტები საქართველოდან სტუდენტების მიღებას იწყებენ

**2015-2016 სასწავლო წლისთვის რუსეთის ფედერაციის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქართველოდან აბიტურიენტების მისაღებად 90 სახელმწიფო გრანტს გამოყოფს.** ამის შესახებ საქართველოში რუს თანამემამულეთა კავშირის — „მამულის“ პრეზიდენტმა ვალერი სვარჩუკმა „რია ნოვოსტის“ თბილისის საერთაშორისო პრესცენტრში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„ყოველწლიურად განსაზღვრული კვოტები გამოიყოფა იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც ჩვენი კავშირი მოიცავს. კვოტები ნაწილდება 30 ორგანიზაციაზე, რომლებიც კავშირ „მამულში“ ერთიანდებიან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებსა და მსხვილ ქალაქებს წარმოადგენენ. ამასთანავე, რუსეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოხვედრის მსურველთა დოკუმენტაცია გროვდება. შეიქმნება კომისია, რომლის სხდომა 25-27 თებერვალს გაიმართება. შემდეგ მოხდება შერჩევა. შერჩევის მთავარი კრიტერიუმია — ატესტატი, კარგი ნიშნები და აკადემიური მოსწრება“, — განაცხადა ვალერი სვარჩუკმა.



**ეს არის დროში გაწერილი, კარგად დამუშავებული გეგმა, რომელიც პირდაპირ მიმართულია ეროვნული ცნობიერების, ღირებულებებისა და, საზოგადოდ, ტრადიციების წინააღმდეგ.**

განათლება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სკოლებში სახიფათო საგნის სწავლება იწყება!

## რა ცვლილება შეაქვს განათლების სამინისტროს ეროვნულ სასწავლო გეგმაში

**ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების კვალდაკვალ წარმატებით გრძელდება საზოგადოებისთვის დასავლური ფსევდოლიბერალური იდეოლოგიით ტვინის გამორეცხვა. ახალი ჯიშის ქართველის გამოყვანა გეომეტრიული პროგრესიით ხორციელდება და ნაცრეჟიმის „ძირეული რეფორმები", სადაცაა, ლოგიკურ დასასრულამდე მივა.**

ცხრა წლის წინათ ჯორჯ სოროსის რეზიდენტ ალექსანდრე ლომაიას მიერ განათლების სისტემაში განხორციელებულმა ცვლილებებმა თაობათა ცნობიერებას რა ზიანიც მიაყენა, ყველამ კარგად ვიცით. ჰოდა, ახლაც არანაკლებ მზაკვრობას გვიმზადებენ — სკოლებში მომავალი წლიდან დაიწყება სწავლება ახალი საგნისა — „მე და საზოგადოება", რომელიც სააკაშვილის საამაყო „მენტალური რევოლუციის" პირდაპირი გაგრძელება იქნება. აი, რა განაცხადა წინა კვირას განათლების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა: „სამოქალაქო ცნობიერების ხარისხი მაინც დაბალია და ამ საგნის მე-9 კლასიდან სწავლება მაინც დაგვიანებულია. მიმართულებას დავარქვით „პიროვნული განვითარება და იდენტობა". შინაარსი კი ისეა დალაგებული, რომ მოსწავლეს განუვითაროს თვითანალიზის უნარი, განსაზღვროს საკუთარი სოციალური როლი და იდენტობა ოჯახის მიმართ, საზოგადოების მიმართ, სკოლაში, მიკროსოციუმში, სამეგობროში და ა. შ."

ზემოაღნიშნული საგანი დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში აპრობირებული პროგრამაა, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების სრულიად ახალი მოდელის შექმნას; ლაპარაკია ისეთ საზოგადოებაზე, რომლისთვისაც მთავარი ორიენტირი არა ოჯახი და ტრადიცია, არა ეროვნული იდენტობა და თვითმყოფადობა, არამედ კონკრეტული პიროვნების თავისუფლება, ანუ ე. წ. ტოლერანტობა და ინდივიდის მისწრაფებათა პატივისცემა იქნება (თუნდაც ეს მისწრაფებები ადამიანურ ნორმებს სცილდებოდეს და პათოლოგიურ ხასიათს ატარებდეს). მიაქციეთ ყურადღება ფრაზას: **„სამოქალაქო ცნობიერების ხარისხი მაინც დაბალია"** — ამით ქალბატონი გიგაური გვეუბნება, რომ თითოეული ჩვენგანი ჯერ კიდევ ბნელი და ჭეშმარიტ დემოკრატიულ ღირებულებებში გაუთვითცნობიერებელია, რადგან ჩვენთვის ერთმნიშვნელოვნად მიუღებელია „სექსუალური უმცირესობების" უფლებები და პატივისცემა განსხვავებული თვალსაზრისისადმი. მოკლედ, ამ „საგანმა" თაობათა ცნობიერებას „ნათელი" უნდა მოჰფინოს და მოქალაქის აზროვნება კარდინალურად შეცვალოს. თუმცა ეს პროგრამა საერთო გეგმის მხოლოდ ნაწილია, შემდეგი ნაბიჯი იქნება იუვენალური იუსტიციის შემოღება, მშობლებისთვის შვილების წართმევა და მათი გადაყვანა სპეციალურ დაწესებულებებში, სადაც ე. წ. სოცმუშაკები მათ „აღზრდა-განათლებაზე" იზრუნებენ...

საუბედუროდ, მათი გეგმა ზედმიწევნით ხორციელდება და ამას ისევ პროპაგანდის საშუალებით აკეთებენ, — ვიდრე საზოგადოება გაბრუებულია ამორალური სატელევიზიო შოუებით (რომლებსაც სააკაშვილის ჯიბის არხები გვთავაზობენ), ხელისუფლებაში მოკალათებული მეხუთე კოლონა ძირს გვითხრის...

„საქართველო და მსოფლიო" განათლების ლიგის ხელმძღვანელს — **მანანა ნიკოლეიშვილს** დაუკავშირდა და სასკოლო პროგრამაში ახალი საგნის („მე და საზოგადოება") შემოღებაზე ესაუბრა.



**მანანა ნიკოლეიშვილი:**

### ამ ხელისუფლების პოლიტიკა განათლების მიმართულებით ერთი-ერთზე იმეორებს «ნაციონალების» ე.წ. რეფორმატორულ კურსს

**— ქალბატონო მანანა, როგორ ფიქრობთ, რას ემსახურება ახალი საგანი „მე და საზოგადოება"?**

— მე მაგ საგნის სტანდარტს არ ვიცნობ და ვერ გეტყვით, კონკრეტულად რაზეა გათვლილი, მაგრამ საზოგადოებათმცოდნეობა წლების წინათ ისწავლებოდა მესამე საფეხურზე. შემდეგ მოვიდა სააკაშვილის ხელისუფლება და ლომაიას რეფორმებმა, უამრავ სხვა საგანთან ერთად, ესეც ამოაგდო. საერთოდ, თავდაყირა დააყენეს განათლების სისტემა — რას ასწავლიდნენ, რა პროგრამები იყო, ვერ გაიგებდი და ზუსტად იგივე ხდება ახლაც. საქმე ის არის, რომ **მიუხედავად პოლიტიკური ცვლილებებისა, განათლება და კულტურა კვლავ „ნაციონალების" ხელში დარჩა. შესაბამისად, უცვლელია სისტემა და ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის გამოც პრაქტიკულად მოიშალა ქართული განათლება...**

**— განათლების მინისტრს რომ ჰკითხოთ, ბოლო ორი წლის განმავლობაში ძირეული ცვლილებები განხორციელდა...**

— ბუნებრივია, ასე იტყვის, მაგრამ, აბა, შედეგი მაჩვენეთ. ვინმეს შეუძლია, გვითხრას, რა ცვლილებები განხორციელდა განათლების ეროვნულ სასწავლო გეგმაში? — ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა და ამის შედეგია ის, რომ განათლების ხარისხი დაეცა.

რაც შეეხება ახალი საგნის შემოღებას, **ვეკითხები განათლების სამინისტროს — ამ ტაშ-ფანდურა საგნებით გინდათ, გამოასწოროთ ის კატასტროფული მდგომარეობა, რომელშიც სააკაშვილისა და ლომაიას ავადსახსენებელმა რეფორმებმა ჩაგვაგდო?!**

**ამ აჭია-ბაჭია საგნებით გინდათ, თაობებს სრულყოფილი განათლება მისცეთ?!**

**— თქვით, რომ განათლება და კულტურა დარჩა „ნაციონალების" ხელში. რა უნდა ექნა ახალ ხელისუფლებას — საკადრო წმენდა ჩაეტარებინა?**

— ცხადია, საკადრო წმენდაც იყო საჭირო. არ შეიძლება უწყებაში იმ ხალხის დატოვება, რომელმაც სისტემა დაანგრია, მაგრამ აქ მხოლოდ კონკრეტულ ადამიანებზე არ არის საუბარი, როდესაც ვამბობ, განათლება მათ ხელში დარჩა-მეთქი, ვგულისხმობ, რომ სისტემური ცვლილებები არ განხორციელდა, ანუ დამანგრეველი ე. წ. რეფორმატორული მიმართულება დარჩა უცვლელი და ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ქართული განათლების მომავალი კიდევ უფრო რთული იქნება...

**— დავუბრუნდეთ ახალი საგნის შემოღებას, ლია გიგაურმა განაცხადა, რომ სამოქალაქო განათლების პრიორიტეტულობა ქვეყნის ევროპული ორიენტაციიდან გამომდინარეობს. ხომ არ ფიქრობთ, რომ აღნიშნული საგანი სწორედ იმ დასავლური ღირებულებების ადაპტირებას ემსახურება, რომლებიც შეუთავსებელია ქართველი საზოგადოების მენტალიტეტთან?**

— უკვე ვთქვით, რომ ამ ხელისუფლების პოლიტიკა, განათლების მიმართულებით, იმეორებს „ნაციონალების" ე. წ. რეფორმატორულ კურსს. ახლა რაც შეეხება „ნაციონალებს". ცნობილია, რომ მათი იდეოლოგიის ერთ-ერთი მიზანი იყო ახალი ქართველის შექმნა. **საუბარია სრულიად ახალი იდეოლოგიის ადამიანის გამოყვანაზე, რომლისთვისაც ტრადიციები და ეროვნული იდენტობა არანაირი ღირებულება არ იქნება. დარწმუნებული ვარ, ზუსტად ამასვე ემსახურება ეს ახალი საგანიც და შემთხვევითი არ არის, რომ მისი სწავლება დაბალი კლასებიდან იწყება.** მეხუთე-მეექვსე კლასელ მოსწავლეზე გაცილებით იოლია ზეგავლენის მოხდენა და რაღაც იდეოლოგიის მოხვევა, ვიდრე, ვთქვათ, მეათე-მეთერთმეტე კლასელისთვის. ასე რომ, **ეს არის დროში გაწერილი, კარგად დამუშავებული გეგმა, რომელიც, კიდევ ვიმეორებ, პირდაპირ მიმართულია ეროვნული ცნობიერების, ღირებულებებისა და, საზოგადოდ, ტრადიციების წინააღმდეგ.**

**— დავაკონკრეტოთ, რას გულისხმობს ეს პროცესი...**

— დავიწყოთ იმით, რას ნიშნავს მათთვის ტრადიციები. ისინი ამაში გულისხმობენ მართლმადიდებლობას. **გაიხსენეთ, რა გააკეთეს თავის დროზე სკოლებში — სამლოცველო კუთხეები აკრძალეს, — სხვა რელიგიის წარმომადგენელთა უფლებები ირღვევაო.** სინამდვილეში აქ არანაირ უფლებებზე არ იყო საუბარი, უბრალოდ, ამით თავიანთ დასავლელ პატრონებს დაანახვეს, რომ „უკომპრომისო რეფორმატორები" იყვნენ და ყველაფერზე მოაწერდნენ ხელს. აი, აქიდან დაიწყეს ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ ბრძოლა საგანმანათლებლო დაწესებულებებში და, დღეს რასაც ვხედავთ, იგივე ის ახალი საგანიც, ამ ბრძოლის გაგრძელებაა; ანუ ამით, ფაქტობრივად, ხდება ახალი სტანდარტების, „ახლებური აზროვნების" შემოღება და ლოგიკურია, რომ ამ ექსპერიმენტის ობიექტები ისევ და ისევ ახალგაზრდები, ამ შემთხვევაში — სკოლის მოსწავლეები, არიან.

**— „ახალი ჯიშის ქართველი" სააკაშვილის რეჟიმს რისთვისაც სჭირდებოდა, გასაგებია, — ავტორიტარიზმს მორჩილი სოციუმი უნდა ჰყავდეს, მაგრამ ამ ხელისუფლებას რა მიზანი აქვს?**

— დასაწყისშიც ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: მიუხედავად პოლიტიკური ცვლილებებისა, კულტურისა და განათლების სფეროები დარჩა უცვლელი. იქ ისევ ძველი კადრებია, ხოლო სისტემაში მინიმალური ცვლილებებიც არ განხორციელებულა. საერთოდ, **თუ ვინმეს ჰგონია, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მოჩვენებით ცვლილებასთან ერთად, „ახალი ქართველის" გამოყვანის პროცესი დამთავრდა ან შეწყდა, ძალიან ცდება, ეს პროცესი გრძელდება და, რაც ძალიან სახიფათოა, გრძელდება უჩუმრად.** პირდაპირ ვამბობ: „ნაცებმა" ძალაუფლება იმ პირობით დათმეს და ესენი იმ პირობით მოიყვანეს ხელისუფლებაში, რომ განათლება და კულტურა დარჩენილიყო ხელუხლებელი. როგორც ჩანს, კოალიცია „ქართული ოცნება" ამ პირობას ზედმიწევნით ასრულებს...

**— რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ხელისუფლებამ რეალური ცვლილებები განახორციელოს განათლების სისტემაში? რა ზემოქმედება შეუძლია საზოგადოებას პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე?**

— რა და საზოგადოება, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში რეჟიმს ებრძოდა, დღეს გულარხეინად არ უნდა იჯდეს. არავის ეგონოს, რომ სწავლა-აღზრდის გაუკუღმართებული პროცესები ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდა. კიდევ ვიმეორებ: არაფერი შეცვლილა და ხელმძღვანელობის მიმართ უნდა იყოს კრიტიკა. ჩვენ უნდა მოვთხოვოთ უმაღლეს ხელისუფლებას, რომ ეს არანორმალური ვითარება შეიცვალოს, თუ არა — მაშინ თვითონ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. სხვა გამოსავალი აქ, უბრალოდ, არ არსებობს. სხვანაირად **ეს ე. წ. რეფორმა ქართულ განათლებას საბოლოოდ დაანგრევს და გაანადგურებს...**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**«ნაცებმა» ძალაუფლება იმ პირობით დათმეს და ესენი იმ პირობით მოიყვანეს ხელისუფლებაში, რომ განათლება და კულტურა დარჩენილიყო ხელუხლებელი. როგორც ჩანს, კოალიცია «ქართული ოცნება» ამ პირობას ზედმიწევნით ასრულებს»...**

**P.S. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ ლია გიგაურს თუ დავუჯერებთ, ახალი საგნისთვის („მე და საზოგადოება") 2015-2016 სასწავლო წელი საპილოტე იქნება. თავდაპირველად მისი სწავლება თბილისისა და რეგიონების რამდენიმე სკოლაში დაიწყება, 2016-2017 სასწავლო წლიდან კი იგი როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებში სავალდებულო საგანი გახდება.**

**მოკლედ, ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ დღეს, როგორც არასდროს, ახლოს ვართ „ისტორიულ არჩევანთან" და 2-3 წელიწადში თითოეული ჩვენგანის აზროვნება ევროსტანდარტების შესაბამისად იქნება გადამზადებული, ჩვენი თუ არა, „ახალი ქართველის" მაინც. ეს უკვე ერთობ „იმედის მომცემია" — იბერია სადაცაა გაბრწყინდება...**

ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ირაკლი ალასანიას „ხმაურიანი გადადგომა“ გაეროს ელჩის თანამდებობიდან მხოლოდ ერთი, საწყისი ეპიზოდი იყო აშშ-ის სპეცსამსახურებში დაწერილი სცენარის მიხედვით დადგმული სპექტაკლისა „გადავარჩინოთ სააკაშვილი და მისი ფაშისტური ბანდა“. თვითონ სპექტაკლი კი თბილისში უნდა დაედგა ბატონ ირაკლის პოტომაკის ნაპირებზე მასზე ადრე დაჭედილ სხვა არტისტებთან ერთად!**

# ბიძინას რეიტინგის ვარდნა, შენნაირების რეიტინგის აწევას არ ნიშნავს, ირაკლი ბატონო!

**ამ წერილის დაწერა „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ ირაკლი ალასანიას ბოლო სტუმრობამ მაიძულა.**

**თუმცა რაღა სტუმრობამ — თავდაცვის მინისტრობიდან ჩამოლაბორანტების შემდეგ ალასანიას „რუსთავი 2“-ში ისე ელიან, როგორც ოჯახის წევრს, და ისიც არ უმტყუნებს მოლოდინს „თავისუფალ“ ტელევიზიას, რომელიც 9 წლის განმავლობაში ნაცბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულების სრულუფლებიანი მეწილეა!**

მიდის იქ ალასანია და ღარიბაშვილს ფიქტიურ პრემიერს უწოდებს, ხოლო ბიძინა ივანიშვილს დებატებში იწვევს და ნიღბის ჩამოხსნით ემუქრება. ბიძინაც, რომელმაც ირაკლი ალასანიაც და სხვა „ოპოზიციური“ არარაობებიც მინისტრებად და დეპუტატებად აქცია, იმას კი ვერ ხვდება, რომ „რუსთავი 2“-ის საქათმესთან ფლირტით და იქ გაკეთებული განცხადებებით თვითონ ჩამოიხსნა ნიღაბი!

აშშ-დან ირაკლი ალასანიას დაბრუნებისთანავე ბევრმა იფიქრა, რომ გაეროში საქართველოს ელჩი ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ნალებით იქნებოდა დაჭედილი...

**დღეს კი, ალბათ, აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ყოფილი ელჩი და თავდაცვის მინისტრი ჭიპლარით არის მიბმული აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტთან და მისი თანხმობის გარეშე, ნაბიჯს დგამს კი არა, სიზმარსაც ვერ ნახულობს...**

მაგრამ, მოდი, ცოტა შორიდან დავიწყოთ და მივყვეთ ბატონი ალასანიას ნაბიჯებს საქართველოში, რათა მკითხველთან ერთად განვსაჯოთ, ტყუილია თუ მართალი, რასაც დღეს ამბობენ ამ ერთ დროს ეროვნული იმიჯის მქონე კაცზე ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში.

საზოგადოებაში კი ამბობენ, რომ **ირაკლი ალასანიას „ხმაურიანი გადადგომა“ გაეროს ელჩის თანამდებობიდან მხოლოდ ერთი, საწყისი ეპიზოდი იყო აშშ-ის სპეცსამსახურებში დაწერილი სცენარის მიხედვით დადგმული სპექტაკლისა „გადავარჩინოთ სააკაშვილი და მისი ფაშისტური ბანდა“. თვითონ სპექტაკლი კი თბილისში უნდა დაედგა ბატონ ირაკლის პოტომაკის ნაპირებზე მასზე ადრე დაჭედილ სხვა არტისტებთან ერთად!**

თბილისში ჩამოსულ ალასანიას კი ადრე დაჭედილი არტისტების მთელი დასი დახვდა რესპუბლიკელი ხლისტების სახით.

მარჯანიშვილის თეატრში მათი ჩახუტების შემდეგ გულმა რეჩხი კი მიყო, როცა საქართველოს ეროვნული გმირის — მამია ალასანიას შვილი ამ ხლისტებთან ერთად დავინახე, მაგრამ ვიფიქრე, ეტყობა, მე არ მესმის დიდი პოლიტიკისა და, ალბათ, ასეა საჭირომეთქი. მით უმეტეს, რომ თვითონვე შეეცადა ჩემი გულისძგერის დამშვიდებას ერთ კონფიდენციალურ სუფრაზე, სადაც „საჭირო ხალხს“ შევახვედრე...

მერე და მერე ჩემი „რწმენის კედელს“ თითო აგური ნელნელა გამოეცალა.

***2009 წლის 9 აპრილს დაწყებულ საპროტესტო მარათონში, შეიძლება ითქვას, ოპოზიციაში შეგზავნილი ტროას ცხენის როლი ითამაშა ირაკლი ბატონმა!**

პირველმა სწორედ მან დაარღვია გაერთიანებული ოპოზიციის მიერ ხალხისთვის მიცემული პირობა — **არავითარი დიალოგი და მოლაპარაკება რეჟიმთან! და სააკაშვილს სასახლეში ეახლა.**

*მერე იყო და, „ხალხის მოთხოვნა“ გაითვალისწინა და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას, სადაც დედაქალაქი „წელში იყო გაწყვეტილი“, საკნები აალებინა, რითაც ასევე „წელში გაწყდა“ და უეჭველი ფიასკოს წინაშე დადგა „უცნობის“ მიერ „საკანი №5“-ში მომზადებული საპროტესტო მოძრაობა;

***შემდეგ სააკაშვილის მიერ სატყუარად „შემოგდებულ“ ადგილობრივ არჩევნებს დათანხმდა და იმ ეტაპზე პოლიტიკოსობის „მწვერვალს“ მიაღწია — საკრებულოში რამდენიმე დეპუტატი შეიყვანა და „გამარჯვებულ“ გიგი უგულავას „ჯენტლმენურად“ მიულოცა, რასაც აღფრთოვანებით შეხვდა ირაკლი ალასანიას „მშობლიური დასავლეთი“, აღშფოთებით — მშობელი ქართველი ხალხი...**

მართალია, ამ სპექტაკლში მთავარი აქტორი ირაკლი ბატონი იყო, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ „მასოვკაში,“ რესპუბლიკელ ხლისტებთან ერთად, არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშეს ე. წ. ახალმა მემარჯვენეებმა — სინამდვილეში ძველმა თითლიბაზებმა.



**დღეს, ალბათ, აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ყოფილი ელჩი და თავდაცვის მინისტრი ჭიპლარით არის მიბმული აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტთან და მისი თანხმობის გარეშე, ნაბიჯს დგამს კი არა, სიზმარსაც ვერ ნახულობს...**

***საბოლოოდ კი, ყველამ ერთად გადაარჩინა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი და ეს მერამდენედ მოტყუებული ქართველი ხალხის თვალწინ ფარდაც დაეშვა...**

რომ არა ბიძინა ივანიშვილი და ციხის შემზარავი კადრები, სააკაშვილი და მისი ბანდა „ჰგიებდნენ უკუნითი უკუნისამდე“ და სააკაშვილის ნასუფრალს ფსევდოოპოზიცია ირაკლი ალასანიას ლიდერობით, ასევე უკუნითი უკუნისამდე, უკანა თათებზე შემდგარი დაელოდებოდა!

**აკი, ელოდნენ კიდეც, რისი დასტურიც ამ „ოპოზიციის“ მიერ 26 მაისის ღამის სასაკლაოს შემდეგი კომენტარებია, სადაც ირაკლი ბატონი, პირველ რიგში, უპასუხისმგებლო ნინო ბურჯანაძის პასუხისმგებლობაზე ლაპარაკობდა და არა სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის ბრალზე?!**

ახლა კი თავდაცვის ყოფილი მინისტრი, თავისი მოუზომავი განცხადებებით, სააკაშვილთან ერთად „მაოხრებელი გზირის“ როლს ასრულებს, პირველი — შინ, მეორე — გარეთ...

გიორგი გაბუნიას „არჩევანში“ ირაკლი ალასანიას ბოლო ვიზიტიდან რამდენიმე პასაჟს გამოვყოფ:

ალასანიას განცხადებით, თურმე რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაფინანსებული სტრუქტურები ახორციელებენ ძირგამომთხრელ საქმიანობას იმ ნიაღვრის სახით, რომელიც სხვადასხვა ტელევიზიიდან მოედინება, მათ შორის, რუსული არხებიდან, რომლებიც ბოლო ხანს ხელმისაწვდომი გახდა და, ბუნებრივია, ეს მოქმედებს საზოგადოებაში პრორუსული განწყობის ზრდაზე!

„საიდან შემოდის ეს ფული? სად არის კონტრდაზვერვა, რატომ არ მუშაობს ამ მიმართულებით?“ — სვამს კითხვებს ალასანია და თვითონვე პასუხობს:

**„ეს სივრცე შეგნებულად დაუთმეს ხელისუფლებაში მყოფმა გარკვეულმა პირებმა და, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილმა!“**

ამით, ფაქტობრივად, კრემლის აგენტობაში დასდო ბრალი ბატონ ბიძინას...

იქვე სოლიდარობა გამოუცხადა „რუსთავი 2“-ს და ამაყად განაცხადა, რომ „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ხმა არ მისცეს ამ „თავისუფალი ტელევიზიის“ დამჩაგვრელ კანონს!

**ალასანია ისე გადაეფარა ბიძინას მიერ გაკრიტიკებულ ე.წ. არასამთავრობოებს, როგორც მატროსოვი ამბრაზურას, თუმცა კოჭორიძე-ლომჯარია-გიგაურის „ტროიკის“ დაფინანსების წყაროებით რატომღაც არ დაინტერესებულა...**

არც ეს იკმარა და **ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, ჯერ საკუთარი შვილები გაუშვან უკრაინის სასაკლაოზეო, უკრაინაში „საქართველოსთვის მებრძოლი“ თუ უკვე დაღუპული ბიჭების შეურაცხყოფა უწოდა?!**

ვითომდა რატომაო?

**სწორედაც — ვინც უკრაინაში საომრად გვექაჩება, ჯერ თავიანთი „ნიჭიერი შვილები“ გაუშვან, რომლებიც „აყვავებული საქართველოდან“ შორს, ევროპა-ამერიკის პრესტიჟულ სასწავლებლებში ჰყავთ გადამალული და შემდეგ ჩვენს „უნიჭო შვილებს“ მოუწოდონ უკრაინაში საომრად წასვლა!**

თავდაცვის ყოფილ მინისტრთან ერთად, მინდა, ვუთხრა საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ მაია ფანჯიკიძესაც, რომლისთვისაც სტალინი და ჰიტლერი ორივე ერთნაირი ბოროტებაა:

**როდესაც სტალინი ბრძანებას იძლეოდა „ნე შაგუ ნაზად!“ მას, მთავარსარდლის უფლებამოსილების გარდა, მორალური უფლებაც ჰქონდა, რადგანაც მისი ორივე ვაჟი ფრონტზე იბრძოდა, როგორც რიგითი მოქალაქის შვილები!**

გიორგი გაბუნიას ბოლო შეკითხვაზე, ხომ არ იგეგმება ნიკა რურუა-დავით ბაქრაძესთან კოალიცია, ალასანიამ უპასუხა:

„არა, მაგრამ ნიკა რურუას წინადადება რუსული არხების აკრძალვის შესახებ უთუოდ გასაზიარებელია!“

გაიგეთ, ხალხო, რა თქვა თავისუფალმა და დემოკრატმა?

იმ დროში უნდა დაგვაბრუნოს, როდესაც ოპოზიციური გაზეთის წაკითხვის ან რუსულენოვანი არხის ყურებისთვის შეიძლებოდა დაეპატიმრებინეთ!

იმ დროში, როდესაც „რუსთავი 2“ ისე ურეცხავდა ტვინს ქართველ საზოგადოებას, რომ პირწმინდად წაგებულ ომს მოგებულად აზეიმებდა!

**ირაკლი ბატონო, „ნაცპატრიოტების“ სხვა აზრიც გაიზიარეთ და პუშკინისა და ლერმონტოვის ძეგლები დავანგრიოთ, შემდეგ მთაწმინდიდან გრიბოედოვი ამოვთხაროთ!**

ზემოთქმულიდან, მგონი, ნათელია, რომ ირაკლი ალასანიასა და მისი გუნდის ოდიოზური წევრების განცხადებები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს „ნაცებისა“ და რესპუბლიკელების განცხადებებს!

ისიც გავიხსენოთ, რომ თურმე სააკაშვილის რეჟიმს კარგი საქმეებიც უკეთებია და უნდა დავუფასოთ, რაც არაერთხელ გვსმენია ალასანიასგან!

**საერთოდ კი, კოალიციებზე ლაპარაკი უაზრობა მგონია, რადგან ალასანია-სააკაშვილი-რესპუბლიკელების კოალიცია, ფაქტობრივად, შემდგარია და, როდის გაფორმდება იურიდიულად ან გაფორმდება თუ არა საერთოდ, ნაკლებად საინტერესოა.**

იქვე ისიც დაიქადნა ალასანიამ, რომ მომავალ არჩევნებში მისი პარტია მარტო დაამარცხებს „ქართულ ოცნებას“, რადგან თურმე ყოველ მესამე დღეს დადის რეგიონებში და იცის, რომ „ოცნებას“ შანსი არ აქვს!

ეჰ, ნეტარ არიან მორწმუნენი... ბიძინას რეიტინგის დაცემა შენნაირების რეიტინგის აწევას არ ნიშნავს, ირაკლი ბატონო!

ისე, საინტერესოა, რით ხიბლავს ალასანია რეგიონების ამომრჩევლებს — **ნატოევროკავშირით, სადაც არასდროს მიგვიღებენ და, რომც მიგვღონ, ასეთი პერსპექტივა, ნეოლიბერალების მცირერიცხოვანი სექტის გარდა, აღარავის ხიბლავს საქართველოში!**

**დავით მხეიძე**

**P.S. „ბოლო 25 წლის განმავლობაში, თუ 200 წელს არ ვიტყვით, საქართველოს სახელმწიფოებრიობას საფრთხე რუსეთიდან ემუქრებოდა!“ — დაჰკრა ბეჭედი ირაკლი ბატონმა...**

თუმცა მე სწორედ 200 წლით დავიწყებ:

მართალია, რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო ოფიციალურად არ გვქონდა, მაგრამ სახელმწიფოს ყველა ატრიბუტი გვქონდა, მეტიც — სამშობლო გვქონდა ქართველებს!

დღეს თითქოს დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, ყოველ შემთხვევაში რუკაზე, მაგრამ სამშობლოს დაკარგვის საფრთხის წინაშე ვდგავართ არა რუსეთის, არამედ ნეოლიბერალური იდეოლოგიის გამო.

რასაც, სხვათა შორის, რუსეთი ებრძვის უკრაინაში!

რაც შეეხება ბოლო 25 წელიწადს, რუსეთი იმას მაინც არ გვეუბნება, რომ ბიძაშვილი შეირთე ცოლად და თანაც კაციო! განსხვავებით „ალასანიების“ პრეზიდენტ ბარაკ ჰუსეინ ობამასგან, რომელმაც ახლახან, კონგრესში გამოსვლისას, არც მეტი არც ნაკლები, განაცხადა: „ჩემი პრეზიდენტობის მთავარ მიღწევად ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება მიმაჩნია!“

როგორც იანკები იტყვიან — NO COMMENT!

**საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ე. წ. პროდასავლური ლიბერალური ერთობა — ალასანია, მარგველაშვილი, „რესპები“ და „ნაციონალები“ პოლიტიკური სპექტრის მონოპოლიზებას მოახდენენ და ყველა სხვა ძალა თამაშგარე მდგომარეობაში დარჩება. ამაში მათ დასავლეთის კოლოსალური მხარდაჭერა ექნებათ (აქვთ კიდეც), ხოლო ივანიშვილს, რომელიც დღეს დაბნეულია და „რესპებისგან“ ამორტყმული ჭიტლაყის შოკი ჯერაც არ განელებია, ალბათ, კიდევ კაი ხანი დასჭირდება გონზე მოსასვლელად.**

ჩეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოლიგარქი ოფსაიდში

## რესპუბლიკელები ივანიშვილს განუდგნენ. რისთვის ემზადება უსუფაშვილ-სააკაშვილისა და მარგველაშვილ-ალასანიას დაჯგუფება?

**საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში აშკარად რაღაც დალპა. სიტუაცია ყარს. ამაზეა ნათქვამი, „უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო“, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ ახლა კატაც სანატრელია. ამ ცხოველს, ჩვენი პოლიტელიტისგან განსხვავებით, ერთი კარგი თვისება მაინც აქვს, — თავის მოსაქმებულს მიწას მიაყრის და საგულდაგულოდ დამალავს ხოლმე...**



მილიარდერმა ივანიშვილმა თავის დროზე მყეფარად ვერ ივარგა და არც ის დასაფასებელი თვისება აღმოაჩნდა, რომელიც ზემოთ ვახსენე. ჰოდა, მისი დატოვებული „ავლადიდებაა“, ახლა პოლიტიკურ ასპარეზზე რომ ყარს, თუმცა, როგორც ჩანს, ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია...

წინა კვირას ყოფილმა პრემიერმა ერთ-ერთ ინტერვიუში ყველასათვის მოულოდნელად განაცხადა, — კოალიციაში დემოკრატიულობაზე მეტად არაორგანიზებულობა და შეუთანხმებლობა იგრძნობაო: **„ისე, ერთს ვიტყვი: დემოკრატიულობა კარგია, მაგრამ გუნდს გუნდურობა უნდა ემჩნეოდეს და პროცესი ქაოსში არ უნდა გადაიზარდოს. დემოკრატიულობაზე მეტად იგრძნობა, რომ გუნდში არაორგანიზებულობა და შეუთანხმებლობაა...“**

იმავე ინტერვიუში ოლიგარქმა თავის გაუხედნავ „ულაყს“, პრეზიდენტ მარგველაშვილსაც გადაჰკრა, საქმის კეთების ნაცვლად ინტრიგებს ხლართავსო, მაგრამ ეს, ალბათ, არავის გაჰკვირვებია. საკვირველი და გამაოგნებელი უფრო ის იყო, რომ „რუხმა კარდინალმა“ თავის ფავორიტ რესპუბლიკურ პარტიასაც უკბინა, ე. წ. კაბელების საქმეზე პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენო. აი, ეს განცხადებაც: **„რესპუბლიკელები, რომლებიც ვერ მალავენ და ალასანიას მხარს უჭერენ, ხელოვნურად აგორებულ თემებზე კომისიას რომ ქმნიან, შეამოწმონ პროკურატურა ამ ნაწილშიც. ამის ნაცვლად, მხოლოდ ზოგად პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ და პროკურატურას პირდაპირ ემუქრებიან. იმას კი არ ამბობენ, დაკავებულები დამნაშავეები არიან თუ არა, მთავარ პროკურორს დავიჭერთო, აცხადებენ“.**

შეგახსენებთ, რომ კოალიციაში შემავალი სუბიექტებიდან სწორედ რესპუბლიკური პარტია იყო ის ძალა, რომელსაც ივანიშვილი იმთავითვე ფავორიტად მიიჩნევდა. ამას არც მალავდა და ერთ-ერთ კონფერენციაზე პირდაპირ განუცხადა ჟურნალისტებს, — ვინც გინდათ, აკრიტიკეთ, მათ შორის, პატრიარქიც და საპატრიარქოც, ოღონდ რესპუბლიკელების კრიტიკას შეეშვითო. უსუფაშვილის მისამართით გაკეთებული სახოტბო განცხადებებიც გვახსოვს. მაგალითად: **„პოლიტიკაში გამოუცდელი მოვედი, ხალხს მხოლოდ ტელევიზორიდან ვიცნობდი და დიდი დახმარება, რომელიც აღმომიჩინა და დღესაც მეხმარება, ეს გახლავთ დავით უსუფაშვილი. ჩემთვის მას ძალიან დიდი ფასი აქვს...“** ასევე გვახსოვს მთლიანად პარტიის ქება-დიდებაც: **„ვინც საქმეს აკეთებს, შეუცდომელი არავინ არაა. მათ ქვეყნისთვის არასდროს უღალატიათ და მათ სიცრუეზე თავისი პოლიტიკა არასდროს აუგიათ...“** ან ეს განცხადება რად ღირს: **„რესპუბლიკურ პარტიაზე თბილისში განსხვავებული აზრი დადის, რასაც ნაწილობრივ ვეთანხმები, მაგრამ ვიტყვი, რომ რესპუბლიკელები პრინციპული ხალხისგან შემდგარი პარტიაა. შესაძლოა, რაღაც ეტაპებზე მათი პრინციპული პოზიციის გამო გარკვეული მიუღებლობა ხდებოდა მათსა და საზოგადოების ნაწილს შორის, მაგრამ ისინი არასდროს არ ცრუობდნენ. ამიტომ ადამიანის ამ თვისებას დიდ პატივს ვცემ და რესპუბლიკელები ძირითადად ასეთები არიან“.**

ამ ყველაფრის ფონზე, ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა — **რა შეიცვალა ბოლო ორ წელიწადში, რამ გამოიწვია ოლიგარქის იმედგაცრუება და რატომ აკეთებს იგი დღეს საპირისპირო განცხადებას მისსავე სათაყვანებელ რესპუბლიკელებზე?** საკითხი მარტივია — **ივანიშვილი პოლიტიკაში „ქაჯი“ და „ჰარიფია“ (რასაც, სხვათა შორის, თვითონაც არ მალავდა) და, როგორც ჩანს, ახლა მიხვდა, რომ მისი ამ „ქაჯობით“ ცხრა გრანტს გადამხტარმა „რესპებმა“ კარგად ისარგებლეს**. კერძოდ, რას ვგულისხმობ: თავის დროზე, როცა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა, ეგონა, რომ ორ კურდღელს ერთად დაიჭერდა — რესპუბლიკელებს „დაავერბოვკებდა“ და პოლიტიკურ პროცესებს კულისებიდან მართავდა, მაგრამ მწარედ შეცდა: **უსუფაშვილმა ოლიგარქის ავტორიტეტი კარგად გამოიყენა, ხელისუფლების სათავეში მოექცა, შემდეგ კი „კარდინალს“ თითი დაუქნია.** აი, სწორედ ეს თითდაქნეული „ლომია“ ახლა ცოფს რომ ანთხევს, მაგრამ რაღა დროს, სახელისუფლო ვერტიკალში „ლიბერასტული“ ფრთა კიბოს მეტასტაზებივითაა მოდებული. აქეთ ალასანია-მარგველაშვილის დაჯგუფებაა, იქით — რესპუბლიკელები და „ნაცები,“ მოკლედ, ოლიგარქი ოფსაიდშია და პოლიტიკურ პროცესებში ცხვირსაც არ აყოფინებენ.

„ნაცები“ ვახსენე და, ამას წინათ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა, ამერიკელმა კონგრესმენმა **მაიკლ ტერნერმა** ინტერპოლს პირდაპირ მოუწოდა, არ დააკმაყოფილოს საქართველოს პროკურატურის მოთხოვნა სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადების თაობაზე. ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ ექსპრეზიდენტის მიმართ ხორციელდება პოლიტიკური დევნა და ამ პროცესში საერთაშორისო სამართალდამცავი სტრუქტურა არ უნდა ჩაერთოს...

მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ე. წ. პროდასავლური ლიბერალური ერთობა — ალასანია, მარგველაშვილი, „რესპები“ და „ნაციონალები“ პოლიტიკური სპექტრის მონოპოლიზებას მოახდენენ და ყველა სხვა ძალა თამაშგარე მდგომარეობაში დარჩება. ამაში მათ დასავლეთის კოლოსალური მხარდაჭერა ექნებათ (აქვთ კიდეც), ხოლო ივანიშვილს, რომელიც დღეს დაბნეულია და „რესპებისგან“ ამორტყმული ჭიტლაყის შოკი ჯერაც არ განელებია, ალბათ, კიდევ კაი ხანი დასჭირდება გონზე მოსასვლელად.

ისე, დასაწყისშიც ვთქვი და, თავის დროზე „კარდინალს“ მიწა რომ მიეყარა მის მიერ დატოვებული პოლიტიკური „ავლა-დიდებისთვის“, დღეს ასეთი ამძაღებული სიტუაცია არ იქნებოდა.

**რა გაეწყობა, ზოგი კატა ლომს ასწავლის ხეზე ასვლას, ზოგი კიდევ მისივე მოსაქმებულს ვერ ფარავს...**

**ჯაბა ჟვანია**

**რა შეიცვალა ბოლო ორ წელიწადში, რამ გამოიწვია ოლიგარქის იმედგაცრუება და რატომ აკეთებს იგი დღეს საპირისპირო განცხადებას მისსავე სათაყვანებელ რესპუბლიკელებზე? — ივანიშვილი პოლიტიკაში „ქაჯი“ და „ჰარიფია“ (რასაც, სხვათა შორის, თვითონაც არ მალავდა) და, როგორც ჩანს, ახლა მიხვდა, რომ მისი ამ „ქაჯობით“ ცხრა გრანტს გადამხტარმა „რესპებმა“ კარგად ისარგებლეს**



### ამერიკელმა გენერალმა გეოგრაფიის არცოდნის გამო თავი იდიოტად ჩათვალა

**ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ბენ ჰოჯესი გეოგრაფიის ცუდი ცოდნისთვის გააკრიტიკეს, — წერს ბრიტანული გამოცემა The Herald-ი.** The Wall Street Journal-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გენერალმა განაცხადა, რომ მარიუპოლი არა აზოვის ზღვის, არამედ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქია. **„როდესაც ეს ინფორმაცია The Herald-ში დაიბეჭდა, გავოგნდი, რადგან გეოგრაფიის უცოდინარობაში გამომიჭირეს, კოლეგებისგან არაერთი დამცინავი რეპლიკა მოვისმინე და თავი იდიოტად ჩავთვალე. თუმცა მიყვარს რუკები და მათზე ყოველდღე ვმუშაობ. იმ დღეს მარიუპოლის ადგილმდებარეობა, უბრალოდ, შემეშალა“.**



### ეგვიპტის ავიაციამ «ისლამური სახელმწიფოს» პოზიციები დაბომბა

**ეგვიპტის არმიამ ლიბიაში „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციები დაბომბა. „ბი-ბი-სი“-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაიბომბა ექსტრემისტების საწვრთნელი ბაზები და იარაღის საწყობები.** დაბომბვის გადაწყვეტილება ეგვიპტის მთავრობამ მას შემდეგ მიიღო, როცა ლიბიელმა ჯიჰადისტებმა 21 ქრისტიანი კოპტი სიკვდილით დასაჯეს. მომხდარის შემდეგ ეგვიპტის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კაიროს აქვს უფლება, „ისლამური სახელმწიფოს“ ქმედებას შესაბამისად უპასუხოს.

მოკლედ

### «კოსტა კონკორდიას» კაპიტანს 16 წლით პატიმრობა მიუსაჯეს

**საკრუიზო ხომალდ „კოსტა კონკორდიას“ კაპიტანს — ფრანჩესკო სკეტინოს 16 წლით თავისუფლების ალკვეთა მიუსაჯეს. ის დამნაშავედ ცნეს 2012 წელს იტალიის კუნძულ ჯილიოსთან საკრუიზო ლაინერის ჩაძირვაში, რომელსაც 32 ადამიანი ემსხვერპლა.**

როგორც სასამართლომ დაადგინა, კაპიტანმა გემი ნაპირთან ახლოს მიიყვანა, რის შედეგადაც ხომალდი რიფს შეეჯახა და ჩაიძირა, კაპიტანმა კი გემი მგზავრებზე ადრე დატოვა. მას სასამართლომ ბრალი რამდენიმე მუხლით წაუყენა, მათ შორის, მკვლელობისა და დაუდევრობის მუხლით.

„კოსტა კონკორდიას“ ბორტზე 4000-ზე მეტი ადამიანი იმყოფებოდა. ხომალდმა კატასტროფა 2012 წლის იანვარში განიცადა. სამაშველო ოპერაცია რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, თუმცა ყველა მგზავრის გადარჩენა ვერ შეძლეს.



SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის პრეზიდენტის 2011 წლის 9 იანვრის ბრძანებით, განისაზღვრა ის ტერიტორიები, რომელთა შესყიდვაც აეკრძალათ უცხოელებს. ამ სიაში აღმოჩნდა რუსეთის 380 რეგიონული ქვედანაყოფი; მათ შორის, შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის საზღვრები, ქალაქი კალინინგრადი და მის ახლოს მდებარე სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწები. უცხოელებს, აგრეთვე, ეკრძალებათ უკრაინასთან მოსაზღვრე ქალაქ ბელგოროდის მიმდებარე ტერიტორიებისა და ქალაქ სოჭისა და აზოვის ზღვასთან მოსაზღვრე მიწების შეძენა. გრძელ ჩამონათვალში გვხდება ასევე აკრძალვა კრასნოდარისა და კავკასიის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე.**

**იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე მიწის კანონის განხილვას მწვავე კამათი მოჰყვა. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა პაატა კოღუაშვილმა უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის წესი გააპროტესტა და მოითხოვა, წარმოედგინათ ეკონომიკური ანალიზი, რომლის მიხედვითაც ეს კანონპროექტი იყო მომზადებული. იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის — ალექსანდრე ბარამიძის განცხადებით, ეკონომიკური ანალიზი ეკონომიკის სამინისტრომ მოამზადა.**
**მას კოღუაშვილმა უპასუხა, რომ ეკონომიკის სამინისტროს ამ საკითხზე არავითარი ანალიზი არ გაუკეთებია და „ბარამიძის განცხადება დემაგოგიაა“. ამ რეპლიკის გამო, პირწავარდნილმა რესპუბლიკელმა, იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ პაატა კოღუაშვილი დარბაზიდან გააძევა...**

# «ДА ТЫ ЧТО, СУКИН СЫН, САМОЗВАНЕЦ, КАЗЕННЫЕ ЗЕМЛИ РАЗБАЗАРИВАЕШЬ?!»



**გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ბატონი პაატა კოღუაშვილის გამოსვლის სტენოგრამიდან:**

„არაფერი აქვს გაკეთებული ეკონომიკის სამინისტროს, ძალიან კარგად ვიცი.... მომეცით დასაბუთება იმ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებისა, რომელთა გამოც ასხვისებთ მიწებს. ვერ დამიდებთ ამას იმიტომ, რომ ამის საბაზისო განათლება არ გაგაჩნიათ და პრაქტიკა არ გაქვთ. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ძვირფასო სანდრო, თქვენც, ვახტანგ, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერმინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, გამოგიგზავნეთ მიმართვა წიგნის სახით, დისკეტის სახით, უკვე ათი რიცხვია, გავიდა ვადა, ჩვენ ველოდებით პასუხს ამ საკითხზე... დასავლური კანონმდებლობა და მაღალგანვითარებადი დემოკრატიული ქვეყნები უარყოფითად არიან განწყობილნი იურიდიული პირებისთვის მიწის მიცემაზე, არ აძლევენ პრაქტიკულად. მე გამოგიგზავნეთ ეს ყველაფერი, არ თქვათ, არ მომივიდაო. აგერ ძვირფას გიგლასაც (გიგლა აგულაშვილი — აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე. — რედ.) აქვს ეს ყველაფერი, ნახეთ, ვინ აძლევს მიწას იურიდულ პირს. იმიტომ, რომ იქ არის ყველაზე დიდი საფრთხე სპეკულაციისა, იქ არის ყველაზე დიდი საფრთხეები ჩადებული, რატომ აკეთებთ ამას, რისი გულისთვის?! რა ჩანაწერია ეს იურიდიული პირი, ესე იგი, საჯარო იურიდიულ პირსაც აქვს მიწის შეძენის უფლება?

...ეს, რაც გაქვთ თქვენ, რეალურად არის აყრის სტრატეგია ქართველი გლეხისა სოფლიდან. არ გამოვა ასე, ამ კანონის მიღება არ შეიძლება. მოდით, შევიკრიბოთ, წყნარად, მშვიდად დავჯდეთ, დავასაბუთოთ ეს ყველაფერი... არ ვარგა, ძმებო, ეს. ეს კანონი არ არის ის, რაც უნდა მივიღოთ...

ჩვენ შევისწავლეთ ახალი ზელანდიის, ავსტრიის, დანიის კანონმდებლობა, ასეთი კანონმდებლობა უნდა ჩავდოთ აქ, აბა, თუ გაბედავს ვინმე რამეს. რად გინდათ, იყოთ ლიბერალები, ლიბერალები კი არა, ეროვნულები უნდა ვიყოთ. ეს ურთულესი თემაა. მიწათმოქმედების სტატუსი გვინდა, ვერ გავაგებინე სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მიიღო ეს და ახლა გაიძახიან, ფერმერის სტატუსიო, ეს სტატუსი უნდა ჰქონდეს, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს, ამაშია საქმე, სანდრო. დავჯდეთ, უფასოდ, უსასყიდლოდ და დავილაპარაკოთ... მხოლოდ საქართველოს გადასაწყვეტია მისი ქვეყნის კანონმდებლობის სტრუქტურა, იცოდე, სანდრო, ეს. არავინ გვაძალებს, ჩავიდინოთ ასეთი რამე.

ვახტანგ, როდესაც დემაგოგია მესმის, როცა ტყუილები მესმის, რა ვუპასუხო უპასუხო არსებებს, სანდრო, ყოჩაღ შენ!“ — აი, ასეთი მწვავე გამოსვლა ჰქონდა ბატონ პაატას ქართველი ერისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხზე — უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის კანონპროექტზე, მაგრამ არც იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტან ხმალაძემ, არც იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე ბარამიძემ და არც აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა ყურად არ იღეს პროფესორ პაატა კოღუაშვილის პროტესტი, რომ ზემოაღნიშნული კანონპროექტი ქართველი გლეხის და, საერთოდ, ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედებდა. შედეგად, პაატა კოღუაშვილს, რომელმაც კანონპროექტის ავტორები არაკომპეტენტურობასა და საბაზისო ცოდნის უქონლობაში დაადანაშაულა, სხდომა დაატოვებინეს. როგორც ჩანს, იმ პირებს, რომლებიც ქართველი ერისთვის უაღრესად მავნე კანონპროექტის დამტკიცებას ცდილობენ, დავალება გარე ძალებისგან აქვთ მიღებული და არაფრის გაგონება არ სურთ...

**რესპუბლიკელებისგან ანტიქართული დემარშები გასაკვირი არ არის, არც ბატონი ხმალაძის საქციელი იყო მოულოდნელი, უბრალოდ, ამ სცენამ გამახსენა სცენა ლეონიდ გაიდაის გენიალური ფილმიდან „ივანე ვასილის ძე პროფესიას იცვლის“, როდესაც შეუდარებელი ლეონიდ კურავლიოვის გმირი მიმართავს ფსევდო ივანე მრისხანეს, რომელმაც სამეფოს მიწა გაასხვისა: „Да ты что, сукин сын, самозванец, казенные земли разбазариваешь?!“**

**თუ გავითვალიწინებთ, რომ პროფესორი კოღუაშვილი ამ საკითხისადმი ღრმა მეცნიერულ, სახელმწიფო ინტერესებისადმი შესაბამის მიდგომასა და კანონმდებლობაში ქართული მიწების განიავებისგან დამცავი მექანიზმების შეტანას მოითხოვდა, დარბაზიდან მის გამძევებელს მართლაც უნდა ვკითხოთ: „რას სჩადი, ძაღლისშვილო, თვითმარქვიავ, სახელმწიფოს მიწებს ანიავებ?“**

**ეპითეტი „თვითმარქვია“ აქ სრულიად ზედგამოჭრილია, რადგან, რომ არა ბიძინა ივანიშვილის ახირება, კოალიციაში შეეყვანა ოდიოზური რესპუბლიკური პარტია, ბატონი ხმალაძე საპარლამენტო კომიტეტის თავჯდომარის სავარძელს ისევე ვერ იხილავდა, როგორც საკუთარ ყურებს...**

**რესპუბლიკელებს უყვართ პოზიორობა — აქაოდა, საქართველოში მოწინავე დასავლური გამოცდილების დამნერგავები ვართ და ჩვენი პარტია ქვეყნის განვითარების ავანგარდიაო... მათი ამ მორიგი სიყალბის დასტურად შემოგთავაზებთ ინფორმაციას, როგორ არის რეგულირებული უცხოელ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე მიწის გადაცემის საკითხი ევროკავშირისა და ზოგიერთი სხვა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში, შემდეგ კი თვითონვე განსაჯეთ, რა იყო თვითმარქვია ხმალაძის მიერ კომიტეტის სხდომიდან ღვაწლმოსილი მეცნიერის გაძევების მიზეზი.**

**თუ გავითვალისწინებთ, რომ პროფესორი კოღუაშვილი ამ საკითხისადმი ღრმა მეცნიერულ, სახელმწიფო ინტერესებისადმი შესაბამის მიდგომასა და კანონმდებლობაში ქართული მიწების განიავებისგან დამცავი მექანიზმების შეტანას მოითხოვდა, დარბაზიდან მის გამძევებელს მართლაც უნდა ვკითხოთ: «რას სჩადი, ძაღლისშვილო, თვითმარქვიავ, სახელმწიფოს მიწებს ანიავებ?»**

**როგორ არის რეგულირებული უცხოელ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე მიწის გადაცემის საკითხი ევროკავშირისა და ზოგიერთი სხვა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში**

## ავსტრია

ავსტრიაში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება მიწის შესახებ ცალკეული კანონებით. მაგალითად, ერთ-ერთი მიწის (ბურგერლანდის) კანონით, „უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ“, უცხოელს უძრავი ქონების შესაძენად სჭირდება ნებართვა (§13). ნებართვა კი, თავის მხრივ, შეიძლება მიიღოს, თუ „სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური“ ინტერესები არ იქნება შელახული და თუ:

***არსებობს მიწის (ბურგერლანდის) ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული ინტერესი;**

***უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე, სულ ცოტა, 10 წელი ლეგალურად, კანონიერად იმყოფება და მისი შენაძენით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა ინტერესი არ ილახება;**

**თუ უცხოელს (მათ შორის არ განიხილებიან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეები) ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა სურს, ზემოთ მოცემულ ნებართვასთან ერთად სჭირდება დამატებითი ნებართვა, რომელიც გაიცემა სპეციალური კომისიის მიერ (rundverkehrskommission) (§8).**

დაახლოებით ანალოგიური მოთხოვნებია ავსტრიის სხვა მიწების კანონმდებლობებითაც, მაგალითად, ობეროსტერრაიხის (OBEROSTERREICH) კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ უცხოელის მიერ ყოველგვარი ქონების შეძენა (ყიდვით, ჩუქებით ან გაცვლით) არ საჭიროებს ნებართვას, მაგრამ უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის (1 ჰექტარზე მეტის) არათუ შეძენას, არამედ იჯარით აღებასაც კი სჭირდება სპეციალური ნებართვა.

**უძრავი ქონების შეძენის ნებართვას უცხოელი მიიღებს, თუ:**

*** აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომლებსაც საკუთრების შეძენისას ქვეყნის მოქალაქეც აკმაყოფილებს;**

***თუ არ იქნება შელახული ავსტრიის კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და საჯარო ინტერესი ან უსაფრთხოება;**

*** არ იქნება შელახული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესები.**

## დანია

დანიაში, მისი კანონმდებლობის გარეგნული ლიბერალური ხასიათის მიუხედავად, უძრავი ქონების შეძენა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. უძრავი ქონების შეძენა განსაკუთრებით რთულია არარეზიდენტებისთვის. მათ დანიაში არ შეუძლიათ, შეიძინონ ქონება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

***არიან ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები და იურიდიული პირები და მუშაობენ ან საქმიანობენ დანიაში;**

***არიან არაევროკავშირის რომელიმე სახელმწიფოს (არა — ევროკავშირის) მოქალაქეები და ბოლო 5 წლის განმავლობაში რეგისტრირებულნი არიან დანიაში, როგორც რეზიდენტები;**

*** მოპოვებული აქვთ ნებართვა დანიის იუსტიციის სამინისტროსგან.**

მაგალითად, თუ დანიაში ჩასულ სხვა ქვეყნის მოქალაქეს ან იურიდიულ პირს ბოლო 5 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი არ აქვს, დანიის იუსტიციის სამინისტროს ნებართვის გარეშე მიწას ვერ შეიძენს.

დანიის კანონმდებლობა განსაკუთრებით მკაცრია დასასვენებელ ადგილებში სახლების შეძენისას. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია ზღვის სანაპიროზე, სადაც მოქმედი სპეციალური შემზღუდავი წესები „ანტიგერმანული წესებითაა“ ▶

**აშშ-ის ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციასა და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ მიწის შესყიდვა. ირლანდიაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო იმისათვის, რომ მიწის შემძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახებისა (ფრანგი ერის სიამაყის საგანი) და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა.**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ცნობილი. ეს რეგულაციები შემუშავებულია სანაპირო ზოლში გერმანელების მიერ საკუთრების შეძენის შესაზღუდავად.

## შვეიცარია

შვეიცარიაში უცხოელების მიერ მიწის შეძენა დაშვებულია, მაგრამ მხოლოდ ნებართვის აღების პირობით. შვეიცარიის ფედერალური კანონი უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ პირველი მუხლით ადგენს ამ კანონის მიზანს: **„უცხოეთში მცხოვრებთა მიერ შვეიცარიის მიწის შეძენა შეზღუდულია, რათა თავიდან იქნეს აცილებული შვეიცარული მიწის „გაუცხოება“.**

ამ კანონით შეზღუდვები ძირითადად იმ პირებზე წესდება, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ, და არა იმ უცხოელებზე, რომლებიც შვეიცარიაში კანონიერად ცხოვრობენ.

საინტერესოა, რომ კანონის მე-5 მუხლის „c“ პუნქტით გამოყოფილი არიან უცხოეთში მცხოვრები ის პირები, რომლებსაც ამა თუ იმ ქვეყანაში „განსაკუთრებით კარგი“ მდგომარეობა აქვთ. მე-6 მუხლი კი განმარტავს, რა იგულისხმება „განსაკუთრებით კარგ“ მდგომარეობაში. ამ განმარტების თანახმად, აქ იგულისხმებიან ფინანსურად განსაკუთრებით კარგი მდგომარეობის უცხოელები ან რომელიმე ქვეყანაში საარჩევნო ხმათა უმრავლესობის მფლობელი, ან სხვა განსაკუთრებული სტატუსის ადამიანები. კანონით მათზე მიწის შეძენის ნებართვის გაცემა შესაძლებელია, მაგრამ კანონი ამ ადამიანებს განსაკუთრებულ კატეგორიად განიხილავს.

## ლატვია

კანონმდებლობის შესაბამისად, ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოს მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს **ლატვიის მიწისა და ტყის შეძენა არ შეუძლიათ.**

## თურქეთი

თურქეთის კანონმდებლობით, უცხოელისთვის მიყიდული მიწა არ უნდა აღემატებოდეს 2.5 ჰექტარს (გამონაკლის შემთხვევაში, 30 ჰექტრამდე არის შესაძლებელი). მემკვიდრეობით მიღებულ მიწაზე კი შეზღუდვა არ არსებობს.

## არგენტინა

**არგენტინაში განსაზღვრულია ნაყოფიერი მიწის ის ოდენობა, რომელიც შეიძლება შეიძინონ უცხოელებმა და იმ იურიდიულმა პირებმა, რომელთა წილების 51% უცხოელთა ხელშია (მხოლოდ 1.000 ჰექტარი). უცხოელთა საკუთრებაში შეიძლება იყოს არგენტინის ტერიტორიის 20%.** არგენტინის პრეზიდენტი კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერი თავის კანონპროექტს მიწის უცხოელთა საკუთრებაში გადაცემის შემოფარგვლის აუცილებლობას შემდეგნაირად ასაბუთებდა: „არგენტინა არ არის პირველი ქვეყანა, რომელიც მსგავს რეგულაციას აწესებს. ასეთივე აქვს ბრაზილიას, კანადას, აშშ-სა და საფრანგეთს. შეზღუდვა დაწესებული აქვს სხვა განვითარებულ ქვეყნებსაც“. ეს ტენდენცია სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ძირითადად იმაზეა დაფუძნებული, რომ მიწის რესურსი შეიძლება ამოიწუროს და მისი უცხოელის ხელში გადასვლა სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე მოქმედებს.

## გერმანია

გერმანიის კანონმდებლობით, უცხოელებს მიწის შეძენაზე ისეთივე შეზღუდვები აქვთ დაწესებული, როგორიც გერმანიის მოქალაქეებს. **სასოფლო-სამეურნეო მიწის შესაძენად აუცილებელია განცხადების წარდგენა, რომელშიც აღწერილი და დასაბუთებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწის განვითარების გეგმა; აგრეთვე, ის წინაპირობა, რომ ფიზიკური პირი, რომელიც იძენს მიწის ნაკვეთს, უნდა იყოს 18 წლის,** მიუხედავად იმისა, უცხოელია თუ გერმანიის მოქალაქე. გერმანიაში საკმაოდ ფრთხილია მიდგომა სასოფლო-სამეურნეო მიწის არასათანადო გამოყენების მიმართ, ნებისმიერის — მოქალაქისა თუ არამოქალაქის მიერ, ამიტომ ასეთი ნებართვის მოპოვება სპეციალური კომისიის თანხმობის გარეშე შეუძლებელია.

## რუმინეთი

მოქალაქეობის არმქონე ან უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს რუმინეთში მიწის შეძენა მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად შეუძლიათ, ნაცვალგების პრინციპით.

ეს ნიშნავს, რომ რუმინეთში უცხოელს მიწის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, შეძენა შეუძლია ქვეყნებს შორის შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში და იმ პირობის გათვალისწინებით, თუ მეორე ქვეყანა რუმინეთის მოქალაქეებს ანალოგიურ უფლებას მისცემს.

ევროკავშირის სახელმწიფოების მოქალაქეებს, რომლებსაც საცხოვრებელი აქვთ რუმინეთში და იურიდიული პირებს, რომლებიც ამ ქვეყანაში არიან რეგისტრირებულნი, სასოფლო-სამეურნეო მიწის შესაძენად აქვთ იგივე უფლებები, რაც რუმინეთის მოქალაქეებს. იმ „ევროკავშირელ უცხოელებს“ კი, რომლებიც რუმინეთში არ ცხოვრობენ, მიწის შეძენა შეუძლიათ მხოლოდ სპეციალური ნებართვის მიღების შემთხვევაში.

ევროკავშირის ქვეყნების გარდა, სხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის კანონი არ შეცვლილა. მათ, ისევე, როგორც 2007 წლამდე (რუმინეთის ევროკავშირში გაწევრებამდე), დღესაც არ აქვთ რუმინეთში მიწის ნაკვეთის შეძენის უფლება.

## რუსეთი

რუსეთში დაახლოებით 400 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა. მათგან 129 მილიონი ჰექტარი კერძო საკუთრებაშია, დანარჩენი კი — სახელმწიფოს საკუთრებაში. 2006 წლამდე რუსეთში არსებობდა აკრძალვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვაზე უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ. რადგან რუსეთში ძალიან დიდია გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი, 2006 წელს გაუქმდა აკრძალვა უცხოელებზე. უცხოელს შეუძლია, რუსეთში იყიდოს სასოფლო-სამეურნეო მიწა იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც ქვეყნის მოქალაქეზე ვრცელდება. ფედერაციის სუბიექტების კომპეტენციაა, დაადგინოს მაქსიმუმი იმ მიწისა, რომელიც შეუძლია შეიძინოს ერთმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა.

ზოგადი შეზღუდვა უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენისა რუსეთის კანონმდებლობით არ არსებობს, გარდა ერთი გამონაკლისისა. **აკრძალულია სასაზღვრო ტერიტორიასთან არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისება. რუსეთის პრეზიდენტის 2011 წლის 9 იანვრის ბრძანებით, განისაზღვრა ის ტერიტორიები, რომელთა შესყიდვაც აეკრძალათ უცხოელებს. ამ სიაში აღმოჩნდა რუსეთის 380 რეგიონული ქვედანაყოფი. მათ შორის, შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის საზღვრები, ქალაქი კალინინგრადი და მის ახლოს მდებარე სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწები. უცხოელებს, აგრეთვე, ეკრძალებათ უკრაინასთან მოსაზღვრე ქალაქ ბელგოროდის მიმდებარე ტერიტორიებისა და ქალაქ სოჭისა და აზოვის ზღვასთან მოსაზღვრე მიწების შეძენა. გრძელ ჩამონათვალში გვხვდება ასევე აკრძალვა კრასნოდარისა და კავკასიის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე.**

## ბულგარეთი

ეს ქვეყანა ბუნებრივი და ინფრასტრუქტურული პირობებით საქართველოს მსგავსია. **ბულგარეთში უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ ისინი ბულგარეთში დაარეგისტრირებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.** ეს რეგულაცია უცხოელ (არამოქალაქე) ფიზიკურ პირებს მიწის პირდაპირ შეძენას უზღუდავს, თუმცა იურიდიული პირის დაფუძნების შემდგომ პროცესი საკმაოდ მარტივდება.

მოქალაქეობის არმქონე უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბულგარეთში მიწის შეძენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ: თუ ისინი იმ ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომელთანაც ბულგარეთს 2007 წლის 1 იანვრის შემდეგ საერთაშორისო ხელშეკრულება აქვს დადებული; თუ ქონებას მიიღებს მემკვიდრეობით; თუ არის ევროკავშირის მოქალაქე, რომელსაც აქვს მუდმივი ადგილსამყოფელი ბულგარეთში; თუ არის ევროკავშირის თვითდასაქმებული ფერმერი და მიწას ბულგარეთში დასასახლებლად და სამუშაოდ ყიდულობს.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნებისთვის არსებობს ლიბერალური და „შინაურული“ რეგულირება, ხოლო არაწევრი ქვეყნებისთვის მოქმედებს ზემოთ მოცემული შეზღუდვები და მათ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა, ფაქტობრივად, არ შეუძლიათ.

## უნგრეთი

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ მიწის უცხოელთათვის გადაცემის შესახებ 4 გადაწყვეტილება მიიღო. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა მიწის საკუთრების ფუნქციები, რათა დაესაბუთებინა შეზღუდვები, რომლებიც მიწის შეძენასთან დაკავშირებით იყო შემოღებული **უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო მიწას განიხილავს, როგორც საკუთრების განსაკუთრებულ ობიექტს და, შესაბამისად, მასთან განსაკუთრებული სამართლებრივი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს. ის აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მხოლოდ მცირე რესურსი არსებობს და ის სხვა ღირებულებებით შეუცვლელია.** ამიტომ მიწის საკუთრების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი არის საჯარო ინტერესი. სასამართლოს აზრით, ტყეები და ნაყოფიერი მიწები ისტორიულად ერთობლივად, კოლექტიურად გამოიყენებოდა. ამიტომ ნაყოფიერ მიწებზე, ისევე, როგორც ტყეზე, საჯარო ინტერესი დღესაც არსებობს. უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ უცხოელებისადმი დაწესებული შეზღუდვა მიწის საკუთრებაში შეძენისა ლეგიტიმურად ჩათვალა.

## ესტონეთი

ესტონეთში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად დადგენილია ქვეყანაში ცხოვრებისა და აგრარულ სექტორში მოღვაწეობის ხანგრძლივობის ცენზი. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესაძენად საჭიროა შესაბამისი მუნიციპალიტეტის თანხმობა. ესტონეთის **კანონმდებლობით, განსაზღვრულია მთელი რიგი სასაზღვრო და სტრატეგიული ტერიტორიებისა, რომლის ფარგლებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიყიდვა უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის აკრძალულია.**

**უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო მიწას განიხილავს, როგორც საკუთრების განსაკუთრებულ ობიექტს და, შესაბამისად, მასთან განსაკუთრებული სამართლებრივი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს. ის აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მხოლოდ მცირე რესურსი არსებობს და ის სხვა ღირებულებებით შეუცვლელია**



## პოლონეთი

პოლონეთის კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქის, აგრეთვე, უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ან უცხო ქვეყნის მოქალაქეების კონტროლს დაქვემდებარებული სამეწარმეო საზოგადოებების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესაძენად სავალდებულოა საინვესტიციო გეგმის და მის განსახორციელებლად საჭირო ქონების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა. ასეთი **მიწის შეძენას სჭირდება შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობა. ამასთანავე, კანონით განსაზღვრულია მაქსიმალური ფართობი, რომლის შეძენაც უცხოელისთვის დასაშვებია.**

## აშშ და სხვა ქვეყნები

**აშშ-ის ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციასა და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ მიწის შესყიდვა.** ზოგ ტერიტორიაზე ეს პროცესი ირიბი მექანიზმებით არის უზრუნველყოფილი. **ახალ ზელანდიაში** შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რომლის მაგალითიც არის **ირლანდიის** კანონმდებლობა და რომლის მიხედვითაც, **ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო იმისათვის, რომ მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში** შეზღუდულია ვენახებისა (ფრანგი ერის სიამაყის საგანი) და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა. აშშ-ში 1978 წელს მიიღეს ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში უცხოური კაპიტალდაბანდებების შესახებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულაცია აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამასთანავე, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე (ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, აგრარული შრომის გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სათანადო კაპიტალის ფლობას და სხვ.). ამის შედეგია ის, რომ **აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც, ძირითადად, ევროპელები და კანადელები არიან.**

## დასკვნის მაგიერ

ფაქტები იძლევა საფუძველს, დავასკვნათ, რომ მხოლოდ **საქართველოს გადასაწყვეტია, როგორი უნდა იყოს კანონმდებლობა მისი მიწის შესახებ. ხელისუფლება კანონმდებლობას უნდა არეგულირებდეს ისე, რომ დაცული იქნას როგორც საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების, ასევე სახელმწიფოს ინტერესები.**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

ჩვეულებრივი ფაშიზმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ და დიდი ბრიტანეთი 1943 წლის მეორე ნახევრიდან საბჭოთა კავშირთან დაპირისპირებისთვის ემზადებოდნენ, ამუშავებდნენ გეგმებს, რომელთაგან ზოგიერთი გერმანელებთან ერთად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებას ითვალისწინებდა(!). უწინარეს ყოვლისა, ეს იყო გეგმა „რენკინი“, რომელიც ამერიკელებმა შეიმუშავეს და რომელიც ითვალისწინებდა, მესამე რაიხის მოულოდნელი კრახის შემთხვევაში, ვერმახტის ძალების გამოყენებით შეეჩერებინათ საბჭოთა ჯარების წინსვლა, საიდუმლო იარაღის — S-1-ის (ატომური ბომბის) გამოყენებაც რომ დასჭირვებოდათ ჩანაფიქრის განსახორციელებლად.**

# მაიდანიდან მაიდანეკამდე

**უფრო გასაგებად — კიევის „ღირსების“ რევოლუციის მაიდნიდან ლუბლინის ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკ მაიდანეკამდე.**
**პირიქითაც შეიძლება ითქვას: გააჩნია, რომელი კუთხით შეხედავ. მაიდანის მემარჯვენე სექტორის ულტრანაციონალისტური ვექტორი მაიდანეკის მიმართულებას გვიჩვენებდა.**
**ისტორიის უგულებელყოფით გონებადაჩლუნგებამ კი მაიდანეკიდან მაიდნამდე მიიყვანა უკრაინა.**
**მაქსიმალიზმია?**
**შეიძლება, ასეცაა, მაგრამ ის პროცესები, რომლებიც უკრაინაში მაიდნის ამბოხის შედეგად განვითარდა, მაინცდამაინც ასეთ დასკვნას უმაგრებს საფუძველს. სამწუხაროდ!**

ბავშვები მაიდანეკის კონცლაგერში



**მაიდანეკი** — ევროპაში სიდიდით მეორე ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკი, რომელიც ოკუპირებული პოლონეთის ტერიტორიაზე, ლუბლინის შემოგარენში ჰენრიხ ჰიმლერის ბრძანებით შეიქმნა 1941 წლის შემოდგომაზე.

თავდაპირველად ბანაკი 20-50 ათასი პატიმრისთვის იყო გათვალისწინებული, შემდგომ გააფართოეს. 250 ათასი ტუსაღი არაადამიანურ პირობებში იტანჯებოდა გარე სამყაროსგან მავთულხლართებით შემოსაზღვრულ ამ ჯოჯოხეთში, ძირითადად — საბჭოთა ტყვეები. მათ აქ უყრიდნენ თავს, გადმოჰყავდათ ზაქსენჰაუზენის, დახაუს, ოსვენციმის, ფლესენბურგის, ბუჰენვალდისა და სხვა საკონცენტრაციო ბანაკებიდან.

სიცოცხლის მოსპობის დახვეწილი სისტემა მასშტაბურად მოქმედებდა. **მხოლოდ მაიდანეკში, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ერთობლივი კომისიის დასკვნით, მილიონ-ნახევარი ადამიანი დაიღუპა.**

**„მაიდან-მაიდანეკის“ ჩათესლილი იდეოლოგიით უკრაინაში აზვირთებულმა სამოქალაქო ომმა, გერმანიის დაზვერვის მონაცემებით, უკვე 50 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.**

მინსკში გამართულმა ნორმანდიულმა სამიტმა (პუტინი, პოროშენკო, ოლანდი, მერკელი) სასაკლაოს შეწყვეტის იმედი გააჩინა.

**ევროპა გამოფხიზლდა, შეშფოთდა, როცა დიდი ომის საშიშროება რეალურად დაემუქრა ბებერ კონტინენტს.**

## „ბლიცკრიგი ნომერი ორი“

ჰიტლერის ბლიცკრიგი სტალინურ მეცხრე დარტყმად შემოუბრუნდა ფაშისტურ გერმანიას და მის მოკავშირე სატელიტ სახელმწიფოებს.

**ბლიცკრიგი** ელვისებური ომის თეორიაა, რომლის მიხედვით, გამარჯვების მოპოვება შეიძლება დღეების, კვირების ან თვეების განმავლობაში, ანუ მანამდე, ვიდრე მოწინააღმდეგე შეძლებს თავისი ძირითადი შეიარაღებული ძალების მობილიზებასა და დარაზმვას.

ამ თეორიით იხელმძღვანელეს ნაცისტებმა, როცა ვერაგულად დაესხნენ თავს საბჭოთა კავშირს და მოკლე დროში წარმატებასაც მიაღწიეს მესამე რაიხის ტერიტორიულ-პოლიტიკური ექსპანსიის თვალსაზრისით.

მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ფაშისტური არმიები წარმატების პიკზე იმყოფებოდნენ, ამერიკელმა მხედართმთავარმა, გენერალმა **დუგლას მაკარტურმა** განაცხადა, რომ „გერმანული არმიის ეს ტრიუმფი“ დროებითი იყო: „...ელვისებური ომით შეუძლებელია დამარცხება საკმაოდ მრავალრიცხოვანი ხალხისა, რომელიც ფლობს საკმარისად დიდ ტერიტორიას, სადაც უკანდახევას შეძლებს... **შემიძლია, ვიწინასწარმეტყველო, რომ რუსეთზე გერმანელების შეტევა კრახით დასრულდება. მალე თუ გვიან, ერთსა თუ მეორე ადგილზე უეჭველად შეეკვრება სუნთქვა და დაიხრჩობა“.**

მართალი აღმოჩნდა მაკარტური, მაგრამ ბოლომდე არა. რადგან ვერ გაითვალისწინა უკუქმედების ის ძალა, რომელიც ნაცისტურ გერმანიასა და მის ევროპელ მოკავშირეებს წამლეკავ ტალღად შემოუბრუნდებოდა.

ბლიცკრიგი მაინც შედგა, მაგრამ სწორედ გერმანიის წინააღმდეგ.

## საბჭოთა „ბლიცკრიგი“ ევროპაში

1944 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ცენტრალურ და სამხრეთ უბნებზე წითელი არმიის მიერ მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ დაიწყო შეტევა ოკუპირებული ბალტიისპირეთის გასათავისუფლებლად. „სტალინური მერვე დარტყმის“ დრო დადგა. პარალელურად ძალას იკრებდა აღმოსავლეთ კარპატებისა და ბელგრადის ოპერაციები, ანუ „მეცხრე დარტყმა“, უკრაინის მესამე ფრონტის ჯარებს იოსიპ ბროზ ტიტოს სახალხო-გამათავისუფლებელ არმიასთან ერთად უნდა გაეთავისუფლებინა იუგოსლავიის აღმოსავლეთი რაიონები და ბელგრადი.

აგვისტოს ბოლოს წითელი არმიის მოწინავე ნაწილებმა რიგიდან 60 კილომეტრის დაშორებით დაიკავეს პლაცდარმი და გამაგრდნენ. დაზვერვამ გამოავლინა მოწინააღმდეგის დაცვითი ზღუდის ყველაზე უსუსტესი ადგილი და მერვე მექანიზებულმა ბრიგადამ ამ მიმართულებით შეუტია.

ვეტერანი არტილერისტი **მარკ მარკოვიჩი** იხსენებს, რომ გაძლიერებულმა რაზმმა შაულიაის ჩრდილოეთით გაარღვია მტრის წინა ხაზი და ერთ დღე-ღამეში მტრის ზურგში 100 კილომეტრით წაიწია.

**მაიდან-მაიდანეკის ჩათესლილი იდეოლოგიით უკრაინაში აზვირთებულმა სამოქალაქო ომმა, გერმანიის დაზვერვის მონაცემებით, უკვე 50 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა**

**ერთ დღე-ღამეში — 100 კილომეტრით!**

სექტემბრის შუა რიცხვებში ბალტიისპირეთის სამი და ლენინგრადის ფრონტების ჯარებმა გადაკვეთეს აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარი.

წითელი არმია მესამე რაიხის ტერიტორიაზე გადავიდა!

შეტევა უპრობლემო არ იყო: მტრის ჯარების ისეთივე მასირებული დაბომბვა, როგორც ამას ზაფხულის კამპანიის დროს ახერხებდნენ (ოპერაცია „ბაგრატიონი“), შეუძლებელი აღმოჩნდა: ჭურვები შემოელია ჯარს. ვითარებას ტყიან-ჭაობიანი ადგილმდებარეობაც ართულებდა.

ოქტომბრის მეორე ნახევარში გერმანელთა სატანკო დივიზიებმა შეძლეს, დაემუხრუჭებინათ საბჭოთა შეტევა აღმოსავლეთ პრუსიაში. მაგრამ ვერმახტის საუკეთესო ნაწილები ველარ უმკლავდებოდნენ წითელარმიელთა შეტევას.

საბჭოთა ნაწილები რიგის ყურესთან გავიდნენ. მერვე ბრიგადის მეთაურმა, პოლკოვნიკმა კრემერმა დაუყოვნებლივ აცნობა ამის თაობაზე სარდლობას.

**კორპუსის სარდალმა, გენერალმა ობუხოვმა გასცა ბრძანება, ბალტიის ზღვის წყლით სავსე რამდენიმე ბოთლი, შესაბამისი წარწერით, თვითმფრინავით დაუყოვნებლივ გაეგზავნათ მოსკოვში.**

**სტალინს ისე მოეწონა ეს შეტყობინებაც და მისი მიწოდების ორიგინალური მეთოდიც, რომ პოლკოვნიკ კრემერს გენერალ-მაიორის ჩინი და საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ერთდროულად მიანიჭა.**

ძლიერი დარტყმით ქალაქ კლაიპედაზე პირველი ბალტიისპირეთის ფრონტის ჯარებმა გერმანელები რიგის რაიონიდანაც განდევნეს.

13 ოქტომბერს კლაიპედა გათავისუფლდა. გერმანელებს ესესელთა ელიტურმა ნაწილებმაც ვერ უშველეს. ამ ნაწილებში იქაურ მკვიდრთა საკმაო რაოდენობა იბრძოდა.

**ლატვიელთა ესესის დივიზიები უკუიქცნენ დიდი დანაკარგებით.**

**ვერც ესტონელთა მოხალისეები გამოირჩეოდნენ მესამე რაიხისადმი თავდადებული ბრძოლით: ერთი იყო დამსჯელი ექსპედიციების „წარმატებით“ განხორციელება რუსულ და ბელორუსულ სოფლებში, მეორე — წითელ არმიასთან შეტაკება.**

**ერთიცაა, თუ ესტონელებისგან ასე თუ ისე ყალიბდებოდა სამხედრო გაერთიანებათა მსგავსი რამ, ლიტველები ფრონტზე მოხვედრას გაურბოდნენ, როგორც შავ ჭირს.**

ლიტვის გენერალური კომისარი რაიხსფიურერ ჰიმლერს უპატაკებდა, რომ ლიტველები არასრულფასოვანი რასაა, არიან ზარმაცები, მშიშრები, პოლიტიკური თვალსაზრისით — პასიურები; როგორც კი გავრცელდება ხმები მოსალოდნელი მობილიზაციის თაობაზე, ტყეებში გარბიანო.

ოქტომბრის ბოლოს ჩრდილოეთის არმიის დაჯგუფების მთავარი ძალები — 38 დივიზიამდე — კურლანდიის ნახევარკუნძულზე საბჭოთა ჯარის ნაწილებმა ალყაში მოაქციეს. ასე შეიქმნა მსოფლიოში უდიდესი „შეიარაღებული სამხედრო ტყვეთა ბანაკი“. ამ ბანაკმა 1945 წლის მაისამდე შეძლო თავის გატანა, მაგრამ საომარ ოპერაციებზე უკვე გავლენას ვერ ახდენდა.

1944 წლის ბოლოს წითელი არმია ყველა მიმართულებით უტევდა.

## „მეცხრე დარტყმა“

შეტევა კარპატების მიმართულებით 8 სექტემბერს დაიწყო. მიზეზი აგვისტოს ბოლოს სლოვაკეთში სახალხო აჯანყების დაწყება იყო. აჯანყებას მეთაურობდნენ ადგილობრივი კომუნისტები, რომლებმაც, სამწუხაროდ, დაივიწყეს საბჭოთა სარდლობასთან ერთობლივი მოქმედების შეთანხმების აუცილებლობა.

გერმანელებმა აჯანყების ჩახშობა სისხლიანი რეპრესიებით დაიწყეს. მსხვერპლი იმდენად დიდი იყო, რომ წითელი არმიის სარდლობამ გადაწყვიტა, სლოვაკი ხალხის ეროვნული აჯანყების დასახმარებლად დაუყოვნებლივ შეეტია ფაშისტებისთვის.

უმძიმეს პირობებში უხდებოდათ ომი ჩვენს ჯარისკაცებს: მთები, ტყის მასივები შეუძლებელს ხდიდა ოპერატიულ მანევრირებას, ტანკებისა და ავიაციის ეფექტიან გამოყენებას. ამასთანავე, მთიან ადგილებში საბრძოლველად გაწვრთნილი ჯარის ნაწილები წითელ არმიაში არ არსებობდა.

მოწინააღმდეგის კარგად მომზადებული თავდაცვის ზღუდეების გადალახვა დამატებით პრობლემებს ქმნიდა.

**ყველაფრის მიუხედავად, 6 ოქტომბერს 38-ე არმიის ნაწილებმა სერიოზული დანაკარგებით გადალახეს დოკლენდის უღელტეხილი და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. წარმატება თითქოს გარანტირებული იყო, მაგრამ გერმანელებმა არა მხოლოდ გაუძლეს შემოტევას, არამედ ჩაახშეს სლოვაკების აჯანყება.**

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა გადაწყვიტა, შეეჩერებინა კარპატებზე შეტევა, მით უფრო, აჯანყებული სლოვაკების დახმარება უკვე შეუძლებელი იყო.

**გაცილებით წარმატებით მიმდინარეობდა ბელგრადის ოპერაცია, რომელსაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ინგლისს მიაჩნდა, რომ ეს რეგიონი მისი ინტერესების სფეროში უნდა დარჩენილიყო.** ბელგრადი 20 ოქტომბერს დაეცა, მაგრამ ბრძოლები იუგოსლავიისთვის ამით არ დამთავრებულა. საბჭოთა ჯარებსა და იუგოსლავიის გამათავისუფლებელი არმიის ნაწილებს ქვეყნის მთელი ტერიტორია გერმანელებისგან სრულად უნდა გაეწმინდა და, ამასთან, საბერძნეთიდან უკანდასახევი გზა მოეჭრა ჰიტლერელებისთვის.

მესამე უკრაინის ფრონტმა, რომელსაც გენერალი ტოლბუხინი სარდლობდა, ბელგრადის ოპერაციის წარმატებით დამთავრების შემდეგ, გერმანელთა ბუდაპეშტის დაჯგუფება ალყაში მოაქცია.

1944 წლის 9 ოქტომბერს მოსკოვში ჩავიდა უინსტონ ჩერჩილი, შეხვდა სტალინს და შეეცადა, რაც შეიძლება მეტი დათმობა მიეღო საბჭოთა ლიდერისგან: ომში მოკავშირეთა გამარჯვება უეჭველი ჩანდა და ჩერჩილი მსუყე ლუკმის გამოგლეჯას ცდილობდა გაერთიანებული სამეფოს სასარგებლოდ.

**აშშ და დიდი ბრიტანეთი 1943 წლის მეორე ნახევრიდან საბჭოთა კავშირთან დაპირისპირებისთვის ემზადებოდნენ, ამუშავებდნენ გეგმებს, რომელთაგან ზოგიერთი გერმანელებთან ერთად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებას ითვალისწინებდა(!).**

**უწინარეს ყოვლისა, ეს იყო გეგმა „რენკინი“, რომელიც ამერიკელებმა შეიმუშავეს და რომელიც ითვალისწინებდა, მესამე რაიხის მოულოდნელი კრახის შემთხვევაში, ვერმახტის ძალების გამოყენებით შეეჩერებინათ საბჭოთა ჯარების წინსვლა, საიდუმლო იარაღის — S-1-ის (ატომური ბომბის) გამოყენებაც რომ დასჭირვებოდათ ჩანაფიქრის განსახორციელებლად.**

აი, რა ჩაწერა თავის დღიურში აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჰენრი სტიმსონმა პრეზიდენტ რუზველტთან საუბრის შემდეგ 1944 წლის აგვისტოს მიწურულს: **„აუცილებელია ქრისტიანული ცივილიზაციის წიაღში რუსეთის დაბრუნება. S-1-ის შესაძლო გამოყენება დაგვეხმარება ამაში“.**

უინსტონ ჩერჩილი იცნობდა „ქრისტესმოყვარული“ ამერიკელი მეგობრების გეგმებს, მაგრამ, ვიდრე S-1 — ატომური ბომბი — ჯერ მხოლოდ ფიზიკოსთა ნაშრომების თეორიულ შესაძლებლობად რჩებოდა, მზად იყო, „ურადიაციო ევროპა“ მაქსიმალურად მიეთვისებინა.

ამ თემატიკას რომ გავყვეთ, ავცდებით დღე- ▶

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლე, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე და აქტიური რესპუბლიკელი, დეპუტატი თინა ხიდაშელი პირადად აწარმოებს მოლაპარაკებებს ცალკეულ დეპუტატებთან, რათა მათ ხმა მერაბ ქათამაძეს მისცენ.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ვანდელი პუბლიკაციის მთავარ აქცენტს.

**მოკლედ ვთქვათ: შექმნილი ვითარება დაჟინებით უბიძგებდა სტალინს ევროპის „ბლიცკრიგისკენ“, მით უფრო, რომ ომის იმ ეტაპზე ქვეყნის ჩრდილოეთის განაპირა რაიონები მტრის ხელში რჩებოდა.**

კირკენესის მიმართულებით ბრძოლები 1944 წლის 7 ოქტომბერს დაიწყო. იმიერპოლარეთში შეტევები უმძიმეს მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა და სისწრაფით არ გამოირჩეოდა: უდიდესი ძალისხმევა იყო საჭირო ბუნებისა და მტრის წინააღმდეგობათა გადასალახავად. ზოგიერთ შემთხვევაში წითელი არმია დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ 4-5 კილომეტრით მიიწევდა წინ.

განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები გაიმართა ლოუსტარის დასახლებულ პუნქტთან, რომლის მახლობლად მდებარეობდა აეროდრომი, რომელზეც დისლოცირებული იყო გერმანული ავიაციის ნაწილი. სწორედ აქედან აფრენილი ბომბდამშენები უმძიმეს დარტყმას აყენებდნენ გემების ქარავანს, რომელსაც მურმანსკის ნავსადგურში მიჰქონდა ლენდ-ლიზით მიღებული ამერიკული დახმარება.

12 ოქტომბერს დიდი მსხვერპლის ფასად აღნიშნული დასახლებული პუნქტიდან, რომელსაც დღეს პეჩენგა ეწოდება, გაყარეს გერმანელები. ამ ბრძოლაში ასობით წითელარმიელი დაიღუპა.

საბჭოთა ჯარი ნორვეგიის საზღვარს მიუახლოვდა. გერმანელთა წინააღმდეგობა გაძლიერდა. ჰიტლერის ბრძანების თანახმად, საბჭოთა შეიარაღებული ნაწილების შესვლა ნორვეგიაში არ უნდა დაეშვათ, რადგან აქ იყო ვოლფრამის საბადო, მოიპოვებდნენ შეიარაღების მწარმოებელი ქარხნებისთვის ფასდაუდებელ ნედლეულს, ხოლო ფიორდებში წყალქვეშა ნავების ბაზები იყო განლაგებული. მათგან უდიდესი — კირკენესი.

**18 ოქტომბერს წითელმა არმიამ ნორვეგიის საზღვარი გადალახა და გარდაუვალი დაღუპვისგან იხსნა 3125 ნორვეგიელი, რომელთა აფეთქება სამუშაო ადგილზე — მაღაროებში ჰქონდათ გადაწყვეტილი გერმანელ ფაშისტებს.**

კირკენესი 25 ოქტომბრის დილის 10 საათზე იქნა გათავისუფლებული.

მას შემდეგ, სამოცდაათ წელზე მეტია, არავის დაურღვევია მეთევზეთა და გემთმშენებელთა ამ პატარა ქალაქის სიმშვიდე.

1944 წლის ბოლოს აშკარა გახდა, რომ ფაშისტურ გერმანიას ველარავითარი სასწაული ვერ უშველიდა.

ათი სტალინური დარტყმა იყო ის სტრატეგია, ის „ბლიცკრიგი“, რომელმაც გამარჯვება მოიტანა.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. თანამედროვე ევროპის ლიდერებს, როგორც ჩანს, ამ „ბლიცკრიგის“ ისტორიის გახსენებამ და აღმოსავლეთიდან მისი განვითარების შესაძლებლობამ (ვაი, თუ!) უბიძგა უკრაინის კონფლიქტის დიდ ომად გადაქცევის თავიდან ასაცილებელი ინიციატივით გამოსვლა.**

**უკრაინის სამოქალაქო ომში ცეცხლი შეწყდა.**

**დიდი ხნით?**

# კომუნიკაციები — კალაშნიკოვი და ხიდაშელის დესანტი

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. კანდიდატებმა გაიარეს გარკვეული ეტაპები და ახლა პარლამენტის საბოლოო გადაწყვეტილებას ელიან. საზოგადოების ერთმა ნაწილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის “მეორე არხის” მეშვეობით უკვე ნახა და შეაფასა ცხრავე კანდიდატის შესაძლებლობა, როდესაც მათ დარგის განვითარებაზე თავიანთი თვალსაზრისი წარუდგინეს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს. მათ ასევე ჰქონდათ საკმარისი დრო და შესაძლებლობა, აეხსნათ, რამ უბიძგათ, გადაედგათ ასეთი სარისკო ნაბიჯი, რადგან დასამალი არ არის: ეროვნული კომისიის წევრობა მხოლოდ დარგის ცოდნას როდი გულისხმობს, აქ კანონითაა განსაზღვრული საზოგადოებრივი ნდობისა და აღიარების მნიშვნელოვანი ფაქტორიც.**



ყურადღებიანი მაყურებელი აუცილებლად შეამჩნევდა, რომ კანდიდატთა გარკვეულ ნაწილს სწორედ ამ მოთხოვნასთან აქვს ერთგვარი უხერხული დამოკიდებულება. საზოგადოებრივი ნდობა და აღიარება ოჯახს, ნათესაობასა და ნაცნობ-მეგობრობაზე გაცილებით შორს გაცდენილი ცნებაა. **სწავლა-განათლება და საზღვარს მიღმა რამდენიმედღიან ტრენინგებზე მიღებული, ჩარჩოში ჩასმული სერთიფიკატები საქვეყნო ნდობა-აღიარების გარანტი როდია; მით უფრო მაშინ, თუ ამ ყველაფერს სპეციალური შეფუთვისა და შეცდომაში შეყვანის სურნელი ასდის.**

საკომიტეტო მოსმენაზე ერთ-ერთმა კანდიდატმა **მერაბ ქათამაძემ** განაცხადა, რომ საკუთარ წარსულს ზურგი აქცია, საგამომცემლო საქმიანობას წერტილი დაუსვა და ახლა სხვა რელსებზე შედგა. „პირდაპირ გეტყვით, წარსულზე გული არ მწყდება“, — ასე უპასუხა მან კომიტეტის თავმჯდომარეს და იქვე დასძინა, ჩემი ბილიკი ამჟამად კომუნიკაციების ეროვნული კომისიისკენ მიიკლაკნება, რადგან ამ ორგანიზაციის წარსულ დანაშაულს ვიძიებდი და შედეგებით ძალზე უკმაყოფილო ვარო. ქათამაძეს თავისი წარსული არაფრად ულირს და იოლად შეელია, სამაგიეროდ, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარსული ადარდებს და ღელავს. ძნელი დასაჯერებელია უწარსულო კაცისგან სხვათა წარსულზე ნერვიულობა, მაგრამ, რადგან თვითონ აღარ ახსოვს და გონებიდან ამოიშალა, ჩვენ შევახსენებთ რამდენიმე ეპიზოდს მისი მცირედ ჰეროიკული წარსულიდან.

**ქათამაძე წარსულში საგამომცემლო საქმეს ეწეოდა, ქართული სიტყვაკაზმულობის სამსახურში იყო ჩამდგარი. ცალ ხელში — კალმით, მეორეში კი „კალაშნიკოვით“ ძერწავდა და აყალიბებდა ქართულ წიგნიერებას.** „კალაშნიკოვი“ სიტყვის მასალად როდი მოვიშველიეთ. ეს ლეგენდარული ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღი ორგანიზაცია „მხედრიონისთვის“ უსაყვარლესი იყო წლების განმავლობაში, ხოლო, **რადგან ქათამაძე ორგანიზაცია „მხედრიონის“ ჟამთააღმწერელია და მისი სულის ჩამდგმელის, ბატონ ჯაბა იოსელიანის პირადი გამომცემელიც გახლდათ, იარაღის სიყვარულიც, როგორც ჩანს, მაშინ გაუჩნდა პირველად. მართალია, მომდევნო რევოლუციურ წლებში ამ სიყვარულმა და ორ-ორი იარაღის ტარებამ ციხის კარამდეც კი მიიყვანა, მაგრამ... ქათამაძე გმირულად ჩაჯდა საპყრობილეში და ორი დღის შემდეგ პოლიტპატიმრად დაუბრუნდა მამულს, ენასა და სარწმუნოებას.**

„პირდაპირ გეტყვით, წარსულზე გული არ მწყდება“, — სად ცრუობს ქათამაძე — წარსულს რომ იშლის გონებიდან მაშინ თუ — საპარლამენტო კომიტეტს როცა მიმართავს? **ქათამაძე არ ცრუობს. ის გულწრფელია. მას ზურგს საზოგადოებრივი ნდობა და აღიარება არ უმძიმებს, მას წარსულის შტრიხები, უბრალოდ, არ მოსწონს და საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს ფიცს აძლევს, რომ, თუ აირჩევენ, უკან აღარასდროს მიიხედავს, მხოლოდ წინ — კომუნიკაციების ნათელი მომავლისკენ ივლის, იდეოლოგიურ შეხედულებებს აღარ შეიცვლის და, რაც უნდა ტანჯონ, აწამონ, უფრო სუსტიდან შედარებით მომძლავრებულ პარტიაში არ გადაირბენს. და, რაც მთავარია, ხაზგადასმული წარსულის მიუხედავად, დაამუშავებს და გამოსცემს „მშვიდობით, იარაღოს“.** სიმბოლური თვალსაზრისით, ცხადია, აქ ისიც არ არის დასავიწყებელი, რომ აღნიშნული კანდიდატი ინჟინერ-სისტემოტექნიკოსია, მაუწყებლობის შესახებ კანონი კი ასეთ სპეციალობას არ ცნობს, ის ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს: **კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრი უნდა იყოს ან კავშირგაბმულობის სპეციალისტი, ან ეკონომისტი, ან მართვის დარგის წარმომადგენელი, ანდაც ჟურნალისტი. ვინ არის ამ დროს ქათამაძე? წარსულის უარმყოფელ-წიგნის გამომცემელ-მხედრიონელ-ინჟინერსისტემატექნიკოსი კაცი, რომელიც ახალ რელსებზე დადგა და პარლამენტისგან მწვანე შუქნიშნის ჩართვას ითხოვს.**

სხვათა შორის, დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნა ჯერაც არ იყო გაციებული, რომ **ქათამაძე ამ კომისიის თავმჯდომარის კონსულტანტობიდან კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარის კონსულტანტად გადაისროლეს. სანდო წყარო აცხადებს, რომ ეს უშუალოდ რესპუბლიკური პარტიის დედა-ლიდერის — თინათინ ხიდაშელის ტრადიციული ახირება იყო.** ხიდაშელის ვნებები მარეგულირებელი კომისიის მიმართ ცნობილია. მას იქ ძალზე მასშტაბური გეგმები გააჩნია. საამისოდ საკმარისი მხოლოდ საგამოძიებო კომისია, ცხადია, ვერ იქნებოდა, ამიტომაც დადგა დღის წესრიგში ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებული კომისიის დამოუკიდებელ ტერიტორიაზე დესანტის გადასმის საკითხი, რათა ციხე შიგნიდან გატეხილიყო.

ეს დესანტი ქათამაძეა.

წყარო, რომლის სანდოობაც უტყუარია, იუწყება, რომ **დესანტი ქათამაძე კომისიაში მისვლისთანავე ციხის გატეხვას კომისიის წევრების ხიდაშელთან დასმენით შეუდგა. მეორე, რაც მისი თვალთახედვის არეში მოხვდა, თანამშრომელთა პროფესიონალიზმი და ორგანიზაციის ბიუჯეტი იყო.** შეგახსენებთ: ქათამაძე ხიდაშელის დესანტია. ის კონსულტანტად დანიშნეს და საკმაოდ მაღალი ჯამაგირი დაუნიშნეს. პარალელურად, არასამთავრობოებისთვის გასაიდუმლოვდა მისი საპრემიო ისტორია და წინა პლანზე წაიწია ქათამაძის თვისებამ, წერტილი დაუსვას საკუთარ წარსულს, გარდა ორდღიანი პოლიტპატიმრის სტატუსისა და ღირსებისა. ყველაფრიდან გამომდინარე, **ხიდაშელმა მიაღწია დასახულ მიზანს. მან კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში თანამედროვე ტიპის „ჟუჩოკი“ დააყენა და ახლა აქტიურად ლობირებს მას.** ჭორებს არ ვავრცელებთ. პატიოსანი დეპუტატების კულუარული საუბრებიდან არის ცნობილი, რომ **საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლე, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე და აქტიური რესპუბლიკელი, დეპუტატი თინა ხიდაშელი პირადად აწარმოებს მოლაპარაკებებს ცალკეულ დეპუტატებთან, რათა მათ ხმა მერაბ ქათამაძეს მისცენ.**

ეს ზეწოლა არ არის. ეს დემოკრატიული მანევრია, რომელსაც საფუძველი „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩაუყარა.

ქათამაძე საინტერესო სუბიექტია მიუკერძოებელი ჟურნალისტური გამოძიებისთვის. პარლამენტმა სხვა რამ უნდა გამოიკვლიოს: რამდენად საჭირო არიან რომელიმე თანამედროვე, ევროპულ ყაიდაზე გადასულ ორგანიზაციაში ქათამაძეები. ერთი ქათამაძე ახსოვს ქართულ საზოგადოებას — ვერის უბნის პოლიცმეისტერის კონსულტანტი. ისიც კონსულტანტი. ესეც კონსულტანტი. ისიც ისა... ესეც...

„ბიძიებო, დეიდებო...“ მოგვმართავენ ყოველდღიურად სოციალურად დაუცველები თბილისის მეტროპოლიტენში. ჩვენ, საზოგადოების ეს ნაწილი, ასევე დაუცველები ვართ და უნდა მივმართოთ პარლამენტარ ცოლ-ქმარს: **ბიძია დათო, დეიდა თინა, გვეყოთ რა!..**

კვლავ ქათამაძეზე: რესპუბლიკელებს, როგორც ჩანს, ის უცვლელ დესანტად ჰყავთ ყველგან. წარადგინეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად. უნაყოფოდ. წარადგინეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. უნაყოფოდ. წარადგინეს ახმეტის რაიონის დეპუტატობის კანდიდატად. უნაყოფოდ. უნაყოფო არც მიწა, არც საქონელი და არც წელიწადი ვარგა. არადა, იმ კაცმა, ეგენი რომ მოიყვანა, თქვა, 2015 წელი ნაყოფიერი იქნებაო.

ბევრი საფიქრალი გააჩინა კიდევ ერთი კანდიდატის საჯარო გამოსვლამ. საქმე ეხება უშიშროების გენერალს, უშიშროების სამსახურის მინისტრის ყოფილ მოადგილე **სიმონ ნოზაძეს.** საკომიტეტო მოსმენაზე მან კომუნიკაციების ფუნქციები უშიშროების ფუნქციებში აურია და ამ საფეხურზე საბოლოოდ დაიბნა. კომუნიკაციების ეროვნული კომისია სადამსჯელო ორგანიზაცია არ არის. მის მოვალეობაში არ შედის თვალთვალი, მოსმენა, დასმენა, გადაბირება. არც სიტყვის თავისუფლებასთან აქვს აღნიშნულ ორგანიზაციას პირდაპირი კავშირი, როგორც ეს ბატონ სიმონს ჰგონია. სიტყვის თავისუფლება თავისუფალი მედიის პრეროგატივაა. კომუნიკაციების ეროვნული კომისია კი ტექნიკურ-სამართლებრივი მარეგულირებელია, რომელიც რადიოსიხშირეებს ანაწილებს და შემდეგ ამ სიხშირეების გამოყენებას კანონის ფარგლებში არეგულირებს, აკონტროლებს. ფარული მოსმენა სხვა საქმეა. უშიშროება-უსაფრთხოებაც სხვა ოპერიდანაა. ყველა ოპერას თავისი ლიბრეტო აქვს. როგორც ჩანს, იმ საკომიტეტო მოსმენაზე სიმონ ნოზაძეს აერია და სულ სხვა ლიბრეტო დაიდო ტრიბუნაზე, ამიტომაც შეიქმნა უხერხული სიტუაცია. კავშირგაბმულობას წარსულში (წარსული ქათამაძემ გონებიდან ამოიშალა, ნოზაძემ — პირიქით, ღრმად ჩაიბეჭდა), მართალია, უშიშროება აკონტროლებდა და ძუძუს აწოვებდა, მაგრამ ახლა ეგ ძუძუ გაშრა, ევროპასთან ინტეგრაციის ხელოვნურ კვებაზე გადავედით და აცალეთ, ბატონო სიმონ, როგორც თქვენ გგონიათ, თავისუფალ სიტყვასა და დამოუკიდებელ მარეგულირებელ ინსტიტუტს მოსუქება.

**მოკლედ, ცუდია, ძალიან ცუდია ეს ყველაფერი. დიდი დაფიქრება მართებთ საქართველოს პარლამენტის ამ მოწვევის დეპუტატებს, რათა არ მოხდეს ცუდი. ცუდი კი აქვეა ჩასაფრებული.**

**თამაზ ჩიქვანაია**

დემოკრატიის ნილბით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1951 წელს, ახალი არჩევნების შედეგების მიხედვით, გვატემალის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა 1944 წლის რევოლუციის გმირმა ხაკობო არბენს გუსმანმა, რომლის მთავრობამაც 1952 წელს აგრარული რეფორმა განახორციელა და გლეხებს 600 ათასი ჰექტარი მიწა დაურიგა. „იუნაიტედ ფრუტ კომპანიმ“ თავისი მიწების ნახევარზე მეტი დაკარგა. ვაშინგტონმა გვატემალა ამერიკის კონტინენტზე კომუნისტური საფრთხის შექმნაში დაადანაშაულა.**

ბევრი მკვლევარი და ექსპერტი თანხმდება, რომ ბოლო 100 წლის განმავლობაში წამოწყებულ ომებს, რომელთაც ამერიკის მხარდამჭერები მსოფლიო საზოგადოებრიობის შეცდომაში შესაყვანად კულტურ-რელიგიური მენტალობების დაპირისპირებას უწოდებენ, ამერიკულმა „ცივილიზაციამ“ შთაბერა სული — ამ ომებს ამერიკის შეერთებული შტატები ან აფინანსებს, ან თვითონ არის მათი წამომწყები, რათა დაამხოს ამა თუ იმ სახელმწიფოს მისთვის მიუღებელი ხელისუფლება, დაეუფლოს ქვეყნის სიმდიდრეებს, გაამყაროს თავისი ვალუტა — დოლარი და მსოფლიოზე იბატონოს. აი, რა განაცხადა ამ საკითხზე ორი წლის წინათ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №34, 18-24 სექტემბერი, 2013 წ.) ცნობილმა პოლიტოლოგმა **ალექსანდრე ჭაჭიამ:**

**„მსოფლიოში ლიდერობის შესანარჩუნებლად, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად, ევროპელი მარიონეტების დასამორჩილებლად, რუსეთისა და ჩინეთის დასასუსტებლად ამერიკას სჭირდება ომები, ქაოსი მსოფლიოში, მას სჭირდება „ყველას ყველასთან“ დაპირისპირება. შეერთებული შტატები მოძებნის საბაბს და დაბომბავს ყველა ქვეყანას, რომლებსაც აქვთ განვითარებისა და რესურსების საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ გამოყენების პრეტენზია.** ომები, რომლებსაც აშშ აწარმოებდა ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მათ მიერვე ორგანიზებული პროვოკაციების, ინსინუაციების, უტიფარი ტყუილის შედეგად იწყებოდა. ვიეტნამში 10-წლიანი ომი კონგრესის მოტყუებით დაიწყეს, რომ თითქოს ვიეტნამელები ამერიკულ გემს დაესხნენ თავს. შედეგად მივიღეთ 3 მილიონი მოკლული ვიეტნამელი, რომლებსაც, სხვათა შორის, ქიმიური იარაღით ხოცავდნენ, სანაცვლოდ კი აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა მილიარდობით დოლარი იშოვა. **გაიხსენეთ კოსოვოში ბოსნიელების „მასობრივი მკვლელობებისა“ და „ალბანელთა გენოციდის“ ამსახველი დადგმული ვიდეოკადრები, რომლებსაც სერბი მოსახლეობის უმოწყალო დაბომბვა მოჰყვა. შედეგი კი იუგოსლავიის დანაწევრება, შემდეგ სერბეთის დაშლა და ევროპის ცენტრში მუსლიმანური ანკლავის შექმნაა, რომლის ამოქმედებაც ნებისმიერ წუთს შეიძლება, თუკი ევროპელები ურჩობას გაბედავენ და დამოუკიდებელ პოლიტიკას წამოიწყებენ.** გაიხსენეთ „უტყუარი მონაცემები“ ერაყის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის ფლობაზე და კოლინ პაუელი რაღაც კოლბით ხელში. შედეგი — მილიონობით დახოცილი ერაყელი. მძლავრად განვითარებადი ქვეყანა შუა საუკუნეებში დააბრუნეს, სამაგიეროდ, ნავთობკომპანიებმა, მათ შორის ბუშისა და ჩეინის, მუქთა ნავთობი მიიღეს. მოგვიანებით აღიარეს, რომ მასობრივი განადგურების იარაღი უტიფარი სიცრუე იყო, მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარი იყო, საქმე — გაკეთებული. **გაიხსენეთ ლიბია, დაქირავებული ტერორისტები რომ შეაგზავნეს და ამ ყველაზე თანამედროვე იარაღით კბილებამდე შეიარაღებულმა „დისიდენტებმა“ „დემოკრატიისა და თავისუფლების“ მოთხოვნა დაიწყეს.** შედეგი — ადგილობრივი კლანები ერთმანეთს ეომებიან, იღუპება ასობით მშვიდობიანი მოქალაქე. სამაგიეროდ, ნავთობი შეუფერხებლად გადაედინება საერთაშორისო კორპორაციების კუთვნილ ტანკერებში. გაიხსენეთ **ეგვიპტე, ტუნისი, იემენი,** სადაც ამერიკული სპეცსამსახურების პოლიტტექნოლოგებმა უკრაინული „ნარინჯისფერი“ და ჩვენებური „ვარდების“ მსგავსი „რევოლუციები“ მოაწყვეს. ამ ქვეყნების განვითარება შეჩერებულია, ისინი დენთის კასრებად იქცნენ, რომლებმაც ნებისმიერ წუთს შეიძლება ააფეთქონ რეგიონი.

**ბოლო ათწლეულებში ამერიკა მსოფლიოსთვის დესტაბილიზაციის მთავარ ძალად, ხოლო ამერიკული არმია კბილებამდე შეიარაღებული მკვლელებისა და მოძალადეთა ბანდად იქცა. ერთადერთი ხსნა ამ ბანდიტებისგან არის ბირთვული იარაღი. ამიტომაც ის ქვეყნები, რომლებსაც არ აქვთ ასეთი იარაღი, მაგრამ სურთ, დარჩნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და განვითარდნენ, ფორსირებული ტემპით ცდილობენ ბირთვული იარაღის შექმნას.**

ამერიკამ მათ სხვა გამოსავალი არ დაუტოვა. სააკაშვილის საყვარელი მასწავლებლის, სენატორ მაკკეინის მოსმენისას ნორმალური ადამიანი ფიქრობს, რომ სისხლით გაუმაძღარ მანიაკს უსმენს. სამწუხაროდ, სწორედ ასეთი სისხლმოწყურებული კაციჭამიები და მათ ზურგს უკან მდგარი გაუმაძღარი კორპორაციები განაგებენ ამერიკას და ეს შეიძლება ძალიან ცუდად დამთავრდეს არა მხოლოდ შეერთებული შტატების, არამედ მთელი კაცობრიობისთვის“.

**ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ამ შეფასებას ეხმაურება ციკლი წერილებისა სათაურით — „გენოციდის შეერთებული შტატები“, რომელსაც გთავაზობთ.**

# გენოციდის შეერთებული შტატები

## წერილი მეორე


ჯონ ფოსტერ დალესი


ალენ დალესი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №5 (287)

### გვატემალა. 1954 წ. ოპერაცია PBSUCCESS. ამერიკელები გვატემალის თავისუფლების წინააღმდეგ

**ოპერაცია PBSUCCESS** — ეს არის აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) სამხედრო ინტერვენცია გვატემალაში დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის — ხაკობო არბენსის დამხობისა და პროამერიკული დიქტატორული რეჟიმის აღდგენის მიზნით.

ოპერაციის (გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნა 1975 წ.) მთავარი კოორდინატორი იყო ოპერატიული შტაბი „ლინკოლნი“ მაიამიში (შტატი ფლორიდა). მას ხელმძღვანელობდა ცსს-ს ოფიცერი, პოლკოვნიკი **ალბერტ ჰანეი.** 1952 წლის 9 სექტემბერს ცსს-მ დაამტკიცა სამხედრო გადატრიალების გეგმის პირველი ვარიატი. გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი იყო **გარდნერ უიზნერი.** სამხედრო ოპერაციის მოსამზადებლად და ჩასატარებლად 1953 წელს ვაშინგტონში შეიქმნა სპეციალისტების დამატებითი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცსს-ს თანამშრომელი **ტრეისი ბარნსი. ჯგუფის წევრი იყო ამერიკელი მზვერავი ჰოვარდ ჰანტი, რომელიც მოგვიანებით ჩე გევარას სალიკვიდაციო ოპერაციაში მონაწილეობდა და, როგორც ამბობენ, პირდაპირი კავშირი ჰქონდა დალასში პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობასთან.**

აშშ-ის იმჟამინდელი სახელმწიფო მდივანი **ჯონ ფოსტერ დალესი** და მისი უმცროსი ძმა, ცსს-ს დირექტორი **ალენ დალესი** ნიუიორკული იურიდიული კანტორა „სალივენ ენდ კრომველის“ კომპანიონები იყვნენ. ეს იურიდიული კანტორა დიდი ხნის განმავლობაში იყო დაკავებული „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“ საქმეებით.

**ჯონ ფოსტერ დალესმა** — ამ კომპანიის ადვოკატების კოლეგიის წევრმა — შეადგინა პროექტი, რომლის მიხედვითაც გვატემალის ხელისუფლება კაბალურ პირობებში აღმოჩნდა. მისი უმცროსი ძმა **ალენ დალესი** იყო „იუნაიტედ ფრუტ კომპანიის“ პრეზიდენტი. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე საერთაშორისო საკითხებში **ჯონ მ. კებოტი** იმ ოჯახიდანაა, რომლის წევრებიც, დიდი ხანია, „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“ აქციონერები არიან. ამ ოჯახის მეორე წევრი **ჰენრი კებოტ ლოჯი** აშშ-ის წარმომადგენელი იყო გაეროში. კომპანიასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ვაჭრობის მი-


დიქტატორი ხორხე უბიკო ი კასტანედა

ნისტრი **სინკლერ უიქსი**, აგრეთვე, ზოგიერთი სენატორი და კონგრესმენი. ამ ადამიანებმა მტრული პოზიცია დაიკავეს გვატემალელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის მიმართ და აშშ-ის ხელისუფლებას გვატემალის საშინაო საქმეებში ჩარევას სთხოვდნენ.

ოპერაციის ხელმძღვანელი გარდნერ უიზნერი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აშშ-ის სტრატეგიული დაზვერვის რეზიდენტი იყო სტამბულსა და ბუქარესტში, ომის შემდეგ — აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე, მერე — ცსს-ს დირექტორის მოადგილე საიდუმლო ოპერაციების საკითხებში (1957 წლამდე). 1956 წელს, როცა უნგრეთში ამბოხება დაიწყო, უიზნერი ავსტრიის დედაქალაქ ვენაში იმყოფებოდა და იქიდან ეხმარებოდა ამბოხებულებს. ცსს-ში უიზნერი განთქმული იყო იმით, რომ მასზე უკეთესად ვერავინ აგვარებდა „ბინძურ საქმეებს“.

### ომის საბაბი

1940-იან წლებში გვატემალა — ლათინურამერიკული პატარა ქვეყანა 4-მილიონიანი მოსახლეობით (ამჟამად — 14,3 მლნ) — ეკონომიკურად განუვითარებელი იყო. ტიპური „ბანანის რესპუბლიკა“ ყავისა და ბანანების ექსპორტით ძლივს ირჩენდა თავს. გვატემალის ყველაზე ნაყოფიერი მიწა (230 ათასი ჰექტარი) ამერიკულ კომპანია „იუნაიტედ ფრუტს“ ეკუთვნოდა ისევე, როგორც გზები, პორტები და გემები. ამ კომპანიას მრავალწლიანი უფლება ჰქონდა ბანანების ექსპორტზე შეღავათიანი პირობებით. კომპანია მიწების ნაწილს სარეზერვოდ ინახავდა — არ იყენებდა. გვატემალის მოსახლეობას კი სავარგულების მხოლოდ 14% ეკუთვნოდა. **1931-44 წლებში გვატემალას მართავდა გენერალი უბიკო — დიქტატორი, რომელმაც ამერიკულ კომპანია „იუნაიტედ ფრუტს“ უსასყიდლოდ გადასცა მიწები. უბიკოს რეჟიმი მასობრივ რეპრესიებს მიმართავდა. 1944 წელს მან უფლება მისცა მიწათმფლობელებს, დაეხვრიტათ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მათ მიწაზე ფეხს უნებართვოდ დადგამდა.** 1944 წელს გვატემალაში მასობრივი გამოსვლები დაიწყო, არმია კაპიტან **ხაკომო არბენსის** ხელმძღვანელობით ხალხის მხარეს გადავიდა და უბიკის რეჟიმი დაემხო.

იმავე წლის დეკემბერში **გვატემალაში ჩატარდა პირველი დემოკრატიული არჩევნები. 1945 წელს კი მიიღეს პირველი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტს ავტონომია მიანიჭა; ადამიანებს უფლება მიეცათ, გაეფორმებინათ შრომითი ხელშეკრულება, შეექმნათ პროფკავშირები და მოეთხოვათ სოციალური უზრუნველყოფა. ბუნებრივი წიაღისეული და სიმდიდრეები სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადდა.** 1945 წლის 15 მარტს დროებითმა რევოლუციურმა კომიტეტმა უფლებამოსილება 6 წლით არჩეულ პრეზიდენტ **ხუან ხოსე არევალოს** გადასცა. მშრომელთა ცხოვრების დონე სწრაფად უმჯობესდებოდა. უცხოური სანავთობე კომპანიების მოღვაწეობაზე კი სახელმწიფო კონტროლი დაწესდა. **1951 წელს, ახალი არჩევნების შედეგების მიხედვით, გვატემალის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა 1944 წლის რევოლუციის გმირმა ხაკობო არბენს გუსმანმა, რომლის მთავრობამაც 1952 წელს აგრარული რეფორმა განახორციელა და გლეხებს 600 ათასი ჰექტარი მიწა დაურიგა. „იუნაიტედ ფრუტ კომპანიმ“ თავისი მიწების ნახევარზე მეტი დაკარგა. ვაშინგტონმა გვატემალა ამერი-** ▶

დემოკრატიის ნიღბით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხაკობო არბენს გუსმენის რეჟიმის დამხობის შემდეგ ამერიკელებმა და მისმა დამქაშებმა გვატემალაში ჩე გევარა „საშიშ კომუნისტად“ გამოაცხადეს და სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ მან არბენსის რამდენიმე მხარდამჭერთან ერთად თავი გვატემალაში არგენტინის საელჩოს შეაფარა, იქიდან კი მექსიკაში გაიქცა.**



კარლოს კასტილიო არმასი



ხაკობო არბენს გუსმანი



1956 წლის 23 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე უნგრეთში 12971 ადამიანი დაიღუპა, დაიჭრა — 2700; ბუდაპეშტში დაიღუპა 1925, დაიჭრა — 11513 ადამიანი.

**◀კის კონტინენტზე კომუნისტური საფრთხის შექმნაში დაადანაშაულა.**

## მეთოდები

ეიზენჰაუერის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, ისევე გასწორებოდა არბენსის ხელისუფლებას, როგორც გაუსწორდა ირანში მოსადიკის მთავრობას (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ 2015 წ. №5) და ეს საქმე ცსს-ს დირექტორ ალენ დალესს მიანდო. დალესი დარწმუნებული იყო, რომ ლათიონამერიკულ გვატემალაში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა გაცილებით იოლი იქნებოდა, ვიდრე ირანში. გვატემალის მეზობელი ქვეყნებიდან — ჰონდურასიდან და ნიკარაგუიდან, რომლებიც აშშ-ის ბრძანებებს ემორჩილებოდნენ, შეიძლებოდა ადამიანების დაქირავება, მათი აღჭურვა იარაღით და გაწვრთნა სამხედრო ბაზებში.

**ფსონი დაიდო ქვეყნის გარედან აგრესიაზე, რომელიც მხარდაჭერილი იქნებოდა შიგა ამბოხებით.**

## სამხედრო ინტერვენცია

ჰონდურასისა და ნიკარაგუის ტერიტორიებზე ჩამოაყალიბეს ანტისამთავრობო ბანდები **კასტილიო არმასის** ხელმძღვანელობით. **1954 წლის 18 ივნისს, გვატემალის ქალაქების დაბომბვის შემდეგ, ამერიკელების მიერ დაქირავებული არმასის რაზმები გვატემალაში შეიჭრნენ. მშრომელები მზად იყვნენ, იარაღით ხელში დაეცვათ სამშობლო, მაგრამ მათ არმიამ უღალატა. დაიბომბა ქვეყნის მთავარი პორტი სან ხოსე, ჰონდურასში მოქმედმა ცსს-ს რადიოსადგურმა ჩაახშო გვატემალის სამთავრობო რადიოსადგური და დაიწყო დეზინფორმაციის გავრცელება თავდამსხმელთა უპირატესობაზე, 25 დეკემბერს კი ქვეყნის დედაქალაქი გვატემალა დაიბომბა. ორი დღის შემდეგ ხაკობო არბენსი პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა და უფლებამოსილებები ქვეყნის შეიარაღებული ძალების სარდალს — ენრიკე დიასს გადასცა, რომელმაც განაგრძო ბრძოლა აშშ-ის მიერ დაქირავებულთა წინააღმდეგ.**

ჰონდურასიდან გვატემალაში შეჭრისთანავე კასტილიო არმასის რაზმებმა ადგილობრივი ხელისუფლების მომხრეების დახვრეტა და დიდი ქალაქების დაბომბვა დაიწყეს. კუბის რევოლუციის მომავალი კომანდანტე (1959 წ.) და კუბის სახელმწიფო მოღვაწე **ერნესტო ჩე გევარა** დაქირავებული რაზმების წინააღმდეგ ბროლაში ჩაერთო. ის ჰაერსაწინააღმდეგო ჯგუფთან ერთად იბრძოდა და ადგილობრივებს იარაღსაც აწვდიდა.

ხაკობო არბენს გუსმენის რეჟიმის დამხობის შემდეგ ამერიკელებმა და მისმა დამქაშებმა გვატემალაში ჩე გევარა „საშიშ კომუნისტად“ გამოაცხადეს და სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ მან არბენსის რამდენიმე მხარდამჭერთან ერთად თავი გვატემალაში არგენტინის საელჩოს შეაფარა, იქიდან კი მექსიკაში გაიქცა.

## ოპერაციის შედეგი

1954 წლის 29 ივნისს გვატემალაში შეიქმნა სამხედრო ხუნტა, რომელმაც ხელისუფლება კასტილიო არმასს გადასცა. კონტრრევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქვეყანაში ტერორი დაიწყო. არმასის დიქტატორულმა რეჟიმმა რეპრესიების ტალღა დაატეხა თავს მემარცხენეებსა და მშრომელებს. ასობით ადამიანი მოკლეს, ათასობით — დაატიმრეს. აიკრძალა პარტიები და პროფკავშირები, გაუქმდა 1945 წლის კონსტიტუცია, შეწყდა აგრარული რეფორმა, „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“ აღუდგინეს შეღავათები. პირველი 4 თვის განმავლობაში 72 ათასი კაცი კომუნისტად გამოაცხადეს, მოგვიანებით ასეთი ადამიანების რაოდენობამ 200 ათასს მიაღწია. გვატემალის უშიშროების სამსახურის ოფიცრები ქმნიდნენ ტერორისტულ ჯგუფებს, რომლებიც ოპოზიციის ლიდერებს ხოცავდნენ.



## ოპერაციის მნიშვნელობა აშშ-ისთვის

გვატემალაში განხორციელებული ოპერაციის შედეგები აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 1957 წლის 1 აპრილს ბიულეტენში (№6465) ოთხ პარაგრაფად ჩამოაყალიბა შემდეგი სათაურებით:

**1. „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“ მიერ გვატემალის მთავრობასთან გაფორმდა არბენსის ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული საკუთრების (234 ათასი აკრი მიწის) დაბრუნების შესახებ ხელშეკრულება;**

**2. გაუქმდა უცხოური კაპიტალიდან მიღებულ შემოსავალზე გადასახადის დაწესების შესახებ კანონი;**

**3. აშშ-სა და გვატემალის ხელისუფლებებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ინვესტიციების გარანტიების შესახებ;**

**4. შემუშავდა ნავთობის შესახებ ახალი და უფრო სარგებლიანი კანონი.**

**აღსანიშნავია, რომ ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ აშშ-ის 27 სანავთობო კომპანიამ დაიწყო გვატემალაში საბადოების დაზვერვა და ნავთობის მოპოვება.**

## ოპერაციის მნიშვნელობა გვატემალისთვის

1954 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ გვატემალაში ანტისახალხო დიქტატურა მძვინვარებდა. ქვეყნის პროგრესული ნაწილის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობა“ გამოცხადდა, მასობრივი დაპატიმრებებით, წამებებითა და მკვლელობებით. ადგილობრივი უშიშროების აგენტებისა და გვატემალის ე.წ. ულტრამემარჯვენეების ხელით, რომლებსაც მთავრობა მფარველობს, ყოველწლიურად 200-მდე ადამიანი იხოცება პოლიტიკური მოტივებით. სან კარლოსის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი **კუევას დელ სიდი** წერდა: **„20 წელიწადზე მეტია, ეს დრამა გრძელდება. სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი ძალადობა მართვის საშუალებად იქცა. ე.წ. ნაციონალური უსაფრთხოებისა და კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სახელით ახშობენ ეროვნულ გრძნობებს, ოპოზიციურობის ნებისმიერ გამოვლენას“.**

**1954 წლის 18 ივნისს, გვატემალის ქალაქების დაბომბვის შემდეგ, ამერიკელების მიერ დაქირავებული არმასის რაზმები გვატემალაში შეიჭრნენ. მშრომელები მზად იყვნენ, იარაღით ხელში დაეცვათ სამშობლო, მაგრამ მათ არმიამ უღალატა. დაიბომბა ქვეყნის მთავარი პორტი სან ხოსე, ჰონდურასში მოქმედმა ცსს-ს რადიოსადგურმა ჩაახშო გვატემალის სამთავრობო რადიოსადგური და დაიწყო დეზინფორმაციის გავრცელება თავდამსხმელთა უპირატესობაზე, 25 დეკემბერს კი ქვეყნის დედაქალაქი გვატემალა დაიბომბა. ორი დღის შემდეგ ხაკობო არბენსი პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა და უფლებამოსილებები ქვეყნის შეიარაღებული ძალების სარდალს — ენრიკე დიასს გადასცა, რომელმაც განაგრძო ბრძოლა აშშ-ის მიერ დაქირავებულთა წინააღმდეგ**

## უნგრეთი. 1956 წ. ოპერაცია „ფოკუსი“. პირველი „ნარინჯისფერი რევოლუცია“ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სცენარით

1956 წლის იანვარში აშშ-ის სამხედრო დაზვერვამ მოამზადა მოხსენება — „უნგრეთი: წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიურობა და პოტენციალი“, რომელიც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას „აშშ-ის სპეციალური ძალების“ მოქმედების კუთხით განიხილავდა. მოხსენებაში მოყვანილი იყო უნგრეთში პოლიტიკური განწყობილებების თავისებურებები, რომლებიც ამსუბუქებდა ამოცანას: **„უკმაყოფილების გადაყვანას აქტიური წინააღმდეგობის ფაზაში“.** ეს თავისებურებები, აშშ-ის სამხედრო დაზვერვის წარმომადგენელთა აზრით, იყო ანტისლავური და ანტისემიტური განწყობები მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებში, აგრეთვე, სიმპათია ჰიტლერული გერმანიის მიმართ.

1945 წელს, ფაშიზმისგან ევროპის გათავისუფლებისას, საბჭოთა არმიამ უნგრეთში პროფაშისტური რეჟიმი დაამხო. ბუდაპეშტის გათავისუფლების შემდეგ, პოტსდამის კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმებების მიხედვით, საბჭოთა არმია უნგრეთში უნდა დარჩენილიყო ამ ქვეყნის საბოლოო დენაციფიკაციამდე, მაგრამ ქვეყანაში ნაცისტური ჯგუფები ყოველთვის არსებობდა დასავლეთის მხარდაჭერის გამო. ასეთი ჯგუფი უნგრეთში ბევრი იყო 1956 წელს და XX საუკუნის მეორე ნახევარში.

1989 წელს, სოციალისტური წყობილების დამხობის შემდეგ, უნგრეთში აღორძინდა მემარჯვენე ექსტრემისტული და ნახევრადფაშისტური პარტიები, რომლებიც ცდილობენ უნგრული ფაშიზმი („ჰუნგარიზმი“) ოფიციალური იდეოლოგიის რანგში აიყვანონ. მათგან ყველაზე დიდია „პარტია უკეთესი უნგრეთისთვის“, რომლის ნახევრადსამხედრო ორგანიზაცია გაერთიანებულია ჯგუფ „უნგრეთის გვარდიაში“.

## ჩარევის საბაბი

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ (1944 წლიდან) ბევრ წარმატებას მიაღწია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების საქმეში. ჩატარდა აგრარული რეფორმა. გაიზარდა მრეწველობის მოცულობა. 1950 წელს განხორციელებული ნაციონალიზაციის შემდეგ სახელმწიფო სექტორმა წამყვანი პოზიცია დაიკავა.

უნგრეთის რეაქციული ძალები, დასავლეთის უწინარესად, აშშ-ის მხარდაჭერით, აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ ქვეყანაში დაწყებულ ეკონომიკურ გარდაქმნებს. 1948 წელს სამართალდამცველებმა კომპანია „სტანდარტ ოილის“ შვილობილ უნგრულ-ამერიკულ ფირმა „მაორტში“ საბოტაჟის ჯგუფი გამოავლინეს.

1937 წელს უნგრეთში ნავთობით მდიდარი საბადო (ბუდაფა) აღმოაჩინეს და 1939 წელს უნგრეთის სახელმწიფომ და კომპანია EUROGASCO-მ დააფუძნეს ნავთობის მრეწველობის უნგრულ-ამერიკული სააქციო საზოგადოება MAORT-ი, რომელმაც სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების შესასრულებლად ქალაქ ნაგიკანიჟაში შექმნა ფილიალი.

ეს ფილიალი ნაციონალიზაციის (1948) შემდეგ, 1954 წელს, ნავთობმრეწველობის მანქანათმშენებლობის საწარმოდ გადაკეთდა.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**20 იანვარს კონგრესისადმი ყოველწლიურ გზავნილში აშშ-ის პრეზიდენტმა დაგმო ისლამური სახელმწიფო (მაგრამ საუბრისას გამოიყენა არა კონკრეტულად ეს მცნება, არამედ მისი ამერიკული აკრონიმი ISIL) და პარიზში მომხდარი ტერაქტები, მაგრამ არ გამოუყენებია ისეთი სიტყვები, როგორიცაა „რადიკალური ისლამი“ და „ისლამიზმი“, რითაც კრიტიკის ქარიშხალი დაიტეხა თავს.**

# რატომ არ ახსენებს ბარაკ ობამა «რადიკალურ ისლამს», «ისლამისტს» და «ჯიჰადისტს»

**ნაციონალურ კრებაზე გამოსვლისას 13 იანვარს პრემიერმინისტრმა მანუელი ვალისამ განაცხადა: „საჭიროა, ყოველთვის ყველაფერს თავისი სახელი ვუწოდოთ: დიახ, საფრანგეთი ომობს ტერორიზმთან, ჯიჰადიზმთან და რადიკალურ ისლამიზმთან“. აშშ-ში კი პრეზიდენტი სხვაგვარად ლაპარაკობს — Charlie Hebdo-სა და Hyper Cacher-ში მომხდარი ტერაქტების შესახებ ბარაკ ობამამ და მისმა სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ გამოიყენეს ცნებები „ტერორიზმი“ და „ექსტრემიზმი“, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ ჯიჰადიზმზე, ისლამიზმსა და რადიკალურ ისლამზე.**



**ამერიკელი კონსერვატორები აკრიტიკებენ ობამას სიტყვიერ პოლიტიკას, თუმცა ამ პოლიტიკამ სათავე ჯერ კიდევ უმცროსი ბუშის პერიოდიდან აიღო**

13 იანვარს ჟურნალისტმა თეთრი სახლის პრესმდივანს დაუსვა კითხვა პრეზიდენტის ამგვარ სემანტიკურ არჩევანთან დაკავშირებით. ჯოშ ერნესტმა შემდეგნაირად უპასუხა: „ეს ადამიანები ტერორისტები არიან. ისინი მხოლოდ ცდილობდნენ საკუთარი ქმედებების გამართლებას ისლამის დამახინჯებული და გარყვნილი ინტერპრეტირებით“.

თეთრ სახლს არაერთხელ გაუსვამს ხაზი საკუთარი პოზიციისთვის, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება გადმოვცეთ: ტერორისტები ცდილობენ რელიგიის გამოყენებას ძალადობის გასამართლებლად, მაგრამ რელიგიის ამგვარი აღქმა მანკიერებაა და ჩვენ მათ ხაფანგში არ უნდა გავებათ.

2010 წელს ცსს-ს ამჟამინდელმა დირექტორმა ჯონ ბრენანმა თქვა: „ჩვენ მტრებს არ ვუწოდებთ ჯიჰადისტებსა და ისლამისტებს, რადგან ჯიჰადი არის წმიდა ბრძოლა, ისლამის ფუძემდებლური პრინციპი, რომელიც აღნიშნავს თვითგანწმენდასა და საკუთარი საზოგადოების განწმენდას. უდანაშაულო ადამიანების, ქალებისა და ბავშვების მკვლელობებში წმიდა არაფერია“.

**20 იანვარს კონგრესისადმი ყოველწლიურ გზავნილში აშშ-ის პრეზიდენტმა დაგმო ისლამური სახელმწიფო (მაგრამ საუბრისას გამოიყენა არა კონკრეტულად ეს მცნება, არამედ მისი ამერიკული აკრონიმი ISIL) და პარიზში მომხდარი ტერაქტები, მაგრამ არ გამოუყენებია ისეთი სიტყვები, როგორიცაა „რადიკალური ისლამი“ და „ისლამიზმი“, რითაც კრიტიკის ქარიშხალი დაიტეხა თავს.**

ახლახან კიდევ ერთმა ჟურნალისტმა აშშ-ის პრეზიდენტს ჰკითხა, თუ რატომ არიდებს თავს ზემოხსენებულ სიტყვებს, ობამამ უპასუხა:

„არავინ დავობს იმაზე, რომ ამ პრობლემის ფესვები მუსლიმანურ საზოგადოებაში იღებს სათავეს, მაგრამ, როგორც მეჩვენება, ამ ბრძოლაში მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ მუსლიმანების უდიდესი ნაწილი ამგვარი იდეოლოგიის წინააღმდეგია“.

მრავალი დამკვირვებელი პასუხობს, რომ ეთანხმებიან მუსლიმანთა უმრავლესობის მხრიდან ამ იდეის მიუღებლობას, მაგრამ ტერორისტების უმეტესობას მაინც აქვს რაღაც საერთო. „მათ ამოძრავებთ ისლამის სიტყ- ▶

# კოსოვო: ბიბლიური მასშტაბების შედეგი

**წლის დასაწყისიდან ამ დრომდე ქვეყანა 50 000-მდე ადამიანმა, ანუ მოსახლეობის 3%-მა დატოვა. შედეგი მართლაც ბიბლიურ სახეს იძენს. ადამიანებს თითქოს შავი ჭირი ან შიმშილი ერეკება იქიდან. ყოველ საღამოს ქვეყნიდან მიმავალ გზას სულ მცირე ათასი ადამიანი ადგება: ახალგაზრდობა, მთელი ოჯახები და 13-14 წლის მოზარდებიც კი. ისინი მომცრო ჯგუფებად გაერთიანებულნი გადაადგილდებიან და გარბიან ქვეყნიდან, სადაც მოსახლეობის ნახევარს სამსახურიც კი არ აქვს, გარბიან და ოცნებობენ დასავლეთში უკეთეს ცხოვრებაზე...**



სიმართლე რომ ითქვას, მიგრაცია 1999 წლის ომის დასრულებისთანავე დაიწყო და არც შეწყვეტილა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში დაბრუნდნენ დევნილები და ისინი, ვისაც თავშესაფარზე უარი უთხრეს, მიგრაციული სალდო კოსოვოსთვის ყოველთვის უარყოფითი იყო, რომლის შედეგად ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის მაჩვენებელი მტკიცედ გაიჭედა 1,7-მილიონიან ნიშნულზე, ამას 2011 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები მოწმობს. ემიგრაცია არის უსაფრთხოების გარანტი და უალტერნატივო პერსპექტივა უამრავი ახალგაზრდისთვის, მიუხედავად მისი განათლებისა. სხვა ქვეყნებში სამუშაოდ გადახვეწილი თანამემამულეების მიერ გაგზავნილი ფული კი კოსოვოში ერთადერთი წყაროა, რომელიც იქ დარჩენილ საზოგადოებას ასულდგმულებს. მიუხედავად ამგვარი მდგომარეობისა, დეკემბრიდან ქვეყნიდან გაქცევის მოვლენა ახალ დონეზე ავიდა.

ისინი, ვისაც ქვეყნიდან წასვლა სურთ, პრიშტინასა და გნილანეს ავტოსადგურებზე იკრიბებიან. გზის პირველი ეტაპი იმაში მდგომარეობს, რომ როგორმე გადალახონ სერბეთის საზღვარი ბუიანოვაცში ან პრეშევოში. რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ამის საბაბად იქცა 2014 წელს ბელგრადისა და პრიშტინას ურთიერთობების ნორმალიზებისათვის ხელმოწერილი შეთანხმება, რომელსაც იმ დროს ევროპული დიპლომატიის დიდი მიღწევა უწოდეს. საქმე ისაა, რომ ამ შეთანხმებამ სერიოზულად გაამარტივა კონტროლის პროცედურა: ახლა კოსოვოს მცხოვრებლებს სერბეთში ჩვეულებრივი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით შეუძლიათ გადასვლა.

საღამოობით ბუიანოვაციდან ერთდროულად რამდენიმე ავტობუსი მიდის ჩრდილოეთით, სუბოტიცესკენ, რომელიც უნგრეთის საზღვართან ახლოს მდებარეობს. ჩვეულებრივი ბილეთი 28 ევრო ღირს. ავტობუსების კომპანიამ მთელი რესურსი აამოქმედა, თუმცა, ის კლიენტებს მომსახურებას მინივენები და ტაქსებიც სთავაზობენ. გნილანეში სუბოტიცამდე პირდაპირ რეისში შეიძლება 300 ევროც მოითხოვონ ერთი ადამიანისგან, ოთხ ადამიანს 1000 ევროდ ემსახურებიან.

**სუბოტიცამდე ჩასვლას კოსოვოელები დაახლოებით ათ საათს ანდომებენ. შესვენებისას პალიჩის ტბასთან მდებარე სასტუმროებში ითქვამენ სულს. იქ ერთი ღამის გათევა 15 ევრო ღირს. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ამ სასტუმროებში თავისუფალ ადგილს, უბრალოდ, ვერ იპოვით. სწორედ აქ აწყობენ კლიენტებთან შეხვედრებს გამცილებლები. ყველა მსურველმა 250 ევრო უნდა ამოიღოს ჯიბიდან.** გზას დილით ადრიანად, გარიჟრაჟამდე განაგრძობენ. მიგრანტებს 20-20-კაციან ჯგუფებად აერთიანებენ და გზავნიან უნგრეთის საზღვრისკენ, საზღვრის გადაკვეთისას კი კოსოვოელებმა ფეხით უნდა იარონ ტყე-ტყე. ▶

მოკლედ

# მილიარდერები რეკორდს ამყარებენ



**ჩინური კვლევითი კომპანია Hurun Research Institute-ის მონაცემებით, გასულ წელს მსოფლიოს 222 ახალი მილიარდერი შეემატა.** მილიარდერთა რაოდენობა 68 ქვეყნის მასშტაბით რეკორდულამდე გაიზარდა და 2 089-ს მიაღწია. 2014 წელი, კაპიტალის გაზრდის მხრივ, წარმატებული აღმოჩნდა 649 მილიარდერისთვის, 230 მილიარდერის ქონება კი უცვლელი დარჩა. საერთო ჯამში, 2015 წელს მილიარდერის ტიტული 95-მა მილიარდერმა დაკარგა და მილიონერთა რიგებს შეუერთდა. 2015 წლის მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების ჩამონათვალში ინდოეთს პირველად ჰყავს დიდ ბრიტანეთსა და რუსეთზე მეტი მილიარდერი. 537 მილიარდერით სიის სათავეში კვლავ ამერიკაა, რომელსაც მოჰყვება ჩინეთი — 430 მილიარდერი. რაც შეეხება მესამე ადგილზე გასულ ინდოეთს, 2014 წელს ქვეყანაში მილიარდერთა რაოდენობა 70-დან 97-მდე გაიზარდა, რუსეთში მილიარდერთა რაოდენობამ 93 შეადგინა, დიდ ბრიტანეთს კი 80 მილიარდერი ჰყავს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შიიტებსა და სუნიტებს შორის ომი, ბრძოლა ირანს, საუდის არაბეთსა და ეგვიპტეს შორის რეგიონში ჰეგემონობისთვის კვლავაც გაგრძელდება ავღანეთის მთებიდან მაროკოს სანაპიროებამდე.**

◀ ვასიტყვით, დაუნდობლად და პურიტანულად აღქმა“, — აღნიშნა ერთ-ერთ ინტერვიუში საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტმა ჯეფრი ბეილიმ.

გარდა ამისა, როგორც Bloomberg View-ი აღნიშნავს, სიტყვების შერჩევა ასახავს არა მხოლოდ სურვილს, ერთმანეთთან არ გაიგივდეს ისლამი და ტერორიზმი, არამედ აშშ-ის არსებულ სტრატეგიულ ალიანსებსაც. ჟურნალისტი ელი ლეიკი წერს, რომ ტერორისტული ორგანიზაციების „რადიკალურ მუსლიმანებთან“ ომში აშშ-ს მრავალი „რადიკალური მუსლიმანური“ ქვეყნის მხარდაჭერა ესაჭიროება, მაგალითად, საუდის არაბეთის.

მას მოჰყავს ცსს-ს ექსპერტის სიტყვები, ის აღნიშნავს, რომ 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ბუშის ადმინისტრაციამ გააცნობიერა ერთი რამ: მიუხედავად იმისა, რომ „ალ ქაიდა“ ვაჰაბიზმის მკაცრი იდეოლოგიით საზრდოობდა, ვაჰაბიზმის მრავალი მიმდევარი სულაც არ უჭერდა მხარს დასავლეთზე დარტყმებს. მაგალითად, საუდის არაბეთი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მოკავშირედაც კი იქცა.

ამრიგად, განცხადებები რადიკალურ ისლამიზმთან ომის შესახებ უკვე აღარ შეესაბამება სინამდვილეს, თუ მოკავშირეთა შორის საუდიტებიც არიან... ზუსტად ანალოგიური ლოგიკა შეესაბამება საფრანგეთსაც, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ყატართან. ამ ქვეყანაში კი, როგორც ცნობილია, ვაჰაბისტური ისლამი მეფობს.

**ამერიკელი კონსერვატორები აკრიტიკებენ ობამას სიტყვიერ პოლიტიკას, თუმცა ამ პოლიტიკამ სათავე ჯერ კიდევ უმცროსი ბუშის პერიოდიდან აიღო: ბუში ამჯობინებდა ისეთი სიტყვათშეთანხმებების გამოყენებას, როგორიცაა „ომი ბოროტების წინააღმდეგ“ და არა რადიკალური ისლამი.**

რაც შეეხება საფრანგეთის ხელისუფლებას, საგარეო საქმეთა მინისტრი ლორენ ფაბიუსი, რომელსაც, პირველ რიგში, ეხება დიპლომატიური ალიანსების საკითხები, თეთრი სახლის მსგავს დიპლომატიურ პოზიციას ანიჭებს უპირატესობას. პარიზში მომხდარი ტერაქტების შემდეგ მან განაცხადა:

„არა მგონია, რომ გამოთქმა „ისლამისტი“ ზუსტად შეესაბამება მოცემულ მდგომარეობას. მე მათ ტერორისტებს ვუწოდებდი. საქმე ისაა, რომ, როდესაც თქვენ იყენებთ სიტყვა „ისლამს“, ხელს უწყობს გარკვეული ერთიანობის ჩამოყალიბებას მშვიდობიან რელიგიასა და მის დამახინჯებულ ინტერპრეტაციას შორის“.

საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი უპირატესობას ანიჭებს არა „ისლამურ სახელმწიფოს“, არამედ მის აკრონიმს — ელისს.

**Slate.fr**

◀ ამ გზით, უკვე არაერთი წელია, დადიან სირიიდან და ავღანეთიდან დევნილები. ევროპული სააგენტო Frontex-ი საზღვრებზე კონტროლის გამკაცრების თაობაზე აცხადებს, მაგრამ სინამდვილეში ახლა ამ საზღვრის გადალახვა ისე ადვილია, როგორც არასდროს. რამდენიმე დღის წინათ უნგრეთის პოლიციამ დააკავა 1269 ადამიანი, მათ შორის 1233 კოსოვოელი იყო. მეორე დღეს დაკავებულ 1022 ადამიანს შორის 991 კოსოვოელი აღმოჩნდა, 18 — ავღანელი, 7 — ერაყელი, 3 — კუბელი, 2 — სირიელი და 1 — სომალელი.

**დაკავებულებს 72 საათით აპატიმრებენ. ამ დროის განმავლობაში მათ შეუძლიათ, თავშესაფარი ითხოვონ ან დეპორტირებულ იყვნენ ქვეყნიდან. ბუდაპეშტის მონაცემებით, წლის დასაწყისიდან ამ დრომდე თავშესაფარი ითხოვა 13 000-მა კოსოვოელმა, შარშან კი მათი რაოდენობა 43 000 იყო.**

მიგრანტების უმეტესობა ახერხებს, ჩაჯდეს მატარებელში ან ტაქსიში და ჩააღწიოს ავსტრიამდე, გერმანიამდე, შვეიცარიამდე, საფრანგეთამდე ან ბელგიამდე. ზოგიერთ საზღვრისპირა სოფელში კლიენტებს პირდაპირ გერმანულნომრებიანი ტაქსები იყვანენ.

**პრიშტინას ხელისუფლებას უნარი არ შესწევს, რამენაირად აკონტროლოს სიტუაცია, კოსოვოს პრეზიდენტი ატიფეტე იახიაგა კი სერბეთს სდებს ბრალს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ფართოდ გახსნა ჭიშკარი. უნგრეთის პოლიციის მიშვებულობა არანაკლებ გაოცებას იწვევს.**

50 000 ადამიანი კოსოვოს მოსახლეობის 3%-ია. ზოგიერთები ახლავე აკეთებენ კატასტროფულ პროგნოზებს. როგორც სოციოლოგი დუკაგჯინ გორანი აღნიშნავს, ეს შედეგი ახალგაზრდა სახელმწიფოს წარუმატებლობის ნიშანია, სახელმწიფოსი, რომელშიც სამუშაოს შოვნა მხოლოდ ნაცნობობითა და კავშირებით შეიძლება. გარდა ამისა, შარშანდელმა პოლიტიკურმა კრიზისმა ბოლომდე გააცრუა მათი იმედები, ვისაც ჯერ კიდევ სჯეროდა უკეთესობის.

17 თებერვალს ქვეყანამ დამოუკიდებლობის მეშვიდე წლისთავი აღნიშნა, მაგრამ არცთუ საზეიმო ატმოსფეროში...

**Le Temps**

# ვინ დაამარცხებს «ისლამურ სახელმწიფოს»?

**იმრან ხავაჯე დიდი ბრიტანეთიდან სირიაში იმისათვის გაემგზავრა, რომ სხვების მსგავსად გაერთიანებულიყო ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოში“. იგი ფოტოებს იღებდა თავმოკვეთილებთან, შემდეგ კი ბრიტანეთში დაბრუნება გადაწყვიტა, რათა ჯიჰადი ლონდონში გაეგრძელებინა. მას მშვენივრად ესმოდა, რომ სპეცსამსახურები უთვალთვალებდნენ, ამიტომაც სირიაში საკუთარი სიკვდილი გაითამაშა და სხვისი სახელით დაბრუნდა ლონდონში, მიუხედავად ამისა, დააკავეს და 12 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.**




ხავაჯე ევროპული კოშმარის კვინტესენციად იქცა. ერთი შეხედვით, საუბარია მსოფლიო პრობლემაზე, მაგრამ „ისლამურ სახელმწიფოს“ ჰყავს ანალოგები, რომლებიც არ იმსახურებენ ასეთ ყურადღებას. მაგალითისთვის ავიღოთ ექსტრემისტული სუნიტური ორგანიზცია „ბოკო ჰარამი“, რომელიც ნიგერიაშია დამკვიდრებული. ეს ტერორისტები იმავე იდეოლოგიას მისდევენ და კიდევ უფრო მეტ ადამიანს კლავენ, მაგრამ სხვებისგანაც განსხვავდებიან. „ბოკო ჰარამში“ არ მიედინება იმ მოხალისეთა ნაკადი, რომლებიც შემდგომ, შესაძლოა, დაბრუნდნენ ლონდონში, პარიზში, ბერლინში და ევროპის დედაქალაქებში გადაიტანონ ტერორი; ისინი არ ავსებენ სოციალურ ქსელებს და მათი მსხვერპლნი, ყველა თვალსაზრისით, შორს არიან ევროპიდან. და კიდევ, რაც უნდა ცინიკურად ჟღერდეს, მათი მსხვერპლნი შავკანიანები არიან. ასე რომ, ნიგერიას, ჩადსა და კამერუნს შეუძლიათ, დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ „ბოკო ხარამს“. ვერ უმკლავდებიან? შეუძლიათ, აცნობონ ევროპას, როდესაც საქმე ძალიან ცუდად იქნება. ეს ნიშნავს, აცნობონ მაშინ, როდესაც საფრთხე თავად ევროპას დაემუქრება...

**„ისლამურ სახელმწიფოს“ ხელმძღვანელობა, მარკეტინგისა და ბრენდის გაპიარების თვალსაზრისით, უმაღლეს ჯილდოს იმსახურებს. სულ რაღაც ერთ წელიწადში მათ შექმნეს ბრენდი, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო იცნობს.** ისალმურმა სახელმწიფომ მარჯვედ გამოიყენა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური აბდაუბდა, სუნიტებისა და შიიტების სისხლიანი ისტორია, ასევე ევროპელი და ამერიკელი კეთილის მსურველების წარუმატებელი პოლიტიკა.

საბოლოო ჯამში, უმოკლეს ვადაში მათ ისრაელზე დაახლოებით ათჯერ დიდი ქვეყანა ჩაიგდეს ხელთ და დაუმარცხებლის იმიჯიც შეიქმნეს, თუმცა ამ იმიჯმა დიდხანს ვერ გასტანა. ბოლო ხანს „ისლამურ სახელმწიფო“ დამარცხებას დამარცხებაზე განიცდის.

ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია და ამიტომაც აღმოჩნდა დასავლეთისათვის ირანული რეჟიმი ძალზედ ზომიერი, პრაგმატული და რაციონალური, პრაქტიკულად, — იდეალური მოკავშირე. ეს ის ირანია, რომელიც ზედმეტად მიუახლოვდა ბირთვული იარაღის შექმნას, რომელიც აკონტროლებს ბეირუთს, ბაღდადს, დამასკოს, სანას. ირანი რეგიონული ზესახელმწიფო ხდება „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ გაჩენილი საფრთხეების გამო, აშშ-ისა და ევროპის უსურვილობის ფონზე, გაგზავნონ ჯარები ერაყში საომრად.

წარსულში ატილა და ჩინგიზ-ხანი თავზარს სცემდნენ აზიურ სტეპებს, ავრცელებდნენ რა ხმებს დაუმორჩილებელი ქალაქების დაუნდობლად განადგურების თაობაზე. დღეისათვის ბოროტმოქმედებების შესახებ ხმები მყისვე ვრცელდება. მაგრამ ამჟამად საშინელმა დაუნდობლობამ მტრები გააერთიანა და „ისლამური სახელმწიფოს“ მოსალოდნელი მარცხი განაპირობა. მტრები ძალზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდნენ, კარგად შეიარაღებულნიც. ამ დრომდე „ისლამურ სახელმწიფოს“ ის შველის, რომ კოალიცია ძალზე წინააღმდეგობრივია და ინტერესების მყისიერ დამთხვევას ემყარება.

მაშ, ვინ იბრძვის სინამდვილეში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ? ამერიკული თვითმფრინავები და უპილოტო საფრენი აპარატები სერიოზულ აზიანებენ მას, მაგრამ ელისზე საბოლოო გამარჯვება მხოლოდ ხმელეთზე შეიძლება იქნეს მიღწეული. ხელჩართული ომისა და საკუთარი სისხლის ღვრისთვის დღეს მხოლოდ ერაყელები და ქურთები არიან მზად. მათ, უბრალოდ, არ გააჩნიათ სხვა გამოსავალი. ბოლო დროს ისინი წარმატებებს აღწევენ და „ისლამურ სახელმწიფოს“ სერიოზულ ზიანს აყენებენ.

**«ისლამური სახელმწიფოს» ხელმძღვანელობა, მარკეტინგისა და ბრენდის გაპიარების თვალსაზრისით, უმაღლეს ჯილდოს იმსახურებს. სულ რაღაც ერთ წელიწადში მათ შექმნეს ბრენდი, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო იცნობს**

საუბარია არა მხოლოდ კობანზე, ქურთულ-იეზიდურ სტალინგრადზე, და არა მხოლოდ მოსულზე დაგეგმილ შეტევაზე, რომელიც სულ მალე უნდა დაიწყოს. „ისლამურ სახელმწიფოს“ ჰყავს ბოევიკები, რომლებიც მზად არიან, მოკჰლან, ჩაიდინონ ახალ-ახალი მხეცობები, მაგრამ ეს კაციჭამიები ჯერაც არ ჩამოყალიბებულან ორგანიზებულ არმიად. ამასთან, ქურთულმა „პეშმერგამ“ უკანასკნელი ნახევარი წლის მანძილზე ათასობით მებრძოლი დაკარგა. ერაყის არმია ოდნავ კი გამოკეთდა ბოლოდროინდელი კოლაფსის შემდეგ, მაგრამ მასაც დიდი დანაკარგები აქვს და არ ასაზრდოებს მოხალისეების ნაკადები, ეს მხოლოდ „ისლამური სახელმწიფოს“ უპირატესობაა. მალე სახმელეთო ოპერაციას ახალი ძალები უნდა შეემატოს.

და ვინ იქნებიან ეს ახალი ძალები? დასავლური ქვეყნები, როგორც ყოველთვის, ახლაც გაერთნენ დაუსრულებელი კონსულტაციებითა და მოლაპარაკებებით და თანმიმდევრულად უარყვეს ძალის გამოყენების შესაძლებლობა პოლიტიკური კორექტულობის ნორმების დაცვისა და სხვა ამგვარების სასარგებლოდ. ბოლოს და ბოლოს, მიუხედავად დასავლეთის დაუინტერესებლობისა, გაგზავნოს ჯარისკაცები ერაყში, „ისლამური სახელმწიფო“ მაინც დამარცხდება. ფინანსური წყაროების ნელ-ნელა დაშრობა, თანამედროვე იარაღის გამოყენება, მოხალისეთა ნაკადების გადაკეტვა თავისას გაიტანს და ეს საშინელი რეჟიმიც დაემხობა; მაგრამ საქმე ისაა, რომ მის ადგილზე არ აღმოცენდება არც ახლოაღმოსავლური შვეიცარია და არც რაიმე შვედეთის მსგავსი. **შიიტებსა და სუნიტებს შორის ომი, ბრძოლა ირანს, საუდის არაბეთსა და ეგვიპტეს შორის რეგიონში ჰეგემონობისთვის კვლავაც გაგრძელდება ავღანეთის მთებიდან მაროკოს სანაპიროებამდე.**

და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „ისლამური სახელმწიფო“ ხვალვე რომ დაემხოს, სიძულვილის იდეოლოგია არსად გაქრება. პირდაპირ ეთერში თავის მოკვეთის მორიგი სცენა შეიძლება ნებისმიერ ადგილას დაიდგას და ვერც ერთი ადამიანი ვერ ჩათვლის, რომ ეს მას არ ეხება...

**Globes**

მოკლედ



# სენატმა ამერიკის ახალი თავდაცვის მინისტრი დაამტკიცა



**აშშ-ის კონგრესის ზედა პალატამ, სენატმა, ეშტონ კარტერი თავდაცვის მინისტრის პოსტზე თითქმის ერთხმად დაამტკიცა.** ეშტონის კანდიდატურას 100 სენატორიდან 93-მა დაუჭირა მხარი. ბარაკ ობამა, რომელმაც ეშტონის კანდიდატურა კონგრესს დეკემბერში წარუდგინა, სენატის გადაწყვეტილებას მიესალმა. მისი თქმით, კარტერის მრავალწლიანი გამოცდილება ხელს შეუწყობს ტერორიზმთან ბრძოლის ფონზე სამხედრო ძლიერების შენარჩუნებას, აშშ-ის სამხედრო ალიანსების მოდერნიზებას და გრძელვადიანი საფრთხეების წინააღმდეგ ახალ შესაძლებლობებში ინვესტირებას.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პერსპექტივაში აშშ ავღანეთში თავისი გავლენის შენარჩუნებას აპირებს. და მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის სიმდიდრის დანაწილებაზე ადგილობრივ თალიბებთან მოლაპარაკებები და შეთანხმების მიღწევა იოლი არ იქნება, ამერიკელებს საქმე სწორედ აქეთ მიჰყავთ.**

# აშშ ავღანეთის ნედლეულისათვის ომს იწყებს

**აშშ, სულ მცირე, ორი წელია, მუშაობს თალიბებთან ურთიერთობის ნორმალიზების ვარიანტებზე. ამის თაობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა დოხაში, ყატარის შუამდგომლობით. ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ აშშ წავა, რათა დარჩეს. „თალიბანთან“ ურთიერთობების გადატვირთვის ერთ-ერთი მიზეზი არის ამერიკული კორპორაციების ინტერესი ავღანეთის ნედლეული სიმდიდრის მიმართ.**

ყოფილი ბრიტანელი ოფიცერი იან ხანამი, რომელიც მეწარმეობით ელიტური სპეცქვედანაყოფი SAS-იდან წასვლისა და JP Morgan Cazenove-ში მუშაობის შემდგომ დაკავდა, პენტაგონის მხარდაჭერით ახლა ავღანეთის სამთომომპოვებელ სექტორში ფუძნდება. 2014 წლის ბოლოს მის მიერ დაფუძნებულმა კომპანია „Centar American“-მა დაიწყო ლითიუმის გეოლოგიური დაზვერვა სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინცია განზაში. პროგნოზების თანახმად, ავღანეთში, შესაძლოა, ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მინერალის პლანეტაზე უდიდესი მარაგები აღმოჩნდეს.

**CENTAR AMERICAN-ი დარეგისტრირებულია ნევადაში — აშშ-ის უმსხვილეს ლითიუმის მწარმოებელ შტატში და კომპანია CENTAR PLC-ის შვილობილი სტრუქტურაა. ეს უკანასკნელი იან ხანამისა და პოლონელი ბიზნესმენის — ინა კულჟაკის საერთო თანამფლობელობაშია. მნიშვნელოვანია, რომ ავღანეთში სამუშაოებს კომპანია აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსთან ერთად აწარმოებს. ეს სტრუქტურა თავადაა დაინტერესებული ავღანეთის სამთომომპოვებელი დარგით.**

Centar American-ის ყველა პროექტი მოიწონა ავღანეთის ხელისუფლებამ, ამასთან, საუბარია არა მხოლოდ გეოდაზვერვებზე. კომპანიამ უკვე აიღო ნებართვა არა მხოლოდ ლითიუმის მოსაპოვებლად, არამედ ბალკხარასა და შაიდეში სპილენძის მოსაპოვებლადაც. Centar American-ი ქაბულთან კავშირებს ახორციელებს კომპანია Afghan Gold and Minerals (AGM)-ის მეშვეობით, მისი ერთ-ერთი მფლობელი — სადატ მანსუარ ნადერი კი ავღანეთის ხელისუფლებასთანაა დაახლოებული.

აღსანიშნავია, რომ Centar American-ის ხელმძღვანელო-



ბა ყოფილი ბრიტანელი სპეცრაზმელებისგან შედგება. მაგალითად, SAS-ის 22-ე პოლკის ყოფილი მეთაური რიჩარდ უილმსი მმართველი დირექტორია როგორც AGM-ში, ასევე Centar American-ში; ამ უკანასკნელის ფინანსური დირექტორი მერიონ დეი კი — Afghan Reconstruction Group (ARG)-ის ყოფილი ხელმძღვანელი. ეს ორგანიზაცია სახელმწიფო დეპარტამენტმა 2004 წელს შექმნა, როგორც „კერძო ექსპერტებისა და დიპლომატების ქსელი“, სინამდვილეში კი ამერიკული სპეცსამსახურების მთელ რიგ ფუნქციებს ასრულებს.

ავღანეთში Centar-ის აქტივიზაცია დაკავში- ►

# რას მალავს ბრიტანული ციხეები

**როდესაც ოფიციალური პირები ჟურნალისტებს სადღაც შეღწევის საშუალებას არ აძლევენ, ცხადია, უმალ ჩნდება კითხვა: რას მალავენ დაკეტილ კარს მიღმა? ბრიტანელმა ჟურნალისტმა, ორი წლის წვალების მიუხედავად, ვერ შეაღწია ორ მნიშვნელოვან დაწესებულებაში — სუპერმარკეტების საქონლის სასაკლაოზე და მოზრდილთა ციხეში.**

ცხენის ხორცთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ ჟურნალისტებმა გადაწყვიტეს, დეტალურად დაეწერათ თანამედროვე სასაკლაოების მუშაობის შესახებ და ამისათვის, ბუნებრივია, თავდაპირველად სუპერმარკეტებს დაუკავშირდნენ. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერებთან ხანგრძლივი საუბრების დროს ჟურნალისტები ირწმუნებოდნენ, რომ ეს იქნებოდა ნეიტრალური მასალა, რომელიც ასახავდა საკვები პროდუქტების გადამუშავების ესოდენ მნიშვნელოვან პროცესს. ყველა სუპერმარკეტმა უარი განაცხადა დაუპატიჟებელი სტუმრების მიღებაზე.

იმავე ლოგიკით, ჟურნალისტები 2013 წლის დასაწყისიდან ცდილობდნენ ციხეებში შეღწევას, ამისთვის უამრავჯერ მიმართეს იუსტიციის სამინისტროს. მათ თხოვნას განიხილავდნენ და უარით პასუხობდნენ.

**2014 წლის მაისში, ერთწლიანი უარების შემდეგ, GUARDIAN-ის რედაქტორმა ალან რასბრიჯერმა გადაწყვიტა, დახმარებოდა ჟურნალისტებს დაკეტილი კარების გაღებაში და იუსტიციის მინისტრ კრის გლეილინგს მისწერა წერილი, რომლითაც ციხეში ჟურნალისტების შესვლის თხოვნის დაკმაყოფილებას სთხოვდა. მინისტრი შეხვდა რედაქტორს, განიხილეს აღნიშნული საკითხი და ცალკე შეხვედრა დაგეგმეს ციხეების სფეროს მთავარ ჩინოვნიკ მაიკლ სპერთან.** მისი თანდასწრებით საკითხი კიდევ ერთხელ განიხილეს. სპერმა განაცხადა, რომ ამგვარი სტატია სარგებლოა და მასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემას ვერ ხედავს. ამის შემდეგ ჟურნალისტებმა დაწერეს ახალი თხოვნა, რომელიც კიდევ ერთხელ განიხილეს იუსტიციის სამინისტროს ჩინოვნიკებმა. რვათვიანი მოლაპარაკებების შემდეგ საბოლოო პასუხი ელექტრონული ფოსტით გაიგზავნა. წერილში ეწერა: „სამწუხაროდ, ამჟამად არ შეგვიძლია გადაწყვეტილების მიღება თქვენს თხოვნასთან დაკავშირებით“.



**საპატიმროების დაფინანსება უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 263 მილიონი გირვანქა სტერლინგით შემცირდა, 2010 წლიდან ამ დრომდე კი თანამშრომელთა 28% შემცირებაში მოყვა**

**ამ უარმა, იმედის გაცრუებასთან ერთად, განცვიფრებაც გამოიწვია. ციხეებში არის უამრავი რამ, რაზეც დეტალური საუბარია საჭირო. იქ ხელისუფლებისთვის უამრავი რეალური გამოწვევაა. პატიმრების რაოდენობა იზრდება, მაგრამ საპატიმროების დაფინანსება უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 263 მილიონი გირვანქა სტერლინგით შემცირდა, 2010 წლიდან ამ დრომდე კი თანამშრომელთა 28% შემცირებაში მოყვა. ზოგიერთი ციხე გადავსებულია, პატიმართა შორის ხშირია თვითმკვლელობები.**

ამ ყველაფრის პარალელურად მიმდინარეობს ხელისუფლების მიდგომის კრიტიკული ცვლა იმასთან დაკავშირებით, თუ რა რეაგირება უნდა მოჰყვეს ციხეებში პატიმართა რაოდენობის ზრდას. შენდება გაცილებით უფრო დიდი ციხეები, მაგალითად, Oakwood-ი, რომ- ►

## მოკლედ



# შენგენის ქვეყნები ტურისტებზე კონტროლს ამკაცრებენ

**შენგენის ზონის ქვეყნებში, ტერორისტთა შეღწევის თავიდან აცილების მიზნით, ევროკავშირის წევრები ახალი დოკუმენტის მიღებას აპირებენ.** დოკუმენტი გაამკაცრებს კონტროლს პირებზე, რომლებსაც შენგენის ზონის საზღვრის გადაკვეთა სურთ. მსგავსი პროექტის განხორციელება პოტენციური ტერორისტების გადაადგილებას შეზღუდავს. ევროკავშირის ლიდერები ბრიუსელში შეხვედრას გეგმავენ, სადაც ერთ-ერთ საკითხად ევროპიდან „ისლამურ სახელმწიფოში“ მოხალისეების გასვლის საკითხს განიხილავენ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა „ისლამურ სახელმწიფოში“ მიღებული ტერორისტული გამოცდილების მქონე მოხალისეების ევროპაში დაბრუნების საკითხს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კარტერის ამოცანაა, დაკავდეს ოპტიმიზაციითა და მოდერნიზაციით. აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი დღეისთვის სტაბილიზებულია 600-620 მილიარდი დოლარის ნიშნულზე — ეს პირდაპირი სამხედრო ხარჯებია. 2016 წლისთვის პენტაგონის დამტკიცებული ბიუჯეტი 580-586 მილიარდი დოლარია. ეშტონ კარტერი არის მენეჯერი, რომლის ამოცანაა, ეფექტიანად დახარჯოს ეს ფული და რაღაც-რაღაც რეფორმები გაატაროს.**

რებულია ამ ქვეყანაში სასარგებლო წიაღისეულის შესახებ განახლებული მონაცემების მიღებასთან. გასულ წელს ამერიკულმა ორგანიზაცია US Geological Survey-მ გამოაქვეყნა გეოდაზვერვის შედეგები, რომელმაც ავღანეთის ტერიტორიის 70%-ზე მეტი მოიცვა და სატავე დაუდო ამ ქვეყნის სიმდიდრეზე დიდ ნადირობას. რომ აღარაფერი ვთქვათ ოქროს მარაგებზე, ძვირფას ქვებზე, ლითიუმზე, მოლიბდენზე, ნიობიუმზე, ურანსა და სხვაზე, მხოლოდ რკინისა და სპილენძის საბადოების საერთო მარაგები, ასევე იშვიათი ლითონების მარაგებიც, ავღანეთის ტერიტორიაზე ტრილიონ დოლარადაა შეფასებული. მხოლოდ ლითიუმის მარაგები ამ ქვეყანაში აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ქვეგანყოფილებამ — TFBSO-მ 60 მილიარდ დოლარად შეაფასა.

**ავღანეთის შახტებისა და ნავთობის სამინისტროსთან მჭიდრო კავშირები დაამყარეს ასევე ავსტრალიურმა Worley Parsons-მა, რომელიც TFBSO-სთან კონტაქტებით მუშაობს და კიდევ მთელმა რიგმა საერთაშორისო საკონსალტინგო ფირმებმა.**

დამატებით ინტრიგას ქმნის ავღანურ პროვინცია გილმენდში მდგომარეობის ცვლილება: იქ მოქმედი თალიბური დაჯგუფებები დეკემბერ-იანვარში მიღწეული საომარი წარმატებების შემდეგ აცხადებენ, რომ „ისლამურ სახელმწიფოს" უერთდებიან. სიტუაცია იმდენად დაძაბულია, რომ ამას მოჰყვა კონსულტაციები ავღანეთისა და პაკისტანის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს — რიზვან ახტარსა და რახმატულახ ნაბიემს შორის.

**პერსპექტივაში აშშ ავღანეთში თავისი გავლენის შენარჩუნებას აპირებს. და მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის სიმდიდრის დანაწილებაზე ადგილობრივ თალიბებთან მოლაპარაკებები და შეთანხმების მიღწევა იოლი არ იქნება, ამერიკელებს საქმე სწორედ აქეთ მიჰყავთ. მათ მშვენივრად ესმით, თუ რამდენად არამდგრადია ქაბულის ამჟამინდელი რეჟიმის პოზიციები.**

ავღანური წიაღისეული სიმდიდრეების გახსნა აშშ-სა და მის მოკავშირეებს, როგორც ვაშინგტონში იმედოვნებენ, ჩინეთის პოზიციებზე დარტყმის მიყენების საშუალებას მისცემს. ეს უკანასკნელი ბოლო დრომდე მონოპოლისტია იშვიათი ლითონების მოპოვების საქმეში, რის გამოც გავლენას ახდენს ელექტრონიკის მსოფლიო ბაზარზე. მაგრამ მთავარი ბრძოლა ავღანური ნედლეულისთვის ჯერ კიდევ წინაა.

**fondsk.ru**

ლის მართვასაც ახორციელებს კომპანია G4S-ი. ციხე გათვლილია 1600 ადამიანზე და მან მძიმედ დაიწყო მუშაობდა 2012-ში, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, იქ ყველაფერი რიგზეა. მნიშვნელოვნად წავიდა წინ კიდევ ერთი ციხის — Wrexham-ის მშენებლობაც. ის 2100 პატიმარზეა გათვლილი და ქვეყანაში უმსხვილესი პენიტენციალური დაწესებულება იქნება.

შიგა პოლიტიკის საკითხებში Guardian-ის რედაქტორი ალან ტრევისი ამ თემებს დეტალურად აშუქებს ინსპექციების შესახებ დეტალური ანგარიშებისა და იმ უამრავი პირადი კონტაქტის წყალობით, რომლებიც მას აქვს კომენდანტებთან, იუსტიციის სამინისტროს ჩინოვნიკებთან და ყოფილ პატიმრებთან. მაგრამ რედაქციას სურდა, ეს სურათი ციხის შიგნიდან გამოტანილი ინფორმაციით შეევსო, მოეთხრო მკითხველისთვის, თუ როგორ ფუნქციონირებს თანამედროვე ციხე, ეჩვენებინათ, რა გამოწვევების წინაშე დგას პერსონალი დაფინანსების შემცირებისა და პატიმართა რაოდენობის ზრდის ფონზე.

როდესაც მოხელეებმა განაცხადეს, რომ Oakwood-ში მდგომარეობა ძალზე რთულადაა საიმისოდ, რომ იქ ვინმე შეუშვან, რედაქციამ მოითხოვა იმ ციხეებში შესვლის ნებართვა, რომლებმაც დადებითი შეფასება მიიღეს საინსპექციო ანგარიშებში.

2011 წელს მოხერხდა კომპანია „Serc"-ს მიერ მართვადი არასრულწლოვანთა ციხის — Ashfield-ის დათვალიერება. ეს ვიზიტი ორგანიზებულ იქნა მაშინ, როდესაც იუსტიციის მინისტრი კენეტ კლარკი გახლდათ და იგი პრესასთან ბევრად უფრო ღია პოლიტიკას ატარებდა. მოულოდნელად ეს ვიზიტი ძალზე შემეცნებითი აღმოჩნდა. Serco-ს ზოგიერთ თანამშრომელს თითქოს გულწრფელად სურდა იქ მყოფი ახალგაზრდა პატიმრებისთვის მდგომარეობის ოდნავ მაინც გაუმჯობესება. ვიზიტებისას გაირკვა, რომ ძალზე ძნელი და ძვირი სიამოვნებაა იმ მოზარდებისთვის თვალყურის დევნება, რომელთა მესამედსაც, როგორც დადგინდა, ფსიქიური პრობლემები ჰქონდა.

ახლა ჟურნალისტები იმედოვნებენ, რომ გრეილინგი, ბოლოს და ბოლოს, შეიცვლის პოზიციას, ნებას დართავს მათ, გაეცნონ ციხეების ფუნქციონირებას შიგნიდან და მიხვდება, რომ გახსნილობა, შესაძლოა, პოზიტიური მიდგომა იყოს როგორც ამ ციხეების თანამშრომლებისათვის, ასევე პატიმრებისა და საზოგადოებისთვისაც.

**The Guardian**

# ობამას ხელის ქორი



**აშშ-ის მთავარ სამხედრო უწყებას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს — 60 წლის ეშტონ კარტერი. მისმა კანდიდატურამ ყველა ოფიციალური პროცედურა გაიარა ამერიკულ სენატში და ხმათა უმრავლესობით დამტკიცდა თავდაცვის მინისტრად — ობამას მმართველობის პერიოდში პენტაგონის მეოთხე ხელმძღვანელად.**

შეგახსენებთ, კარტერის წინამორბედი — 68 წლის ჩაკ ჰეიგელი ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში გადადგა. როგორც ამბობენ, მას საკმაოდ სერიოზული უთანხმოებები ჰქონდა თეთრ სახლში პრეზიდენტის გარემოცვასთან. მეორე ვერსიით, ჰეიგელი ნაჩქარევად მოიშორეს, რადგან ვერ გაუმკლავდა სირიასა და ერაყში მოთარეშე „ისლამური სახელმწიფოს".

სხვათა შორის, ჰეიგელს უკავშირდება კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც ამერიკულ-რუსულ ურთიერთობებს ეხება. აშშ-ის არმიის ყოველწლიურ კონფერენციაზე გამოსვლისას გასული წლის ოქტომბერში მან რუსეთი გაუთანაბრა ტერორისტულ საფრთხეებს და მოუწოდა ამერიკულ არმიას, ომისათვის მომზადებულიყო. ამან განაცვიფრა რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ.

რას შეიძლება ველოდოთ პენტაგონის ახალი ხელმძღვანელისგან, რომლის კანდიდატურაც პირადად აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ წამოაყენა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა ვიცოდეთ, რომ კარტერის სამი წინამორბედიდან (რობერტ გეიტსი, ლეონ პანეტა და ჩაკ ჰეიგელი) ორი — გეიტსი და ჰეიგელი — რესპუბლიკელია. გეიტსი ობამას უმცროსი ბუშისგან ერგო მემკვიდრეობით, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს ორი მინისტრი ვერ მუშაობდა თეთრი სახლის აპარატთან. ამის შესახებ თავის მემუარებში დაწერა რობერტ გეიტსმა. იმავეზე მიანიშნებდნენ ჰეიგელის გარმოცვაშიც.

ორივეს საკუთარი თვალსაზრისი ჰქონდა მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით და ცდილობდა, ეს თვალსაზრისი მიეტანა ობამამდე და ბაიდენამდე. თეთრი სახლი კი ძალზე უკმაყოფილო იყო იმით, რომ ეს მინისტრები გადაჭარბებულ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ავლენდნენ.

ამიტომაც აირჩია ობამამ ამჯერად თანაპარტიელი. **კარტერი არის ადამიანი, რომელსაც საკუთარი აზრი არ ექნება. და თუ ექნება, ის აუცილებლად დაემთხვევა თეთრი სახლის აზრებსა და შეხედულებებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავდაცვის ახალ მინისტრად დაინიშნა ის, ვინც პირნათლად შეასრულებს ობამას ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებს.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო მშენებლობების საკითხებში თეთრ სახლს ობამას პრეზიდენტობის დარჩენილ ორ წელიწადში საკუთარი პრიhორიტეტები აქვს და მას, უბრალოდ, შემსრულებელი მინისტრი სჭირდება. მისი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ, რაც შეიძლება, კარგად შეასრულოს მითითებები, რომლებსაც ზემოდან მიიღებს და ნაკლებად გამოიჩინოს ინიციატივები.

> **კარტერი არის ადამიანი, რომელსაც საკუთარი აზრი არ ექნება. და თუ ექნება, ის აუცილებლად დაემთხვევა თეთრი სახლის აზრებსა და შეხედულებებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავდაცვის ახალ მინისტრად დაინიშნა ის, ვინც პირნათლად შეასრულებს ობამას ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებს**

**კარტერი სწორედ მართული თავდაცვის მინისტრი იქნება, მაშინ, როდესაც მისი ორი წინამორბედი ნახევრად უმართავი იყო.**

იგი განათლებით ფიზიკოსია. უფრო მეტიც, ჯარში არასდროს უმსახურია, სამხედრო ფორმა არ სცმია და შეიარაღებულ ძალებთან საერთოდ არანაირი შეხება არ ჰქონია. ტექნოკრატი და მენეჯერი ადამიანია, რომელსაც არც ერთ სამხედრო ოპერაციაში არ მიუღია მონაწილეობა.

**კარტერის ამოცანაა, დაკავდეს ოპტიმიზაციითა და მოდერნიზაციით. აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი დღეისთვის სტაბილიზებულია 600-620 მილიარდი დოლარის ნიშნულზე — ეს პირდაპირი სამხედრო ხარჯებია. 2016 წლისთვის პენტაგონის დამტკიცებული ბიუჯეტი 580-586 მილიარდი დოლარია.**

**ეშტონ კარტერი არის მენეჯერი, რომლის ამოცანაა, ეფექტიანად დახარჯოს ეს ფული და რაღაც-რაღაც რეფორმები გაატაროს.** ახლა ამერიკელები დიდ აქცენტს აკეთებენ არა საბრძოლო მოქმედებების წარმოებაზე, არამედ საკუთარი სამხედრო მანქანის მოდერნიზებაზე — ახალი ტექნიკის შეძენაზე, იარაღის თანამედროვე სახეობების შექმნაზე, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე. და პენტაგონის მორიგი ხელმძღვანელი, დიდი ალბათობით, სწორედ ამ საქმეებით და მომავალი საომარი მოქმედებებით იქნება დაკავებული.

ამიტომაც დანიშნეს იგი, როგორც პენტაგონის შიდა სამზარეულოს მცოდნე სწორედ მენეჯერული და სამეურნეო თვალსაზრისით.

კიდევ საკითხავია, იქნება თუ არა კარტერი ნამდვილად ეფექტური მენეჯერი, თუმცა საამისო პრეტენზია ნამდვილად აქვს. ყოველ შემთხვევაში, თავად კარტერი, საეჭვოა, რაიმე ოპერაციებში ჩაებას. მაგრამ იგი მხარს დაუჭერს ყველა იმ ოპერაციას, რომელთაც თეთრი სახლი, უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაგეგმავს აშშ-ის სამხედრო ძლევამოსილებასთან დაკავშირებით. იგი ყველა ამგვარ გეგმას ჩაიბარებს და პირნათლად შეასრულებს.

ვინაიდან თავს არ მიიჩნევს სამხედრო ოფიცრად, არც მოინდომებს სამხედრო ძალის გამოყენების მართვას, სავარაუდოდ, მას მშვენივრად ესმის, რომ იმ საკითხებში, რომლებშიც დიდი სპეციალისტი არ არის, ადვილად შეიძლება დაიწვას. ამიტომ შეეცდება, ვილაცების ზურგს უკან შეიყუჟოს და საკუთარი ჩავარდნები და წარუმატებლობები უშუალოდ ამერიკელ სამხედროებს გადააბრალოს.

კლინტონის პერიოდში კარტერი საბჭოთა ქვეყნებთან სამხედრო კავშირებს და ბირთვულ იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს კურირებდა. უყურადღებოდ არ დარჩენილა ირანთან დაკავშირებით მისი საკმაოდ მკაცრი განცხადება, რომელშიც იგი ირანის ბირთვულ პროგრამას აკრიტიკებდა. ეს პროგრამა, მისი აზრით, გარკვეული სახის საფრთხეს წარმოადგენს. სავარაუდოდ, ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ კარტერი მთელი ცხოვრების მანძილზე დაკავებული იყო ბირთვული შეიარაღების საკითხებით და განსაკუთრებით მგრძნობიარე იმ კონფლიქტების მიმართ, რომლებშიც ბირთვული იარაღის გამოყენება იქნება შესაძლებელი.

რაც შეეხება უკრაინის კონფლიქტს, ავღანეთს ან „ისლამური სახელმწიფოს" რაზმების საწინააღმდეგო სამხედრო ოპერაციას, საუბარიც კი არ არის იმაზე, რომ ამ ყველაფერში რამენაირად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბირთვული იარაღი. ამიტომაც ამ საკითხებთან დაკავშირებით კარტერს, სავარაუდოდ, საკუთარი პოზიცია არც ექნება. თუმცა მას სავსებით დასაშვებად მიაჩნია ოფიციალური კიევისთვის ლეტალური იარაღის მიწოდების პერსპექტივა.

**interpolit.ru**



## სარკოზი აშშ-ს სდებს ბრალს



**საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი რუსეთს მხარს უჭერს და ეწინააღმდეგება აშშ-ის გეგმას, წაიყვანოს ევროპა მესამე მსოფლიო ომისკენ.** პარტიის ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას სარკოზიმ განაცხადა, რომ ყირიმმა რუსეთი აირჩია და ყირიმელებს ვერ დავადანაშაულებთ, რომ ისინი უკრაინას გამოეყვნენ. საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის აზრით, თუ კოსოვოს აქვს იმის უფლება, რომ სერბეთისგან დამოუკიდებელი იყოს, როგორ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ ყირიმს არ აქვს უფლება, დატოვოს უკრაინა და რუსეთს შეუერთდეს. საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის თქმით, უკრაინა ევროკავშირში არ უნდა გაწევრიანდეს. მისივე თქმით, უკრაინამ უნდა შეინარჩუნოს ხიდის როლი მოსკოვსა და ევროპას შორის.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**და, რადგანაც უკვე იცით, რომ შეიარაღებულ ძალებს დაკისრებული ამოცანის შესრულება არ შეუძლიათ, მინდა, დაგისვათ უხერხული კითხვა: ბატონო პრეზიდენტო, როგორ გძინავთ ღამით? მშვიდად? თუ უძილობა გაწუხებთ ჯარის უმწეო მდგომარეობის გამო? დარწმუნებული ვარ, თქვენთვის, წინამორბედისგან განსხვავებით, სულერთი არ არის, როგორი სახელით შეხვალთ საქართველოს ისტორიაში.**

# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს!

**2014 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს გავუგზავნე წერილი (№1/11816 — 11.11.2014 წ.), რომელშიც ვუზიარებდი ჩემს მოსაზრებებს სამხედრო სარეზერვო სამსახურისა და, საერთოდ, ჯარის რეალური საბრძოლო მზადყოფნის თაობაზე. ასეთივე შინაარსის წერილები ადრე გაგზავნილი მქონდა თავდაცვისა და იუსტიციის მინისტრებისთვის, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარისთვის, უმრავლესობისა და ფრაქციის ლიდერებისთვის.**

**არც ერთმა არ გასცა პასუხი ჩემს კითხვებს, ამიტომ გადავწყვიტე, მიმეწერა წერილი სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლისთვის. დღეს უკვე 2015 წლის თებერვალია და პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ჩამიჩუმი არ ისმის.**

**ე. ი. უკვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში ვერ ერკვევა და ამიტომაც არ აინტერესებს, ან მას პროფესიონალი სამხედრო მრჩეველი არ ჰყავს.**

**აქედან გამომდინარე, საკითხავია, ადეკვატური იქნება პრეზიდენტის მოქმედებები ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში? როცა მას რეალურად აღარც ეროვნული უშიშროების საბჭო ემორჩილება და აღარც — დაზვერვა, ვისი მეშვეობით უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები საომარი მდგომარეობის, მობილიზაციის გამოცხადებისა და სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ?**



**კონსტიტუციის მე-3, 69-ე, 78-ე და 79-ე მუხლების საფუძველზე თქვენი თანამდებობა უკვე აღარ არის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების შემადგენლობაში და ამიტომ ვეღარ იქნებით ქვეყნის პირველი პირი**

**ბატონო გიორგი!**

2014 წლის 1 ოქტომბერს კანონმდებელთა წინაშე ანგარიშით წარდგა თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი სესიაშვილი. მან მიმოიხილა საანგარიშო პერიოდი და დადებითად შეაფასა როგორც კომიტეტის მუშაობა, ასევე თავდაცვის სფეროში ჩატარებული „რეფორმებიც". მოგვიანებით მან თავდაცვის მინისტრზე განაცხადა, რომ ის არის საუკეთესო თავდაცვის მინისტრი ბოლო წლების განმავლობაში.

**ერთ-ერთი დეპუტატის კითხვაზე — რატომ არ მომზადდა ამ ორი წლის განმავლობაში ერთი რეზერვისტი მაინც, სესიაშვილს გაუჭირდა პასუხის გაცემა და განაცხადა, რომ მიმდინარეობს მუშაობა კანონებზე „საქართველოს თავდაცვის შესახებ" და „მობილიზაციის შესახებ".**

პარლამენტის სხდომა კიდევ დიდხანს მიმდინარეობდა, მაგრამ არავინ დაინტერესებულა და არც არავის უკითხავს, რა მდგომარეობაშია რეალურად დღეს ქართული ჯარი და შეუძლია თუ არა მას, შეასრულოს დაკისრებული ამოცანა.

**თუმცა, ყველასათვის მოულოდნელად და შეუმჩნევლად, გამჟღავნდა სრულიად საიდუმლო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს სამხედრო ძალები ისევ რჩებიან მომზადებული რეზერვის გარეშე და აქედან გამომდინარე, ქვეყნის დასაცავად მზად არ არიან.**

როგორც ჩანს, 2008 წლის აგვისტოს ომიდან არც ძველ, არც ახალ ხელისუფლებას და არც ნატოს მრჩევლებს დასკვნები არ გამოუტანიათ და არც უცდიათ მისი პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგების გაანალიზება და შეფასება.

არადა, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისთვის შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესახებ ამაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ არსებობს.

თვითონ განსაჯეთ:

**თავდაცვის სამინისტროში „კაბელების" შესყიდვის ისტორია საიდუმლოა; ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები — საიდუმლო; დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტიც — საიდუმლო; ფარული მოსმენების შესახებ კანონის მიღება — ძალიან მნიშვნელოვანი. მაგრამ, აი, არმიის რეალური საბრძოლო მდგომარეობის შესახებ მსჯელობა, საიდუმლო კი არა, ყურადღების ღირსიც არ არის.**

ასეთია დღეს კანონმდებლების, მთავრობისა და, საერთოდ, საზოგადოების წარმოდგენა ქვეყნის „მნიშვნელოვან და არამნიშვნელოვან საკითხებზე".

გამჟღავნებული ინფორმაცია ისეთივე სახელმწიფოებრივი სადუმლოების შემცველია, როგორიც იყო 2008 წლის აგვისტოში პრეზიდენტისა და უშიშროების საბჭოს მდივანს შორის ღია ეთერში გამართული საუბარი „ჩამოგდებული" რუსული თვითმფრინავების რაოდენობის შესახებ.

შეგახსენებთ:

უშიშროების საბჭოს მდივანმა პრეზიდენტს ახარა, „10 თვითმფრინავი ჩამოვაგდეთ"-ო.

მაგრამ, **პრეზიდენტს, რომელმაც განაცხადა, მე უკეთ ვარ ინფორმირებული(?), ეცოტავა ეს რაოდენობა და მყისვე 30-მდე გაზარდა. თითქოს რუსებმა არ იცოდნენ, რამდენი თვითმფრინავი ააფრინეს ჰაერში და მათგან რამდენი დაეშვა. ამ საუბრით მათ მოწინააღმდეგე დაარწმუნეს, რომ ხელისუფლება დაბნეულია და დაკარგა ჯარების მართვის უნარი.**

პირველი პირებისგან ასეთი ინფორმაციის მიღების შემდეგ ვინ დაინტერესდებოდა „ენვერის", „მაისაიას" ან „სტრელნიკოვის" შეტყობინებებით?

ვინ დაუჯერებდა მათ?

**რეზერვის მოუმზადებლობის შესახებ ინფორმაცია ისე მსუბუქად და გულგრილად მიიღეს კანონმდებლებმა, თითქოს ეს საკითხი ქვეყანას საერთოდ არ ეხება და ამიტომაც ეს პრობლემა არ აწუხებთ, მისთვის არც სცალიათ.**

**პარლამენტარები ვერც კი მიხვდნენ, რა საფრთხის შემცველი იყო ასეთი კითხვა-პასუხი.**

მოდი და, ამის შემდეგ „კოჭოიას მაღალპროფესიონალურ გამოცდილ ჯგუფს" (ივანე მერაბიშვილის შეფასებით), რომელმაც ვერც ერთი „დავალება" ვერ შეასრულა, რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობა დააბრალე, ხოლო უმაღლეს მთავარსარდალსა და წითელ ხიდზე მყოფ მაღალჩინოსნებს პატრიოტები უწოდე.

**ქვეყნის თავდაცვის ინტერესებისადმი ასეთი მიდგომით კანონმდებლებმა და მთავრობამ თავიანთი გონივრული შესაძლებლობები, ცოდნა-გამოცდილება თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში კიდევ ერთხელ შეაფასებინეს უცხო ქვეყნების დაზვერვებს და დაარწმუნეს, რომ სრულიად არაკომპეტენტურები არიან სამხედრო სფეროში.**

**ჯარი ბრძოლისუუნაროა, ქვეყანა — დაუცველი და ამ დროს თავდაცვის მინისტრი წარმატებულ ხელმძღვანელად რომ მიიჩნევა, ეს სასაცილო და სამარცხვინო არ არის?** როგორც ჩანს, შეიარაღებული ძალების შემფასებელს მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა აქვს მის საბრძოლო მზადყოფნაზე და არავითარი — სამობილიზაციო მზადყოფნაზე.

**ირაკლი ალასანია ისე გაერთო ნატოს გაძლიერებაზე ზრუნვით, რომ სრულიად დაავიწყდა თავისი უწყება; დაავიწყდა ის, რომ ქვეყნის საჰაერო სივრცე და ტერიტორიული წყლები დაუცველია; სამობილიზაციო რესურსი მოუმზადებელია; კონსტიტუცია დამარცხებაზე ორიენტირებული დოკუმენტია; სამხედრო საკანონმდებლო აქტები ბუნდოვანი და არაკონკრეტულია; სამხედრო ძალებსა და უმაღლეს მთავარსარდალს დებულებები არ აქვთ. მას არც კი უცდია, გაერკვია, ვის მოუწევდა რეალურად ქვეყნის დაცვა ომის შემთხვევაში:**

**— სამხედრო ძალებს (არ არსებობენ);**

**— შეიარაღებულ ძალებს (საკითხავია);**

**— თუ სახმელეთო ჯარებს.**

„საქართველოს თავდაცვის შესახებ" კანონის თანახმად:

„სამხედრო ძალები შედგება შეიარაღებული ძალებისგან...";

„შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარებისგან".

ნუთუ მან არ იცის, რომ მომზადებული რეზერვი ჰყავთ ისეთ ქვეყნებსაც კი, როგორებიცაა ავსტრია და შვეიცარია, რომლებსაც დღეს არავინ ემუქრება და არც რუსეთი ესაზღვრებათ?

ნუთუ მას და სხვებსაც დაავიწყდათ 2008 წლის აგვისტო?

ამ კრიტიკულ შენიშვნებთან ერთად ბატონ ირაკლიზე კარგის თქმაც შეიძლება. პირველ რიგში, ის თავის ქვეშევრდომებსა და სამხედრო პენსიონერებზე მზრუნველი და დამცველი პირი აღმოჩნდა.

შეიარაღებულ ძალებში დაამკვიდრა დისციპლინა, სამართლიანობა, მომავლის რწმენა.

ადრე ათასობით უკანონოდ გაყრილი ოფიცერი სამსახურში აღადგინა.

სამხედრო ნაწილებში პირადი შემადგენლობისთვის ცხოვრებისა და სწავლების პირობები საგრძნობლად გააუმჯობესა.

რაც შეეხება „კაბელების" საქმეს: სასამართლო ორგანოებსა და პროკურატურაში სამხედრო საქმეებში კარგად ჩახედული იურისტები რომ გვყოლოდა, თავდაცვის ▶

მსოფლიო

## თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის დაწესებულ სანქციებს არ შეუერთდება

**„ჩვენ არ ვართ ვალდებული, შევუერთდეთ ევროკავშირის სანქციებს, რუსეთი ჩვენი მთავარი სავაჭრო პარტნიორია, თუ საჭირო გახდება, ზომებს დამოუკიდებლად მივიღებთ", — განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუდ ჩავუშოღლუმ.**

მისივე თქმით, ევროპა არასწორად იქცევა სანქციების დაწესების მხრივ, მაშინ, როდესაც ევროპელი ბიზნესმენები რუს კოლეგებთან თანამშრომლობას განაგრძობენ.

„გერმანია ან რომელიმე ევროპული ქვეყანა უარს იტყვის რუსულ გაზზე? მოდით, რეალისტები ვიყოთ. ყველა ქვეყანამ თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს", — აღნიშნა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.



**ირაკლი ალასანია ისე გაერთო ნატოს გაძლიერებაზე ზრუნვით, რომ სრულიად დაავიწყდა თავისი უწყება. დაავიწყდა ის, რომ ქვეყნის საჰაერო სივრცე და ტერიტორიული წყლები დაუცველია; სამობილიზაციო რესურსი მოუმზადებელია; კონსტიტუცია დამარცხებაზე ორიენტირებული დოკუმენტია; სამხედრო საკანონმდებლო აქტები ბუნდოვანი და არაკონკრეტულია; სამხედრო ძალებსა და უმაღლეს მთავარსარდალს დებულებები არ აქვთ. მას არც კი უცდია, გაერკვია, ვის მოუწევდა რეალურად ქვეყნის დაცვა ომის შემთხვევაში.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სამინისტროს მაღალჩინოსნებისადმი ბრალის წაყენება და შემდგომში მათი პატიმრად დატოვება ასე იოლად არ მოხდებოდა.

ყველა ქვეყანაში პროფესიონალი სამხედროების მიმართ, თუ მათ მძიმე დანაშაული შეგნებულად არ ჩაუდენიათ, შემწყნარებლობას იჩენენ — ითვალისწინებენ რა მათ დამსახურებას ქვეყნის წინაშე.

**ბატონო პრეზიდენტო!**

როგორც ხედავთ, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ ღრმად გააზრებული, რა რთულ რეგიონში იმყოფება ჩვენი ქვეყანა და რეალურ საფრთხეებს ვერ ხედავენ.

მარცხის შემთხვევაში, თუ მთავრობის წევრებს გარკვეულწილად ეძლევათ თავის მართლების საშუალება (შეუძლიათ თქვან, რომ ჩვენ ფიცი არ დაგვიდია და პასუხისმგებლობაც არავის დაუკისრებიაო), თქვენ, როგორც ქვეყნის მეთაური, ერთიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტი, სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, წინამორბედისგან განსხვავებით, პასუხისმგებლობას უკვე ველარ გაექცევით, რადგან ე. წ. ფიცით აიღეთ საკუთარ თავზე ვალდებულება, დაიცვათ ქვეყნის დამოუკიდებლობა, ერთიანობა და განუყოფლობა, და, კონსტიტუციამაც დაგავალათ, უზრუნველყოთ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა.

**და რადგანაც უკვე იცით, რომ შეიარაღებულ ძალებს დაკისრებული ამოცანის შესრულება არ შეუძლიათ, მინდა, დაგისვათ უხერხული კითხვა:**

**ბატონო პრეზიდენტო, როგორ გძინავთ ღამით?**

მშვიდად? თუ უძილობა გაწუხებთ ჯარის უმწეო მდგომარეობის გამო?

დარწმუნებული ვარ, თქვენთვის სულერთი არ არის, წინამორბედისგან განსხვავებით, როგორი სახელით შეხვალთ საქართველოს ისტორიაში.

**ბატონო გიორგი!**

**25 წელზე მეტი ვიმსახურე საბჭოთა ჯარის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (გრუ) სისტემაში და ვიცი, რომ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისთვის თქვენი რანგის თანამდებობის პირის გამოჩენა (თუ — გამოუჩენლობა) ან გამოსვლა (თუ — არგამოსვლა) დიდი საინფორმაციო მასალაა.**

ადვილი დასადგენია, რომ თქვენ და თქვენი გუნდი ერიდებით სამხედრო თემებზე საუბარს.

მაგრამ, რატომ?

ეს საკითხი ყველაზე მეტად ხომ თქვენ უნდა გაინტერესებდეთ?!

ისიც იოლი მისახვედრია, რომ მთავრობასთან დაძაბული ურთიერთობები გაქვთ და დათმობას (მაგრამ რის?) არ აპირებთ.

ეს დამტკიცდა კიდეც, როდესაც შეიარაღებული ძალების მართვის პუნქტს თავდაცვის მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის გარეშე ეწვიეთ.

**თქვენი ასეთი „სტუმრობა“ მართვის პუნქტზე „სხვებისათვის“ ძალიან მნიშვნელოვანი სადაზვერვო შეტყობინებაა.**

**2010 წელს კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა დაუბალანსებელი და ურთიერთსაწინააღმდეგო გახადა ძირითადი კანონი, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია, რეალურად შეაფასო პრეზიდენტის უფლებამოსილებანი ქვეყნის საშინაო და საგარეო საკითხებში; გაურკვეველია, რა უფლებები შემორჩა სახელმწიფოს მეთაურს იმისათვის, რომ მიიღოს სწორი, სწრაფი და მტკიცე გადაწყვეტილებები ორგანო ხომ შეიარაღებულ ძალებს გადაეცა.**

***ვინ უნდა დაგარწმუნოთ, რომ ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელდა სამხედრო აგრესია? თქვენ ხომ ერთი სამხედრო მრჩეველიც არა გყავთ, ხოლო დაზვერვა ჩამოგართვეს.**

კიდევ შეიძლებოდა მრავალი ასეთი კითხვის დასმა.

**დღეს ქვეყანა თავდაცვისა და უშიშროების კუთხით ისეთივე მდგომარეობაშია, როგორშიც ის იყო 2008 წლის აგვისტოში — სრულიად დაუცველი, განსაკუთრებით — ქვეყნის ხელმძღვანელობის კომპეტენტურობის კუთხით.**

უკვე მეხუთე წელია, კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ „საქართველოს პრეზიდენტი... მთავრობასთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს შეიარაღებული ძალების



**ქვეყნის თავდაცვის ინტერესებისადმი ასეთი მიდგომით კანონმდებლებმა და მთავრობამ თავიანთი გონივრული შესაძლებლობები, ცოდნა-გამოცდილება თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში კიდევ ერთხელ შეაფასებინეს უცხო ქვეყნების დაზვერვებს და დაარწმუნეს, რომ სრულიად არაკომპეტენტურები არიან სამხედრო სფეროში. ჯარი ბრძოლისუუნაროა, ქვეყანა — დაუცველი და ამ დროს თავდაცვის მინისტრი წარმატებულ ხელმძღვანელად რომ მიიჩნევა, ეს სასაცილო და სამარცხვინო არ არის?**

გენერალური შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს“, მაგრამ, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, შეიარაღებულ ძალებს დღემდე ისევ მართავს გაერთიანებული შტაბი, რომლის უფროსი სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარ სამხედრო მრჩევლად ითვლება.

**დღემდე შესაბამისობაში ვერ მოუყვანიათ არა მხოლოდ ეს კანონი, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტებიც, პირველ რიგში, ისეთი მნიშვნელოვანი კანონები, როგორებიცაა: „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“; „საომარი მდგომარეობის შესახებ“; „მობილიზაციის შესახებ“, „სარეზერვო სამსახურის შესახებ“. ვერ მოუყვანიათ იმიტომ, რომ კომპეტენცია აკლდიათ როგორც წინა მოწვევის, ასევე, მოქმედ კანონმდებლებსაც.**

ამ შეფასების დასამტკიცებლად საკმარისია „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ კანონის ერთი (მე-9) მუხლის გაანალიზებაც.

ამ მუხლის თანახმად, გაერთიანებული შტაბის უფროსი ერთდროულად:

ხელმძღვანელობს გაერთიანებულ შტაბს;

ხელმძღვანელობს შეიარაღებულ ძალებს;

ახორციელებს სამხედრო ძალების მართვას;

არის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო მრჩეველი.

**საკითხავია, სად უნდა იმყოფებოდეს გაერთიანებული შტაბის უფროსი ომის დროს?**

***მრჩევლის სტატუსით ჯარების სრულ მზადყოფნაზე პასუხისმგებელმა პირმა — გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, ხომ შეიძლება, წარუმატებლობა პრეზიდენტს გადააბრალოს?**

***ან ვის გაუგონია, რომ სამხედრო უწყებაში ქვეშევრდომი მეთაურს რჩევებს აძლევდეს? რომელი ქვეყნის წესდებაშია ეს გათვალისწინებული?**

***თუ პრეზიდენტს, პარლამენტარებს, მინისტრებს, მოსამართლეებს არ აქვთ უფლება, ეკავოთ სხვა თანამდებობები, მაშინ რატომ მისცა კანონმა გაერთიანებული შტაბის უფროსს — სამხედრო მოსამსახურეს — უფლება, დაიკავოს მისთვის შეუთავსებელი კიდევ სხვა თანამდებობა?**

***თუნდაც მრჩევლის სტატუსით რატომ არ ახლდა პრეზიდენტს, როდესაც მან მოინახულა შეიარაღებული ძალების მართვის პუნქტი?**

დასანანია, რომ ჩვენი ქვეყნის ღირსეულად დაცვა ქაღალდზეც კი არ შეგვიძლია.

**ბატონო გიორგი!**

ვინაიდან **მთავრობა**:

*არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო;

*ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას;

*ანგარიშვალდებულია (და არა პასუხისმგებელია) მხოლოდ პარლამენტის წინაშე.

და, ამასთანავე **თქვენ უკვე:**

*** აღარ ბრძანდებით საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში;**

***აღარ არის თქვენი თანხმობა საჭირო მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში წარდგენაზე;**

***აღარ არის თქვენი თანხმობა საჭირო მინისტრების თანამდებობებზე დანიშვნა-განთავისუფლებებზე და სხვ.**

**კონსტიტუციის მე-3, 69-ე, 78-ე და 79-ე მუხლების საფუძველზე, თქვენი თანამდებობა უკვე აღარ არის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების შემადგენლობაში და ამიტომ ველარ იქნებით ქვეყნის პირველი პირი.**

ამას ადასტურებს 78-ე მუხლის მე-6 პუნქტიც, რომლის თანახმადაც, თქვენ მიერ შეტანილი საკითხის განხილვა, თქვენი თანდასწრებით, მთავრობის სხდომაზე უკვე აღარ ითვალისწინებს თქვენს თავმჯდომარეობას და ამ საკითხის რიგგარეშე განხილვას.

ე. ი. გამოდის, რომ სხდომას უხელმძღვანელებს მთავრობის მეთაური და საკითხს განიხილავს მაშინ, როდესაც საჭიროდ ჩათვლის.

**ძირითადმა კანონმა პრეზიდენტის ინსტიტუტი ისე დაჩაგრა, რომ პრეზიდენტის თანამდებობა ფორმალური გახდა და მისი უფლებები მხოლოდ სავალდებულო განხორციელებებთან დააკავშირა.**

საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების, ფარული კენჭისყრის საფუძველზე არჩეული პრეზიდენტის უფლებებსა და პასუხისმგებლობას შორის კონსტიტუციამ „ღრმა უფსკრული“ წარმოშვა და პრეზიდენტის უფლებები ერთ-ერთი რუსული საბავშვო ლექსის პერსონაჟს გაუთანაბრა:

„Напали на козлика
серые волки,
Оставили бабушке
рожки на ножки“.

ასეთი დამახინჯებული და დაუბალანსებელი ძირითადი კანონი მივიღეთ წინა მოწვევის პარლამენტარების, საკონსტიტუციო და ვენეციის კომისიებისა და სხვების დახმარებით მხოლოდ და მხოლოდ მომავალი პრემიერმინისტრის სასარგებლოდ — მომავალი პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე.

**ვინაიდან თქვენგან პასუხი სამი თვის განმავლობაში არ მიმიღია, თავს უფლებას ვაძლევ, წერილის მოკლე შინაარსი გაზეთში გამოვაქვეყნო.**

**პატივისცემით,**

**ალექსანდრე ტოლსტოი**

## ევროპარლამენტის ვიცეპრეზიდენტი: მერკელმა და ოლანდმა თავისი ქვეყნების ეკონომიკის გადასარჩენად უკრაინა გაწირეს

**„საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა და გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა მინსკის მოლაპარაკებებზე უკრაინა გაწირეს საკუთარი ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების გამო“, — განუცხადა უკრაინულ სააგენტო „უნიანს“ ევროპარლამენტის ვიცეპრეზიდენტმა იაცეკ ჩარნეცკიმ მინსკის მოლაპარაკებების კომენტირებისას.**

„მერკელმა და ოლანდმა ევროკავშირის მონაწილეობის გარეშე და საკუთარი ქვეყნების ეკონომიკის დასაცავად უკრაინა გაწირეს. ეს მშვიდობა გაცილებით მომგებიანია მოსკოვისთვის, ვიდრე კიევისთვის. ეს არ არის უკრაინის გამარჯვება!“ — განაცხადა ჩარნეცკიმ.

მისი თქმით, ევროპულ სახელმწიფოთა ნაწილს სურდა, ნებისმიერ ფასად ჰქონოდათ სიმშვიდე და მათ ეს გამოუვიდათ.



მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








# ეგვიპტე — სფინქსისა და პირამიდების სამშობლო

ინტერნეტდომენი: eg
სატელეფონო კოდი: +20
საათობრივი სარტყელი: UTC+2

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა (ჯუმჰურია მისრ ალ-არაბიია) ჩრდილოეთ აფრიკასა და დასავლეთ აზიაში (სინაის ნახევარკუნძულზე) მდებარეობს. ჩრდილოეთით სანაპირო აქვს ხმელთაშუაზღვაზე, აღმოსავლეთით — წითელ ზღვაზე. ორივე ზღვა ერთმანეთს უკავშირდება სუეცის არხით. ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება ისრაელსა და ღაზის სექტორს, სამხრეთით — სუდანს, დასავლეთით — ლიბიას.

ევროპაში ქვეყნის სახელწოდება — ეგვიპტე — ძველბერძნული ენიდან შევიდა („ეგვიპტოს“), რომელიც წარმოდგება ქალაქ მემფისის ძველეგვიპტური სახელწოდებისგან — ხიკუპტა.

ძველ ეგვიპტეში მცხოვრებნი ქვეყანას, ნილოსის ნაყოფიერი შავმიწიანი ნიადაგის გამო, „შავს“ უწოდებდნენ, თავიანთ თავს კი — „შავი ქვეყნის ხალხს“.

მრავალი ისტორიული ქარტეხილების შემდეგ (ასირიელთა ბატონობა, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა, რომისა და ბიზანტიის იმპერიების შემადგენლობაში ყოფნა), 645-1171 წლებში ეგვიპტეში არაბები გაბატონდნენ.

1922 წლის 28 თებერვალს ქვეყანა გათავისუფლდა ბრიტანელთა ბატონობისგან და დამოუკიდებლობა მოიპოვა.

**კლიმატი.** ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე კლიმატი სუბტროპიკულია, დანარჩენ ტერიტორიაზე — ტროპიკული. საშუალო ტემპერატურა პლუს 20 გრადუსია, თუმცა ასუანის რაიონში ზაფხულობით ტემპერატურა პლუს 50 გრადუსსაც აღწევს.

**ფლორა.** ეგვიპტის ტერიტორიის დიდი ნაწილი უდაბნოსა და ნახევრადუდაბნოს უკავია, თუმცა მცენარე მრავალნაირი ხარობს: ფინიკის პალმა, აკაცია, კვიპაროსი, მიმოზა, ოლეანდრი, პაპირუსი, ბამბა, ზეთისხილი, ხორბალი, სიმინდი და სხვ.

**ფაუნა.** ეგვიპტეში ბინადრობენ: ქურციკი, მელა, აფთარი, ტურა, ბეჰემოთი, ნიანგი, ფრინველის დაახლოებით 300 სახეობა, მწერები და ქვეწარმავლები.

ეგვიპტის უდიდესი მდინარეა **ნილოსი**, რომელიც სიგრძით (6852 კმ) მეორეა დედამიწაზე, მდინარე ამაზონის (6992 კმ) შემდეგ.

ეგვიპტის **ტერიტორია** 1 მლნ კვ.კმ-ს შეადგენს (30-ე მსოფლიოში).

**მოსახლეობა.** ბოლო აღწერის (2010 წ.) მონაცემებით, ეგვიპტეში **80,5 მლნ** კაცი ცხოვრობდა (მე-15 მსოფლიოში).

მოსახლეობის 91% არაბია. ცხოვრობენ, აგრეთვე, თურქები, აბაზინები, ბერძნები, ბერბერები, ნუბიელები. აღსანიშნავია, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 2,7 მლნ ეგვიპტელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს — ძირითადად, საუდის არაბეთში, ლიბანში, ქუვეითსა და იორდანიაში, აგრეთვე, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

**დედაქალაქი: კაირო,** 8,22 მლნ (აგლომერაცია — 17,8 მლნ) მცხოვრებით, აფრიკისა და არაბული სამყაროს უდიდესი ქალაქია.

**უდიდესი ქალაქები: ალექსანდრია (3,9 მლნ); ელ გიზა (3,08 მლნ), პორტ-საიდი (700 ათასი) და სუეცი (500 ათასი).**

**ოფიციალური ენა:** არაბული.

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ეგვიპტე საპრეზიდენტო-საპარლამენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც, ამასთანავე, ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიც არის. ამჟამად ეგვიპტის პრეზიდენტია **აბდულ-ფათახ ხალილ ას-სისი.**

მთავრობას მეთაურობს პრემიერმინისტრი **იბრაჰიმ მახლიაბი.** უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი **ნაციონალური საკრებულო.**

ეგვიპტე დაყოფილია 27 ადმინისტრაციულ ერთეულად — მუჰაფარაზად (პროვინციად), რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა მარკაზებად (რაიონებად). თითოეულ მარკაზს აქვს თავისი ადმინისტრაციული ცენტრი.

**რელიგია.** ეგვიპტის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, დაახლოებით 90 პროცენტი, სუნიტური მიმართულების ისლამს აღიარებს. ქვეყანაში ცხოვრობენ, აგრეთვე, **ქრისტიანი კოპტები** — ძველი ეგვიპტელების პირდაპირი შთამომავლები — 8-9% (დაახლოებით 6 მლნ კაცი).


კაირო


სუეცის არხი


სფინქსი და პირამიდა

## ეკონომიკა

ეგვიპტის მთავარი საექსპორტო პროდუქტი არის ნავთობი, რომელსაც, ძირითადად, სინაის ნახევარკუნძულზე და სუეცის არხის გასწვრივ მოიპოვებენ (საბადოები: ბადრი; ბელაიმი; რამადანი და სხვ.). ნავთობის გარდა, ქვეყანაში მოიპოვებენ ბუნებრივ აირს. ვითარდება მრეწველობა. აწარმოებენ ტელევიზორებს, მაცივრებს, აწყობენ ავტომობილებს, განვითარებულია მსუბუქი მრეწველობა (ტექსტილის წარმოება), ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და გემთმშენებლობა, აგრეთვე, მინერალური სასუქების წარმოება.

2009 წლიდან დაიწყეს ოქროს მოპოვება. ძირითადი შემოსავლები კი სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროებიდან შედის. ეგვიპტის მთლიანი შიგა პროდუქტი 339 მლრდ დოლარს შეადგენს, მოსახლეობის ერთ სულზე — 4800-ს.

**ვალუტა: ეგვიპტური ფუნტი**

## კულტურა

ეგვიპტე განთქმულია თიხისა და ქასანურის საგნების, აგრეთვე, გრავიურებისა ოქროს სამკაულების დამზადებით.

ეგვიპტის მრავალი კულტურული ძეგლი იუნესკოს მიერ შეტანილია მსოფლიოს მემკვიდრეობის სიაში. შემორჩენილია უძველესი პერიოდის ქალაქის — მემფსისის ნანგრევები, მის გვერდით — გიზის პირამიდები, სფინქსის ქანდაკება და სხვ. უძველესი ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ადგილას გაიხსნა ალექსანდრინას ბიბლიოთეკა.

თანამედროვე ეგვიპტის ლიტერატურა მრავალ ნიჭიერ პროზაიკოსს, დრამატურგსა და პოეტს ითვლის, მათ შორის, გამოირჩევიან: **ნაგიბ მაჰფუზი** — ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში; **ალია ალ-ასუანი** („იაკობიანის სახლი“), **ჰასან ტაუფიკი, მუჰამედ ჰუსეინ გეიკელი, ლუი ავადი** და სხვ.

ეგვიპტის დედაქალაქი კაირო არაბული კინოინდუსტრიისა და მუსიკის ცენტრია.

**ღირსშესანიშნაობები:** კაიროში — ეგვიპტის მუზეუმი, რამზეს II ობელისკი, კაიროს კოშკი, წმინდა ბარბარეს კოპტური ეკლესია, ისლამის მუზეუმი; გიზაში — პირამიდების ანსამბლი (ჩვ. წ. აღ-მდე III საუკ.) და სფინქსი.

## სამზარეულო

ეგვიპტურ კერძებზე დიდი გავლენა იქონია თურქულმა კულინარიამ, ამიტომ დღეს როგორც ეგვიპტური, ისე თურქული ბევრი კერძის სახელწოდება ერთნაირია.

აღსანიშნავია, რომ პირველი პური, რომელიც დედამიწაზე გამოცხვა 5 ათასი წლის წინათ, დაამზადეს ეგვიპტელებმა.

ეგვიპტელებში პოპულარობით სარგებლობს ცხვრისა და ქათმის ხორცისგან დამზადებული ქებაბი, გუფთა, თევზეული, სხვადასხვა სალათა, წვნიანი და, რა თქმა უნდა, ტკბილეული.

მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძემ

## ფულ მედამესი

**ეს ეგვიპტეში ყველაზე პოპულარული კერძია, რომელსაც შემწვარ კვერცხსა და ლავაშთან ერთად მიირთმევენ. ეგვიპტელები ამბობენ, რომ ამ კერძის მომზადება ფარაონების პერიოდში დაიწყეს.**

**ფულ მედამესი, ტრადიციულად, სუფრაზე მიაქვთ კარაქთან, ნიორსა და ლიმონის წვენთან ერთად. ამ კერძს სიამოვნებით მიირთმევენ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში: სირიაში, ლიბანში, აგრეთვე, საუდის არაბეთსა და სუდანში.**

ინგრედიენტები:

- ***ლობიო** — 600 გრ
- ***ნიორი** — 2 კბილი
- ***ლიმონის წვენი** — 1 სუფრის კოვზი
- ***ზეითუნის ზეთი** — 50 მლ
- ***კვლიავი** — 1 ჩაის კოვზი
- ***ლავაშის ნაჭრები** — სურვილის მიხედვით
- ***ოხრახუში** — ერთი ტოტი



მომზადება:

*ლობიო ჩაყარეთ წყლით სავსე ქვაბში და მთელი ღამის განმავლობაში შეინახეთ. დილით წყალი გადაღვარეთ, ლობიო გარეცხეთ და ახალი წყალი დაასხით.

* ქვაბი ნელ ცეცხლზე შედგით და ლობიო 45 წუთის განმავლობაში ხარშეთ. როდესაც ლობიო დარბილდეჩბა, წყლიდან ამოიღეთ და ჯამში ჩაყარეთ.

*დაუმატეთ ნიორი, ლიმონის წვენი, ზეითუნის ზეთი და კვლიავი. ეს ინგრედიენტები დაჭყლეტილი უნდა იყოს ან ბლენდერში დაკეპილი. საბოლოოდ კი ერთიანი კონსისტენციის პიურე უნდა მიიღოთ.

*მომზადებულ მასას მოაყარეთ დაკეპილი ოხრახუში, შემდეგ კი სუფრაზე მიიტანეთ შემწვარ კვერცხთან და ლავაშის ნაჭრებთან ერთად.



**ამ პერიოდში წარმატების საწინდარი იქნება გულდასმით მოფიქრებული მოქმედებები და მათი ნაბიჯ-ნაბიჯ შესრულება. დასახული მიზნების მიღწევის მეტი შანსი კი სასწორისა და თხის ნიშნით დაბადებულებს ექნებათ.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**18-24 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

ამ პერიოდში შეიძლება, ბევრ მოულოდნელობას გადააწყდეთ და ნერვები ვერ მოთოკოთ, თუმცა ახლა თქვენ ცვლილებები ჰაერივით გჭირდებათ.

სამსახურში ეძებეთ ახალი მიდგომები პრობლემების მოსაგვარებლად და შედეგი მოლოდინს გადააჭარბებს.

შეგიძლიათ, ბინაში რემონტი წამოიწყოთ ან უძრავი ქონების შეძენაზე იფიქროთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას კი გამომგონებლობის უნარი გამოავლინეთ და სიურპრიზი მოუწყვეთ.

აუცილებლად გამონახეთ დრო მეგობრებთან ურთიერთობისთვის — მათი რჩევები საფინანსო საკითხების მოგვარებაში დაგეხმარებათ.

ეცადეთ, მეტისმეტად არ დაიტვირთოთ ფიზიკურად, რადგან დიდია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 18 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 22თებერვალი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

გადაწყვეტილების მიღებისას მოქნილობა გამოავლინეთ. სწორედ ამ თვისებაზე იქნება დამოკიდებული თქვენი წარმატება.

თქვენ ხშირად ეწინააღმდეგებოდით ცვლილებებს, რის გამოც წაგებული რჩებოდით. ამ პერიოდშიც, შეიძლება, ასეთი ტენდენცია გაგრძელდეს, რადგან თქვენ მიმართ ბევრი უკმაყოფილება დაგროვდა, განსაკუთრებით — ხელმძღვანელობის მხრიდან.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სიმტკიცეზე გამოცდას გაივლის. ურთიერთსაყვედურებმა და ბრალდებებმა, შესაძლოა, ვითარება ძალიან გაართულოს. გამოიჩინეთ მოთმინება, განსაკუთრებით, თუ საყვარელი ადამიანი ენერგეტიკულად თქვენზე ძლიერია.

კვლავ მაღალია ინფექციური დაავადებით დასნეულების ალბათობა, განსაკუთრებით — გრიპით, ამიტომ გაუფრთხილდით ჯანმრთელობას!

**დადებითი დღე: 18 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 21 თებერვალი**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

ამ პერიოდში მოსალოდნელია კამათი და დაპირისპირება ახლობლებთან და თანამშრომლებთან, ამიტომ საჭიროა, არა მხოლოდ თქვენი, არამედ გარშემო მყოფთა ინტერესების გათვალისწინება და კონსენსუსის გამოძებნა.

ახლა არ ღირს იმ საქმესთან შეჭიდება, რომლის შესრულებაშიც ეჭვი გეპარებათ. მომავალში კი უცხოელებთან ერთად შემუშავებული ბიზნესპროექტები სასურველ შედეგს გამოიღებს.

კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის — თუ საყვარელ ადამიანთან ერთად რამდენიმე დღით უცხოეთში გაემგზავრებით ან საქართველოს ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებთ, დადებითი ემოციებით განიმსჭვალებით.

ზამთრის სპორტის სახეობები კი მაინცდამაინც ნუ გაგიტაცებთ, რადგან დიდია ტრავმის მიღების ალბათობა.

**დადებითი დღე: 21 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 20 თებერვალი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

დასახული მიზნებისკენ მიმავალ გზაზე, შეიძლება, მოულოდნელ წინააღმდეგობებს გადააწყდეთ, ამიტომ გაფრთხილდით. თუ უკვე მიიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება, უკან არ დაიხიოთ, განაგრძეთ მოქმედება, თუმცა მეტი ძალისხმევის გამოჩენა დაგჭირდებათ. თამამად გაწყვიტეთ უსარგებლო კავშირები და ყურადღება მთავარზე გადაიტანეთ.

შეეცადეთ, სადმე გაემგზავროთ, დრო მარტოობაში გაატაროთ და დაფიქრდით იმაზე, რომ საჭირო არ არის, ყველაფერი, რაც ადრე გქონდათ, მომავალში გადაიტანოთ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის წევრების, განსაკუთრებით — ბავშვების მიმართ.

ყურადღებით იყავით ავტომობილის მართვისას!

**დადებითი დღე: 12 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 15თებერვალი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

ენერგიით აღივსებით და მოინდომებთ ახალი ბიზნესპროექტების შემუშავებასა და განხორციელებას, მაგრამ ყველა საკითხზე კომპანიონებისა და თანამშრომლების აზრი გაითვალისწინეთ. გააკონტროლეთ ვითარება, მაგრამ მოთოკეთ ემოციები.

ცხოვრება კვლავ განაგრძობს თქვენი ურთიერთობის გამოცდას საყვარელი ადამიანის მიმართ და ყველაფერი ჯერ კიდევ არ არის ისე, როგორც გსურთ.

შეეცადეთ, ცოტა ხნით მაინც დაივიწყოთ თქვენი „ლომისებური ეგო“, ყურადღებით მოუსმინოთ საყვარელ ადამიანს, გააანალიზოთ მისი მოთხოვნები.

გაუფრთხილდით ნერვებს, ახლა მოწყვლადია თქვენი გულ-სისხლძარღვთა სისტემა.

**დადებითი დღე: 20 თებერვალი.**
**უარყოფით დღე: 22 თებერვალი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

თქვენი ინტერესების დაცვას წარმატებით შეძლებთ, მაგრამ ისეთი ნაბიჯები არ გადადგათ, რომლებიც თქვენთვის არ არის დამახასიათებელი. ახლის შეცნობის სურვილის გამო, სამსახურში თქვენი მუშაობის სტაბილურობას საფრთხე დაემუქრება.

დაფიქრდით, გიღირთ თუ არა ცვლილებების განხორციელება.

სამსახურებრივი პრობლემები და დატვირთული სამუშაო გრაფიკი დიდ დროს წაგართმევთ და ამიტომ შეიძლება, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა დაგეძაბოთ.

შეეცადეთ, მშვიდად მოძებნეთ იმ ადამიანთან ურთიერთობის გაუმჯობესების გზა, რომელიც მზად არის, თქვენთან სიცოცხლის ბოლომდე იყოს.

ამ პერიოდში მაღალია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 18 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 20 თებერვალი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

გადაწყვეტილებების მიღებისას ყურს ნუათხოვებთ სხვების რჩევას და ენდეთ თქვენს ინტუიციას. ბევრს, ვინც დარიგებას შეეცდება, პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმაზე, რაც თქვენ უნდა გააკეთოთ.

სამსახურში შექმნილ პრობლემებს და ეს შეიძლება იყოს კოლეგებთან ურთიერთობის გამწვავებაც, შემოქმედებითად მიუდექით.

რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ეს საუკეთესო პერიოდია ძველი ურთიერთობის აღსადგენად ან ახლის დასაწყებად. გარეგნობაში შეიტანეთ ცვლილებები (შეიკრიჭეთ თმა), განაახლეთ გარდერობი და შეეცადეთ, საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღება მიიქციოთ.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება, თუმცა ცოტა დასვენება არ გაწყენდათ.

**დადებითი დღე: 18 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 21 თებერვალი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

თუ ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც დაგეგმეთ, ნუ იდარდებთ, ვითარება მალე შეიცვლება უკეთესობისკენ. არ შეეცადოთ თქვენი პერსონის მნიშვნელობის დამტკიცებას, რადგან შესაძლოა, დაპირისპირების რისკის ზონაში აღმოჩნდეთ.

თქვენ ახლა სიმშვიდე, სტაბილურობა გჭირდებათ და პრობლემები აუცილებლად მოგვარდება.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული მის ნათესავებთან ურთიერთობაზე. ეს რთული მომენტია, მაგრამ შეეცადეთ, არ გაღიზიანდეთ და გულწრფელი იყოთ.

თუ დაგეგმილი გაქვთ ქირურგიული ოპერაციის გაკეთება ან სტომატოლოგთან ვიზიტი, აუცილებლად გადადეთ.

**დადებითი დღე: 19 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 21 თებერვალი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

ამ პერიოდში, შესაძლოა, ისეთი რამ ჩაიდინოთ, რისიც შემდეგ შეგრცხვეთ, ამიტომ თავი შეიკავეთ ემოციების გამოვლენისგან.

კარგი პერიოდია ახალი კონტრაქტების გასაფორმებლად, თუმცა ყველა დეტალი კარგად გააანალიზეთ. მხოლოდ ასე შეძლებთ დასახული მიზნების მიღწევას.

შესაძლოა, გაიცნოთ საპირისპირო სქესის ადამიანი, რომელთან ურთიერთობაც მგზნებარე რომანში გადაიზრდება, ამიტომ თავს ნუ აარიდებთ წვეულებებზე, გამოფენებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებზე წასვლას. ახალი ნაცნობები, ახლო ურთიერთობები კარიერაში წარმატების მიღწევაშიც დაგეხმარებათ.

მიიღეთ მცენარეული საშუალებები, რადგან დიდია გაციების ალბათობა!

**დადებითი დღე: 22 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 20 თებერვალი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

კარგი პერიოდია გარიგებების დასადებად და საფინანსო ოპერაციების ჩასატარებლად. გაითვალისწინეთ ახლობლების რჩევები და კრიტიკა. გამოავლინეთ რაციონალური აზროვნების უნარი და გამოიტანეთ დასკვნები.

არ დაგავიწყდეთ, რომ სარგებლიანი საფინანსო ინვესტიციების მოსაზიდად ურთიერთობის სფერო მნიშვნელოვანია.

მხარი დაუჭირეთ საყვარელ ადამიანს — უთხარით კომპლიმენტები, დაასაჩუქრეთ, მოუწყვეთ სიურპრიზები, ამით მასზე შთაბეჭდილებას მოახდენთ და ურთიერთობას უფრო გააღრმავებთ.

არ დაგავიწყდეთ ოჯახის ხანდაზმული წევრებიც — ახლა მათ თქვენი მზრუნველობა განსაკუთრებით სჭირდებათ.

დაიცავით კვების რეჟიმი და გაუფრთხილდით საჭმლის მომნელებელ სისტემას.

**დადებითი დღე: 20 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 17 თებერვალი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

გეგმების შეცვლა და ბევრი რამის გადაფასება მოგიწევთ. ამის გარეშე ვერ შეძლებთ იმ ადამიანებთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას, რომლებიც თქვენთვის ძვირფასია.

ავანტიურაში ნუ ჩაებმებით, არც ორი კურდღლის გამოდევნება მოგიტანთ სარგებელს. მხოლოდ გულდასმით მოფიქრებული მოქმედებები და მათი ნაბიჯ-ნაბიჯ შესრულება იქნება წარმატების საწინდარი. თქვენს ქარიზმასა და ოპონენტების დარწმუნების უნარზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში მიღწეულს ნუ დასჯერდებით და კიდევ უფრო გააღრმავეთ ურთიერთობა. შეეცადეთ, ყველასთან და ყველაფერში გულწრფელი იყოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავიდან პრობლემებს ვერ აიცილებთ.

მოაწესრიგეთ კვების რეჟიმი.

**დადებითი დღე: 21 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 18 თებერვალი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

მოთმინება და კიდევ ერთხელ მოთმინება! ნუ წამოიწყებთ ახალ პროექტებს თქვენი დაბადების დღის დადგომამდე. ახლა ამის დრო ჯერ არ დამდგარა, თანაც, ამისათვის ძალაც არ გეყოფათ. მოითმინეთ რამდენიმე დღე და ვითარება მკვეთრად გაუმჯობესდება.

თუ ცივი გონებით იმოქმედებთ, ბევრი სურვილის შესრულებას და დასახული მიზნის განხორციელებას შეძლებთ.

ნუ დაივიწყებთ საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან — წარსულში ქექვა კარგს არაფერს მოგიტანთ. შეეცადეთ, განმარტოვდეთ და გააანალიზოთ, ღირს თუ არა ურთიერთობის გაგრძელება.

თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი ნელ-ნელა მოიმატებს, მაგრამ სჯობს, უფრო მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას.

**დადებითი დღე: 18 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 20 თებერვალი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**8 კვირის განმავლობაში ყოველდღიურად 1 კგ წონაზე 0,5-1,0 გრ თაფლის მიღება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ფიზიკური მუშაობის უნარის განმსაზღვრელი ტესტების მონაცემებს.**



# ყველაფერი თაფლის შესახებ

**თაფლი ძვირფასი საკვები პროდუქტია. ყველაზე ხშირად საუბრობენ ნატურალურ, ანუ ფუტკრის თაფლზე, რომელიც წარმოადგენს ტკბილ, სიროფისებრ ნივთიერებას, რომელსაც ყვავილის ნექტრისაგან ან მანანასაგან აგროვებს მუშა ფუტკარი, გადაამუშავებს და იყენებს საკვებად. სკაში შეტანილი ნექტრიდან ფუტკარი ახდენს აქტიურ ვენტილაციას და ზედმეტი წყალი თანდათან ორთქლდება, ხდება რთული შაქრების ინვერსია. ამ პროცესს თაფლის მომწიფება ეწოდება. საბოლოოდ თაფლში რჩება 13-20% წყალი, მარტივი შაქრები, მარილები, ვიტამინები, არომატული და მღებავი ნივთიერებები და სხვ., რომელთა შემცველობაზეც არის დამოკიდებული თაფლის ფიზიკური და ქიმიური თვისებები.**



## თაფლში შემავალ ნივთიერებებს აქვს ძლიერი ანთების საწინააღმდეგო, ობის საწინააღმდეგო და ბაქტერიოციდური თვისებები, ანუ თაფლი ანადგურებს დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმებს და აფერხებს მათ გამრავლებას

მისი ქიმიური შემადგენლობა დამოკიდებულია მცენარეების სახეობაზე, კლიმატურ პირობებზე და სხვ. თაფლის შემადგენლობაში შედის 80%-ზე მეტი ნახშირწყლები (გლუკოზა, ფრუქტოზა, საქაროზა, მალტოზა), 0,4% ცილა, 0,3% ნაცარი, აგრეთვე, ორგანული მჟავები, ფერმენტები, ასკორბინის მჟავა და სხვ. თაფლს გააჩნია მრავალმხრივი სამკურნალო, დამაკონსერვებელი, ობის სოკოების საწინააღმდეგო და სხვა თვისებები.

წარმოშობის მიხედვით თაფლი შეიძლება იყოს მონო ან პოლიფლორული. პირველს განეკუთვნება აკაციის, ცაცხვის, წაბლის, მზესუმზირის ან სხვა რომელიმე ერთი მცენარისგან მიღებული თაფლი, ხოლო მეორეს — მდელოს მრავალნაირი ყვავილისგან ან ტყის თაფლოვანთა ნექტრისგან მიღებული თაფლი. ნატურალურ თაფლს, მასში გლუკოზის ან ფრუქტოზის მაღალი კონცენტრაციის გამო, ახასიათებს კრისტალიზაცია. ეს პროცესი სწრაფად მიმდინარეობს 13-14 °C ტემპერატურაზე.

**ფუტკრის თაფლი შეიძლება იყოს ფიჭიანი ან გამოწურული. როგორც ერთი, ისე მეორე მაღალი კვებითი ღირებულებითა და სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა.** მისი მაღალი კვებითი ღირებულება და სამკურნალო თვისებები განისაზღვრება არამხოლოდ ადვილად ასათვისებელი შაქრების დიდი რაოდენობით, არამედ ფიზიოლოგიურად სრულფასოვანი მინერალური ნივთიერებების, ფერმენტების, ვიტამინებისა და ანტიმიკრობული ნივთიერებების შემცველობითაც. ნატურალური თაფლი აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას, ახდენს ბაქტერიოციდულ, ანთების საწინააღმდეგო და მატონიზებელ მოქმედებას, აჩქარებს ქსოვილების აღდგენას, აწესრიგებს საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობას, ასტიმულირებს შინაგანი ორგანოებისა და იმუნური სისტემის მუშაობას.

არსებობს, აგრეთვე, ხელოვნური თაფლი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ნატურალურ თაფლთან. მას აწარმოებენ საქაროზის ინვერსიით ლიმონის მჟავის დამატებით. ზოგჯერ უმატებენ სინთეთიკურ არომატიზატორებს. ხელოვნური თაფლი, შესაძლოა, გამოყენებული იყოს, როგორც საკვები ნივთიერება, მაგრამ მას არ გააჩნია სასარგებლო და სამკურნალო თვისებები. თაფლის ფალსიფიკაცია ფართოდ არის გავრცელებული.

**თაფლის ნაირსახეობებს შორის ასხვავებენ მაისის, ცაცხვის, წიწიბურას, აკაციის, მზესუმზირის, მანანის, რაფსის, წაბლის, ფათალოს თაფლს.**

თაფლის ფერი დამოკიდებულია ყვავილების ნექტარში არსებულ საღებავ ნივთიერებებზე და შესაძლოა, იყოს ბაცი მოთეთრო-მოყვითალოდან მუქ ოქროსფერ ან ყავისფრამდე. დროთა განმავლობაში თაფლის დაკრისტალების გამო, მისი ფერიც იცვლება და უფრო ბაცი ხდება.

სხვადასხვა ყვავილის თაფლი გამოირჩევა თავისებური გემოთი, რომელიც დამოკიდებულია იმ ყვავილების არომატზე, რომლებიდანაც ფუტკრებმა მოაგროვეს ნექტარი.

**თაფლის სუნი (არომატი) ყვავილების სურნელზეა დამოკიდებული და შესაძლოა, ოდნავ შესამჩნევი, ნაზიდან საკმაოდ მკვეთრ სურნელამდე იყოს. თუმცა შემაწუხებელი, მძაფრი არომატი ხშირად ხელოვნური თაფლის არომატიზატორებითაა გამოწვეული.**

თაფლი ადვილად იღებს სუნს ახლო მყოფი ნივთიერებებისაგან, ამიტომ აუცილებელია მისი შენახვა დახურულ ჭურჭელში, მძაფრი სუნიანი ნივთიერებებისგან მოშორებით.

თაფლის ქიმიური შემადგენლობა რთულია და დამოკიდებულია სათაფლე მცენარეებზე, ნიადაგზე, კლიმატურ პირობებზე, ფუტკრის ჯიშზე და ა. შ. თაფლში დაახლოვებით 400 ორგანული და მინერალური ნივთიერებაა.

თაფლის შემადგენლობაში 13-20% უკავია წყალს; 75-80%-ს შეადგენს ნახშირწყლები — გლუკოზა (31%), ფრუქტოზა (38%) და სახაროზა (1%). მათი დაშლისას გამოიყოფა ენერგია, რომელიც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებისთვის. გლუკოზა და ფრუქტოზა ხელს უწყობს ნერვული პროცესების დარეგულირებას, სისხლძარღვების გაფართოებას, გულის კუნთის კვებას, ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას.

ნახშირწყლების გარდა, თაფლის შემადგენლობაშია ფერმენტები: ინვერტაზა, დიასტაზა, კატალაზა და სხვ. ამ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მცირე რაოდენობაც კი მნიშვნელოვნად აჩქარებს ორგანიზმში მიმდინარე მეტაბოლურ პროცესებს. თაფლის ფერმენტები აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, კუჭის წვენის სეკრეციას, საკვები ნივთიერებების ათვისებას.

მინერალური ნივთიერებები, რომლებიც თაფლში მარილების სახითაა წარმოდგენილი, ძალზედ დიდ ბიოლოგიურ როლს თამაშობს, რადგან მათი ფერმენტებთან, ვიტამინებთან და ჰორმონებთან ურთიერთობით მიმდინარეობს ნერვული სისტემის ფუნქციონირების, ქსოვილოვანი სუნთქვისა და სისხლის წარმოქმნის პროცესები.

თაფლში არის კალციუმის, მაგნიუმის, რკინისა და ფოსფორის მარილები. აღსანიშნავია, რომ თაფლში გვხვდება ყველა ის ელემენტი, რომლებიც შედის ადამიანის სისხლის შემადგენლობაში.

თაფლის შემადგენლობაში, აგრეთვე, არის ორგანული მჟავები (ვაშლის, ლიმონის, რძემჟავა, ღვინის მჟავა), რომლებიც სასიკეთოდ მოქმედებს საჭმლის მონელებაზე, ნივთიერებათა ათვისებაზე, მადის გაუმჯობესებაზე, კუჭის ლორწოვანი გარსის სეკრეტორულ ფუნქციაზე.

**თაფლის საკვებ ღირებულებას ამაღლებს მასში შემავალი ვიტამინები: B1 (ანევრინი), B2 (რიბოფლავინი), B6 (პირიდოქსინი), H (ბიოტინი), K (ფილოხინონი), C (ასკორბინმჟავა) და სხვ.**

ხანგრძლივი დროის განმავლობაში თაფლი იხმარებოდა, როგორც ჩვეულებრივი ტკბილი საკვებიც. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გავრცელდა უფრო იაფი შაქარი, თაფლი გახდა სამკურნალო პროდუქტი.

**თაფლში შემავალ ნივთიერებებს აქვს ძლიერი ანთების საწინააღმდეგო, ობის საწინააღმდეგო და ბაქტერიოციდური თვისებები, ანუ თაფლი ანადგურებს დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმებს და აფერხებს მათ გამრავლებას.**

ომის დროს თაფლი გამოიყენებოდა, როგორც გარეგანი საშუალება ჭრილობების შესახორცებლად, კანის ჩირქოვანი დაავადებებისა და ფურუნკულების სამკურნალოდ.

თაფლის ბიოგენური სტიმულატორები ამაღლებენ ორგანიზმის ცხოველქმედებას. თაფლის მიღებისას მატულობს ორგანიზმის დაავადების მიმართ წინააღმდეგობის უნარი, ძლიერდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, კლებულობს კუჭის წვენის სიმჟავიანობა.

თაფლს გააჩნია ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება.

თაფლი აუმჯობესებს ნერვული უჯრედების კვებას და აძლიერებს მათ ფუნქციონირებას, ააქტიურებს ჟანგვით პროცესებს.

თაფლის მავნე ნივთიერებების გამანეიტრალებელი მოქმედების შედეგად უმჯობესდება ძილი, კლებულობს გაღიზიანება, მატულობს შრომისუნარიანობა.

თაფლის მიღება ხელს უწყობს ჰემოგლობენის მომატებას, ამიტომ განსაკუთრებით სასარგებლოა ანემიების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისა და ავადმყოფობის შედეგად ორგანიზმის დასუსტებისას.

აღწერილია თაფლის დამამშვიდებელი მოქმედება ფსიქიკური დარღვევებისას.

თაფლი არბილებს ლორწოვან გარსებს და ამიტომ რეკომენდებულია ხველებისას.

არსებობს აზრი, რომ დღის განმავლობაში თაფლის მიღება იწვევს ოფლიანობას, თუმცა ეს მოსაზრება არ დასტურდება. თაფლი მართლაც აძლიერებს ოფლის გამოყოფას მხოლოდ ცხელ ჩაისთან ან რძესთან ერთად ავადმყოფობის დროს. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი სიცხის დამწევი წამალი ოფლის გამოყოფის და სიცხის დამწევ ეფექტს ახდენს მხოლოდ ავადმყოფობის დროს და არ ამჟღავნებს მსგავს ეფექტს სხეულის ნორმალური ტემპერატურისას.

**თაფლის ფართოდ გამოყენება სასურველია ჯანმრთელობის შენარჩუნების, დაავადებების პროფილაქტიკის და სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით.**

კლინიკური დაკვირვებებით დადასტურდა, რომ თაფლის სისტემატური მიღება არა მხოლოდ არ სწევს შაქრის დონეს სისხლში, არამედ, აღინიშნება მისი დაწევის ტენდენცია. ამის მიუხედავად, დიაბეტით დაავადებულთათვის თაფლის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მკაცრი კონტროლის ქვეშ, მკურნალ ექიმთან შეთანხმებით.

ასაკობრივი ცვლილებების პროფილაქტიკისათვის მნიშვნელოვანია თაფლის ზემოქმედება ლიპიდურ (ცხიმოვან) ცვლაზე. ყოველდღიურად 150გრ. თაფლის მიღებისას სისხლის შრატში მცირდება ქოლესტერინის დონე.

100 გრამი თაფლის (დაახლოებით 5 სუფრის კოვზი) საკვები ღირებულება 304 კილოკალორიაა.

მოზრდილთათვის თაფლის ყოველდღიური ნორმა შეადგენს 60-100 გრ (უმჯობესია განაწილდეს დღის განმავლობაში რამდენიმე მიღებაზე).

ბავშვებისთვის სადღეღამისო დოზა ორჯერ ნაკლებია (30-50 გრ). სასურველია თაფლის მიღება ჭამამდე 1-1,5 საათით ადრე.

თაფლის ათვისება ადვილდება, თუ იგი გაზავებულია თბილ წყალში, ჩაიში ან რძეში. ავადმყოფობის შემდეგ სასურველია თაფლის მიღება თბილ ასკილის ნაყენთან ან ხილის წვენთან ერთად.

თაფლის მიღება ამაღლებს ფიზიკური მუშაობის უნარს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ **8 კვირის განმავლობაში ყოველდღიურად 1 კგ წონაზე 0,5-1,0 გრ თაფლის მიღება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ფიზიკური მუშაობის უნარის განმსაზღვრელი ტესტების მონაცემებს** (PWC-170; პნევმოტაქომეტრია, დინამომეტრია).

არის შემთხვევები, როდესაც თაფლის მიღება იწვევს გამონაყარს, ქავილს, სურდოს, თავის ტკივილს, კუჭნაწლავის აშლილობას და ა. შ. ეს ემართებათ თაფლზე ალერგიულ პიროვნებებს, რომლებსაც ეკრძალებათ თაფლის მიღება.

სიფრთხილე საჭიროა თაფლის პირველად მიღების შემთხვევაში, განსაკუთრებით ბავშვებში. ამ შემთხვევაში საჭიროა თაფლის მცირე რაოდენობის მიღება და დაკვირვება რამდენიმე დღის განმავლობაში.

არსებობს მოსაზრება, რომ 18 თვემდე ბავშვისთვის აკრძალულია თაფლის მიღება, რადგან მას შეუძლია, გამოიწვიოს ბოტულიზმი. ეს მოსაზრება არ დასტურდება მეცნიერული კვლევებით, თუმცა ჩვილისთვის საკვებთან ერთად თაფლის მიცემისას გვმართებს ისეთივე სიფრთხილე, როგორც ნებისმიერი სხვა საკვების პირველად მიღებისას. თუ თაფლის მიცემა არ გამოიწვევს რაიმე რეაქციას, თამამად შეგვიძლია, თაფლი ჩავრთოთ ბავშვის რაციონში.

თაფლის თვისებების შეფასება ხდება სპეციალისტების მიერ ორგანოლეფტიკური თვისებების მიხედვით და ქიმიური ანალიზით. ნატურალურ თაფლში გლუკოზის კრისტალების გარდა, აუცილებელია ყვავილის მტვრის არსებობა.



# თუ დილით ერთ ჭიქა თბილ წყალში ერთ ჩაის კოვზ თაფლს გახსნით და მიირთმევთ, ეს გამოფხიზლებაშიც დაგეხმარებათ და მთელი დღის განმავლობაშიც უზრუნველგყოფთ ენერგიითა და დადებითი ემოციებით.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ თაფლის ხარისხს აუარესებს ნარგავების ქიმიური დამუშავება, თაფლში პესტიციდების ან სხვა ქიმიკატების მოხვედრა, გარემოს რადიაციული დაბინძურებისას რადიონუკლიდების მოხვედრა და სხვ.

თაფლის სიმწიფის ნიშანია მისი ფიჭაში გადაბეჭდვა. ფიჭიდან ახლად გამოწურული თაფლი თხევადია. დროთა განმავლობაში იგი კრისტალდება და იცვლის ფერს. თხევად თაფლში ყოველთვის არის თვალით შეუმჩნეველი წვრილი კრისტალები, რომლებიც თანდათან იზრდება და ნელ-ნელა მოიცავს მთელ მასას.

კრისტალების ზომაზეა დამოკიდებული თაფლის კონსისტენცია. თაფლის დაკრისტალება, როგორც წესი, ქილის ქვედა ნაწილიდან იწყება ან მთელ მასას ერთდროულად მოიცავს, თუმცა, ხანდახან თაფლის ზედაპირზე ან შუაში ჩნდება თხევადი ფენა, რომელიც ფრუქტოზისგან შედგება. დროთა განმავლობაში ეს ფენა, ფიზიკის კანონების მიხედვით, აუცილებლად გადაინაცვლებს ზედაპირზე.

თაფლის დაკრისტალება მის კარგ ხარისხსა და სიმწიფეზე მეტყველებს.

თაფლის დაკრისტალების დრო დამოკიდებულია ყვავილებზე, საიდანაც შეგროვდა ნექტარი. შედარებით მალე კრისტალდება თაფლი, რომელშიც მეტია გლუკოზის შემცველობა — მზესუმზირის, წიწიბურას, რაფსის. თაფლი, რომელშიც ჭარბობს ფრუქტოზა — წაბლის, თეთრი აკაციის, ნელა კრისტალდება და, შესაძლოა, დარჩეს თხევად მდგომარეობაში.

ეგვიპტის აკლდამებში ნაპოვნია თაფლიანი ქილები, რომლებშიც თაფლი არ გაფუჭდა ათასწლეულების განმავლობაში. თაფლი მალე ფუჭდება იმ შემთხვევაში, თუ სკიდან ამოღებულია იქამდე, ვიდრე ფუტკრები გამოაშრობდნენ ზედმეტ წყალს და მოამწიფებდნენ. ასეთი თაფლი იწყებს დუღილს და კარგავს გემოს — მჟავდება. მისი გამოყენება შეუძლებელია როგორც ადამიანისთვის, ასევე ფუტკრების საკვებადაც.

თაფლის ხარისხის შეფასებისას მასში წყლის შემცველობას ადგენენ ხვედრითი წონის მიხედვით. **თაფლი უნდა ინახებოდეს კარგად დახურულ ჭურჭელში, მშრალ ადგილას. ხარისხიანი თაფლის ამჟავება, შესაძლოა, გამოიწვიოს მხოლოდ სინესტის მოხვედრამ მასში.**

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ შენახვისას თაფლის ფერი თანდათან მუქდება, რაც არ ნიშნავს მისი ხარისხის გაუარესებას. დაკრისტალებული თაფლის დადნობა შესაძლებელია მხოლოდ 60 გრადუსამდე გათბობით წყლის აბაზანაზე, რადგან მეტ ტემპერატურაზე იკარგება თაფლის თვისებები.

თაფლს, პირველ რიგში უნდა ჰქონდეს სასიამოვნო სუნი და გემო. ქაფი მიუთითებს თაფლის არასაკმარის სიმწიფეზე, ხოლო მჟავე სუნი — ამჟავებაზე.

გავრცელებულია აზრი, რომ თაფლის ხარისხის შემოწმება შესაძლებელია ქიმიური ფანქრით ან თაფლზე იოდის დაწვეთებით. თუმცა, ქიმიური ფანქრით ვგებულობთ მხოლოდ წყლის გადამეტებულ შემცველობას, ხოლო იოდით — ცარცის დანამატის არსებობას.

ეცადეთ, თაფლი შეიძინოთ უშუალოდ მეფუტკრისგან ან თაფლის მომწოდებლისაგან, რომლებიც უფრთხილდებიან საკუთარ ან ფირმის სახელს და არ დაუშვებენ უხარისხო პროდუქტის შემოთავაზებას.

საეჭვოდ უნდა მიიჩნიოთ მძაფრი არომატი, რომლითაც თაფლს გაწონებთ გამყიდველი და ამ დროს, იგი, როგორც წესი სინთეთიკური არომატიზატორებით მიღწეული შედეგია.

იცოდეთ, რომ ზაფხულში ნაყიდი ახალი თაფლი თხევადი უნდა იყოს, ხოლო გვიან შემოდგომით ან ზამთარში ხარისხიანი თაფლი დაკრისტალებული იქნება (გარდა წაბლისა და თეთრი აკაციის).

ფიჭიანი თაფლის ყიდვისას ნამდვილად გეცოდინებათ, რომ თაფლი ფუტკრის მიერ არის დამზადებული, თუმცა ამ შემთხვევაში არ ხართ დაზღვეული იმისაგან, რომ თაფლი, ფუტკრის მიერ შაქრის სიროპის გადამუშავებით არ არის დამზადებული.

**1 ლიტრი თაფლის წონა 1,4-1,5 კგ-ს უდრის (სხვაობა დამოკიდებულია თაფლის შემადგენლობაზე ანუ მის სიმკვრივეზე). 3-ლიტრიან ქილაში თაფლის წონა დაახლოვებით 4,5 კილოგრამია.**

თაფლის გემო, ფერი და თვისებები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა სახის ყვავილებიდან არის შეგროვილი ნექტარი. მაისის თაფლი შეგროვილია ადრე გაზაფხულზე, პირველად აყვავებული მცენარეებიდან და ჯანმრთელობისთვის ითვლება ყველაზე სასარგებლოდ, რადგან გამოირჩევა დიდი რაოდენობით ვიტამინების შემცველობით.

ცაცხვის თაფლი თხევად მდგომარეობაში არის ბაცი ყვითელი, კრისტალიზირებული — მოყვითალო-ნარინჯისფერი ან წაბლისფერი და წვრილმარცვლოვანი ხდება. მკვეთრი გემოთი ხასიათდება და ცოტა სიმწარეც დაჰკრავს. გარდა სხვა სასარგებლო თვისებებისა, გამოიყენება გაციებისა და სხეულის მაღალი ტემპერატურის დროს.

წიწიბურას თაფლი თხევად მდგომარეობაში მუქი ჩაის ფერია. კრისტალიზებული თაფლი ყავისფერი და მსხვილმარცვლოვანი ხდება, თავზე მომდგარი უფრო თხევადი ფენით; გემო მძაფრი აქვს, ოდნავ მსუსხავი; გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკის უებარი საშუალებაა.

აკაციის თაფლი ბაცი ფერის, თითქმის მოთეთრო, ნაკლებად არომატულია. დიდხანს არ შაქრდება. ყველა სხვა ნატურალურ ნექტაროვან თაფლზე მეტ საქაროზას შეიცავს. გამოიყენება, როგორც ანთების საწინააღმდეგო და ბაქტერიციდული საშუალება, აგრეთვე, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის პროფილაქტიკისთვის.

მზესუმზირის თაფლი გამოიყენება ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების მკურნალობისას და რადიონუკლიდების ორგანიზმიდან გამოდევნის მიზნით.

მანანის თაფლი თხევად მდგომარეობაში არის მუქი წაბლისფერი და ჟელესმაგვარი; კრისტალიზირებული ნარინჯისფერი ან მუქი წაბლისფერი და წვრილმარცვლოვანი ხდება; ოდნავ მწკლარტე გემო დაჰკრავს. გამოიყენება შარდმდენი სისტემისა და პროსტატის მკურნალობისას.





## თაფლი უნდა ინახებოდეს კარგად დახურულ ჭურჭელში, მშრალ ადგილას. ხარისხიანი თაფლის ამჟავება, შესაძლოა, გამოიწვიოს მხოლოდ სინესტის მოხვედრამ მასში

რაფსის თაფლი თხევად მდგომარეობაში მოჩალისფეროა, კრისტალიზირებული — თეთრი ან კრემისფერი და წვრილმარცვლოვანი ხდება; ძალიან ტკბილია. გამოირჩევა გლუკოზისა და ამინომჟავების განსაკუთრებით მაღალი შემცველობით. რეკომენდებულია გულისა დ სისხლის მიმოქცევის პრობლემების მქონეთათვის.

წაბლის თაფლი არის მუქი ყავისფერი, სპეციფიკური მწარე გემოთი, დიდხანს არ შაქრდება. გამოირჩევა გამოხატული ბაქტერიოციდული თვისებებით, ამიტომ გამოიყენება ანგინის დროს და ჭრილობების დამუშავებისათვის. იგი წარმატებით გამოიყენება კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროსაც: ხელს უწყობს ნაღვლის გამოყოფას, ეფექტურია კუჭის წყლულის მკურნალობისას. აგრეთვე, გამოიყენება არტერიული წნევის დასარეგულირებლად, თრომბოფლებიტის, ვენების ვარიკოზული გაგანიერების, პროსტატიტის დროს.

ფათალოს თაფლი გამოირჩევა თავისებური, ნაზი სურნელით და, შესაბამისად, მისი ნექტრიდან დამზადებული თაფლიც განსაკუთრებული გემოსია.

იმ ადგილებში, სადაც არ აღინიშნება ერთი სახის მცენარის ყვავილობა, ფუტკრები ნექტარს სხვადასხვა ყვავილებიდან აგროვებენ და თაფლი ითავსებს სხვადასხვა მცენარის სამკურნალო თვისებებს. ასეთ შემთხვევაში თაფლს მრავალყვავილოვანი ან ნაირყვავილოვანი ეწოდება. ასეთი თაფლი სასარგებლოა ყველასთვის, როგორც ზოგადგამაჯანსაღებელი საშუალება.

ჩვენი ტვინისთვის ენერგიის ერთ-ერთი უმძლავრესი წყარო თაფლია. თაფლი კალორიულობით შაქრისგან თითქმის არ განსხვავდება, მაგრამ თაფლი დიეტურ პროდუქტად ითვლება, რადგან სწრაფად იშლება და ადვილად შეიწოვება ორგანიზმის მიერ.

თაფლი ამ პლანეტის ერთ-ერთი უძველესი პროდუქტია. ყველა დროში მიიჩნევდნენ მას არა მხოლოდ საკვებად, არამედ წამლადაც. ძველი ბერძნების სამედიცინო ტრაქტატებში მას თხევად ოქროს უწოდებდნენ და გაციების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებისა და სიბერის დროს საუკეთესო საშუალებად მიიჩნევდნენ. ლეგენდის მიხედვით, მედიცინის მამა ჰიპოკრატე განსაკუთრებულ თაფლის დიეტას იცავდა და მისი წყალობით 110 წელი იცოცხლა. დამტკიცებულია, რომ ყველა, ვინც ნატურალურ თაფლს იღებს, ჩვეულებრივზე დიდხანს ცოცხლობს. მრავალი ანტიკური მეცნიერის — პითაგორას, არისტოტელეს, დემოკრიტიანეს და სხვათა დღეგრძელობა, ნათელი გონება და ურყევი ჯანმრთელობა თაფლის რეგულარული მიღებით აიხსნება.

1946 წელს აკადემიკოსმა ნიკოლაი ციცინმა ჩაატარა გამოკვლევა, რომლის შედეგებმაც მეცნიერულად დაადასტურა, რომ დედამიწაზე მცხოვრები დღეგრძელი ადამიანების უმეტესობა რეგულარულად მიირთმევდა თაფლს.

თაფლის სწორად მიღებისთვის რამდენიმე რჩევა საჭიროებს გათვალისწინებას. **თუ დილით ერთ ჭიქა თბილ წყალში ერთ ჩაის კოვზ თაფლს გახსნით და მიირთმევთ, ეს გამოფხიზლებაშიც დაგეხმარებათ და მთელი დღის განმავლობაშიც უზრუნველგყოფთ ენერგიითა და დადებითი ემოციებით.** დაცლით თუ არა ჭიქას, სამ წუთში თავის ტვინი მიიღებს ნახშირწყლებს და დაიწყებს ბედნიერების ჰორმონის — სერატონინის გამოყოფას. საოცარია, მაგრამ იგივე მეთოდი უძილობის სამკურნალოდაც ანალოგიურად ეფექტურია — ძილის წინ ერთი კოვზი თაფლის მირთმევით თავს დააღწევთ ყოველგვარ დამამშვიდებლებსა და საძილე საშუალებებს.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი დეტალი: არ შეიძლება ცხელ სითხეში თაფლის გახსნა, რადგან ამ შემთხვევაში მასში ბიზებრივი ცილა დედდება, წარმოიქმნება ტოქსინები და თაფლი საწამლავად იქცევა. 40 გრადუსზე მეტ ტემპერატურაზე გაცხელებისას ან ამაზე ცხელ სითხეში გახსნისას თაფლი კარგავს ყველა სასარგებლო თვისებას და დაახლოებით უტოლდება შაქარს. ამდენად, ცხელ ჩაიში თაფლის ჩასხმა არ ღირს, დაელოდეთ მის 40 გრადუსამდე გაგრილებას და მხოლოდ შემდეგ ჩაუშვით თაფლი.

**შესაბამისად, თუ დაკრისტალებულ თაფლს მომცრო ჭურჭელში გადასატანად ან რაიმე სხვა მიზნით გაცხელებით გაადნობთ, ის ყველა სასარგებლო თვისებას დაკარგავს.**

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, სიტყვა თაფლი ძველი ებრაული წარმომავლობისაა და მაგიას ნიშნავს. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ თაფლი ძლიერი აფროდიზიაკია, რადგან მრავალი სახის მიკროელემენტებს შეიცავს, მათ შორის ვიტამინებს A და E, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისთვის.

თაფლი აქტიურად ზემოქმედებს ორგანიზმის ყველა სასიცოცხლო ფუნქციაზე. სპეციალისტების რეკომენდაციით, ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა დღეში 60-80 გრამი თაფლის მირთმევა, ბავშვებისთვის კი 20-30 გრამი სავსებით საკმარისია.

ცხადია, სასარგებლოა მხოლოდ ნატურალური თაფლი. თუ თაფლი ექვსი თვის ან მეტი ხნის მანძილზე არ კრისტალდება, ეს თაფლი ნატურალური არ არის, ან ის ნატურალურია, მაგრამ გააცხელეს საჭირო ზომის ქილებში ჩამოსასხმელად, ანუ სასარგებლო თვისებები დაკარგული აქვს. ნატურალური თაფლი მრავალი წლის მანძილზე ინარჩუნებს ვიტამინებსა და სასარგებლო თვისებებს, თუ მას სწორად ინახავენ. არ შეიძლება თაფლის დატოვება მზიან ადგილას — მზის სხივების ზემოქმედების შედეგად ის ასევე კარგავს სასარგებლო თვისებებს, თაფლი გრილ და ბნელ ადგილას უნდა შეინახოთ, ოღონდ არა მაცივარში.

ზოგიერთი ირწმუნება, რომ სწორედ თაფლმა დაუდო სათავე ევოლუციას და ადამიანის გონიერ არსებად ჩამოყალიბებას. გლუკოზის რეგულარულად მიწოდებამ თავის ტვინის მუშაობა გააააქტიურა და განვითარებას მისცა ბიძგი.

ჩვეულებრივ, სტანდარტულ თაფლში 100-მდე აქტიური ელემენტია, ზოგიერთი სახეობის თაფლში კი — 300-მდე. თაფლის სრული შემადგენლობა ამ დრომდეც არ არის შესწავლილი, მისი მრავალი კომპონენტის დანიშნულება მეცნიერებისთვის უცნობია. მაგრამ სამედიცინო ექსპერიმენტებით დადასტურდა, რომ, მოხვდება თუ არა ადამიანის ორგანიზმში, თაფლი მიზანმიმართულად ებრძვის და ანადგურებს იმას, რაც მავნეა ადამიანისთვის.

თაფლის კულტი უამრავ ძველ ხალხს ჰქონდა. ესპანეთში, ვალენსიაში, გამოქვაბულების კედლებზე ნაპოვნია ნახატები, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე ათასწლეულითაა დათარიღებული და რომელზეც გამოსახულია ორი ადამიანი, რომლებიც ველური ფუტკრების სკიდან იღებენ თაფლს. თაფლი ნახსენებია ბიბლიაშიც.

საოცარია, მაგრამ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თაფლის შემადგენლობა თითქმის ზუსტად იმეორებს ადამიანის სისხლის შემადგენლობას. თუ გსურთ, თავის ტვინი კვებოთ, ჩაიდეთ პირში ერთი ჩაის კოვზი თაფლი და შეეცადეთ, დიდხანს არ გადაყლაპოთ, უბრალოდ წუწნეთ, დატკბით არომატით და პარალელურად მიაწოდეთ საკვები თავის ტვინს.

დასასრულ, რამდენიმე რჩევა ნატურალური თაფლის გამოსაცნობად:

ამოიღეთ თაფლი კოვზით. თუ იგი ნატურალურია, წარმოქმნის გრძელ (10-12 სმ სიგრძის) „ძაფს“, რომელიც დიდხანს არ გაწყდება და, თუ კოვზს დაატრიალებთ, ზედ დაეხვევა. როდესაც თაფლის ძაფი გაწყდება, ზედაპირზე წარმოიქმნება პატარა ბორცვი, რომელიც ნელ-ნელა გასწორდება.

გახსენით ერთი სუფრის კოვზი თაფლი ერთ ჩაის ჭიქა ცხელ წყალში. ნატურალური თაფლი მთლიანად გაიხსნება და არ წარმოქმნის ნალექს. ხსნარი არ აიმღვრევა, თუ მას ცოტაოდენ სპირტს დავუმატებთ.

ქაღალდის ფურცელს თხელ ფენად წაუსვით თაფლი ისე, რომ კიდეები თავისუფალი დარჩეს. ფურცელს წაუკიდეთ ცეცხლი. თუ ცეცხლი ჩაქრა, თაფლი ნატურალურია, თუ მთელი ფურცელი დაიწვა — ფალსიფიცირებული.

თაფლის წვეთს მოაყარეთ ცოტაოდენი სახამებელი — თუ იგი თეთრ ნაფიფქად დარჩა, თაფლი ნატურალურია.

ჩაის სუსტ და თბილ ნაყენს დაუმატეთ ცოტაოდენი თაფლი. თუ იგი ნატურალურია, ჩაი გამუქდება, მაგრამ ნალექი არ წარმოიქმნება.

გაახურეთ ნემსი და ჩაუშვით თაფლში. თუ მასზე წარმოიქმნა წებვადი მასა, თაფლი ფალსიფიცირებულია. ნატურალურ თაფლში ნემსი სუფთა დარჩება.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 76 წლის ქალიშვილი გათხოვდა

**პენსიონერმა ქალმა პირველი სიყვარული 76 წლის ასაკში იპოვა. მისი რჩეული 67 წლის მამაკაცია, რომელიც საკუთარი შეზღუდული შესაძლებლობების გამო არასოდეს ყოფილა დაქორწინებული. წყვილმა ერთმანეთი მოხუცებულთა თავშესაფარში გაიცნო.** „ის ძალიან კარგი ადამიანია, არ სვამს, არ ეწევა, ყველაფერში მეხმარება. იყო შემთხვევები, როდესაც ავადმყოფობის გამო ლოგინში წოლა მომიხდა, ის გვერდიდან არ მომცილებია, სველ ტილოს მადებდა და ლიმონიანი ჩაი მოჰქონდა“, — ამბობს ჟურნალისტებთან საუბრის დროს პენსიონერი. როგორც გაირკვა, ის ქალიშვილია. „მაშინაც კი, როდესაც ჩემი ხელის სათხოვნელად მამაკაცები მოდიოდნენ, დედა მათ სახლიდან ყრიდა, ხანდახან ჯოხითაც კი. ამბობდა, რომ მან გამაჩინა იმისთვის, რათა მისთვის მომევლო“, — ჰყვება საკინა.





## ქალი საკუთარი დაკრძალვიდან 13 დღეში შინ დაბრუნდა

**აშშ-ის ქალაქ ფილადელფიაში მომხდარი ინციდენტით გავლენიანი დასავლური გამოცემები დაინტერესდნენ. 50 წლის შაროლინ ჯექსონი საკუთარი დაკრძალვიდან 13 დღის შემდეგ შინ დაბრუნდა. საბედნიეროდ, დაკრძალული ქალის გამოჩენას ოჯახის წევრებისთვის სერიოზული ფსიქოლოგიური სტრესი არ მიუყენებია.**

საქმე ისაა, რომ შაროლინი სახლიდან 18 ივლისს გავიდა და მას შემდეგ პოლიცია მის კვალს უშედეგოდ ეძებდა. 20 ივლისს ქუჩაში გარდაცვლილი ქალის გვამი იპოვეს, რომელიც შაროლინს გარეგნულად ძალიან ჰგავდა. სოციალურმა მუშაკმა, რომელიც შაროლინს იცნობდა, და დაკარგული ქალის შვილმა, ტრევისმა გვამის ფოტოსურათების მიხედვით განაცხადეს, რომ ის სწორედ დაკარგული ჯექსონია.

მოგვიანებით შაროლინის კვალს ცენტრალურ ფილადელფიაში ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მიაგნეს. როგორც პოლიციაში ამბობენ, გვამი, რომელიც ოჯახის წევრებმა დაკრძალეს, 20 ივლისს ქუჩაში იპოვეს და ქალი ბუნებრივი სიკვდილითაა გარდაცვლილი.



## დაბადებიდან 13 წამში

**ფოტოგრაფმა ქრისტიან ბერზელოფმა საკუთარი ფოტოსესია ახალშობილ ბავშვებს მიუძღვნა.** მან, ლამაზ ტანისამოსში გამოწყობილი ბავშვების ნაცვლად, სისხლითა და პლაცენტით დასვრილი ბავშვები დაბადებიდან 13 წამში აღბეჭდა. „როდესაც ჩემი შვილი პირველად ვნახე, ის სისხლით იყო დაფარული და ჰგავდა მეომარს, რომელმაც თავის პირველ ომში გაიმარჯვა,“ — აღნიშნა ფოტოგრაფმა. მისი თქმით, სწორედ შვილის დაბადება გახდა ამ უჩვეულო ფოტოსესიის შთაგონების წყარო.



# სამეცნიერო მიღწევები, რომლებიც სამყაროს შეცვლის

**ზღვარი სამეცნიერო ფანტასტიკასა და მეცნიერებას შორის სულ უფრო ვიწროვდება. უახლესი სამეცნიერო მიღწევები რამდენიმე წლის წინათ შეუძლებლად მიიჩნეოდა.**

## პროთეზი, რომელიც გონების ძალით იმართება

სპეციალური სენსორის დახმარებით პროთეზს ელექტრონული იმპულსები გადაეცემა და ის რთულ დავალებებსაც კი ასრულებს, მაგალითად, გასაღებით აღებს კარს. პროთეზი მუდმივი გაუმჯობესების სტადიაშია და მალე გახდება პაციენტებისთვის ხელმისაწვდომი.






## ლაბორატორიულ პირობებში შექმნილი ხორცი

ვეგეტარიანელებს მალე შეეძლებათ, მიირთვან არაცხოველური წარმოშობის ხორცი. დღეისთვის ის ძალიან ძვირია. ის ლაბორატორიებში ცხოველების რამდენიმე ქსოვილის გამოყენებით გამოჰყავთ. პირველად ეს ექსპერიმენტი ჰოლანდიელმა მეცნიერმა ჩაატარა 2013 წელს. ეს ტექნოლოგია დაეხმარება იმ ადამიანებს, რომელთაც კუნთოვანი პათოლოგიები აქვთ.



## ბიონიკური თვალი

დღეს უკვე შესაძლებელია აქამდე სასწაულებრივ ფაქტად მიჩნეული ბრმებისთვის თვალების ახელა. მეცნიერები, ათეულობით წლებია, მუშაობდნენ ბიონიკური თვალის შექმნაზე. ჯერჯერობით ბიონიკურ თვალს მხედველობის 100%-ით აღდგენა არ შეუძლია, მაგრამ ტექნოლოგიის გაუმჯობესებაზე მუშაობა გრძელდება.



## სამგანზომილებიანი პრინტერი

სამგანზომილებიანი ფორმატის პრინტერი, რაც დრო გადის, მით უფრო გვაკვირვებს თავისი შესაძლებლობებით. მისი დახმარებით შესაძლებელია, შექმნა საჭირო ნივთები. უნდა აირჩიოთ საჭირო პროგრამა და შეძლებთ, შექმნათ ავტომობილი, იარაღი, პროთეზი... მოკლედ, ყველაფერი, რაც გჭირდებათ და რაზეც ფანტაზია გაგწვდებათ.

# სტერილიზაციის განაჩენი

**ექვსი შვილის დედას, რომელსაც გონებრივი განვითარების დაბალი კოეფიციენტი აქვს, მისსავე სასიკეთოდ სტერილიზაცია უნდა გაუკეთონ — ასე დაადგინა ბრიტანეთის სასამართლომ. თუ კიდევ დართავენ ნებას ქალს, რომ დაორსულდეს, ეს საფრთხეს შეუქმნის როგორც დედის, ისე ბავშვის სიცოცხლეს.**



ჯანდაცვისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ახლა აქვთ სრული უფლება, ქალის სახლში შევიდნენ და იძულებით წაიყვანონ სტერილიზაციისთვის. მოსამართლის თქმით, ამით ქალის უფლებებს არ არღვევენ და არც გენეტიკური სელექციის კონტროლთან გვაქვს საქმე, აქ მხოლოდ და მხოლოდ იცავენ ქალის სიცოცხლეს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 36 წლის ქალი თავისი ექვსი შვილიდან არც ერთთან არ ურთიერთობს და ყველა ბავშვი მეურვეებს გადასცეს.

მოსამართლე კობმა ამ ქალის ამბავს ექსტრაორდინარული, ტრაგიკული და რთული უწოდა. მისი თქმით, ორი ბავშვი მან ანტისანიტარულ პირობებში გააჩინა – იმ პერიოდში სახლი სავსე იყო შინაური ცხოველებით. სახლში იმშობიარა ექვსივეჯერ და ერთხელ, ბებიაქალის მაშების ნაცვლად, სულაც შამფურები იქნა გამოყენებული.

როდესაც მორიგი ბავშვის დაბადებაზე ჰკითხეს, დედა ამტკიცებდა, რომ მამაკაცისგან კი არ დაორსულდა, არამედ ჯანსაღი კვების მაღაზიაში ნაყიდი აბებით.

ქალი გონებრივად ჩამორჩენილად მიიჩნევა, რადგან მისი ინტელექტის კოეფიციენტი 70-ია. შედარებისთვის: საშუალო, სამსახურში დასაქმებული ადამიანის კოეფიციენტი 87-ია. როგორც ქალს, ისე მის პარტნიორს განათლების პრობლემა აქვს.

ექიმების თქმით, ქალის საშვილოსნოს კედელი იმდენად გათხელებულია, მორიგი მშობიარობის დროს შეიძლება გაიხეს და ქალის სიკვდილი გამოიწვიოს. ქალი არ იქნება წინანასწარ გაფრთხილებული ქირურგიული ოპერაციის თაობაზე, რადგან მანამდე არ მიიღოს ზომები და არ მიიმალოს.

ამ ვერდიქტმა უფლებათა დამცველი ორგანიზაციები აღაშფოთა. მოსამართლის დადგენილებას „დრაკონული გადაწყვეტილება“ უწოდეს, თუმცა, სავარაუდოდ, დადგენილებაში არაფერი შეიცვლება.



## გოგონა გაუპატიურებას ლომებმა გადაარჩინეს

**ეთიოპიაში ბევრ გოგონას აიძულებენ ქორწინებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ქვეყანაში ოჯახების 70% სწორედ ძალის გამოყენებით არის შექმნილი. მამაკაცები არც კი ეკითხებიან გოგონებს ქორწინების შესახებ, არც მათ მშობლებს სთხოვენ ხელს, არამედ აუპატიურებენ მათ და შემდეგ იძულებულს ხდიან, მათზე იქორწინონ.** სწორედ ასე მოუვიდოდა 12 წლის გოგონას, როდესაც იგი სკოლიდან სახლში ბრუნდებოდა. 7 მამაკაცმა გოგონა გაუპატიურების მიზნით მოიტაცა, რათა შემდეგ ერთ-ერთ მათგანს ცოლად გაჰყოლოდა. ალბათ, ასეც მოხდებოდა, რომ არა დედაბუნება. მოზარდის მოტაცების დროს მოულოდნელად 3 ლომი გამოჩნდა, რომლებმაც გოგონა მოძალადეებისგან დაიცვეს. საინტერესოა ასევე, რომ გარეული ცხოველები ბავშვს მხოლოდ მას შემდეგ მოცილდნენ, რაც მასთან სამართალდამცავები მივიდნენ. როგორც ჩანს, ტყუილად არ არის ლომი ეთიოპიის ეროვნული სიმბოლო.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# საიდუმლოებით მოცული თოჯინების კუნძული

**ამ უცნაური და საიდუმლოებით მოცული ადგილის ისტორია დიდი ხნის წინათ დაიწყო, როდესაც მასზე განდეგილი დონ ხულიან სანტანა დასახლდა, რომელიც მთელ დროს მარტო ატარებდა.**

1950 წელს კუნძულის მახლობლად პატარა გოგონა დაიხრჩო. ტრაგედიის ადგილზე ახალგაზრდა მამაკაცმა თოჯინა იპოვა, რომელიც ხეზე ჩამოკიდა. ამის შემდეგ სანტანამ გადაგდებული თოჯინების შეგროვება და ხეზე ჩამოკიდება დაიწყო.

2001 წელს, 80 წლის ასაკში, დონ ხულიანი გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ მამაკაცი სწორედ იქ დაიხრჩო, სადაც მრავალი წლის წინათ გოგონას გვამი აღმოაჩინეს. აღმოჩნდა, რომ 50 წლის განმავლობაში მას კუნძულზე ათასზე მეტი თოჯინა შეუგროვებია. ამჟამად მექსიკაში არსებული კუნძული Las Isla de las Munecas საშიში ისტორიების მოყვარული ტურისტების ერთ-ერთ საყვარელ სანახაობას წარმოადგენს.





# 34 კილომეტრი სამსახურამდე

**1988 წელს დეტროიტში მცხოვრებ ჯეიმს რობერტსონს ავტომობილი გაუფუჭდა. მამაკაცი საათში მხოლოდ 10,55 დოლარს გამოიმუშავებს, რის გამოც, თავს უფლება არ მისცა, ახალი ავტომობილი შეეძინა. ზედმეტი ფიქრის გარეშე, მან გადაწყვიტა, სამსახურში ფეხით ევლო. ამასთან, იგი ოდნავადაც არ შეაშფოთა იმ აზრმა, რომ ყოველდღე 34 კილომეტრის გავლა მოუწევდა.**

ადგილობრივმა გაზეთმა მას სტატია მიუძღვნა, რომლის წაკითხვის შემდეგ 19 წლის სტუდენტმა ევან ლიდიმ მისი დახმარება გადაწყვიტა. ევანმა დააარსა საქველმოქმედო ფონდი, რომელშიც ყველა მსურველს შეეძლო ფულის გადარიცხვა. ლიდის თქმით, იგი გააოცა ჯეიმსის საქციელმა, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, ბედს არ უჩიოდა.

შედეგად, ფონდში 149 000 დოლარმა მოიყარა თავი. ამასთან, ერთ-ერთმა საავტომობილო კომპანიამ რობერტსონს ავტომობილიც კი აჩუქა. ევანის თქმით, შეგროვილი ფულით იგი ჯეიმსისთვის ბინის ყიდვას აპირებს, რომელიც მისი სამსახურის მახლობლად იქნება.

# პროფესიები, რომლებიც ფსიქიკაზე ზემოქმედებს



**ფსიქოლოგებმა და სოციოლოგებმა დაასახელეს პროფესიები, რომლებსაც ფსიქიკური აშლილობის გამოწვევა შეუძლია.**

**ბუღალტერი** — ცნობილია, რომ ამ პორფესიის წარმომადგენელთა უმეტესობა საკმაოდ დაძაბული შრომით არის დაკავებული, რომელიც მათგან სიზუსტეს, წესრიგს მოითხოვს. ბევრს ეს პირად ურთიერთობებშიც გადააქვს, აშინებს სიახლე, რისკი, არ უყვარს ექსტრემალური სიტუაციები.

**ჟურნალისტი** — ზედაპირულობა ამ პროფესიის ადამიანების დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევა. ჟურნალისტის პროფესია არ მოითხოვს ამა თუ იმ საკითხის დეტალურ ცოდნას, სიღრმისეულ წვდომას. სამსახურებრივი თვისებები ბევრს პირად ურთიერთობებშიც მიჰყვება.

**იურისტი** — მკაცრი კოსტიუმი, კეისი, სადა ვარცხნილობა — ეს ამ პროფესიის ადამიანების გარეგნული ნიშნებია. იურისტები შინაგანადაც თავშეკავებულნი არიან, ყოველთვის აკონტროლებენ თავიანთ ქცევას, თვითკონტროლის გამო საუბრისას დაძაბულნი არიან და, როგორც წესი, მაქსიმალურად იყენებენ პროფესიული ტერმინების მარაგს.

**სამხედრო პირი** — მათთვის, ვინც სამხედრო კარიერას ირჩევს, დისციპლინა ცხოვრების წესია. ხშირად ასეთ ადამიანებს არ გააჩნიათ იუმორის გრძნობა, ოჯახში დიქტატურასა და ტირანიას ამყარებენ.

**ექიმი** — ეს პროფესია ადამიანს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. ექიმებს სხვების ჯანმრთელობა და სიცოცხლე აბარიათ. მცირედი შეცდომა და უყურადღებობაც კი, შესაძლოა, სავალალოდ დასრულდეს. ექიმებს ხშირად ამჩნევენ ცინიზმს — ეს მათი ფსიქიკის თავდაცვითი რეაქციაა პაციენტების ტანჯვაზე, რომელსაც ისინი ყოველდღიურად ხედავენ.



# ნასას ყველაზე მნიშვნელოვანი ფოტოები

**კოსმიური სივრცის შემსწავლელი ორგანიზაცია ნასა, უკვე 57 წელია, კაცობრიობის სამსახურშია.** ამ მოკლე პერიოდში ნასას სახელზე ბევრი მიღწევაა გალაქტიკის შემეცნების საკითხში. განხორციელდა კომოსში გაფრენები, რამდენიმე დასხდომა მთვარეზე, მარსის ათვისება და მზის სისტემის სხვა ობიექტების შესწავლა. თითქმის ექვსი დეკადის განმავლობაში მილიონობით ფოტო გადაიღეს, მათ შორის რამდენიმეს ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ისტორიაში.













## ნეთანიაჰუ:
# ევროპაში თქვენი საქმე უფრო ცუდად წარიმართება, წამოდით ისრაელში!

**ისრაელის პრემიერმინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ შეაფასა კოპენჰაგენში (დანია) ახლახან მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც მამაკაცმა ცეცხლი გაუხსნა სამართალდამცველებს, რომლებმაც სროლითვე უპასუხეს და მოკლეს. ეს ინციდენტი მოხდა იმ კაფესთან ახლოს, სადაც მიმდინარეობდა დებატები ღვთის გმობისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. ღონისძიებებს ესწრებოდა შვედი კარიკატურისტი ლარს ვილკსი, რომელიც ცნობილია თავისი ნამუშევრებით წინასწარმეტყველ მუჰამედზე. მისი მოკვდინებისთვის ისლამისტებს 100 ათასი დოლარი აქვთ დაწესებული...**

ევროპის ქვეყნებში ანტიებრაული თავდასხმების გახშირების გამო ნეთანიაჰუმ ევროპის ქვეყნებში მცხოვრებ ებრაული წარმოშობის მოქალაქეებს ისრაელში საცხოვრებლად გადასვლისკენ მოუწოდა.

„ებრაელებზე თავდასხმების ტალღა, რომელიც ევროპას მოედო, უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება. მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ დავრჩეთ უსაფრთხოდ. ებრაელებს, სადაც უნდა იყვნენ, დაცვა სჭირდებათ, მაგრამ მოგიწოდებთ: ისრაელი თქვენი სახლია, იქ თქვენზე იზრუნებენ. ჩვენ მზად ვართ მასობრივი იმიგრაციისთვის". — განაცხადა ისრაელის პრემიერმინისტრმა.



# ანგელა მერკელს წარსული შეახსენეს

**ჰაკერულმა ორგნიზაცია Anonymous-მა 1993 წლით დათარიღებული ფოტოები გამოაქვეყნა, რომლებზეც ახალგაზრდა მერკელი ნეონაცისტური ახალგაზრდული ცენტრის — Elbterrassen-ს წევრებთან ერთად არის გადაღებული.**

ფოტოებს წარწერაც ერთვის: „ჯერ სოციალისტი, შემდეგ აღმოსავლეთ ბერლინის შპიონი, შემდეგ „სკინჰედებთან" ერთად დადის და ახლა გერმანიის კანცლერია — აი, ქალბატონი მერკელის კარიერა!"

გამოქვეყნებული მასალების თანახმად, მერკელი ნეონაცისტების იმ შეკრებაში მონაწილეობდა, როდესაც ბეისბოლის ბიტებით სასიკვდილოდ სცემეს ანტიფაშისტი ტორსტენი.

მერკელის მაკომპრომეტებელი ფოტოების გამოქვეყნებას გერმანიის ხელისუფლება გამოეხმაურა და განაცხადა, რომ „პირიქით — მერკელი ნეონაცისტებთან შეხვედრაზე ცდილობდა, ახალგაზრდები კლუბიდან წამოეყვანა და ახალ, დემოკრატიულ პროგრამებში ჩაერთო, რომლებიც ფაშიზმს ებრძოდა".









# საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

საპატრიარქომ საზოგადოება ეკლესიის სახელით ფულის თხოვნის შესახებ გააფრთხილა.

**„ბოლო ხანს გახშირდა ტაძრებისა და მონასტრების მშენებლობის მიზნით ან სოციალურად დაუცველთათვის დახმარების მოტივით სტიქაროსნების ან სასულიერო პირების მიერ ფულის შეგროვება ქუჩებში და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში. როგორც წესი, ძირითადად, ამას აკეთებენ ისეთი პირები, რომლებსაც ეკლესიისგან ასეთი კურთხევა არა აქვთ ან, საერთოდაც, არ არიან სასულიერო პირები და ისინი თანხას სინამდვილეში პირადი სარგებლობის მიზნით იყენებენ. საქართველოს საპატრიარქომ ადრეც გააფრთხილა საზოგადოება და ახლაც აფრთხილებს, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ბრძანებით, არც ერთ სასულიერო პირს და ეკლესიაში მომსახურე პირს არ აქვს უფლება, საჯარო თავშეყრის ადგილებში ითხოვდეს თანხას. რაც შეეხება ყულაბებს, რომელიც ხშირად გვხვდება სხვადასხვა დაწესებულებაში, რა თქმა უნდა, ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და კოლექტივის გადასაწყვეტია, დაეხმარებიან თუ არა ვინმეს ან თუნდაც ეკლესიას, ოღონდ, თუ ეს ეკლესიის მშენებლობის ან მონასტრის შეწევნის მიზნით ხდება, ვურჩევთ მათ, გადაამოწმონ, თანხა მიდის თუ არა დანიშნულების ადგილზე, რადგან ეკლესიის სახელით მოტყუების ფაქტებს ამ შემთხვევებშიც ჰქონდა ადგილი",** — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.



# მერიის 445 თანამშრომელი თანამდებობიდან გაათავისუფლეს

**თბილისის მერიიის 445 თანამშრომელი თანამდებობიდან გათავისუფლდა ვაკანტურ თანამდებობებზე დროებით მოვალეობის შესრულების ვადის გასვლის გამო.** „მერიის სისტემაში კონკურსი გამოცხადებული იყო 1 033 ვაკანსიაზე. კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე პრეტენდენტებმა გაიარეს ტესტირება, ხოლო მეორეზე – გასაუბრება. კონკურსის შედეგების მიხედვით, კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია 484 პრეტენდენტს, ხოლო 549 ადგილი დარჩა ვაკანტური, რაზეც მოგვიანებით ხელახალი კონკურსი გამოცხადდება", — განაცხადეს მერიაში.

კონკურსის შედეგების მიხედვით, ვაკანტური ადგილების 40% ახალი კადრებით დაკომპლექტდება.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1959 წლის ჟურნალისტიკის განყოფილების კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ერთ-ერთი უპოპულარესი გაზეთის — „სოფლის ცხოვრების" მთავარი რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, შესანიშნავი პიროვნება და ჩვენი მეგობარი

**ვალიკო გოგოლაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ მისი ოჯახის წევრებს.

**პანაშვიდი 18 თებერვალს, 4 საათზე,**
**გამოსვენება 19 თებერვალს 2 საათზე.**
**მისამართი: გლდანი, რაზმაძის ქ. №13.**

# მოსახლეობის 74 პროცენტს ვალი მოემატა



**საქართველოს მოქალაქეების თითქმის 74%-ს ბოლო წლის განმავლობაში ვალი გაეზარდა, 32%-ს — მკვეთრად. ამ საკითხზე გამოკითხვა გაზეთმა „რეზონანსმა" ჩაატარა.**

კითხვაზე — ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა თუ არა თქვენი ოჯახის ვალი, 32%-მა აღნიშნა, რომ „მკვეთრად გაიზარდა"; 41% ამბობს, რომ „გაიზარდა"; გამოკითხულთა 5,4%-ს ერთი წლის განმავლობაში ვალი იგივე დარჩა; 16,4% ამბობს, რომ ვალი „შეუმცირდა" და მხოლოდ 4,1% აცხადებს, რომ მისი ოჯახის ვალი ერთი წლის განმავლობაში „მკვეთრად შემცირდა".

„ეს ნიშნავს, რომ ხალხს ფული არ ჰყოფნის და ფულს ბანკისგან, კერძო იპოთეკარისგან თუ სხვა მსესხებლისგან იღებს. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ვალი ისევ მძიმე ტვირთად აწევს და მის გასტუმრებას ველარაფერს უხერხებს", — წერს გამოცემა. გამოცემის ინფორმაციით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვადაგადაცილებული სესხების მოცულობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა.


## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009